

0. ა ნ თ ე ლ ა ვ ა

რ უ ს უ ლ ი
საზოგადოებრივი აზრის
განვითარების ისტორია

(XVIII ს. მეორე ნახევარი—XIX ს. 60-იანი წწ.)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1971

ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე წლების მანძილზე წაკითხული ლექციების კურსს (შემოკლებულ ვარიანტს). მისი მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის—XIX საუკუნის 60-იანი წლების (ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პერიოდის) რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლაში.

წიგნში პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექტია განხილული — ამა თუ იმ მოღვაწის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, მათი დამოკიდებულება ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და მონარქიული წყობილებისადმი.

**XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე
საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი რუსეთში**

(განმანათლებლური და რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი)

1. განმანათლებლობა (ა. პოლენოვი, ნ. ნოვიკოვი)

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ერთ-ერთ სახეობას განმანათლებლობა წარმოადგენდა. განმანათლებლობა არის შეხედულებათა სისტემა, რომელიც, ვ. ი. ლენინის განმარტებით, შემდეგი სამი ნიშნით ხასიათდება: პირველი, ესაა ბატონყმობისადმი უკიდურესი სიძულვილი. მეორე — განათლების, თვითმმართველობის, თავისუფლებისა და ცხოვრების ევროპული ფორმების თაყვანისცემა და მესამე — ხალხთა მასების, პირველ რიგში კი გლეხების ინტერესების დაცვა, გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმება მოიტანს საერთო კეთილდღეობას.

განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ა. პოლენოვი, ვ. ნოვიკოვი, ს. დესნიცკი, ი. კოზელსკი და სხვ. ჩვენ პირველი ორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე შევჩერდებით.



ალექსი იაკობის ძე პოლენოვი (1738—1816 წწ.), რუსული განმანათლებლური აზრის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, დაიბადა მოსკოვში, სამხედრო პირის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. 1762 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა, სტრასბურგის უნივერსიტეტში შევიდა და იურისპრუდენციის საფუძვლების შესწავლას დაეწაფა. 1767 წელს პოლენოვი სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო მეცნიერებათა აკადემიაში თარჯიმნის თანამდებობაზე.

1768 წელს მან „ნიკონის მატეანის“ მეორე ნაწილი გამოაქვეყნა, რითაც დიდი სამსახური გაუწია ისტორიული ცოდნის განვითარების საქმეს რუსეთში. სამი წლის შემდეგ იგი სენატში გადავიდა სამუშაოდ. სადაც ობერ-მდივნის ადგილი დაიკავა. 1793 წელს პოლენოვმა თავი მიანება სენატს და გამსესხებელ ბანკში გადავიდა. 1796 წელს იგი რუსეთის იმპერიის კანონების შემდგენელ კომისიაში მიიწვიეს, როგორც კარგად მომზადებული და განათლებული იურისტი. 1800 წელს კი პოლენოვი სამსახურიდან გადადგა.

პოლენოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს ჩვენ ვეცნობით მისი ნაშრომის მიხედვით, რომელსაც ეწოდება „გლეხთა ყმური მდგომარეობის შესახებ რუსეთში“. ის დაიწერა იმ კონკურსთან დაკავშირებით, რომელიც 1766 წელს გამოაცხადა ერთი წლით ადრე დაარსებულმა „თავისუფალმა ეკონომიურმა საზოგადოებამ“. კონკურსზე წარდგენილ ნაშრომებს უნდა გაეცათ პასუხი შემდეგ კითხვებზე: „რა უფრო სასარგებლოა საზოგადოებისათვის: ის, რომ გლეხს მარტო მოძრავი ქონება ჰქონდეს, თუ მასთან ერთად მიწაც. რამდენად არის საჭირო, რომ გაფართოვდეს გლეხის უფლებები ერთი ან მეორე სახის საკუთრებაზე“. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ როგორც რუსები, ისე უცხოელებიც. ეიურიმ სულ 160 ნაშრომი მიიღო, რომელთაგან საუკეთესოდ ცნობნითი, მათ შორის პოლენოვის ზემოთ დასახელებული ნაწარმოები.

ავტორი პირველ რიგში ხაზს უსვამს გლეხობის როლს ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში და მიუთითებს, რომ მისი კეთილდღეობა განსაზღვრავს სახელმწიფოს კეთილდღეობას, მის ძლიერებას. „გლეხები. საცა სამართალია, — წერს პოლენოვი, — იმსახურებენ შესაძლებელ მზრუნველობას და იმას, რომ მათ კარგ მდგომარეობაში ჩასაყენებლად არ დავზოგოთ არც შრომა და არც დრო. ჭეშმარიტად, ჩვენ ვალში ვართ იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დაიცვან სამშობლო, ღვარონ მისთვის სინხლი და რომლებიც, ათავისუფლებენ რა სხვებს შრომისა და ჯაფისაგან, ასაზრდოებენ მათ უხვად, თუმცა თვითონ კი თითქმის არაფრის მქონენი არიან... ერთი სიტყვით, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი უშიშროება და მთელი ჩვენი კეთილდღეობა გლეხების ხელშია და მჭიდროდაა დაკავშირებული მათ მდგომარეობასთან“¹.

პოლენოვი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება დავიწყებულია მის თანამედროვე საზოგადოე-

¹ ხაზი, თუ საგანგებოდ შენიშნული არაა, ყველგან ჩვენია (ავტორი).

ბაში და რომ გლეხებს „პატივისცემის მაგივრად ზიზღით ვეპყრობით, მადლობის მაგივრად შეურაცხყოფას ვაყენებთ, მზრუნველობის მაგივრად — ვანადგურებთ“. ყოველივე ამის გამო, — ასკვნის ავტორი, — „გლეხების გაკვირებული მდგომარეობა იმ ზომამდეა მისული, რომ ისინი, დაკარგეს რა თითქმის ყველა, ასე ვთქვათ, ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება, ვერც კი ხელავენ თავიანთ უბედურებას და თითქოს სამუდამო ძილში იმყოფებიან“.

პოლენოვის ნაწარმოების მიზანი სწორედ ისაა, რომ დაადგინოს გლეხის შრომისა და ცხოვრების უაღრესად მძიმე პირობების კონკრეტული მიზეზები და დასახოს ღონისძიებები, რომელთა განხორციელება საგრძნობლად გააუმჯობესებდა მწარმოებელი კლასის უფლებრივსა და ეკონომიურ მდგომარეობას. ასეთ ღონისძიებათა შორის ავტორი უპირველეს მნიშვნელობას მიწის მფლობელობის ხასიათს ანიჭებდა. იგი სოფლის მშრომელი მოსახლეობის დაბეჩავებული მდგომარეობისა და მისი მეურნეობის დაბალი ღონის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევდა იმას, რომ გლეხი მიწას თავისად არ თვლიდა. ეს გარემოება კი სტიმულს უქარგავდა მას, არ უბძიებდა მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ. პოლენოვი, მართალია, გლეხის მესაკუთრული უფლებების აღიარებამდე არ მისულა, მაგრამ სამაგიეროდ მიწისმფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათის დაკანონებას დაუჭირა მხარი. ეს, მისი აზრით, მართალია, იმდენ სარგებელს არ მისცემდა უშუალო მწარმოებელს, რამდენსაც საკუთრება, მაგრამ მემკვიდრეობითი მფლობელობის დაწესება მაინც დიდად შეუწყობდა ხელს ეკონომიური ცხოვრების პროგრესის საქმეს. ეს გარანტიას აძლევდა გლეხს, რომ მიწა, რომელსაც დღეს აწუშავებდა, ხვალაც მისი იქნებოდა და რომ მემამულე მას უცერემონიოდ ვერ წაართმევდა. „ამრიგად, — ვკითხულობთ პოლენოვის დასახელებულ ნაშრომში, — ყველა გლეხს უნდა ჰქონდეს პურის სათესი და საქონლის საძოვარი მიწა საკმაო რაოდენობით და უნდა ფლობდეს ამ მიწას მემკვიდრეობით, ისე, რომ მემამულეს უფლება არ ჰქონდეს წაართვას იგი, სანამ გლეხი წესიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. თუ გლეხმა არ შეასრულა ეს მოვალეობა, მემამულეს შეუძლია დასაჯოს ის, წაართვას მას მიწა და გადასცეს სხვას. მაგრამ მემკვიდრეობითმა მფლობელობამ არ უნდა მიიღოს ისეთი ხასიათი, რომ გლეხს უფლება ჰქონდეს თვითნებურად მოექცეს სხვისგან მიღებულ მიწას. მისთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ იგი დაუბრკოლებლივ და მუდმივად ისარგებლებს ამ მიწით და მიიღებს მისგან საზრდოს. ამიტომ მას აკრძალული აქვს... გაყიდოს ან გაასაჩუქროს, დააგირავოს ან შეილებს შორის დაანაწილოს მემკვიდრე-

ობით მიღებული მიწა. მამის სიკვდილის შემდეგ მიწა მხოლოდ მისმა ერთმა შვილმა უნდა მიიღოს. ასეთ ვითარებაში მემამულე ყოველთვის შეინარჩუნებს თავის უფლებას მიწაზე, ხოლო გლეხი თავისუფლად ისარგებლებს მიწით“.

პოლენოვის აზრით, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ გლეხს, რომელსაც ასეთი შეღავათი მიეცემოდა, ე. ი. მიწის მემკვიდრეობით სარგებლობის უფლება დაუმტკიცებოდა, გადასახადები ესადა მემამულისა და სახელმწიფოსათვის. მაგრამ ამ გადასახადების სახეობა და რაოდენობა მტკიცედ უნდა განსაზღვრულიყო, რაც. მისი სიტყვით, საგრძნობლად შეუმსუბუქებდა მდგომარეობას უშუალო მწარმოებელს. გადამხდელი წოდების ვალდებულებათა განუსაზღვრელობა მას ამ წოდების ეკონომიური უძლურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მიაჩნდა. ეხებოდა რა ამ საკითხს, პოლენოვი წინადადებას იძლეოდა, რომ გლეხს მემამულისათვის შემოსავლის მეათედი მიეცა, ხოლო საბატონო ბეგარის რაოდენობა კვირაში მხოლოდ ერთი დღით განსაზღვრულიყო. „განკარგულება მუდმივი გადასახადებისა და ვალდებულებათა დაწესების შესახებ, — გვარწმუნებს პოლენოვი, — აუცილებელია; ის შესამჩნევად დაიცავს გლეხებს მემამულეთა თავხედობისაგან, რომლებიც ყოველგვარი შეწყალების გარეშე ტანჯავენ მათ“.

გლეხების მძიმე მდგომარეობის შემდეგ განმსაზღვრელ ფაქტორად და მათი სრული უუფლებობის დამადასტურებლად პოლენოვს ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობის პრაქტიკა მიაჩნდა. „არ ვაველებთ რა არავითარ ზღვარს უსულდგმულო საგნებსა და ადამიანს შორის, — წერდა იგი, — ჩვენ ვყიდით ჩვენს ახლობლებს, როგორც ხის ნაჭერს და უფრო პირუტყვს ვიცოდებთ, ვიდრე მათ“. ეს სამარცხვინო, ქვეყნის სახელის გამტეხი მოვლენა, პოლენოვის აზრით, უსათუოდ უნდა მოსპობილიყო. შესაძლებელია, ნათქვამია მის ნაშრომში, ბევრი ვინმე გამოვიდეს ამ ღონისძიების წინააღმდეგ, მაგრამ ამას არ უნდა გაეწიოს არავითარი ანგარიში, რადგანაც „ამას მოითხოვს ხალხის კეთილდღეობის“ უზრუნველყოფის ამოცანა. ავტორი, სამწუხაროდ, აქაც ვერ იჩენს თანმიმდევრობას, უკან იხევს და საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტას გვთავაზობს — დასაშვებად მიიჩნევს ყმებით ვაჭრობის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ისინი იყიდებიან მიწით და ოჯახის წევრებთან ერთად. „მე, — წერდა პოლენოვი, — ვგულისხმობ ამ ვაჭრობის არა ბოლომდე მოსპობას; თუ ვინმე გადაწყვეტს ყმების გაყიდვას, გაყიდოს, მაგრამ არა ცალცალკე, არამედ მიწასთან და ოჯახის წევრებთან ერთად—მშობლები არ უნდა დაამორონ ბავშვებს. ძმები—დებს, მოყვრები—მოყვრებს..

მათ ცალ-ცალკე გაყიდვას, სხვას რომ თავი დავანებოთ, შედეგად მოს-
დევს ხალხის გადაგვარება და მიწათმოქმედების მკვეთრი დაცემა“.

გლეხის შრომისა და ცხოვრების, დაბეჩავებული მდგომარეობის
განმსაზღვრელ მომენტებს შორის პოლენოვი მნიშვნელოვან ადგილს
აღზრდა-განათლების ფაქტორს უთმობდა. წერა-კითხვის უცოდინა-
რობა, ცრუმორწმუნეობა და ა. შ. მართლაც უადვილებდნენ მემამუ-
ლეებსა და სახელმწიფო მოხელეებს მწარმოებელი კლასის ძარცვა-
გლეჯას, მისი შრომის ნაყოფის უცერემონიო მითვისებას. სწორედ
აქედან გამომდინარე წერდა პოლენოვი, რომ „აღზრდა ხელს უწყ-
ობს... საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევასო“. ეხებოდა რა
საკითხის პრაქტიკულ მხარეს, იგი წინადადებას იძლეოდა ყველა
სოფელში, სადაც კი ამის საშუალება იქნებოდა, დაარსებულიყო
სკოლა რუსული წერა-კითხვის შესასწავლად. ყოველ გლეხს თავისი
ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი უნდა შეეყვანა სკოლაში, რომ
მათ იქ მიეღოთ „თავიანთი მდგომარეობის შესაბამისი ცოდნა“.

დასასრულ, გლეხის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას,
პოლენოვის აზრით, დიდად შეუწყობდა ხელს სამართლიან საფუძ-
ვლებზე მოწყობილი სასამართლო. ამჟამად, ამბობს ის, ისეთი ვითარ-
ებაა შექმნილი, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობა თითქმის
მთლიანად მოკლებულია საშუალებას თავი დაიცვას ბატონის გაუ-
კითხაობისაგან. მისი აზრით, ამას ბოლო უნდა მოღებოდა და აი რა
გზით. უნდა შექმნილიყო ორი ტიპის (სახის) სასამართლო: პირველი,
საგლეხო, რომლის შემადგენლობაში იქნებოდნენ გლეხების მიერ
არჩეული მამასახლისი და კიდევ სხვა სამი-ოთხი კაცი და მეორე —
ასევე საგლეხო, მაგრამ უფრო მაღალი თავისი მნიშვნელობით; მის
სათავეში უნდა დაეყენებინათ პატიოსანი და რუსეთის კანონების
კარგად მცოდნე პირი. პირველი ტიპის სასამართლოს ფუნქციებში
შევიდოდა მცირე მნიშვნელობის საქმეების (სიტყვიერი შეურაცხყო-
ფა. ცემა-ტყეპა, წვრილი ქურდობა და სხვ.) გარჩევა, ხოლო მეორე-
საში — უფრო სერიოზული, მათ შორის გლეხებსა და მემამულეებს
შორის წარმოშობილი კონფლიქტების განხილვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეს წინადადება, პოლენოვის აზრით,
უნდა გატარებულიყო ნელ-ნელა, აუჩქარებლად. აჩქარება ამ საქმე-
ში მას საზიანოდ მიაჩნდა; ასევე საზიანოდ მიაჩნდა ნაშრომში გათ-
ვალისწინებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში ძალით გატარება. პრი-
ვილეგიურ წოდებას თვითონ. თავისი ნებით. ყოველგვარი იძულე-
ბის გარეშე უნდა ეთქვა უარი საზოგადოებრივი პროგრესის შემ-
ფერხებელ პრივილეგიებზე. „თავადაზნაურობა, — წერს პოლენ-
ოვი, — არ უნდა ვაიძულოთ მიიღოს ეს წინადადება, ის თვითონ

დარწმუნდება მის ხელსაყრელობაში და დათანხმდება შემოიღოს ის წესები. რომლებიც არ აყენებენ რა მას არავითარ ზიანს, ხელს შეუწყობენ იმ ადამიანების კეთილდღეობას, რომელთა ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას უკარნახებენ მას როგორც საზოგადოებრივი, ისე მისი პირადი ინტერესები“.

როგორც ნათქვამიდან ჩანს. პოლენოვის შეხედულებებს თანმიმდევრობა აკლია. ისინი წინააღმდეგობებს შეიცავენ¹. ავტორი გულწრფელად იცავს გლენს, სურს მას ტვირთი შეუმსუბუქოს, მაგრამ მეორე მხრივ, იგი მემამულეებსაც ვერ იმეტებს და საკმაოდ სერიოზულ პრივილეგიებს უტოვებს. საკმარისია ითქვას. რომ მან მწარმოებელი კლასი. სოფლის მშრომელი მოსახლეობა, მიწის მესაკუთრედ არ ცნო. ეს უკანასკნელი მან მხოლოდ მიწის მემკვიდრეობით მფლობელად აღიარა. არც ასეთი ღი:სისძიების გატარება იყო უმნიშვნელო საქმე, მაგრამ აგრარული საკითხის ამგვარ გადაჭრას, თავისთავად ცხადია, მაინც არ ჰქონდა რადიკალური ხასიათი. პოლენოვი, ეკატერინე II-ის საკანონმდებლო კომისიაში მონაწილე ზოგი დეპუტატისგან განსხვავებით, აკრიტიკებდა არა ცალკეულ მემამულეებს. მათ საქციელს, არამედ მთელ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას. როგორც სისტემას, ლაპარაკობდა მის ორგანულ ნაკლზე. და თუმცა მას აქედან, როგორც უკვე ითქვა, შორს მიმავალი დასკვნები არ გაუკეთებია, არსებული წყობილების შეცვლა (მით უმეტეს რევოლუციის გზით) არ მოუთხოვია, პოლენოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი მაინც დადებით შეფასებას იმსახურებენ. „ზომიერების მიუხედავად, — ნათქვამია პაშკოვის რედაქციით გამოცემულ „რუსეთის ეკონომიური აზრის ისტორიაში“, — მათი განხორციელება ხელს შეუწყობდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისათვის აუცილებელ პირობათა შექმნას. პოლენოვის პროექტი მიზნად ისახავდა გლეხობის უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

* * *

რუსული განმანათლებლობის მეორე შესანიშნავი წარმომადგენელი ნიკოლოზ ივანეს ძე ნოვოკოვი (1774—1818 წწ.) დაიბადა ბრონიცკის მაზრის (მოსკოვის გუბერნია) სოფ. ტიხ-

¹ ეს წინააღმდეგობა ორი გარემოებით იყო გამოწვეული. ჯერ ერთი, პოლენოვის კლასობრივი მდგომარეობით. მისი აზნაურული წარმოშობით და მეორე, აზრების უფრო გაბედულად გამოთქმის შეუძლებლობით ნაწარმოებში, რომელიც მთავრობის მიერ დაარსებულ საზოგადოებას უნდა წარსდგენოდა.

ვინო-ავდოტინოში ხელმოკლე მემამულის ოჯახში. მან იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1755 წელს ის მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში შევიდა, მაგრამ სწავლის დამთავრებამდე მას თავი მიანება. 1762 წელს ნოვიკოვი პეტერბურგში გადავიდა და იზმაილოვის პოლკში სამხედრო სამსახური დაიწყო. 1767—1768 წლებში იგი ეკატერინე II-ის საკანონმდებლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა. მომდევნო 1769—1774 წლებში მან ფართო ჟურნალისტური მოღვაწეობა გაშალა. რაც სატირული ხასიათის რამდენიმე ანტიბატონყმური ჟურნალის გამოცემაში გამოაატა. 1784 წელს მან მოსკოვში დააარსა „ტიპოგრაფიული კომპანია“—თავისებური სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც ტექნაის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოაწყო ბეჭდვითი სიტყვის საქმე რუსეთში. ნოვიკოვი, რომლის ლიტერატურულ-პრაქტიკული საქმიანობა თავიდანვე ექვს იწვევდა და გაძლიერებული კონტროლის ქვეშ იყო დაყენებული, მუდმივ დევნას განიცდიდა, ხოლო 1792 წელს დააპატიმრეს, გაუსამართლებლად, ეკატერინე II-ის ბრძანებით, 15 წელი მიუსაჯეს და შლისელბურგის ციხეში გამოამწყვდიეს. 1796 წელს იმპერატორ პავლე I-ის განკარგულებით იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მაგრამ ამის შემდეგ, დაღლილ-დაქანცულსა და ფიზიკურად დასუსტებულს, პრაქტიკული მოღვაწეობა არსებითად არ გაუგრძელებია. 1818 წელს ნოვიკოვი გარდაიცვალა.

ნოვიკოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი მოცემულია სტატიებში, რომლებიც ქვეყნდებოდა მის მიერ დაარსებულ სატირული ხასიათის ჟურნალებში; ესენია: „ტრუტენი“ („მუქთახორა“, 1769—1770 წწ.), „პუსტომელია“ (1770 წ.); „უიკოპისეცი“ („მხატვარი“, 1772—1773 წწ.) და „კოშელიოკი“ („ქისა“, 1774 წ.). როგორც თვით ნოვიკოვის, ისე სხვა ავტორთა წერილებში, მკითხველთა ყურადღება გამახვილებული იყო ეპოქის ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომელთა შორის, პირველი ადგილი, ბუნებრივია, ბატონყმურ ურთიერთობას ეჭირა. ამ უკანასკნელზე მსჯელობა კი, ცხადია, ნიშნავდა მსჯელობას ხალხის მდგომარეობაზე, მწარმოებელი კლასის შრომისა და ცხოვრების პირობებზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთში კი წამყვან მწარმოებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა და მწერლის მთელი ყურადღებაც სწორედ მისკენ იყო მიმართული. მას ძალიან კარგად ესმოდა გლეხის სოციალური მნიშვნელობა, ესმოდა, რომ გლეხი კვებავდა ყველას, ერსა და ბერს, მეფესა და მის ბიუროკრატიულ აპარატს, რომ ის იყო სახელმწიფოს სამხედრო-

პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების წყარო. ნოვიკოვი დიდი გულსტკივილითა და აღშფოთებით ლაპარაკობდა ამ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კლასის მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ მის თანამედროვე რუსეთში. გლეხი, ნოვიკოვის სიტყვით. დაახლოებითაც არ იყო უზრუნველყოფილი მიწითა და შინაური საქონლით. ეწეოდა სახელმწიფო და საბატონო გადასახადების მძიმე ტვირთს, სულს ლაფავდა მემამულეთა გაუკითხაობის შედეგად და ა. შ. სწორედ ასეა წარმოდგენილი სოფლის მშრომელი მოსახლეობა ნოვიკოვის ნაწარმოებში „ნაწყვეტი მოგზაურობიდან“. რომელიც ჟურნალში „ევიკოპისეცი“ (მეხუთე ფურცელი) დაიბეჭდა. „გავედი რა ქალაქიდან, — ვკითხულობთ იქ, — მე თითქმის ყველასოფელში ვჩერდებოდი, რადგან ისინი ჩემს ყურადღებას იპყრობდნენ; მოგზაურობის სამი დღის განმავლობაში მე ვერ ვნახე ვერც ერთი ქების ღირსი სოფელი. ყველგან გლეხობის სიღარიბესა და მონობას ვხედავდი. თივით დახურული პატარა ქოხები, წნულით შემოღობილი ეზოები. პურის უმნიშვნელო მარაგი. ცხენებისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მცირე რაოდენობა ადასტურებენ უკიდურეს სიღარიბეს იმ ადამიანებისა, რომლებიც სახელმწიფოს სიმდიდრესა და სიღიადეს უნდა წარმოადგენდნენ“.

„მოგზაურობაში“ კონკრეტულადაა აღწერილი სოფელი „რაზარიონნაია“ („აოხრებული“), მის მობინადრეთა ყოფა-ცხოვრება. აღწერილია, კერძოდ, ერთი ოჯახი. რომელსაც სიცხით შეწუხებულმა მოგზაურმა დროებით თავი შეაფარა. იქ მან ნახა სამი უპატრონოდ მიგდებული ბავშვი, რომელთა მშობლები ყანაში იყვნენ სამუშაოდ წასული. „მე, — წერს ნოვიკოვი. — ფართოდ კარებგაღებულ ქოხში შევედი. სულის შემხუთველი პაერი. საოცარი სიცხე და უამრავი ბუზის ბზული შეუძლებელს ხდიდნენ იქ გაჩერებას, მაგრამ სახლში დატოვებული სამი პატარას ტირილი მაკავებდა... ერთმა თანამგანს საწოვარა გავარდნია პირიდან: მე ეს გავუსწორე და ბავშვიც დამშვიდდა. მეორეს ცხვირი თივით გატენილ უხეშ ბალიშში ჩაუყვია: მე ის დაუყოვნებლივ გადავაბრუნე და დავრწმუნდი. რომ ამ სასწრაფო ღახმარების გარეშე ბავშვი უსათუოდ დაილუპებოდა; იგი არამტუთ გაფითრებული, არამედ სულერთიანად გაშავებულიყო და სიკვდილის პირას იყო მისული. მალე ესეც დამშვიდდა. მივედი მესამესთან და შევნიშნე, რომ მას შესახვევი შეხსნოდა და სახეზე აუარებელი ბუზი ესია. თივა, რომელზედაც ის იწვა, ჩხვლეტდა მის სხეულს და იწვევდა ბავშვის გულშემზარავ კვილს. მე ამასაც გავუწიე სამსახური — მოვაშორე ბუზები, შევახვიე თუმცა ქუჭკიან, მაგრამ მშრალი შესახვევით. რომელიც იქვე ქოხში იყო

გაფენილი, შევასწორე ბავშვის ფეხებით აწეწილ-დაწეწილი თივა. ისიც დაწყნარდა“.

ნოვიკოვს შესანიშნავად ესმოდა, რომ მცირეწლოვანი და ძუძუმწოვარა ბავშვების უპატრონოდ მიგდება მშობლების გამოუვალი მდგომარეობით იყო გამოწვეული. მან კარგად იცოდა, რომ ბატონყმურ რუსეთში გლეხს მხოლოდ არაადამიანური შრომით, ძალების უკიდურესი დაკიმვით შეეძლო ოჯახის შენახვა და მასზე დაკისრებულ სახელმწიფო თუ საბატონო ვალდებულებათა შესრულება. და რაკი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა მეტად არასასიამოვნო შედეგებთან იყო დაკავშირებული, მშრომელი კაცი იძულებულა იყო ღლეც ემუშავა და ღამეც, ბავშვები უპატრონოდ მიეგდო, წელზე ფეხი შეედგა. ავტორი კიცხავს მემამულეებს, რომლებსაც მიჰყავდათ გლეხები. მათი ბავშვები ასეთ კრიტიკულ მდგომარეობამდე. „გულქვა ტირანებს“ უწოდებს მწერალი თავადაზნაურთა აბსოლუტურ უმრავლესობას და ბრალს სდებს მათ იმაში, რომ ისინი ლუკმაპურსა და მშვიდად ცხოვრების საშუალებას ართმევენ საზოგადოების დაბალ ფენებს, თვით უსუსურ ბავშვებსაც კი. „მე.—წერს ნოვიკოვი, — არ ვტოვებდი არც ერთ სოფელს, რომ არ მეკოთხა გლეხთა სილატაკის მიზეზები. ვისმენდი რა მათ პასუხებს, სამწუხაროდ ვრწმუნდებოდი იმაში, რომ ამის მიზეზი მემამულეებია... („ნაწყვეტი მოგზაურობიდან“).

ბატონყმური ურთიერთობის ანტიხალხური ბუნება, ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელი თვითნებობა და გაუკითხაობა, მწარმოებელი კლასის სრული უუფლებობა, მისი უკიდურესი სიღარიბე დამაჯერებლადაა მოცემული მამასახლის ანდრიუშკას წერილში მემამულე გრიგორი სიდორის ძისადმი, რომელიც უურნალ „ტრუტენის“ 1769 წლის 20 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.

ეხება რა გადასახადების სრულად აუღებლობის მიზეზებს, მამასახლისი წერს: „გლეხები ხელმოკლედ ცხოვრობენ, ფული არსაიდან შემოსდით. მიმდინარე წელს პურმა ვერ იხეირა. სათესლე მასალა ძლივს ჩავყარეთ ბელელში. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ღმერთმა საქონელიც გაგვიწყვიტა, ის თითქმის მთლიანად დაიხოცა, რაც დარჩა, იმათი საკვებიც არ არის, თივა მკლე და მცირე რაოდენობით ავიღეთ. ყოველივე ამის გამო, ჩემო ხელმწიფევე, თქვენი გლეხები მიმოიფანტნენ. ვინც გადასახადი არ გადაიხადა, უმოწყალოდ ვცემე, ბატონის ბრძანების თანახმად, მაგრამ ღალა მაინც ვერ გაისტუმრეს, ამბობენ სახსარი არა გვაქვსო. ფილატკას თაობაზე როგორი იქნება თქვენი განკარგულება? ფულს არ იხდის, ამბობს არა მაქვსო: თვითონ მთელი ზაფხული იავადმყოფა, უფროსი შვილი-

მოუყვდა და დარჩენენ მხოლოდ პატარები (რომელთაც მუშაობა არ შეუძლიათ). მიმდინარე წლის ზაფხულში პური არ დაუთესია, რადგანაც არავინ იყო მიწის მხვენელი. სულადობრივი გადასახადი მის მაგივრად სოფელმა შეიტანა.... თქვენი კუთვნილი გადასახადის დასაფარავად კი მას. თქვენი ბრძანებით, გაეყიდა ორი სამეურნეო ნაგებობა, ძროხა.... ცხენები სულ დაეხოცა, მეორე ძროხა კი მას დარჩა ბავშვების გამოსაკვებად. სხვა საშუალება არა აქვს. სოფელმა (თემმა) განაცხადა. რომ თუ თქვენ ამას [ე. ი. ძროხის დატოვებას — ი. ა.] არ დასთანხმდებით, მაშინ ისინი გაიღებენ ფულს, რადგანაც მათ არ სურთ ბავშვების შიმშილით ამოხოცვა და ოჯახის სრული განადგურება იხილონ“.

წერილის დასასრულს მამასახლისი სთხოვდა ბატონს საღალღო გადასახადის შემცირებას მოსახლეობის რაოდენობის საგრძნობი დაკლების გამო. „აღწერის შემდეგ. — წერს ის, — ჩვენს სოფელს ოცდაათ სულზე მეტი გამოაყლდა. ხოლო ღალას ძველებურად ვიპოვე. სანამ შეგვეძლო უარს არ ვამბობდით. ახლა კი შეუძლებელი გახდა. თუ თქვენ მოწყალეობას არ გვიზამთ, ყველანი საბოლოოდ გავნადგურდებით“.

ასევე შავ საღებავებშია დახატული სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა ციტირებულ მოხსენებაში დასახელებულ ყმა-გლეხ ფილატკას წერილში ბატონისადმი, რომელიც ჟურნალ „ტრუტენის“ 1769 წლის 17 ნოემბრის ნომერში დაისტამბა. აი რა სიტყვებით მიმართავს იგი ბატონს და როგორ აგვიწერს თავის გაწამებულ ცხოვრებას. „თქვენი ბრძანებით, ბატონო, მე საჯაროდ გამჯობხეს, სამეურნეო ნაგებობანი და ძროხა გამიყიდეს, ფული კი ღალის დასაფარავად წაიღეს... დავრჩი ოთხი ერთიმეორეზე პატარა ბავშვით. მე, ჩემო ხელმწიფევე, არც მათი და არც საკუთარი თავის რჩენის სახსარი არ გამაჩნია. სოფელმა, რომელიც ხედავდა ჩვენს სიღატაკეს, შეგვიცოდა, ბავშვებს ძროხა მისცა, ხოლო ჩემს მაგივრად სულადობრივი გადასახადი შეიტანა. წლევანდელ ზაფხულს პური არ დამითესია, მიწა არც სამომავალწლოდ მომიხნავს... დიდი ბავშვები და ცხენები დამეხოცნენ, პურის შექმნის ილაჩი არა მაქვს და ამიტომ მათხოვრად წასვლა მომიხდება, თუ კი შენ, ჩემო ხელმწიფევე, არ შემეწყალე. ბრძანე... ნარჩენი გადასახადები მაპატიონ და მათხოვონ ბატონის ცხენი, რომ ამით ცოტა წელში გავიმართო და ისევ წესიერი გადამხდელი გავხდე... გვიქენი წყალობა... გრიგორ სიდორის ძე! ვის უნდა შეეჩივლოთ, თუ არა შენ? შენ მამა ხარ ჩვენი და ჩვენც მზად ვართ სიამოვნებით გემსახუროთ... ნუთუ ქვის გული აქვს შენს ბრწყინვალეობას, რომ არ ეცოდება ჩემი ობლობა“.

ამ ტრაგიკული მდგომარეობის მიზეზად ნოვიკოვსა და მის ქურნალებს არა ცალკეული მემამულეები და მათი აღვირახსნილობა მიაჩნდათ, არამედ ბატონყმური სისტემა საერთოდ, რომელიც გულისხმობდა შრომისა და მიწის ერთიმეორისგან გათიშვას, მწარმოებელი კლასის უზომო ექსპლოატაციას. მწერალი ადანაშაულებდა არა მარტო ცუდ, უკუღმართი ხასიათის ბატონებს, არამედ არსებულ ფეოდალურ ურთიერთობას, რომლის დროსაც ხუთდღიან საბატონო ბეგარას არასაკმარისად თვლიდა პრივილეგიური წოდების დიდი უმრავლესობა. მემამულე ტრიფონ პანკრატის ძე, ფეოდალური არისტოკრატის ტიპური წარმომადგენელი, წერილში შვილისადმი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი გლეხები კვირაში მხოლოდ ხუთ დღეს მუშაობენ მისთვის. „Да много ли в пять дней сделают они“ — აღუფოთებით კითხულობს ის („Письмо уездного дворянина к его сыну“, ურ. „ვიეოპისეცი“. ფურც. 15).

ასევე ფიქრობდნენ ფეოდალური კლასის სხვა წარმომადგენლებიც. ბეზრასუნდნის აზრით, მაგალითად, გლეხები ადამიანები კი არ არიან. არამედ გლეხები: ისინი მხოლოდ იმისთვის გაჩნდნენ ამ ქვეყნად. რომ „ღღე და ღამე იმუშაონ“ და ასრულონ მისი ნება-სურვილი, „წესიერად გადაიხადონ ღალა“ [„ტრუტენი“, 1769 წ., ფურც. XXIV]. ზმეიანი კი დარწმუნებულია, რომ გლეხის მორჩილებაში ყოლა „მხოლოდ სიმკაცრეს შეუძლია“ და რომ ის მხოლოდ მაშინ ემსახურება კარგად თავის ბატონს, როდესაც მშვიერი. ტიტველი და ფეხშიშველია და დაყენებულია ტირანული ხელისუფლების ქვეშ („ტრუტენი“, 1769 წ. ფურც. 11).

ნოვიკოვი აღუფოთებულისა მისი თანამედროვე რუსეთის ბატონყმური სინამდვილით, რომლის დროსაც „ღღე და ღამე მომუშავე საცოდავ გლეხებს დღიური საზრდოც არა აქვთ“, რადგანაც მათი შრომის ნაყოფს ითვისებენ ბეზრასუნდნები, ზმეიანები და საერთოდ ფეოდალური კლასის წარმომადგენლები.

მოტანილი მასალა¹ ექვემოტანლად ადასტურებს ნოვიკოვის სოციალურ შეხედულებათა ანტიბატონყმურ ხასიათს. მწერალი, როგორც უკვე ვთქვით, აკრიტიკებდა არა მარტო ცალკეულ მემამულეებს, არამედ მთელ ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას, ვითარცა უსამართლოს და ისეთი ურთიერთობის შექმნაზე ოცნებობდა, რომე-

¹ ნოვიკოვი დაუნდობლად აკრიტიკებდა თავადაზნაურობის ისეთ მანკიერ მხარეებს, როგორიცაა გონებრივი შეზღუდულობა, სიძულვილი სწავლა-განათლებლისადმი, გატაცება ყველაფერი უცხოურით და სხვ. მაგრამ ჩვენ ამაზე აქ არ შევჩერდებით.

ლიც გამორიცხავდა ერთი ადამიანის მიერ მეორის შრომის მითვისების ყოველგვარ შესაძლებლობას.

ნოვიკოვი თავს ესხმოდა არა მარტო ბატონყმობას, არამედ თვითმპყრობელობასაც, თუმცა ამ უკანასკნელზე ის გაცილებით ნაკლებს წერდა. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. გ. გუკოვსკი, მწერლის სიმპათიები პოლიტიკის სფეროში ინგლისის კონსტიტუციისაკენ იხრებოდა. „ტრუტენის“ კეთილმსურველი, რომელიც მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდებს მას, წერს: „აქ ინგლისური მარილის გამოყენება ცოტამ იცის. ამიტომ თქვენს სატირაში გამოიყენეთ რუსული მარილი, მას უკვე შეჩვეული არიან. ეს სასიამოვნო იქნება იმათთვის, ვისაც მლაშე (საქმელი) არ უყვარს“. ამ კონტექსტში, გ. გუკოვსკის აზრით, ინგლისური მარილის ცნების ქვეშ სიტყვის თავისუფლება იგულისხმება, რომელსაც რუსეთში გასაქანნი არ ჰქონდა. წერილის მეორე ადგილას ნათქვამია: „გუშინ ჩემი ჩვეულებისამებრ, ტრაქტირში შევედი სადილის საქმელად. მაგიდას მხოლოდ ოთხნი ვუსხედით: მე ჩემი მოყვრით და ორი ინგლისელი. ყველა ლაპარაკობდა იმაზე, რაზედაც სურდათ: ინგლისელები—პოლიტიკურ საქმეებზე, ჩვენ კი ქალაქის ახალ ამბებზე“. უკეთებს რა კომენტარს ამ ადგილს, პროფ. გ. გუკოვსკი სამართლიანად შენიშნავს: „ინგლისელებზე სტატიაში სხვაგან ლაპარაკი არ არის. ისინი, ალბათ, მხოლოდ იმისთვის იყვნენ საკირო, რომ განაზუღლიყო თავისუფალი ადამიანებისა და დესპოტიზმის მონების სასაუბრო თემებისა და ინტერესების სხვადასხვაობა“. და კიდევ. ინგლისი, ნოვიკოვის ეურნალების წარმოდგენით, იყო ისეთი ქვეყანა, სადაც ერთნაირად აკრიტიკებდნენ „თავადაზნაურობასა და უბრალო ხალხს“ („ჟივოპისეცია“, 1772 წ., ფურც. 13).

ინგლისის პოლიტიკური წყობილების ასე გამოყოფა გვაძლევს საფუძველს ნოვიკოვი კონსტიტუციური მონარქიის მომხრედ გამოვაცხადოთ.

ვამთავრებთ რა მსჯელობას ნოვიკოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, დავსძენთ, რომ ის, განსხვავებით რადიშჩევისაგან, არ მისულა ბატონყმობისა და განუსაზღვრელი მონარქიული წყობილების რევოლუციური გზით მოსპობის იდეამდე და სწორედ ესაა მისი როგორც მოაზროვნის უარყოფითი მხარე. მიუხედავად ამ სუსტი მხარისა, ნოვიკოვმა დიდი როლი ითამაშა მოწინავე იდეების განვითარების საქმეში. ის, ნ. დობროლიუბოვის სიტყვებით, „იყო პირველი და, შესაძლებელია, რუს ეურნალისტთაგან ერთადერთი, რომელსაც შეეძლო ხელი მოეკიდა ისეთი გაბედული და კეთილშობილური სატირისათვის, რომელიც ლახვარს

სცენადა გაბატონებულ მანკიერებას. იგი ეხებოდა ისეთ საკითხებსა და ინტერესებს..., რომელთა შესახებაც ნოვიკოვის დროს არ შეიძლებოდა ლაპარაკი“.

რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი (პ. რადიშჩევი)

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რადიშჩევი დაიბადა 1749 წელს საშუალო შეძლების სარატოველი მემამულის ოჯახში. მან კარგი შინაური განათლება მიიღო. მის აღზრდასა და მსოფლმხედველობის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა სოფლის მშრომელ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტმა. ამან საშუალება მისცა რადიშჩევს აღრევე გასცნობოდა ყმა გლეხების მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. სწორედ ისინი უსახელებდნენ მას აღმაშფოთებელ ფაქტებს მებატონეთა თავგასულობის, ხელქვეითებისადმი არაადამიანური დამოკიდებულებისა და ამ უკანასკნელთა თავგანწირული ბრძოლის შესახებ მიწისა და თავისუფლებისათვის.

1766 წელს, პაეთა კორპუსში ცოტა ხნის ყოფნის შემდეგ, რადიშჩევი, ზოგიერთ სხვა ნიჭიერ ახალგაზრდასთან ერთად, გაგზავნილი იქნა საზღვარგარეთ იურიდიულ მეცნიერებათა შესასწავლად. იგი ლაიფციგის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც მას და მის ამხანაგებს ზედამხედველად უხეში, ტლანქი, გულქვა და გაუნათლებელი მაიორი ბოკუმი დაუნიშნეს. იგი, რადიშჩევის სიტყვით რომ ვთქვათ, „უფრო საკუთარ გამორჩენაზე ფიქრობდა, ვიდრე მისთვის მინდობილ ადამიანებზე“. ასეთი „მზრუნველის“ წყალობით სტუდენტები ნახევრად მშვივრები იყვნენ. ამან გამოიწვია აღსაზრდელების დიდი ზიზღი ბოკუმისადმი. „ცუდმა საქმელმა და უსუფთაობამ ჩვენი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია“, — წერს რადიშჩევი. „მზრუნველი“, რომელიც დესპოტური ხასიათით გამოირჩეოდა, არა მარტო უყურადღებოდ ტოვებდა სტუდენტების სამართლიან მოთხოვნას ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ, არამედ შეურაცხყოფელი სიტყვებითა და ცემა-ტყეპით ისტუმრებდა მათ. ურთიერთობა მზრუნველსა და ხელქვეითებს შორის ისე გამწვავდა, რომ საქმე არეულობამდე მივიდა. „წესრიგის“ აღდგენა მხოლოდ ჯარის ნაწილების ჩარევით მოხერხდა. ამ ფაქტმა საგრძნობი გავლენა მოახდინა მწერლის შეხედულებათა ფორმირებაზე. ბოკუმის დესპოტურ რეჟიმთან შერკინებით იგი მკაფიოდ დაადგა „უსამართლობის უარყოფის“ სახიფათო გზას.

1771 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რადიშჩევი სამშობლოში დაბრუნდა და სამსახური დაიწყო ჯერ სენატში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის მთავარსარდლის შტაბში, სადაც მან სეკუნდ-მაიორობა მიიღო. 1775—1777 წლებში იგი, გადამდგარი სამსახურიდან. ცხოვრობდა თავის მამულსა და მოსკოვში. მერე ისევ სამსახურში შევიდა — მუშაობდა კომერც-კოლეგიაში. 1790 წელს რადიშჩევი, როგორც მემამბოხე, მთავრობისათვის საშიში პიროვნება და „გამხრწნელი“ იდეების შემცველი წიგნის—„მოგზაურობის“ ავტორი, დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ სენატის მიერ დამტკიცებული ეს დადგენილება სისრულეში არ მოუყვანიათ: „მწყალობელ“ ეკატერინე II-ის განკარგულებით რადიშჩევს სიკვდილით დასჯა ციმბირში ათწლიანი გადასახლებით შეეცვალა.

1796 წელს, ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, რადიშჩევი ციმბირში გადასახლებიდან დააბრუნეს და თავის სოფელში ცხოვრების ნება მისცეს, ალექსანდრე I-ის დროს კი მან დედაქალაქში ცხოვრების უფლებაც მიიღო. აქ ის მუშაობდა კანონთა კრებულის შემმუშავებელ კომისიაში, რომელსაც გრაფი ზავადსკი მეთაურობდა. 1802 წლის 12 სექტემბერს რადიშჩევმა, ცარიზმის წყალობით სასოწარკვეთილებამდე მისულმა, თავი მოიკლა.

* * *

XVIII საუკ. მეორე ნახევარი, როდესაც მიმდინარეობდა რადიშჩევის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა ფორმირება, ხასიათდება ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევითა და კაპიტალიზმის განვითარებით. ამის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა გლეხების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის საგრძნობი გაუარესება, ექსპლოატაციის ზრდა, რასაც ხალხის მასები გაბედული პროტესტებით შეხვდნენ. 1773—75 წლების გლეხთა ომი, რომელსაც ემელიანე პუგაჩოვი მეთაურობდა და რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მწერალზე, ამ პროტესტის ყველაზე მკაფიო და გრანდიოზული გამოხატულება იყო.

რუსეთის ბატონყმურმა სინამდვილემ, რაც ერთი მუჭა მემამულეების განუსაზღვრელ ბატონობასა და ძირითადი მწარმოებელი კლასის — გლეხობის დაბეჩავებულ ცხოვრებასა და სრულ უუფლებობაში მდგომარეობდა, წარმოშვა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი არაერთი თაობა. „ჩვენთვის,—წერდა ვ. ი. ლენინი,—ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი

სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურებისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინელები...“¹

თვითონ მწერალიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი იდეების წყაროს რუსეთის სინამდვილე წარმოადგენდა. „მიმოვიხედე ირგვლივ, — წერდა რადიშჩევი, — და სული ჩემი დაწყულულდა ადამიანთა ტანჯვით. მივაპყარ ყურადღება შინაგან განცდებს და დავინახე, რომ კაცის უბედურება ისევ კაცისგან მომდინარეობს. და ეს ხშირად მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ადამიანი სწორად ვერ აღიქვამს მის გარშემო არსებულ საგნებს“. გარშემო კი ის ბატონყმობას. საზოგადოების დაბალი ფენების უმწეო მდგომარეობასა და აბუჩად აგდებას ხედავდა. სწორედ ეს აღაშფოთებდა მას და განსაზღვრავდა მის შესხედულებათა რადიკალურ ხასიათს. არამცირედი მნიშვნელობა ჰქონდა ნივიკოვის, პოლენოვის, დესნიცკის, კოზელსკის და ფრანგი ჯანმანათლებლების ვოლტერის, რუსოს, მაბლისა და სხვათა იდეებს. დასახელებულ მწერალთა იდეებმა დიდად შეუწყვეს ხელი რადიშჩევის, როგორც მოღვაწისა და მოაზროვნის ფორმირებას.

რადიშჩევის ლიტერატურულ-პუბლიცისტური შემოქმედების მთავარი გმირია ხალხი, უზომოდ შევიწროებული და შეურაცხყოფილი გლეხობა, რომელიც, მწერლის სიტყვით, „ჩვენი მკვებავი, ჩვენი მშვიერ მდგომარეობიდან გამოძევანი“, ჩვენი სიცოცხლის გამგრძელებელი იყო. მეტად არასახარბიელო იყო ხალხის შრომისა და ცხოვრების პირობები რადიშჩევის თანამედროვე რუსეთში. უფრო მეტიც, ფეოდალურ არისტოკრატის გლეხი ადამიანად არ მიაჩნდა და თავისი საქციელით იგი მას არსებითად პირუტყვის მდგომარეობამდე დააყავდა. „ის ადამიანი არაა, — გულისტყვილით ლაპარაკობს მწერალი, — იგი პირუტყვზე დაბლაა დაყენებული... აქ (ე. ი. წერილში „საუბარი იმის შესახებ, თუ რა არის მამულიშვილი“ — ი. ა.) მსჯელობა იქნება არა იმ უბედურებზე, რომელთაც ვერაგობამ და ძალადობამ ადამიანის დიადი უპირატესობანი წაართვეს..., რომლებიც დაემსგავსნენ გამწევ ძალას, ცხენს. მთელი სიცოცხლე ტვირთის საზიდავად რომაა განწირული და იმედი დაკარგული აქვს თავი დააღწიოს ამ უღელს.... აქ სიტყვა იქნება არა იმათზე. ვინც დამცირების გარდა სხვა არაფერსა გრძნობს..., ვინც მხოლოდ გარეგნობით ჰგავს

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 111.

ადამიანს, ხოლო სხვა მხრივ ბორკილებით დამძიმებული, დაჩაგრული... და შეძლებულია“.

რადიშევის ნაწერების უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ. ყმა გლეხების მდგომარეობას ეხება, მაგრამ ამ ხასიათის თხზულებებში უპირველესი ადგილი მაინც მის „მოგზაურობას“ უკავია. „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, რომელიც 650 ცალის რაოდენობით დაიბეჭდა შინაურ სტამბაში 1790 წელს, სინამდვილის ზუსტი ასახვით. ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების გაბედული მხილებით, რადიკალური აზრებით წარმოადგენს XVIII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის შედეგს. განსაკუთრებით აქ, ამ ნაწარმოებში. გვევლინება რადიშევი როგორც მშრომელი ხალხის ინტერესების გულწრფელი დამცველი, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავგანწირული მებრძოლი.

რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირითად ბოროტებად რადიშევი, ვიმეორებთ ისევ, ბატონყმობას თვლის. ბატონყმობა, მისი აზრით, არის „მრგვალი ვეშაპი, ოხერი, ვეებერთელა, ასპირიანი და მყეფარე“. ის წარმოადგენს „მხეცურ ჩვეულებას“, დამყარებულს ერთი ადამიანის მიერ მეორის, მისივე მსგავსი არსების დამორჩილებაზე. იგი მკაცრად აკრიტიკებდა იმ „კანონს“, რომელიც უფლებას აძლევდა მემამულეს განუზომელად ესარგებლა გლეხის მუქით შრომით და მიეთვისებინა მისი ნაოფლარ-ნამოღვაწარი. მწერალი კიცხავდა იმ „წესს“, რომელიც მხოლოდ კვირა დღეებსა და მთვარიან დამეებს უტოვებდა გლეხს მისთვის აუცილებელ სამუშაოთა შესასრულებლად. ამ მხრივ საინტერესოა დიალოგი, გამართული სადგურ ლიუბანში ავტორსა და კვირა დღეს მომუშავე ერთ გლეხს შორის. აი ეს დიალოგიც. „—შენ უთუოდ ერეტაქოსი ხარ, რაკი კვირა დღეს ხნაე? — არა, ბატონო, მე პირდაპირ ვიწერ პირჯვარს... ღმერთი მწყალობელია და უფლებას არ გვაძლევს შიმშილით მოვკვდეთ, როდესაც ძალა და ოჯახი გვაქვს.—განა შენ კვირის განწავლობაში სხვა დრო არა გაქვს სამუშაოდ, რომ კვირასაც არ ისვენებ და ისიც პაპანაქებაში?—კვირაში, ბატონო. ექვსი დღეა და ექვსივე დღე საბატონო ბეგარაზე დავდივართ... — დიდია შენი ოჯახი? —სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი მყავს. ყველაზე უფროსი მეთაე წელშია. — მაშ როგორ ახერხებ მათი საზრდო პურის მოყვანას, თუკი მხოლოდ უქმე დღეები გაქვს თავისუფალი?—განა მარტო უქმე დღეები, ღამეც ჩვენია. არ იზარმაცოს ჩვენი ხელის კაცმა და შიმშილით არ მოკვდება. ხედავ, ერთი ცხენი ისვენებს, როცა ეს დაიძლება, მეორეს შევაბამ...—ასევე მუშაობ შენ ბატონისათვის? — არა, ბატონო, ცოლდა იქნებოდა მისთვის ასე მუშაობა. მას ყანაში

ერთ მკამელზე ასი ხელი ჰყავს, მე კი შვიდ მკამელზე — ორი... საბატონო სამუშაოზე კიდევ რომ გასკდე, მაღლობას არავინ გეტყვის“ („მოგზაურობა“).

რადიშჩევს მოჰყავს შემადრწუნებელი მაგალითები გლეხების მატერიალური ცხოვრების მეტად მძიმე პირობების ნათელსაყოფად. ისინი, გაძვალტყავებულნი პარაზიტი მემამულეების მიერ, შიმშილობდნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისეთი პროდუქტი, როგორცაა შაქარი, მათთვის მიუწვდომელი და საოცნებო იყო. აგვიწერს რა ერთი გლეხის ოჯახს, რომელსაც ის ესტუმრა თავისი მოგზაურობის დროს, რადიშჩევი წერს: „ქალმა, რომელიც გაფუეებულ ცომს ზელდა, დაინახა ჩემს წინ შაქარი და გამოგზავნა ბავშვი, რათა ეთხოვა ნატეხი ამ საბატონო საკმლისა.—რატომ საბატონო?—ვკითხე მას. როდესაც ბავშვს შაქრის ნაფშვენს ვაძლევდი: ნუთუ შენ არ შეგიძლია იხმარო ის? — საბატონოა იმიტომ, რომ ჩვენ სახსარი არა გვაქვს შევიძინოთ ის. ბატონები კი ხმარობენ, რადგანაც ფულს საკუთარი შრომით არ შოულობენ. მართალია, ჩვენი ბურჰმის-ტრიც ყიდულობს მას, როდესაც მოსკოვს მიემგზავრება, მაგრამ ყიდულობს ჩვენივე ცრემლების ფასად.. განა შენ არ სვამ შენი გლეხების ცრემლებს, როდესაც ისინი კამენ ისეთსავე პურს, როგორსაც ვკამთ ჩვენ? თქვა ეს და ქალმა თავისი პური მიჩვენა, რომლის სამი მეოთხედი ბზისგან და ერთი მეოთხედი გაუცრელი ფქვილისგან შედგებოდა... ბევრს ჩვენს მეზობელს ესეც არა აქვს. რა ხეირი გაქვთ ბატონებს იმისაგან. რომ თქვენ შაქარს მიირთმევთ, ხოლო ჩვენ კი მშვირები ვართ? შიმშილისგან კვლებიან ბავშვები. კვლებიან დიდები“ („მოგზაურობა“).

რადიშჩევი აღშფოთებით ლაპარაკობს, რომ გლეხებს, რომლებიც დღე და ღამე მუშაობენ და ქვეყნის მატერიალურ დოვლათს ქმნიან, მემამულეები ისე უსინდისოდ ძარცვავენ, რომ საარსებო საშუალებათა მინიმუმსაც კი არ უტოვებენ. მიმართავს რა ამ მუქთახორებს, ავტორი წერს: ხარბო მხეცებო, გაუმაძლარო წურბელებო! რას უტოვებთ თქვენ გლეხებს! მხოლოდ იმას, რის წართმევაც უკვე აღარ შეგიძლიათ, ე. ი. ჰაერს. დიახ, მხოლოდ ჰაერს. თქვენ ართმევთ გლეხს არა მარტო მიწის ნაყოფს — პურსა და წყალს, არამედ სინათლესაც კი. კანონი არ გაძლევთ უფლებას გლეხს სიცოცხლე ერთბაშად წაართვათ. მაგრამ რამდენი საშუალება გაქვთ თქვენ წაართვათ მას სიცოცხლე ნელ-ნელა! ერთ მხარეზე—უსაზღვრო ძალაუფლება, ხოლო მეორე მხარეზე—გაშვივლებული უუფლებობა, ვინაიდან გლეხის მიმართ მემამულე არის კანონმდებელიც, მოსამართლეც, თავის გადაწყვეტილების აღმსრულებელიც და, თუ მოისურ-

ვებს. მომჩივანიც. რომლის წინააღმდეგ მოპასუხე ვერ გაბედავს ხმის ამოღებასაც კი. აი ხელფეხშეკრული კაცის ბედი, აი სულის შემუთუველ საპყრობილეში დამწყვდეულის ბედი, აი უღელში შებმული ხარის ბედი („მოგზაურობა“).

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის პირობებში მუდმივი საფრთხის ქვეშ იყო არა მარტო გლეხის ქონება და მისი ცხოვრების მატერიალური მხარე, არამედ თვითონ ის, როგორც პიროვნება და ადამიანი. გაბატონებული ფეოდალური კლასი არა მარტო ითვისებდა უშუალო მწარმოებლის შრომის ნაყოფს, არამედ ფეხქვეშ თელავდა მის ადამიანობას. თავმოყვარეობას. ვლენები, რადიშჩევის როქობობით, თავს ვერ აღწევდნენ მემამულეთა ძალადობას, მათ უმაგავსო საქციელსა და განუსაზღვრელ პარპაშს. აი ამის მაგალითიც, მოტანილი „მოგზაურობაში“.

სოფელში, რომელიც დესპოტ მებატონეს ეკუთვნოდა, ცხოვრობდა ერთი ლამაზი გოგონა, დანიშნული იმავე სოფლის ახალგაზრდა გლეხი ბიჭის მიერ. იგი თვალში მოხვდა მემამულის შუათანა ვაჟს და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი თანაგრძნობა და სიყვარული დაემსახურებინა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგანაც გოგონა ბიჭისადმი მიცემული სიტყვის ერთგული დარჩა ბოლომდე. ქორწილის დღეც დაინიშნა. სასიძოს მამა შვილითურთ მებატონეს ეახლა, საჩუქრად ორი ფუთი თაფლი მიართვა და ქორწინების ნებართვა სთხოვა. სწორედ დროის ამ მონაკვეთის გამოყენება განზრახა მებატონის ვაჟმა თავისი მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად. მან თავისი ორი ძმისა და გარეშე პირის შემწეობით გამოიხმო ქალიშვილი, შეათრია ბოსელში და პირი ჩვრით გამოუქედა. გოგონამ არაადამიანური წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ გაუძლო სამი კაცის ძალას და ის იყო მოძალადე შეუდგა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას, რომ სახლში მოვიდა ბატონისგან დაბრუნებული გლეხის ბიჭი. როგორც კი გაიგო საქმის ვითარება, იგი ელვის სისწრაფით ბოსლისკენ გაემართა. ძმებმა, შენიშნეს რა მათკენ მიმავალი სასიძო, ბოსლის კარები ჩაკეტეს და თვითონაც ზედ მიაწვენენ, მაგრამ გონებადაკარგული გლეხის ვაჟის ძალას მაინც ვერ გაუმაგრდნენ. მან ხელი სტაცა იქვე დადებულ სარს და მთელი ძალ-ღონით დაარტყა მისი საცოლის მიმტაცებელს. ძმებმა სცადეს მისი გაკავება, მაგრამ როგორც კი თვალა მოჰკრეს სარით ხელში მათკენ მიმავალ დაზარალებულის მამას, თავი ანებეს და გაიქცნენ. საქმრო გამოეკიდა გაქცეულებს, დაეწია და სარის ძლიერი დარტყმით თავი გაუხეთქა ერთ მათგანს. ამით გაბრაზებულმა მებატონემ სასწრაფოდ დაიბარა გატაცებული გო-

გო, მისი საქმრო და ამ უკანასკნელის მამა.—ვინ გაუტეხა თავი ჩემს ვაჟს? — იკითხა მან. გლეხის ბიჭს საქმის ვითარების დამალვა არ უცდია და ყველაფერი გულახდილად თქვა.—როგორ გაბედე შენ.— ეკითხებოდა ბატონი დაზარალებულს, — ხელი აგემართა შენი ბატონის წინააღმდეგ, თუნდაც მას ქორწილის წინა ღამე შენს საცოლესთან გაეტარებინა? შენ ამისთვის მადლობა უნდა გეთქვა. არ გაძლევ ცოლის შერთვის უფლებას, საცოლე ჩემთან დარჩება სახლში. ხოლო თქვენ კი სანიმუშოდ დაისჯებით. მან ბრძანა დაუნდობლად ეცემათ გლეხის ბიჭი, რაც მან ვაჟკაცურად გადაიტანა. ასევე მოთმინებით უყურებდა იგი მამის გაჭოხვასაც. მაგრამ საცოლის მემამულის სახლში ძალით წაყვანას კი ვერ შეურიგდა. მან შეარჩია ხელსაყრელი მომენტი, გამოსტაცა საცოლე ყაჩაღებს და გაიქცა. მებატონის შვილები გამოეკიდნენ მათ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ხმაურმა სოფლის გლეხები შეჰყარა. ისინი დაზარალებულებს ამოუდგნენ გვერდით. ამით ბრაზმორეული ახალგაზრდა ბატონების მამა თვითონაც ჩაერია საქმეში და პირველ შემხვედრს ჯობით გაუპო თავი. ეს საერთო იერიშის ნიშანი გახდა. გლეხებმა ალყა შემოარტყეს ოთხივე ბატონს და ძლიერი ცემით მათ სული ამოხადეს.

მოჰყავს რა ეს მაგალითი, რადიშჩევი მთლიანად ამართლებს გლეხების საქციელს. აი რა სიტყვებს ათქმევინებს იგი ამ საქმის გამომძიებელს: „ვარჩევდი რა ამ საქმეს. მე ვერ ვპოულობდი გლეხების გასამტყუნებლად დამაჯერებელ მასალას. გლეხები, რომლებმაც გამოასალმეს წუთითაოფელს თავიანთი ბატონი, მკვლელები იყვნენ. მაგრამ განა ეს მკვლელობა იძულებითი არ იყო? მკვლელთა უდანაშაულობა ჩემთვის მათემატიკურ სიცხადეს წარმოადგენდა... ეს ჩემი შეხედულება გულახდილად მოვახსენე გამომძიების დანარჩენ წევრებს... გლეხების მიერ მოკლულმა ასესორმა თავისი სიმხეცით მოქალაქის უფლებები შელახა... და ამიტომ გლეხების გაბტყუნება კანონით არ შეიძლება. ჩემი გული მათ ამართლებს... ასესორის მკვლელობა, თუმცა ძალმომრეობითია. მე სამართლიანად მიმაჩნია“ („მოგზაურობა“).

მებატონეები და მოხელეები, რადიშჩევის დახასიათებით. გულქვა ადამიანები არიან. ისინი. როგორც წესი, ხელს არ გაუწვდიან განსაცდელში ჩავარდნილს. მწერალს მოაქვს ამის ერთი მაგალითი, მოთხრობილი მეგობრის მიერ. იქ ლაპარაკია რაღაც სასწაულით დახრობას გადარჩენილ 20 კაცზე, რომლებსაც არაერთარი დახმარება არ აღმოუჩინეს ადგილობრივმა თავკაცებმა. „მე მეგონა, — უთხრა რადიშჩევს მისმა მეგობარმა, — რომ უფროსი როგორც კი გაიღვიძებ-

და. დასჯიდა სერჯანტს და დაამშვიდებდა მაინც დაზარალებულებს. ამ იმედით მე პირდაპირ წავედი მის სახლში. იქამდე ვიყავი აღშფოთებული მისი ხელქვეითების საქციელით, რომ სიტყვების შერბილება ვერ მოვახერხე. ვნახე რა ის, ვუთხარა: ხელმწიფო, მოგახსენეს თუ არა თქვენ, რომ ამ რამდენიმე საათის წინ ოცი კაცი დალუპვის საშიშროებაში იმყოფებოდა და თქვენს დახმარებას ითხოვდა? მან საოცარი სიმშვიდით და გულგრილობით მიპასუხა: ამას უკან მომახსენეს. მაგრამ მაშინ მეძინა. ამ დროს პირდაპირ ავცახცახდი, (და ვუთხარა) — შენ, რაკი მაგარი ძილი გკოდნია. უნდა გებრძანებინა თავში ჩაქუჩი დაერტყათ და ისე გაეღვიძებინეთ, რადგანაც ხალხი იბრჩობოდა და შენს დახმარებას მოითხოვდა. აბა მიხვდი, ჩემო მეგობარო, რა მიპასუხა მან. მე მეგონა დამბლა დამეცემოდა მისი პასუხის მომსმენს. მან მითხრა: მათთვის დახმარებას აღმოჩენა ნე თანამდებობით არ მევალებოდა... მე ცხვირპირში შევაფურთხე და გამოვედი“ („მოგზაურობა“).

ბატონყმობა უკუღმართი, დამლუპველი სოციალური წყობილებაა და ის უნდა მოისპოს. ერთ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს უფლება მეორის. მისივე მსგავსი არსების დაჩაგვრა-დაძონებისა. ყველას ერთნაირი ნაწილები ვვაქვს, ყველას გონება და ნებისყოფა გაგვაჩნია. ბუნებას ერთი ბატონად არ გაუჩენია და მეორე ყმად. ადამიანი მხოლოდ საზოგადოებრივმა წყობილებამ აქცია მონად. მშრომელ მასებს უნდა მიეცეს მიწა და თავისუფლება, მათ სრული საფუძველი აქვთ ეს მოითხოვონ. ასეთია რადიშჩევის დასკვნები.

რა გზით შეიძლება ამის მიღწევა? მწერალი დარწმუნებული იყო. რომ გლეხების განთავისუფლება ბატონყმობის ბორკილებიდან შეიძლებოდა მხოლოდ ძალით, აჯანყებით, მემამულეთა კლასისა და მეფეთა ამოწყვეტით. ამიტომ რადიშჩევი გლეხებს აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. „სიმდიდრე ამ სისხლისმსმელისა მას არ ეკუთვნის, — წერდა ის მებატონის შესახებ, — იგი მოპოვებულია ყაჩაღობით და კანონისაგან სასტიკ სასჯელს იმსახურებს... გაანადგურეთ მისი მიწათმოქმედების იარაღი, დასწვით მისი საცეხველები, ბელლები და მოჭვინეთ ფერფლი ჭეჭილებს“. იგი მოუთმენლად ელოდა ჩაგრულთა ამბოხებას. „ნეტავი მონები, რომელთაც ესოდენ მძიმე ბორკილები ადევთ, სასოწარკვეთილებით გაშმაგებულნი. მათი თავისუფლების შემბოქველი რკინით გაგვიტეხდნენ თავს ჩვენ, თავიანთ გულქვა ბატონებს და ჩვენი სისხლით მორწყავდნენ თავიანთ ყანებს! რას დაკარგავდა ამით სახელმწიფო? მალე გამოვიდოდნენ მათი წიაღიდან სახელოვანი ვაჟკაცები, რომელნიც ამოხოცილთა ადგილს დაიჭერდნენ, მაგრამ ისინი სხვა შეხედულებისა იქნებოდნენ

თავიანთ თავზე და ჩაგვრის უფლებაც არ ექნებოდათ. ეს ოცნება კი არ არის, არამედ თვალი სჭკრეტს დროის სქელ ფარდას. რომელიც ჩვენს თვალთაგან ჰფარავს მომავალს“ („მოგზაურობა“).

ავტორი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს არა მარტო იმდროინდელი რუსეთის სოციალურ ურთიერთობას, არამედ მის პოლიტიკურ წყობილებასაც. მისი აზრით, მონარქია მმართველობის ყველაზე საშინელი ფორმაა და მას სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს. მაგრამ ეს შეუძლებელია მშვიდობიანი გზით მოხდეს, რადგანაც „არ ყოფილა და ქვეყნის დასასრულამდე არ იქნება“, რომ მეფემ, ამ „ბოროტზე უბოროტესმა“ არსებამ, ნებაყოფლობით „თავისი უფლებიდან რამე დათმოს“. რადიშჩევის ოდაში, რომელიც შემოკლებით „მოგზაურობაშია“ ჩართული, მოცემულია საუკუნეობრივი ტანჯვით განრისხებული ხალხის უღმობელი მსჯავრა ტირანი მეფის მიმართ.

«Злодей, злодеев всех лютейший,
Превыше зло твою главу,
Преступник, изо всех первейший,
Престань, на суд тебя зову!
Злодействы все скопил в одно,
Да ни одна прейдет мимо
Тебя из казни, супостат.
В меня дерзнул остричь ты жало.
Единой смерти за то мало,
Умри! умри же ты сто крат».

(ოდა „თავისუფლება“).

რადიშჩევის აზრით. სახალხო აჯანყების შედეგად მოსპობილ ბატონყმურ-მონარქიული წყობილების მაგიერ დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა დამყარებულიყო. რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ხალხის წრიდან გამოსული პირები. ახალი მმართველობის შემოღება გულისხმობდა თავადაზნაურების ყოველგვარი პრივილეგიების მოსპობას, რწმენის, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას. ცენზურის გაუქმებას. ბავშვების აღზრდა-განათლების საქმეში წოდებრიობის პრინციპზე უარის თქმასა და სხვ.

რადიშჩევის ამ გეგმის სუსტი მხარე მდგომარეობდა იმაში. რომ მან, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ წვრილი კერძო საკუთრება. რომელსაც იგი მხარს უჭერდა, შეუძლებელს ხდიდა მწერლის საოცნებო სოციალური თანასწორობის დამყარებას.

რადიშჩევის ნაწერებმა, კერძოდ კი მისმა „მოგზაურობამ პეტერბურგიდან მოსკოვს“, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდი შეშფოთება გამოიწვია გაბატონებული კლასისა და მთავრობის წრეებში.

ეკატერინე II-მ „მოგზაურობის“ ავტორს პუგაჩოვზე უარესი მემამბოხე უწოდა: „მოგზაურობაში“ ჩართულმა ოდამ კი იმპერატორი სულ ერთიანად აღაშფოთა. ის აშკარად მემამბოხურია. ავტორი, რომელიც თავის წაკვეთით ემუქრება მეფეებს, ქებას ასხამს კრომველის მაგალითსო. — წერდა განრისხებული ეკატერინე.

წიგნის თითქმის მთელი ტირაჟი ცეცხლის ალს მისცეს, ხოლო მის ავტორს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, რაც შემდეგ, როგორც ზემოთაც ვთქვით, 10 წლით ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს.

მეფის მთავრობამ დაწვა რადიშიევის წიგნი, მისი ავტორიც თვითმკვლელობამდე მიიყვანა, მაგრამ ის შესანიშნავი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, ასე უხვად რომ იყო გაფანტული „მოგზაურობაში“, ოდა „თავისუფლებაში“ და მწერლის სხვა ნაწარმოებებში, ვერ მოსპო. რადიშიევმა დიდი როლი ითამაშა დეკაბრისტებისა და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მსოფლმხედველობის ფორმირებაში, როგორც ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაბედულმა მებრძოლმა, როგორც ანტიფეოდალური იდეოლოგიის ფუძემდებელმა.

ლიტერატურა და წყაროები

1. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21.
2. რუსული ლიტერატურის ისტორია, ვ. შადურიისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 240—260; 313—332.
3. История русской экономической мысли, т. 1, часть первая, 1955 г., стр. 535—544; 628—658; 693—699.
4. В. С. Покровский, История русской политической мысли, выпуск второй: Госполитиздат, 1952, стр. 42—44; 60—85.
5. Д. Д. Благой, История русской литературы XVIII века, 1946 г., стр. 188—211; 341—374.
6. Г. А. Гукowski, Русская литература XVIII века, 1939 г., стр. 256—282; 445—470.
7. А. Н. Радищев, Избранные философские сочинения, 1942 г., стр. 37—199; 205—261; 421—437.
8. Избранные произведения русских мыслителей второй половины XVIII века, т. II, 1952, стр. 7—29; 129—216.

**XIX საუკუნის პირველი მეოთხედის
რეაქციულ-კონსერვატიული თავადაზნაურობის
იდეოლოგთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შეხედულება**

(**ბ. კარამზინი, ე. კანკრინი**)

აღნიშნული ხანის რეაქციულ-კონსერვატიული თავადაზნაურობის პოლიტიკურ შეხედულებათა გამომხატველი და მედროშე ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინი (1766 — 1828 წწ.) დაიბადა სიმბირსკის გუბერნიის სოფელ მიხაილოვკაში საშუალო შეძლების მემამულის ოჯახში. 14 წლის ყმაწვილი მშობლებმა მოსკოვს გაისტუმრეს და პროფესორ შადენის კერძო პანსიონში შეიყვანეს. ამას მოჰყვა მისი ორწლიანი სამხედრო სამსახური პეტერბურგსა და მოსკოვში, რომლის შემდეგ ის მცირე ხნით სიმბირსკს დაბრუნდა. 1785 წელს კარამზინი მოსკოვში გადასახლდა. სადაც ნოვიკოვის მასონური ლოჟის წევრი გახდა. 1789 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა, შემოიარა გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი და ინგლისი. ისტორიკოსი რამდენიმე თვე დარჩა პარიზში და უშუალოდ ნახა რევოლუცია, რომელსაც ის ერთობ „არათანაგრძნობით შეხვდა“ (გ. გუკოვსკი). 1790 წელს, 18-თვიანი მოგზაურობის შემდეგ, კარამზინი სამშობლოში დაბრუნდა და ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო. იგი ჰქერ „მოსკოვსკი ჟურნალს“ სცემდა, ხოლო მერე კი „ვესტნიკ ევროპის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა.

XVIII საუკუნის მიწურულს კარამზინი, რომელმაც ისტორიო-გრაფის ოფიციალური წოდება და დიდი მატერიალური დახმარება მიიღო მთავრობისაგან, შეუდგა „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ წერას. ამ კაპიტალური ნაშრომის პირველი რვა ტომი, რომლებზეც მუშაობა მან 1818 წ. დაამთავრა, ავტორმა იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვა. საზოგადოება არაჩვეულებრივი ინტერესით შეხვდა „ისტორიას“, რომლის 3 ათასი ეგზემპლარი სულ რაღაც 3 კვირაში გაიყიდა. კარამზინმა თავის სიცოცხლეში „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ მხოლოდ 12 ტომის დაწერა მოასწრო. უკანასკნელი მე-

თორმეტე ტომი. რომელიც XVII საუკუნის დასაწყისის ამბების თხრობაზე წყდება. გამოვიდა 1829 წელს, უკვე ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

კარამზინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, რომელთა ფორმირება მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, მოცემულია მის როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწერებში. პირველი ჯგუფის ნაწერებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „რუსი მოგზაურის წერილები“ (1791—1792), „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ (12 ტომი) და „წერილი ძველი და ახალი რუსეთის შესახებ“. ამ შრომებში ავტორი გვევლინება ფეოდალურ-ბატონყმური და მონარქიული წყობილების ენერგიულ დამცველად. იგი ილაშქრებს ყოველგვარი ცვლილებების წინააღმდეგ ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ მალავს თავის ზიზღს რევოლუციისადმი და მიაჩნია, რომ რევოლუციურ გადატრიალებებს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიათ.

კარამზინი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უშუალო მოწმე იყო საფრანგეთის რევოლუციისა. და თუმცა ის ამ უკანასკნელს ისეთი მოვლენების რიცხვს მიაკუთვნებდა, რომლებიც რამდენიმე საუკუნით საზღვრავენ ადამიანთა საზოგადოების ბედს, მის განვითარებას მომავალში, მაინც მტრულად შეხვდა მას, ვითარცა „კანონიერი“ ხელისუფლებისა და წყობილების დამთრგუნველ ძალას. „საქიროა თუ არა, — წერდა კარამზინი, — ვილაპარაკოთ საფრანგეთის რევოლუციაზე? თქვენ კითხულობთ გაზეთებს და მაშასადამე, თქვენთვის ცნობილია რაც მოხდა. განა მოსალოდნელი იყო, რომ... ასეთ რამეს გააკეთებდნენ ფრანგები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი თავაზიანობით და სიხარულით მღეროდნენ... რომ, ხალხისთვის პირველი ბედნიერება მეფეა... მაგრამ ნუ ჰგონიათ, რომ მთელი ერი მონაწილეობდა ტრაგედიაში, რომელიც საფრანგეთში გათამაშდა. მეასედი ნაწილიც კი არ მოქმედებს; დანარჩენები უყურებენ, კამათობენ, ტირიან ან იცინიან. ტაშს უკრავენ ან სტვენენ, როგორც თეატრში. ისინი, რომელთაც არაფერი აქვთ დასაკარგი. თავხედობენ, როგორც მტაცებელი მგლები; ისინი კი, ვისაც ქონების დაკარგვის საშიშროება მოელოთ. შიშით არიან შეპყრობილი, როგორც კურდღლები; ერთს უნდა ყველაფრის წართმევა, მეორეს კი — მცირედის შენარჩუნება მაინც: თ ა ვ დ ა ც ვ ი თ ი ო მ ი თ ა ვ ხ ე დ მ ო წ ი ნ ა ა დ მ დ ე გ ე ს თ ა ნ ი შ ვ ი ა თ ა დ რ ო მ ბ ე დ ნ ი ე რ ა დ დ ა მ თ ა ვ რ დ ე ს“ („რუსი მოგზაურის წერილები“).

როგორც ვხედავთ, კარამზინი საფრანგეთის რევოლუციას ტრადიციულ თვლის, იგი ისტორიულ უსამართლობად მიაჩნია. მესამე წოდებას, რომელმაც ესოდენ ენერგიულად შეუტია სიძველეს, თავხედებისა და მტაცებლების ხროვას უწოდებს. იმ სამკვდრო-სასიციოცხლო შერკინებაში, რომელსაც იმდროინდელ საფრანგეთში ჰქონდა ადგილი, სიმართლე, ავტორის აზრით, ძველი წყობილების მხარეზე იყო და ამიტომ ბრძოლაც მის სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ, -- სინანულით შენიშნავს კარამზინი, -- ხშირად ეს ასე არ ხდება. რადგანაც „აახვებდ მოწინააღმდეგესთან“ წარმატების მიღწევა საერთოდ ძალიან ძნელია. ისტორიკოსი აშინებს რუსეთის თავადაზნაურობას საფრანგეთის რევოლუციით და მოუწოდებს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის. რომ მსგავსი ტრადიციის მის ქვეყანაშიც არ დატრიალდეს.

კარამზინი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რეაქციულ-კონსერვატიულ პოზიციაზე იდგა ეპოქის უმნიშვნელოვანესი სოციალ-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. რეაქციული იყო, კერძოდ. მისი თვალსაზრისი ბატონყმობისა და მწარმოებელი კლასის უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობის საფუძვლების შესახებ. იგი მიწის კანონიერ მესაკუთრედ მხოლოდ მემამულეებს თვლიდა და პრინციპულად უარყოფდა გლეხების პრეტენზიებს უძრავი ქონების ამ სახეობაზე. უფრო მეტიც, კარამზინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბატონყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებისა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მას გამოუსწორებელ შეცდომად მიაჩნდა. ეს მისი აზრით. საზიანო იქნებოდა არა მარტო ხაზინისა და თავადაზნაურობისათვის, არამედ პირველ რიგში თვით გლეხებისათვის. რომლებსაც, როგორც განთავისუფლებულთ, მოაკლდებოდათ ყოფილი პატრონის მამობრივი ზრუნვა, რაც საგრძნობლად გააუარესებდა მათ საერთო მდგომარეობას. „რას ნიშნავს, -- წერდა კარამზინი. -- გაათავისუფლო ჩვენში გლეხი? ეს ნიშნავს ნება მისცე თავისუფლად იცხოვროს. სადაც უნდა იქ დამკვიდრდეს, წაართვა მებატონეს მასზე ხელისუფლება და დაუმორჩილო მხოლოდ მთავრობას. კარგი, მაგრამ მათ, ე. ი. გლეხებს, ხომ არ ექნებათ მიწა. რომელიც თავადაზნაურების საკუთრებას წარმოადგენს (ამაზე ხომ კამათი შეუძლებელია). ამიტომ ისინი ან დარჩებიან მემამულესთან ღალის გადახდის, ყანის დამუშავებისა და პურის დანიშნულ ადგილას მიტანის პირობით, ერთი სიტყვით, ვალდებულებათა ძველებურად შესრულების პირობით, ან, უკმაყოფილონი ამით, წავლენ უფრო ნაკლებად მომთხოვენ მემამულესთან. პირველ შემთხვევაში მემამულეები განა არ შეეცდებიან ჩააყენონ ისინი მე-

ტად მძიმე პირობებში? აქამდე (ე. ი. განთავისუფლებამდე — ი. ა.) მფლობელები ზოგავდნენ გლეხებს, როგორც თავიანთ საკუთრებას, განთავისუფლების შემდეგ კი ანგარების მოყვარული ყოფილი პატრონები შეეცდებოდნენ მაქსიმუმში ამოქაჩონ... მეორე შემთხვევაში კი. როდესაც გლეხი დღეს აქ იქნება. ხვალ იქ. დაზარალდება სულადი თუ სხვა გადასახადების ამკრეფი ხაზინა. ამასვე მოჰყვება შედეგად ყანების დიდი ნაწილის დაუშუშავებლობა, ბელლების დაცარიელება“ („წერილი ძველი და ახალი რუსეთის შესახებ“).

ყმობიდან გლეხის განთავისუფლება, კარამზინის აზრით, გამოიწვევდა არა მარტო მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას: აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა უარყოფით გავლენას მოახდენდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ზნეობრივ მხარეზედაც — განთავისუფლებული და ზედამხედველობა-მეთვალყურეობას მოკლებული გლეხი დაეტანებოდა ლოთობას. საერთოდ ცუდ საქმეებში გაერეოდა და დღემდე სარგებლობის მომტანი მუშა გარყვნილების წეშეში ჩაეფლობოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარამზინი ასკვნის: უკეთესია ვიზრუნოთ არა ყმათა განთავისუფლებაზე. არამედ მემამულეოა „თავგასულობის შეზღუდვაზე“. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა მოწინააღმდეგე ბანაიკი, რომ „ზომიერად მომთხოვნი მემამულის გლეხი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია“, ვიდრე სახელმწიფო ყმა.

ასეთსავე შეხედულებებს ავითარებს კარამზინი თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც. მის ეგრეთწოდებულ „გლეხურ მოთხრობებს“ წითელი ზოლივით გასდევს აზრი, რომ მიწის მუშას ბატონყმობის დროსაც შესანიშნავად შეუძლია მოაწყოს თავისი ცხოვრება და რომ ის (ბატონყმობა) ამ მიმართულებით ოდნავადაც არ არის ხელშემშლელი ფაქტორი. ფლორ სილინი, ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირი, ყმა გლეხია, მაგრამ იმდენად მდიდარი და შეძლებულია, რომ ეხმარებოდა დამშულებს, ხანძრისგან დაზარალებულებს და ბატონყმობისაგან თავდახსნის მსურველებს. იგივე ითქმის ლიზას („საწყალი ლიზა“) მამის შესახებაც. ისიც მატერიალურად უზრუნველყოფილი. შეძლებული გლეხი იყო. მან ამას მონდომებითა და შრომით მიადგინა. ბატონყმობას მისთვის ხელი არ შეუშლია. ბატონყმობა საზოგადოების დაბალ ფენას არც ადამიანურ თვისებას უკარგავს. ისინი შესანიშნავად ინარჩუნებენ კეთილშობილებას (კეთილშობილია, მაგალითად, ფლორ სილინი, რომელიც უანგაროდ ეხმარება ყველა გაჭირვებულს), სიყვარულის გრძნობას (მაგალითად, ლიზა) და სხვ. ერთი სიტყვით, არსებული სოციალური წყობილება

არავის არაფერში არ აბრკოლებს და ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა და გაუმართლებელი მის გაუქმებაზე ლაპარაკი. მთელი გულისყური იქითკენ უნდა იყოს მიმართული. რომ წესრიგისკენ მოუწოდოთ აღვირახსნილ მემამულეებს, შევზღუდოთ მათი მადა და გავაძლიეროთ ისინი ნამდვილ, ღირსეულ შეყვარებულის — იერასტის მსგავს ადამიანებად, რომელმაც. მართალია, შეცდომა დაუშვა, ღიზა თვითმკვლელობაში — მიიყვანა, მაგრამ მაიც კეთილშობილ, ჰუმანურ არსებად დარჩა.

კარამზინის მთელი ეს კონცეფცია საოცრად სუსტია და კრიტიკას ვერ უძლებს. ავტორი, გატაცებული ბატონყმური ურთიერთობის დაცვისა და შელამაზების სურვილით, უარყოფს ამ ურთიერთობის კლასობრივ ხასიათს და გლეხებსა და ფეოდალურ არისტოკრატის შორის დამოკიდებულებას იდილიურ ფორმებში გვიხატავს. მწერალი შორსაა იმისგან. რომ ღიზას ტრაგედია სოციალური კონფლიქტით ახსნას. უმნიშვნელო ხვედრითი წონის მქონე ბობოლა გლეხებზე მითითებით (ფლორ სილინი, ღიზას მამა) კარამზინი ცდილობს მიმზიდველ ფერებში წარმოგვიდგინოს სოფლის მშრომელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მეტად მძიმე ცხოვრება და ამით უარყოს ბატონყმობის ანტიხალხური ხასიათი.

ასევე რეაქციულ-კონსერვატიული იყო კარამზინის პოლიტიკური შეხედულებანი. მისი აზრით, მმართველობის ერთადერთი ფორმა, რომელიც მხარდაჭერას იმსახურებს, ესაა თვითმპყრობელობა, მონარქიული წყობილება. ის საერთოდ კარგაა, რუსეთისათვის კი — განსაკუთრებით. უკანასკნელის წინსვლა-განვითარება, აღზევება სწორედ ამ წყობილებასთანაა დაკავშირებული. ისტორიკოსი პირდაპირ აცხადებს, რომ „ჩვენი სამშობლო. სუსტი. დაქუცმაცებული ცალკეულ ოლქებად 862 წლამდე (ე. ი. ეგრეთ წოდებულ ვარიანგების მოწვევამდე — ი. ა.)... უმაღლის თავის გაძლიერებას მონარქიული ხელისუფლების ბედნიერ შემოღებას“ („История государства Российского“, т. I, стр. 74).

კარამზინი თვითმპყრობელობას რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ქვაკუთხედად, მის „პალადიუმად“ თვლის. ერთმმართველობის ოდნავი შესუსტება მას დამლუპველად მიაჩნია. მისი აზრით, რუსეთის ისტორიის გულდასმით შესწავლა ექვემიუტანლად ადასტურებდა მონარქიული წყობილების აშკარა უპირატესობას, მის უდიდეს როლს ქვეყნის ზრდა-განვითარების საქმეში. რუსეთს სწორედ მაშინ ატყდებოდა თავზე უბედურება, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა და პირიქით. „იაროსლავ ბრძენის დამარხვით, — წერს ისტორიკოსი, — ძველმა რუსეთმა დამარხა თავისი ძლიერება და კეთილდღეობა. მან, დაარსებულმა და აღზევებულმა

ერთმმართველობით. დაკარგა ძალა, ბრწყინვალება და სამოქალაქო ბედნიერება, როგორც კი დაქუცმაცდა და დანაწილდა პატარ-პატარა ოლქებად. ვლადიმირმა გაასწორა სვიატოსლავის შეცდომა, იაროსლავმა — ვლადიმირისა: მათ მემკვიდრეებმა კი ვერ გამოიყენეს ეს შავალითი. ვერ გააერთიანეს ნაწილები და სახელმწიფო, რომელმაც ერთ საუკუნეში გააკეთა ვეებერთელა ნაბიჯი აკვირიდან სიღაღემდე. სუსტდებოდა და იშლებოდა სამი საუკუნე“ („История...“, т. II, стр. 45).

მერმინდელი ხანის ისტორიაც კარამზინს ამ ქეშმარიტების დადასტურებად მიაჩნდა. ის დიმიტრი დონელის წარმატებას მონღოლებთან ბრძოლაში სეპარატისტული ძალების დათრგუნვას მიაწერს. იმავე მიზეზით ხსნიდა ავტორი თათარ-მონღოლთა ბატონობის მოსპობას 1480 წელს, ივანე III დროს. რომელსაც იგი ქება-დიდებათი იხსენიებს. ვითარცა მონარქიული ხელისუფლების ფუძემდებელსა და შემქმნელს. პეტრე I-მაც ძალიან ბევრი გააკეთა მმართველობის ცენტრალიზაციისათვის. გადალახა მრავალი დაბრკოლება და მიაღწია კიდევ მიზანს — რუსეთი ჩადგა ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა რიგში. ამიტომ კარამზინი მაღალ შეფასებას აძლევდა პეტრეს მოღვაწეობას, თუმცა უნაკლოდ არ თვლიდა. ისტორიკოსი უწუნებს მას ევროპისადმი მიმბაძველობას, უცხოური გრადიციებით გატაცებას, რის შედეგადაც „ჩვენ გავხდით მსოფლიოს მოქალაქენი, მაგრამ დაევარგეთ, ზოგ შემთხვევაში მაინც, რუსეთის მოქალაქეობრიობა“.

კარამზინმა ენერგიულად შეუტია ყველა იმათ, ვინც მხარს უჭერდა მეფის ხელისუფლების თუნდაც ოდნავ შეზღუდვის იდეას. თავის წერილში ძველი და ახალი რუსეთის შესახებ იგი აფრთხილებს ალექსანდრე I-ს, არ აყვეს სხვების რჩევას და არ დაუშვას ერთმმართველობის შესუსტება. „მაშინ (ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლისას — ი. ა.), — ნათქვამია იქ, — ორი სხვადასხვა შეხედულება არსებობდა: ერთ მათგანს უნდოდა, რომ ალექსანდრეს თავის სასახელოდ შეეზღუდა შეუზღუდველი მმართველობა. რომელიც სავალალო გამოდგა მამამისის დროს; მეორეს კი, ეჭვი ეპარებოდა რა ამ ღონისძიების წარმატებაში, მხოლოდ ისღა სურდა, რომ აღედგინა ეკატერინე II-ის დროინდელი მმართველობის სისტემა, რომელიც ბრძნული იყო პავლეს რეჟიმთან შედარებით. მ ა რ თ ლ ა ც. შე ი ძ ლ ე ბ ა თ უ არ ა და რ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ, ე რ თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს შე ზ ლ უ დ ვ ა რ უ ს ე თ შ ი ის ე. რ ო მ არ შე ს უ ს ტ დ ე ს მე ფ ის მ ხ ს ნ ე ლ ი ხ ე ლ ის უ ფ ლ ე ბ ა? ჭ კ უ ა მ ს უ ბ ტ ჭ ი ბ ა ლ ხ ი პ ა ს უ ხ ო ბ ს: „დ ი ა ხ, შე ი ძ ლ ე ბ ა,

ოღონდ საჭიროა კანონი მეფეზე მაღლა დავაყენოთო“. მაგრამ ვის ექნება ამ კანონის ცხოვრებაში გატარების შემოწმების უფლება? სენატს? საბჭოს? ვინ იქნებიან მათი წევრები, მეფის თუ სახელმწიფოს მიერ არჩეულნი? პირველ შემთხვევაში ისინი ყურმოჭრილი მონები იქნებიან მეფისა, ხოლო მეორე შემთხვევაში — კამათს დაუწყებენ მას ხელისუფლების შესახებ... ორი ხელისუფლება ერთ სახელმწიფოში იგივეა, რაც ორი ლომი ერთ გალიაში, რომლებიც მზად არიან ერთმანეთი დაგლიჯონ... თვითმპყრობელობამ შექმნა და აღადგინა რუსეთი: სახელმწიფო წესების შეცვლით ის იღუპებოდა და დაიღუპება კიდევ. განა შეიძლება განუსაზღვრელი ერთმმართველური ხელისუფლების გარეშე მთლიანობის დაცვა ისეთ ქვეყანაში, როგორცაა რუსეთი? რომ ალექსანდრემ, რომელიც ნამდვილი მტერია თვითმპყრობელობის ბოროტად გამოყენებისა, მოინდომოს სხვანაირი კანონების შემოღება, მაშინ ყოველი პატიოსანი რუსი მოქალაქე გაბედავდამისთვის ეთქვა: „მეფე! სცილდები შენი ხელისუფლების ფარგლებს“ („Записки о древней и новой России“).

ისწორედ ამ პოზიციებიდან შეუტია კარამზინმა მ. სპერანსკის, რომლის პროექტი სახელმწიფო მმართველობის შესახებ (იხ. მომდევნო თავი) მას ძალიან რადიკალურად, მეფის ხელისუფლების შეზღუდვის აშკარა ცდად მიაჩნდა. მაგრამ კარამზინი, რომელიც ესოდენ თავგამოდებით იცავდა მეფის შეუზღუდველი ხელისუფლების საჭიროებას, არ ივიწყებდა ფეოდალური კლასის ინტერესებს და მიაჩნდა, რომ ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს შესაფერისი ადგილი და პატივისცემა უნდა ჰქონოდათ სახელმწიფოში. თავადაზნაურობა, რა თქმა უნდა, არ უნდა ცდილიყო შესცილებოდა მეფეს მმართველობაში. მაგრამ არც მეფეს უნდა წარემართა საქმე ისე, რომ ეს „ბრწყინვალე“ წოდება საერთოდ ჩამოშორებოდა პოლიტიკურ ცხოვრებას. „თვითმპყრობელობა, — წერდა კარამზინი, — რუსეთის პალადიუმი; მისი მთლიანობა აუცილებელია.. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ მეფეს, ხელისუფლების ამ ერთადერთ წყაროს, საფუძველი ჰქონდეს დაამციროს თავადაზნაურობა,

შველი ისევე. როგორც თვით რუსეთი... ცუდია, როდესაც მსახურები თავზე მოაჭლებიან ხოლმე სუსტ ბატონს, მაგრამ. არც ის ვარგა. როდესაც ბატონი პატივს არ სცემს თავის ერთგულსა და რჩეულ მსახურებს. კეთილშობილთა უფლება მეფის ხელისუფლების განყოფილება კი არაა. არამედ მისი მთავარი და აუცილებელი იარაღია, რომელიც წინ სწევს სახელმწიფოს“ („წერილი ძველი და ახალი რუსეთის შესახებ“).

სწორედ ერთგული ფეოდალური არისტოკრატიისადმი უპატივცემლობასა და მის წინააღმდეგ უსაფუძვლო ბრძოლის გაჩაღებას საყვედურობდა კარამზინი ივანე IV-ს, რომელსაც იგი აშკარად უპირისპირებდა რუსეთის „განათლებულ“ მონარქებს.

თავადაზნაურებისავე ინტერესებმა გამოიყვანეს კარამზინი იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც დაამტკიცა მეფემ 1809 წელს მ. სპერანსკის წინადადებით. ამ კანონის თანახმად, ამიერიდან ყველა მაღალი რანგის მოხელე ვალდებული იყო ჰქონოდა უმაღლესი განათლება. ვისაც ეს უკანასკნელი არ ჰქონდა, საშუალება ეძლეოდა გამოცდები ჩაებარებინა ექსტერნად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თანამდებობას კარგავდა. ფეოდალური არისტოკრატია ძალიან ააღელვა ამან და კარამზინის პირით მისი გაუქმება მოთხოვა. „გააკეთა რა ბევრი რამ მეცნიერების წარმატებისათვის რუსეთში, — წერდა კარამზინი. — მთავრობამ... გამოსცა ბრძანებულება გამოცდების შესახებ. ამიერიდან ვერავინ მიაღწევს სტატსკი სოვეტნიკობას, კოლეჯსკი ასესორობას განათლების შესახებ სათანადო საბუთის წარმოდგენის გარეშე. აქამდე თვით ყველაზე განათლებულ ქვეყანაშიც კი მოხელეს მხოლოდ მისთვის აუცილებელ ცოდნათა მარაგი მოეთხოვებოდა: ინჟინერს—საინჟინრო ხელოვნება უნდა სცოდნოდა, მოსამართლეს — იურისპრუდენცია და სხვ. ჩვენთან კი ამყამად სამოქალაქო პალატის თავმჯდომარე ვალდებულია იცოდეს ჰომეროსი. სენატის მდივანს მოეთხოვება ყველა გაზის თვისებათა ცოდნა, ვიცე-გუბერნატორს — პითაგორას თეორემისა და საგიყეთის ზედამხედველს — რომის სამართლისა. არც 40 წლის სამსახური, არც დიდი დამსახურება ქვეყნის წინაშე არ ათავისუფლებს თავადაზნაურს ისეთი საგნების ცოდნის აუცილებლობისგან, რომლებიც მას სრულბოთ არ სჭირია“ („Записки о древней и новой России“).

ასე იცავდა კარამზინი თავადაზნაურობას, ბატონყმობას და მონარქიული წყობილების საფუძვლებს.

* * *

საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის ინტერესების დამცველი იყო ე. კ ა ნ კ რ ი ნ ი ც, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავ-

ლობაში (1823—1844 წწ.) სათავეში ედგა რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს. მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი ჩამოყალიბებულია წიგნში „Экономия человеческих обществ и состояние финансов“ [გამოცა 1845 წელს გერმანულ ენაზე, 1846 წელს რუსულ ენაზე] და მოხსენება-პროექტში „Записка об освобождении крестьян в России от крепостной зависимости“, რომელიც მან 1818 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ს წარუდგინა.

კანკრინის პროექტში ბატონყმობა არაა გამოცხადებული უნაკლო წყობილებად, მასში ხაზგასმულია ამ ურთიერთობის არაერთი უარყოფითი მხარე. „თავისი ბუნებითა და ხასიათით შეუზღუდველი ბატონყმობის შედეგები, — ნათქვამია პროექტში, — აყენებენ ჩვენს გლეხებს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. გუბერნიები, ოდესღაც აყვავებულნი (მაგალითად პოდოლსკის) ამჟამად იქამდე გავერანებული არიან, რომ იქაური გლეხები მოკლებული არიან თვით პირველი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებასაც კი... ქალაქების კეთილდღეობის დაცემა ხელს უშლის თავის მხრივ მიწათმოქმედების გაფურჩქვნას, მიწათმოქმედებისა. რომელსაც ეკარგება პროდუქტების უახლოეს ადგილებში გასაღების საშუალება... მიწათმოქმედებას ჩვენთან არსად არა აქვს ნამდვილი წარმატება იმის გამო, რომ... მემამულეთა მთელი ყურადღება მიმართულია დღემდე არა იმდენად გლეხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისკენ, რამდენადაც მისი წვალებისა და ჩაგვრის გაძლიერებისკენ. გადასახადების გადიდება — აი მიწათმფლობელის ერთადერთი მიზანი. უხსოვარ დროიდან ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რუსეთში არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი“ („Записка...“).

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სიტყვების ავტორი გაბედულად დააყენებდა საკითხს ბატონყმობის სასწრაფოდ და დაუყოვნებლად გაუქმების შესახებ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ის დაჟინებით ურჩევდა მთავრობას არ აჩქარებულყო და მაქსიმალური სიფრთხილე გამოეჩინა ამ საქმეში. ხსენებული ურთიერთობის ლიკვიდაცია, მისი აზრით, დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ გონიერება მოითხოვდა ეს საქმე წაწეულიყო წინ „ძალზე ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად, პატარა დოზებით“. ასე წერდა იგი 1845 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი და დრომოკმელობა თითქმის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი იყო. გლეხების ერთბაშად განთავისუფლება კანკრინს უსამართლო, არაფრთხილ და საერთოდ შეუძლებელ ნაბიჯად მიაჩნდა. „არაფრთხილია იმიტომ, — წერდა ის, — რომ გლეხები, რომლებიც ახალი მდგომარეობისათვის არ არიან მომზადებული,

მიეცემიან განუსაზღვრელ ვნებათა ღელვას. უსამართლო და შეუძლებელი იმიტომ, რომ ახალზე ასეთი უცაბედი გადასვლა ძირფესვიანად მოშლიდა მთელი სახალხო მეურნეობის კეთილდღეობას, გააქნელებდა კერძო და სახელმწიფო გადასახადების აკრეფას. შეაფერხებდა სახალხო კაპიტალის უმეტესი ნაწილის მოძრაობას და ბოლოს უარყოფითად იმოქმედებდა მრავალრიცხოვანი რუსი ხალხის ზნეობრივ მდგომარეობაზე“ („Записка...“).

ყმასა და ბატონს შორის ურთიერთდამოკიდებულების ნორმალისაციისათვის პროექტის ავტორს საჭიროდ მიაჩნდა არა რადიკალური ცვლილების გატარება, არამედ უფრო სამართლიანი კანონების მიღება და მემამულეთა თვითნებობის რამდენადმე შეზღუდვა. „საჭიროა. — ნათქვამია დასახელებულ დოკუმენტში, — მივბაძოთ ლიფლანდიასა და ესტლანდიაში მიღებულ სისტემას. ე. ი. შევამსუბუქოთ საგადასახადო ტვირთი, დავიცვათ გლეხები მემამულეთა თვითნებობისგან, ნება მივცეთ მათ შეიძინონ უძრავი ქონება. ერთი სიტყვით, შევიმუშაოთ ახალი, უფრო რბილი და ზომიერი კანონმდებლობა საბატონო გლეხებზე“ (იქვე).

მაგრამ კანკრინი თითქოს ამაზე არ ჩერდება და თავის პროექტში ლაპარაკობს გლეხთა განთავისუფლებაზე საერთოდ. ეს პროცესი, მისი აზრით. რამდენიმე ეტაპად უნდა გატარებულყოფიყო და გაგრძელებულიყო არანაკლებ სამოცი წლისა მისი დაწყების დღიდან. 1820 წელს ყმურ მდგომარეობაში მყოფ გლეხებს ნება უნდა მისცემოდათ შეეძინათ თავის სახელზე უძრავი და მოძრავი ქონება და ამიერიდან ჩაეთვაღათ ისინი თავის განუყრელ კუთვნილებად. 1822 წელს, პროექტის თანახმად სახელმწიფო გლეხების მთელი მიწის ფონდი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაყოფილიყო თემებს შორის, ხოლო თემებს ისინი (მიწები) კომლებს შორის უნდა გაენაწილებინათ და აეკრძალათ მათი მომავალში გადანაწილება. „ეს ღონისძიება. — ნათქვამია პროექტში, — წაახალისებს გლეხს გამოიყენოს თავისი კაპიტალი ნიადაგის გასაუმჯობესებლად, ეს მაშინ, როდესაც იგი ამჟამად არ ხარჯავს არც ერთ კაპიკს და კაპიტალს უყოყმანოდ სავაჭრო ოპერაციებში ასაქმებს, რადგანაც იცის, რომ ნაკვეთის გაუმჯობესების შემთხვევაში მეზობელი მის გადანაწილებას მოითხოვს“ („Записка...“).

1825 წელს უნდა გამოცემულიყო ბრძანებულება. რომელიც განსაზღვრავდა გლეხთა გადასახადებს და „თითოეულ ყმას დააყენებდა მთავრობის მიერ გუბერნიებში დანიშნულ პირთა მფარველობის ქვეშ“. 1840 წელს ნავარაუდები იყო ნიხრის დადგენა, რომლის მიხედვით ყმა თავს გამოისყიდდა მიწით ან მის გარეშე. მაგრამ კანკ-

რინი აქვე შენიშნავს, რომ ეს ღონისძიება ოდნავადაც „არ გულისხმობს იმას, რომ თავადაზნაურობამ, რომელიც წარმოადგენს მთავარობისა და ტახტის საყრდენს, დაჰკარგოს საკუთრება“. 1845 წელს პროექტი ითვალისწინებდა გლეხთა გადასახადების ახალ განსაზღვრას და გადამხდელი წოდებისათვის ამ გადასახადებისაგან თავის გამოსყიდვის ნებართვის მიცემას. 1850—1880 წლებში კი, ე. ი. გლეხთა განთავისუფლების ხანგრძლივი პროცესის ბოლო ეტაპზე. „მიწები ცხადდება ცალკეულ კომლთა საკუთრებად, სათანადო გადასახადების გაღების პირობით, გადასახადებისა, რომელთა რაოდენობა ნაკვეთების შესაბამისად იქნება განსაზღვრული. გლეხებს ნება ეძლევათ ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლის. უმიწოდ დარჩენილებს შეეძლებათ მისი სხვა გუბერნიებში შექნა... ყველა პირადი გადასახადი შეიძლება გამოსყიდულ იქნას“ („Записка...“).

ასეთია კანკრინის პროექტის შინაარსი. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრებაში გატარება სარგებლობას მოუტანდა ორივე მხარეს, როგორც გლეხს, ისე მემამულეს და ხელს შეუწყობდა ქვეყნის, სოციალ-ეკონომიურ პროგრესს. „ასეთი მდგომარეობის (ლაპარაკიან პროექტში წარმოდგენილ მდგომარეობაზე — ი. ა.) მიღწევის შემდეგ. — წერს კანკრინი, — დანარჩენი თავისთავად გაკეთდება. რუსეთი იქნება ის, რაც უნდა იყოს, მემამულე თავისი საკუთრებიდან; უფრო მეტს მიიღებს, ვიდრე ღებულობს ამჟამად, ადამიანისა და ღეთის კანონების საწინააღმდეგო ხერხების გამოყენებით. გლეხი ნამდვილ კეთილდღეობაში შევა. გაუმჯობესება ყოველი დარგისა და შრომის ნაყოფიერების ოცჯერ გაზრდა—აი შედეგი“ („Записка...“).

კანკრინის პროექტში, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ბატონყმური ურთიერთობის არა ისეთ აშკარა დაცვასთან, როგორც კარაიზინის ნაწერებში. ბატონყმობის, ერთი შეხედვით, საკმაოდ გაბედულმა კრიტიკამ, ყმა გლეხებისათვის მიწის საკუთრებად შექნისა და პირადი თავისუფლების გამოსყიდვის ნებართვის მიცემამ, რასაც პრინციპში არ გამორიცხავდა კანკრინის 1818 წლის პროექტი. საფუძველი მისცა ზოგიერთ მკვლევარს მისი ავტორი ლიბერალური მიმართულების მოაზროვნედ, ბატონყმობის მტრად გამოეცხადებინა. მაგრამ ასეთი მოსაზრება მცდარია და სინამდვილეს არ შეეფერება. საკმარისია ითქვას, რომ კანკრინს მის მიერ რეკომენდებული რეფორმის გატარება, გლეხის დამოკიდებული მდგომარეობიდან განთავისუფლება უნდოდა ისე, რომ ოდნავადაც არ შერყეულიყო ფეოდალური კლასის ეკონომიური საფუძველი. ზემოთ განხილულ მის პროექტში ხომ პირდაპირაა მითითებული, რომ ხსენებულ დოკუმენტს სრულებით არა აქვს მიზნად დასახული, ფეოდალურმა არის-

ტოკრატიამ, რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილების ამ ბურჟუა და საყრდენმა, დაკარგოს მიწა, რომელიც მის კანონიერ საკუთრებას წარმოადგენსო. მემამულეებს მიწა ყველა შემთხვევაში უნდა შეენარჩუნებინათ. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელი ვითარება, ბურჟუაზიული ურთიერთობის მომძლავრება და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება XIX საუკუნის პირველ ნახევარში იძულებულს ხდიდნენ კანკრინს „გაეწირა“ პრივილეგიებული წოდება და დაეყენებინა საკითხი ამ წოდების მიწის ფონდის უმნიშვნელო ნაწილის გლეხებისათვის საკუთრებად გადაცემის შესახებ. იგი 1845 წელს გამოცემულ წიგნშიც კი, რომელსაც არსებითად ანდერძის მნიშვნელობა ჰქონდა, პირდაპირ გახაზავდა მემამულეთა მიწათმფლობელობაში რაიმე „საგრძნობი ცვლილების მოხდენის“ შეუძლებლობას. იგი, როგორც უკვე ვთქვით, „თანახმა“ იყო მხოლოდ მცირე „დათმობისა“, რაც გლეხებისათვის მემამულეთა მიწების უმნიშვნელო ნაწილის გადაცემაში გამოიხატებოდა და ისიც, რა თქმა უნდა, უზომოდ დიდი, გლეხების აბსოლუტური უმრავლესობისათვის შეუძლებელი გამოსასყიდი თანხის გაღებით. ყმური მოსახლეობა არც პირად თავისუფლებას ღებულობდა საზღაურის გარეშე, ეს საზღაური კი, 1818 წლის პროექტის თანახმად, სულ ცოტა ოცკერ მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გლეხების წლიური გადასახადი.

კანკრინის პროექტის პროგრესულობა-რეგრესულობაზე მსჯელობისას უნებლიედ გვაგონებდა 1803 წლის კანონი „თავისუფალ მიწათმოქმედთა შესახებ“. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ნებას აძლევდა ყმა-გლეხს, მემამულის თანხმობის შემთხვევაში, შეესყიდა მიწა და თავისუფლება. კანკრინის პროექტიც დაახლოებით ასეთსავე უფლებებს ანიჭებდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ცხოვრებაში გატარებას 1803 წლის კანონთან შედარებით, რამდენიმე ათეული წლით აგვიანებდა და საბოლოოდ 1880 წელს უკავშირებდა. ამიტომ კანკრინის პროექტი ხსენებულ დოკუმენტთან შედარებით, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. მისი წინადადებები მიზნად ისახავდნენ არა ბატონყმურ ურთიერთობათა გაუქმებას, არამედ, კატასტროფების თავიდან აცილების გზით, მათი არსებობის მაქსიმალურად გახანგრძლივებას. ამიტომ ჩვენ სწორად მიგვაჩნია კანკრინის შეხედულებათა ის შეფასება, რომელიც მოცემულია „რუსეთის ეკონომიური აზრის ისტორიაში“. „საბჭოთა ლიტერატურაში, — ვკითხულობთ იქ, — გამოთქმული იყო მოსახრება, რომ კანკრინი არ იყო ბატონყმობის პრინციპული მომხრე;

საბუთად ასახელებენ იმას, რომ კანკრინი სინანულს გამოთქვამდა ბატონყმური ურთიერთობის არსებობის გამო. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი ზემოთ მოტანილი მსჯელობა; კანკრინის სიტყვით, გლებთა ყმური მდგომარეობის გაუქმება „დაკავშირებულია დიდ სიძნელებთან და ამიტომ გონიერება მოითხოვს წავეწიოთ წინ ეს საქმე ძალიან ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად“. თვით 1845 წელსაც კი კანკრინი მოუწოდებდა შორეული მომავლისათვის გადაედლოთ გლებთა განთავისუფლების საქმე. ამრიგად, ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორც იყო ბატონყმური ურთიერთობის საკითხი რუსეთში, კანკრინმა რეაქციული პოზიცია დაიკავა. მას უნდოდა საზოგადოებრივი განვითარების შეფერხება. ახალი ურთიერთობის წარმატების დაბრკოლება, ძველის არსებობის გახანგრძლივება“.

ლიტერატურა და წყაროები

1. И. Т. Б л ю м и н, Очерки экономической мысли в России в первой половине XIX века, 2-л. 1940 წ., თავები 111, V.
2. История русской экономической мысли, под редакцией А. И. П а ш к о в а, т. I, часть вторая, стр. 25—32.
3. Очерки истории исторической науки в СССР, под редакцией М. Н. Т и х о м и р о в а, т. I. М., 1955, стр. 277—287.
4. Н. М. К а р а м з и н, Записка о древней и новой России, СПб, 1914 г.
5. Е. Ф. К а н к р и н, Записка об освобождении крестьян в России от крепостной зависимости, составленная в 1818 году. «Русский архив», 1865 г., стр. 542—554.
6. Е. Ф. К а н к р и н, Экономия человеческих обществ и состояние финансов. «Библиотека для чтения», XXVI, отд. IV.

**XXIX საუკუნის პირველი მეოთხედის ლიბერალური
თავადაზნაურობის იდეოლოგიათა საზოგადოებრივ-
პოლიტიკური შეხედულება**

(მ. სპერანსკი, ნ. შორდვინოვი)

1. მ. სპერანსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულება

მიხეილ მიხეილის ძე სპერანსკი (1772—1839) დაიბადა სოფლის მღვდლის ოჯახში. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა აკადემიაში მათემატიკისა და ფიზიკის, ხოლო მოგვიანებით მკვერმეტყველებისა და ფილოსოფიის მასწავლებლად. დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, სპერანსკი მალე გენერალ-პროკურორ ა. კურაკინის მდივნად მოეწყო. ამ უკანასკნელის რეკომენდაციით ის 1802 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადადის სამუშაოდ. ნიჟიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდა სპერანსკიმ იმპერატორ ალექსანდრე I-ის ყურადღება დაიმსახურა და მას ისეთი საპასუხისმგებლო და რთული საქმე დაეკისრა, როგორცაა სახელმწიფო კანონებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების შედგენა. 36 წლის ასაკში მან დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. ამბობენ, თითქოს, 1808 წელს, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები, ნაპოლეონი და ალექსანდრე. პირველს მეორისთვის უთქვამს: „ხომ არ ინებებთ გამიცვალოთ ეს ადამიანი (ე. ი. სპერანსკი—ი. ა.) რომელიმე სამეფოზე“. 1809 წელს მან შეადგინა სახელმწიფო მმართველობის პროექტი, რომლის წინააღმდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუნდობლად გაილაშქრა ნ. კარამზინმა, სპერანსკი დაეცა და გადასახლებაში ამოყო თავი. ნიკოლოზ პირველის დროს იგი ისევ უბრუნდება სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს და ასრულებს ისეთ ტიტანურ სამუშაოს, როგორცაა რუსეთის იმპერიის კანონების სისტემატიზაცია და ამ კანონების ეგრეთ წოდებული პირველი და მეორე კრებულების შედგენა.

სპერანსკის ადრინდელ ნაწერებში, რომლებიც შესრულებულია 1802—1803 წლებში არა ოფიციალური ხელისუფლების დაკვეთით, არამედ საკუთარი ინიციატივით. უფრო მეტი პირდაპირობითაა გადმოცემული ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ისინი ამჟღავნებენ სპერანსკის ნააზრევის ანტიმონარქიულ და ანტიბატონყმურ ხასიათს აღნიშნულ წლებში. იგი რუსეთის პოლიტიკურ წყობილებას უწოდებს დესპოტურს და მეტად მკაცრად ახასიათებს მას. როგორც წყობილებას, რომლის დროსაც ქვეყნის ბედი მთლიანად ერთი ადამიანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და პარალიზებულია ქვეშევრდომთა ინიციატივა. „და მართლაც. — წერდა ის 1802 წელს. — რა არის თავადაზნაურობა, როდესაც მისი პიროვნება, მამული, სინიღისი და საერთოდ ყველაფერი დამოკიდებულია არა კანონზე, არამედ მარტო თვითმპყრობელის ნება-სურვილზე. განა ამ უკანასკნელის ნება-სურვილი არ განსაზღვრავს თვით კანონს, რომელსაც იგი ერთპიროვნულად ქმნის? განა მის სურვილზე არაა დამოკიდებული აზნაურთა წოდების აღზევება და ჩამოქვეითება? განა ის არ ამტკიცებს სასამართლოებსა და უმაღლეს მოსამართლეებს. ის არ აძლევს მათ სახელმძღვანელო წესდებებს? განა მას არ ეკუთვნის, კანონის სიტყვით, ყველა სახელმწიფო ქონება. ყველა მიწა და კერძო პირთა ავლადიდება?... მე ვისურვებდი ვინმეს განემარტა ჩემთვის, თუ რით განსხვავდება ერთიმეორისაგან გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებული დამოკიდებულება თავადაზნაურებსა და მეფეს შორის არსებული დამოკიდებულებისაგან... განა ხელმწიფეს ყველა ის უფლება არა აქვს მემამულისადმი, რაც მემამულეებს თავისი გლეხებისადმი?“ („О коренных законах государства“).

აქედან გამომდინარე, ლოგიკური დასკვნა სპერანსკის ასე აქვს ჩამოყალიბებული: „რუსეთში მე ორ წოდებას ვხედავ: მეფისა და მემამულეთა მონებს. პირველნი მხოლოდ მეორესთან მიმართებაში არიან თავისუფალნი. ნამდვილად თავისუფალი ადამიანები კი რუსეთში საერთოდ არ არსებობენ“ (იქვე).

მონარქიულ-დესპოტური წყობილება, სპერანსკის სიტყვით. არამცთუ აფერხებდა, არამედ თითქმის შეუძლებელს ხდიდა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს, საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. თუ დარჩება დესპოტური წყობილება. — წერდა იგი, — მაშინ ხელი უნდა ავიღოთ მუდმივი და მყარი კანონების შემოღების აზრზე, რადგანაც მმართველობის დასახელებული ფორმა

საერთოდ გამორიცხავს კანონების არსებობას; უარი უნდა ვთქვათ განათლების წინწამწევ ღონისძიებათა გატარებაზე. მრეწველობის წარმატებაზე, ხალხის ხასიათის ამაღლებაზე (მონას არ შეიძლება ამაღლებული ხასიათი ჰქონდეს), სახალხო დოვლათის გადიდებაზე, ვინაიდან სიმდიდრისა და დოვლათიანობის ზრდის უპირველესი პირობა საკუთრების ხელშეუხებლობაა. რაც შეუძლებელია მიღწეულ იქნეს ისეთ ქვეყანაში, რომელსაც კანონები არა აქვს, უარი უნდა ვთქვათ დაბალი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე. მის მიერ შექმნილ დოვლათს ყოველთვის გადაყლაპავს მაღალი კლასის ფუფუნება და ა. შ. („Размышления о государственном устройстве империи“, 1802 г.).

ამ დროს სპერანსკი ლაპარაკობდა თვითმპყრობელური წყობილების კონსტიტუციური მონარქიით შეცვლის აუცილებლობაზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრის მავნეობაზე და კანონების შემუშავებაში ხალხის (იგულისხმება მისი შეძლებული ნაწილი) მონაწილეობაზე¹. კანონი, მისი აზრით, ხალხის ინიციატივისა და შემოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო². მხოლოდ მაშინ იქნებოდა ის სწორი და სამართლიანი, საზოგადოებრივი პროგრესის ხელშემწყობი ძალა.

საკმაოდ გაბედული იყო იმ წლებში სპერანსკის მსჯელობა ბატონყმობის შესახებ. ეს უკანასკნელი, მისი აზრით, უნდა გაუქმებულიყო, მისი ძალიან დიდი ხნით მოთმენა შეუძლებელი იყო. „რამდენად ძნელიც არ უნდა იყოს ამ უფლების (იგულისხმება ყმა გლეხების ყოლის უფლება—ი. ა.) მოსპობა,—ნათქვამია მის ტრაქტატში სახელმწიფოს ძირითადი კანონების შესახებ,—ის ვითარცა გონების საწინააღმდეგო (უნდა მოისპოს) და განხილულ იქნეს როგორც დროებითი და გარდამავალი მოვლენა“. მაგრამ „უცერემონიო“ შეხება ბატონყმობის საფუძვლებისადმი მას მეტად სახიფათო საქმედ მიაჩნდა. იგი წინააღმდეგი იყო ბატონყმობის უცბად და აჩქარებით გაუქმებისა და ამ საქმის გატარებას ორ ეტაპად გეგმავდა. პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო საბატონო გადასახადების კანონით განსაზღვრა. „В первой эпохе, — ვკითხულობთ იქვე, — ограничить себя должны тем, чтобы постановить известную меру по-

¹ „ხალხი უნდა მონაწილეობდეს კანონების შემუშავებაში, თუ ყველასი არა ძირითადი კანონებისა შინა“ („О коренных законах государства“. 1802 г.).

² „ულოვენიე“ არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი. ნამდვილი (ე. ი. შეზღუდული — ი. ა.) მონარქიულ წყობილებაში ყველა ძირითადი კანონი უნდა იყოს ხალხის შემოქმედების შედეგი“ („Отрывок о комиссии уложения“).

ვინოების, კონხ პომეშიკ ზაკონო მოჟეტ ტრებოვათ ოთ ზემლე-დეღცა, ი ვმესტე ს ტემ, ვ ოსუკოენიი სემიხ პომეშიკოი, ოჩრედიტ ნეკოტორიო რასპრავუ მეჟდუ ნიმი ი კრესტყანამი... პოსრედსტვომ სეგო ზაკონი კრესტყანე სემი პო სებე ი ბეზ ვსყაკოგო დრუგოგო გლასნოგო პოსტანოვლენიი იზ ლიჩნოი კრესტოი პომეშიკოი პერეიდუთ ვ კრესტოთ ზემლე ი ბუდუთ თოლკო პრიპისნემი. სიმ პოლოჟიტსე პერვოი სტეპენი იხ ისკუპლენიი“.

გლეხთა განთავისუფლების პროცესი უნდა დასრულებულიყო მეორე ეტაპზე, რომელიც, სპერანსკის აზრით, ახლო მომავალში არ უნდა დაწყებულიყო. „მხოლოდ მეორე ეპოქაში, — წერდა იგი, — რომელიც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ახლო მომავალში დადგეს და რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს მრავალი კერძო განკარგულება, დაუბრუნდებათ გლეხებს ერთი მემამულიდან მეორესთან თავისუფლად გადასვლის ძველი უფლება და ამით, ცხადია. დასრულდება მათი განთავისუფლება. მაგრამ მე ისევ ვიმეორებ, რომ რუსეთის აღორძინების ეს უკანასკნელი ეტაპი მოითხოვს დროსა და მრავალმხრივ სამზადისს და ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ სახალხო მღელვარების მეშინია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი მიწა-წყლის ვეებერთელა სივრცისა და ხალხის სიმცირის ვითარებაში ასეთ თავისუფლებას შეუძლია უბიძგოს გლეხებს დაეწათონ მოხეტიალე ცხოვრებას. რომელიც მათთვის ისევე დამლუპველია, როგორც სახელმწიფო ეკონომიკისათვის“ („სახელმწიფოს ძირითადი კანონების შესახებ“).

1807 წლის ტილზიტის ზავის შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მ. სპერანსკის დაავალა შეედგინა სახელმწიფოებრივი მმართველობის რეფორმის პროექტი. იგი დიდი სერიოზულობით მოეკიდა ამ საქმეს და 1809 წელს მართლაც წარუდგინა ხელისუფლებას ნაშრომი სათაურით „სახელმწიფო კანონთა დებულების შესავალი“ („Введение к уложению государственных законов“). ავტორი პირველყოვლისა ლაპარაკობს იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც აუცილებელი გახადეს მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია. სპერანსკის აზრით, იმდროინდელი რუსეთი სოციალური კატასტროფის წინაშე იმყოფებოდა და მისი თავიდან აცილება მხოლოდ კარგად მოფიქრებული რეფორმით შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთში ისეთივე ქარიშხალი ამოვარდებოდა, როგორიც ამოვარდა საფრანგეთში 1789 წელს და საერთოდ წალეკავდა მთელს მაშინ არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც უკვე სრულებით არ პასუხობდა დროის მოთხოვნებს, საზოგადოებრივ განწყობილებას. პროექტის ავტორს საჭიროდ მიაჩნდა მმართველობის უფრო „დემოკრატიულ“ საფუძველზე გადახალისება,

მით უმეტეს, რომ ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, რომ განათლებულ კომერციული ხალხი მონობაში დიდხანს დარჩენილიყოს.

სპერანსკის 1809 წლის პროექტი არსებითად ძალაში ტოვებდა ბატონყმობას. იგი თუმცა კარგად გრძნობდა ამ ურთიერთობის დრომოკმულობას, მაგრამ არ ეყო გამბედაობა მთავრობისათვის წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში დაეყენებინა საკითხი მისი მოსპობა-გაუქმების შესახებ. კონსტიტუცია ითვალისწინებდა რუსეთის მოსახლეობის „სამ წოდებად“ დაყოფას: „აზნაურებად“, „საშუალო წოდებად“ [რომელშიც ნაგულისხმევი იყვნენ ვაჭრები, მოქალაქეები და სახელმწიფო გლეხები] და „მუშა ხალხად“ [საბატონო ყმები, მუშები და შინამოსამსახურეები]. აღნიშნული წოდებები დიდად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან თავისი უფლებებითა და ადგილით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველ მათგანს ჰქონდა საერთო მოქალაქეობრივი, პოლიტიკური და განსაკუთრებული უფლებები¹. მეორეს — საერთო მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები, მესამეს კი — მხოლოდ საერთო მოქალაქეობრივი უფლებები. წინა პლანზე, როგორც უკვე ვთქვით, თავადაზნაურობა იდგა. „თავადაზნაურობა, — ნათქვამია განსახილველ დოკუმენტში, — სარგებლობს ყველა მოქალაქეობრივი უფლებით, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომს აქვს მინიჭებული. მაგრამ მას ამ საერთო უფლებების გარდა აქვს ის განსაკუთრებული უფლება, რომ იგი თავისუფალია პირადი სამსახურისაგან, მაგრამ ვალდებულია იმსახუროს არა ნაკლებ 10 წლისა სამოქალაქო ან სამხედრო უწყებაში თავისი არჩევით. თავადაზნაურობას აქვს განსაკუთრებული უფლება შეიძინოს დასახლებული ადგილები, მათი კანონის საფუძველზე მართვის პირობით. თავადაზნაურობას აქვს პოლიტიკური უფლებები არჩევნებსა და წარმომადგენლობაში საკუთრების მიხედვით და მათ საფუძველზე. თავადაზნაურობისათვის ღიაა კანონით ნებადართული ყველა სარეწაოს კარები. მას შეუძლია ვაჭართა კოოპერაციასა და სხვა წოდებაში შესვლა ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი წოდება“.

ამრიგად, თავადაზნაურობას საერთო მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების გარდა ჰქონდა განსაკუთრებული უფლებებიც. ეს უკანასკნელი ნებას აძლევდა მას და მხოლოდ მას შეეძინა დასახლებული ადგილები და ათავისუფლებდა პირადი სამსახურისაგან.

საშუალო წოდებას, სპერანსკის კონსტიტუციით, ენიჭებოდა სამოქალაქო და პოლიტიკური, მაგრამ არ ჰქონდა განსაკუთრებული უფლებები. ამ წოდების ადამიანთა პირადი სამსახური ისაზღვრებო-

¹ თუ რა იგულისხმება ამ უფლებების ქვეშ, ნაჩვენები იქნება ქვემოთ.

და მათი საქმიანობის ხასიათით და ფორმდებოდა საგანგებო კანონით. მათთვის ღია იყო ყველა სარეწაოს კარები, ისინი თავისუფლად გადადიოდნენ საქმიანობის ერთი სფეროდან მეორეში მათზე დაკისრებული გადასახადების გადახდის პირობით. საშუალო წოდებაში გაერთიანებულ პირებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰქონდათ პოლიტიკური უფლებებიც, რომელთა საფუძველს მათი ქონებრივი მდგომარეობა, საკუთრება წარმოადგენდა. მათ, პროექტის თანახმად, შეეძლოთ პირადი აზნაურობისათვის მიეღწიათ სამსახურით, რომლის კონკრეტულ სახეობას თვითონ ირჩევდნენ.

მესამე წოდებას — მუშა ხალხს — კონსტიტუცია აძლევდა მხოლოდ სამოქალაქო უფლებებს. ამ წოდების ადამიანები მოკლებული იყვნენ როგორც პოლიტიკურ, ისე, მით უმეტეს, განსაკუთრებულ უფლებებს.

მიუხედავად წოდებათა უფლებრივი მდგომარეობის სხვადასხვაობისა, მათ შორის არ იყო აღმართული ჩინური კედელი, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. პირიქით, ასეთი რამ დაშვებული იყო და ამას პროექტი საგანგებოდ უსვამდა კიდევ ხაზს. „В разделе сих состояний,—ნათქვამია იქ,—паче всего уважена постепенность усовершенния и перехода из состояния низшего в высшее. Для сего в каждом состоянии назначена, так сказать, черта, соединяющая его с последующим. Так, дворянство лично связует состояние первое со вторым. Приобретение недвижимой собственности связует второе с третьим, и, таким образом, те самые лица, кои по положению не имеют прав политических, могут их желать и надеяться (получить) от труда и промышленности“.

იმისათვის, რათა უკეთ გავერკვეთ წოდებათა უფლება-მოვალეობებში და უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ მათი როლი და ადგილი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საჭიროა განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება საერთო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებში, რომელთაგან პირველი რუსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომს ჰქონდა, ხოლო მეორე — თავადაზნაურობასა და საშუალო წოდებას. მესამე წოდებას, რომელშიც მემამულეთა გლეხები, მუშები და შინამოსამსახურეები ირიცხებოდნენ, ენიჭებოდათ, ვიმეორებთ ისევ, მხოლოდ სამოქალაქო უფლებები.

ამრიგად, რა არის სამოქალაქო უფლებები? ეს იყო უფლებები, რომლებიც, პროექტის სიტყვით, უზრუნველყოფდნენ ადამიანისა და ქონების უშიშროებას და ენიჭებოდა საზოგადოების ყველა წევრს, განურჩევლად წარმოშობისა და სოციალური მდგომარეობისა. სამოქალაქო უფლებები გულისხმობენ იმას, რომ არავინ ისჯება

სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილების გარეშე, არავინ არაა ვალდებული გასწიოს პირადი სამსახური ვინმეს კაპრიზითა და მოთხოვნით და ყველას ნება აქვს უძრავი და მოძრავი ქონება შეიძინოს და ისინი სურვილისამებრ გამოიყენოს. გამონაკლისი იყო დაშვებული დასახლებული ადგილების მიმართ, რომელთა შექმნა მხოლოდ თავადაზნაურთა განსაკუთრებულ პრივილეგიას შეადგენდა.

უკეთებს რა კომენტარს მესამე წოდების ამ უფლებებს, სპერანსკი წერს: „ადამიანის პიროვნების, მისი ბუნების საწინააღმდეგოა კაცმა იფიქროს, თითქოს ვინმეს სურდეს იცხოვროს ისეთ საზოგადოებაში, სადაც სიცოცხლე და ქონება გარანტირებული არაა. მონები ყოველთვის და ყველგან არსებობდნენ. თვით რესპუბლიკებშიც კი მათი რიცხვი თითქმის მოქალაქეთა რიცხვს უდრიდა... მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, თითქოს სამოქალაქო მონობა აუცილებელი იყო. ძველ რესპუბლიკათა კონსტიტუციები და ეპოქის ხასიათი განსაზღვრავდნენ იქ მონობის არსებობას. ჩვენ ვიცით დიდი და ხალხმრავალი სახელმწიფოები, სადაც ასეთი მონობა ნელ-ნელა მოისპო. არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ რუსეთში მისი მოსპობა შეუძლებელია, თუ მიღებული იქნება ქმედითი ზომები“.

სამოქალაქო თავისუფლების ცნებას სპერანსკი ორად ყოფს — პირადი და ნივთობრივი თავისუფლების ცნებებად. პირადი თავისუფლების ერთ-ერთ მთავარ ნიშნად განსახილველი დოკუმენტი თვლიდა იმას, რომ არავინ არ იყო ვალდებული გაეწია პირადი სამსახური ვინმეს მოთხოვნით, ასეთი რამ, ისე როგორც გადასახადების ხასიათი და რაოდენობა, საგანგებო კანონით უნდა განსაზღვრულიყო. ნივთობრივი თავისუფლების საფუძველად პროექტი საკუთრებას აცხადებდა. საკუთრების შექმნის უფლებას ის, როგორც უკვე ვთქვით, ყველას აძლევდა. დასახლებული ადგილებისას კი — მხოლოდ პრივილეგირებულ წოდებას. ამ გამონაკლისის დაშვებას სპერანსკი ასე ასაბუთებს: „მოძრავ და უძრავ, ადამიანებით დაუსაზღვრებელ ქონებაზე საკუთრების უფლება, — წერს იგი, — უნდა ჰქონდეს განურჩევლად ყველას: რაც შეეხება დასახლებული ადგილების საკუთრებას, ის გულისხმობს ისეთ ურთიერთობას, რომელიც შეუძლებელს ხდის ყველას მონაწილეობას ამ საქმეში. ის დაკავშირებულია (ხალხის) მართვასთან და, მაშასადამე, მთავრობის კანონების ცოდნასთან, რის მიღწევაც შეუძლებელია სათანადო განათლების მიღების გარეშე. უცნაური იქნებოდა, რომ შემთხვევით გამდიდრებული მემამულის გლეხს ეყიდა მისივე მსგავსი გლეხებით დასახლებული სოფელი და ემართა ის კანონით. იგი, ვითარცა მოუშაღე-

ბელი, ვერც კანონებს დაეუფლება და ვერც მორალურ პატივისცემას დაიმსახურებს. აქედან ცხადია, რომ დასასლელად აღილებზე საკუთრების უფლება არ შეიძლება ყველას ჰქონდეს; უნდა არსებობდეს ადამიანთა სპეციალური კლასი, რომელსაც მიეცემა ეს განსაკუთრებული უფლება“.

რას გულისხმობდა სპერანსკი პოლიტიკურ უფლებებში და ვის აძლევდა მათ? პოლიტიკური უფლებები, მისი სიტყვით, გამოიხატებოდა სახელმწიფოს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ საქმიანობათა მონაწილეობაში. ამ მონაწილეობის კონკრეტულ ფორმას კი საარჩევნო კამპანიაში ჩაბმა წარმოადგენდა. მოქალაქეს, რომელსაც პოლიტიკური უფლებები ენიჭებოდა, ნება ჰქონდა თვითონაც ყოფილიყო არჩეული და სხვის არჩევაშიც მიეღო მონაწილეობა. მაგრამ, როგორც გაკვრით ზევითაც ვთქვით, ასეთი უფლებები უმტკიცდებოდა არა ყველა ქვეშევრდომს, არამედ პირველი და მეორე წოდების, ე. ი. თავადაზნაურების, ვაჭრებისა და მოქალაქეთა წარმომადგენლებს. სპერანსკი არაერთხელ უსვამს ხაზს პოლიტიკური უფლებების ყველასთვის მიცემის შეუძლებლობას. ასეთი რამ თვით რევოლუციურ საფრანგეთშიც არ გაკეთებულაო, — აღნიშნავს იგი. პროექტის ავტორის შეხედულებით, მმართველობის უმთავრესი ამოცანა პიროვნებისა და საკუთრების დაცვაა. საკუთრების დაცვა კი, ცხადია, უფრო მეტად და უკეთესად იმას შეუძლია, ვისაც ის აქვს. ამიტომ, ასკვნის სპერანსკი, სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის ნება, ე. ი. პოლიტიკური უფლებები უნდა მიეცეს საზოგადოების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც საკუთრება გააჩნია. ამ პრინციპიდან გადახვევა, ე. ი. პოლიტიკური უფლებების აბსოლუტურად ყველასათვის მინიჭება, დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა იმ მხრივ, რომ არაფრის მქონენი, ვითარცა უმრავლესობის წარმომადგენელი, მოიპოვებდნენ გაბატონებულ მდგომარეობას და მდიდართა უმცირესობას თავზე მოახვევდნენ თავიანთ აზრსა და შეხედულებებს. „რომ არჩევნებში, — ნათქვამია პროექტში, — საკუთრების მქონე პირებთან ერთად მონაწილეობა საკუთრების არამქონეთაც მივალდებინოთ, მაშინ მათი აზრი და შეხედულება, ვითარცა უმრავლესობისა, გაიმარჯვებს და ამრიგად მთელი საარჩევნო საქმე იმ ხალხის ხელში მოიყრის თავს, რომელიც ყველაზე ნაკლებადაა მომზადებული პოლიტიკური ცხოვრებისათვის... ამიტომ ყველა სახელმწიფოში, თვით რევოლუციისდროინდელ საფრანგეთშიც კი, საარჩევნო უფლება ჰქონდა მხოლოდ საკუთრების მქონე პირებს. უეჭველია, ჩვენც ამ წესს უნდა მივყვეთ და არჩევნებში მონაწილეობიდან გამოვრიცხოთ ყველა, ვისაც არა აქვს უძრავი სა-

კუთრება ან მრეწველობაში დაბანდებული გარკვეული რაოდენობის კაპიტალი“.

მაგრამ სპერანსკი აქ წერტილს არ სვამს და ისეთ რაიმეს ვეთავაზობს. რაც საგრძნობლად ზღუდავს მისი რეფორმის დემოკრატიულ საფუძვლებს. იგი მოითხოვს, რომ საარჩევნო და საერთო პოლიტიკური უფლებების მქონე პირთა სიაში შეიტანონ არა უძრავი ქონების ყველა მფლობელი. არამედ მხოლოდ ნაწილი, სახელდობრ, ის ნაწილი, რომელიც თავისი აღზრდითა და მდგომარეობით შეძლებს ზიდოს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მძიმე და საპატიო ტვირთი. ვერ შეძლებდნენ ამ ტვირთის ზიდვას, სპერანსკის აზრით, ყმა გლეხები, შინამოსამსახურეები, მუშები და ხელოსნები და ამიტომ ისინი უნდა ამოშლილიყვნენ პოლიტიკური უფლებების მქონე პირთა სიიდან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია სცნობდა მათ შესაფერებელ უფლებებს. „Есть в обществе положения, — ვკითხულობთ პროექტში, — кои по образу жизни и воспитанию не дозволяют предполагать ни довольно разума, ни столько любви к составлению закона. Таковы суть состояния домашних слуг, ремесленных и рабочих людей и поденщиков, хотя бы они и имели собственность, в капиталах состоящую“.

სპერანსკი საარჩევნო უფლებების ორ მხარეს აღნიშნავს. ერთია არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ხოლო მეორე — წარმომადგენლობითი. უკანასკნელი გულისხმობს ამა თუ იმ პირის არჩევას წარმომადგენლობით დაწესებულებაში. და რაკი წარმომადგენლობა უფრო რთული და საპატიო საქმეა, ვიდრე უბრალო მონაწილეობა არჩევნებში, ამიტომ კონსტიტუციის პროექტი პირველისთვის შედარებით მეტ ქონებრივ ცენზს აწესებდა, ვიდრე მეორისთვის¹.

სპერანსკის პროექტი, როგორც მოსალოდნელიც იყო. დიდ ადგილს უთმობს რუსეთის პოლიტიკური წყობილების საკითხს. ავტორი აქაც გაბედულად აკრიტიკებს მმართველობის დესპოტურ ფორმას. რომელიც, მისი სიტყვით. ხალხის სრულ უუფლებობასა და მონობას ნიშნავდა. ხსენებული წყობილების დროს ყველა სახის ხელისუფლება თავმოყრილია ერთი პიროვნების ხელში და აბსოლუტურად პარალიზებულია ქვეშევრდომთა შემოქმედებითი ინიციატივა. დესპოტური მმართველობა იმის მკაფიო მაგალითია, რომ


¹ „Если собственность должна быть принята основанием в праве выборов, то она должна быть предпочтена и в праве представления. По сим-то причинам во всех государствах полагается известный доход для права представления, и доход сей должен быть выше, нежели оклад для выборов“ („Введение к уложению государственных законов“).

კანონს არა აქვს არავითარი ძალა და რომ ის გათელილია შეუზღუდველი ხელისუფლების მქონე მონარქის ფეხქვეშ. სპერანსკი თავის რეფორმას იმას უსახავდა მიზნად, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებას მოღებოდა ბოლო და კანონს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი შესაბამისი ადგილი დაეჭირა. „გარდაქმნების საერთო აზრი, — ნათქვამია პროექტში, — მდგომარეობს იმაში, რომ მმართველობა, დღემდე თვითმპყრობელური, დაფუძნებულ იქნეს მუდმივ და მყარ კანონებზე. კანონზე დაფუძნებული მმართველობის შემოღება კი შეუძლებელია იქ, სადაც სამეფო ხელისუფლება კანონის შემდგენელიცაა და მისი აღმსრულებელიც“.

აქედან გამომდინარე, სპერანსკი ლაპარაკობდა სახელმწიფო ხელისუფლების სამ დარგად დაყოფაზე. რომლიდანაც პირველს საკანონმდებლო ფუნქციები ენიჭებოდა, მეორეს — აღმასრულებელი და მესამეს — სასამართლო. პროექტის თანახმად, მმართველობის ეს დარგები არ უნდა მოკალათებულიყო ერთი ადამიანის ხელში, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთში დესპოტური წყობილება დარჩებოდა და ხალხი მონობას თავს ვერ დააღწევდა. ხალხი კი, სპერანსკის აზრით, არა მარტო უნდა განთავისუფლებულიყო პოლიტიკური მონობიდან, არამედ საერთოდ აღიარებულიყო ყოველგვარი ხელისუფლების ძირითად წყაროდ. იგი პირდაპირ წერდა, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საწყისსა და წყაროს ხალხი წარმოადგენსო.

სპერანსკის პროექტით, რუსეთი უნდა ქცეულიყო მონარქიად, რომელსაც „წარმართავდა სახელმწიფო კანონებზე დაფუძნებული მეფის ხელისუფლება“ („Проекты...“. გვ. 222). სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებული დესპოტური მმართველობა უნდა შეცვლილიყო კონსტიტუციური მონარქიით. რომლის სათავეში იქნებოდა კანონებითა და წარმომადგენლობითი ორგანოებით მეტ-ნაკლებად შეზღუდული მეფე. ეს უკანასკნელი თვითნებურად ვერ შეცვლიდა მიღებულ და მის მიერვე დამტკიცებულ კანონებს და ვერ დადგებოდა მათზე მაღლა. ის ვალდებული იყო ეხელმძღვანელა ამ კანონებით და მათზე დაყრდნობით ემართა ქვეყანა. უფრო კონკრეტულად მმართველობის სპერანსკისეული სისტემა შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვიდგინოთ (იხ. გვ. 48).

როგორც ამ სქემიდან ჩანს. მმართველობის სამივე დარგი სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით უკავშირდება სამეფო ხელისუფლებას, რომელიც. მიუხედავად ერთგვარი შეზღუდულობისა, ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას. საკანონმდებლო დარგი პროექტით



ჩაბარებული ჰქონდა სახელმწიფო სათათბიროს¹. ის იყო უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის არჩევნები ოთხ საფეხურად ტარდებოდა (სათემო სათათბირო, საოლქო სათათბირო, საგუბერნიო სათათბირო და სახელმწიფო სათათბირო). ყველა კანონი სახელმწიფო სათათბიროში დგებოდა, იქ იხილებოდა, რედაქცია უკეთდებოდა და ხმის უმრავლესობით მტკიცდებოდა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოო, მას ესაჭიროებოდა მეფის თანხმობა და დასტური. კანონი მხოლოდ მაშინ შედიოდა ძალაში, როდესაც მას იმპერატორი დაამტკიცებდა. თუმცა ეს უკანასკნელი სახელმწიფო სათათბიროს გარეშე ვერ მიიღებდა ვერც ერთ კანონს, მაგრამ იქ განხილული კანონის უმაღლესი დამამტკიცებელი მაინც მეფე იყო. ეს აზრი არაერთგზისაა პროექტში გახაზული. „არც ერთ კანონს არა აქვს ძალა, თუკი ის მეფის მიერ არაა დამტკიცებული“, ნათქვამია ერთგან (პროექტები, 222). „იმპერატორი არის უმაღლესი კანონმდებელი, რომლის გარეშე არ მიიღება არც ერთი კანონი“ — ნათქვამია მეორეგან (იქვე, გვ. 223). „კანონის დამტკიცების უფლება ეკუთვნის მხოლოდ და მარტო იმპერატორს“, — ნათქვამია მესამეგან (იქვე, გვ. 174).

აღმასრულებელი ხელისუფლება მეფეს ჰქონდა მიანიჭებული. პროექტში პირდაპირ წერია: „რუსეთში მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება უქვევლად იმპერატორს უნდა ეკუთვნოდესო“ (იქვე, გვ. 171). და კიდევ: იმპერატორი „არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი საწყისი“ (იქვე, გვ. 223). ის თავის ამ ფუნქციებს ახორციელებდა სახელმწიფო საბჭოს გზით მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და მმართველი (правительствующим) სენატის მეშვეობით, რომელთა ქვედა ინსტანციებს წარმოადგენენ საგუბერნიო, საოლქო და სათემო სამმართველოები. აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო კანონების ცხოვრებაში სწორად გატარებისათვის. მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ არა მეფესა და სახელმწიფო საბჭოს, არამედ მათდამი დაქვემდებარებულ მინისტრებს. ქვეყნის მესვეურისა

¹ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ირჩევდნენ მისი წევრები და ატკიცებდა იმპერატორი. სათათბირო იკრიბებოდა ყოველწლიურად სექტემბრის თვეში. მისი მუშაობა (სხდომები) გრძელდებოდა იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო დღის წესრიგში დასმული საკითხების განსახილველად. იმპერატორს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა სათათბიროს სხდომები ან საერთოდ დაეთხოვა ის და დაენიშნა ახალი არჩევნები. სათათბიროს პირველსავე სხდომებზე იქმნებოდა კომისიები, მათ შორის სახელმწიფო კანონების, სამოქალაქო კანონების, სამინისტროთა ანგარიშების განმხილველი და ფინანსებისა („Проекты...“, 195—196).

და მისი საბჭოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება აიხსნება იმით, რომ ისინი, როგორც თვითონ შემქმნელნი და დამამტკიცებელნი კანონებისა, სპერანსკის სიტყვით, არ დაადგებოდნენ მათი დარღვევა-დამახინჯების გზას¹.

პროექტით სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციასაც იმპერატორი წარმოადგენდა. სამართლის სფერო, განსახილველი დოკუმენტის მიხედვით, უშუალო კავშირში იყო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რადგანაც ისიც, ამ უკანასკნელის მსგავსად, მოწოდებული იყო არ დაეშვა კანონების დარღვევა და ეზრუნა მათი ცხოვრებაში ზუსტად გატარებისათვის. ამიტომ, წერს სპერანსკი, სასამართლო ხელისუფლება ყველგან იმპერატორს აქვს მინიჭებული. რუსეთი ამ მხრივ გამოჩაჩივრებული არ უნდა ყოფილიყო და პროექტშიც პირდაპირაა მითითებული, რომ იმპერატორი „არის მართლმსაჯულების უმაღლესი დამცველი და... სამართალიც მისი სახელით წარმოებსო“ (იქვე, გვ. 223). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სასამართლო ორგანოებს უმაღლესი ხელისუფლების კარნახით ემოქმედათ. მათ მხოლოდ კანონით უნდა ეხელმძღვანელათ, სწორედ იმ კანონით, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს მიერ იყო მოწონებული და იმპერატორის მიერ დამტკიცებული. იმპერატორის ფუნქციები საკონტროლო ხასიათისა იყო — მას თვალყური უნდა ედევნებინა სასამართლო ორგანოების სწორად, კანონის შესაბამისად მოქმედებისათვის. „Из сего следует,— ნათქვამია პროექტში,— что действне власти державной в суде должно быть ограничено одним установлением власти, надзирающей и охраняющей судебные органы“ (იქვე, გვ. 174).

იმპერატორისადმი დაქვემდებარებულ უმაღლეს სასამართლო ორგანოს სასამართლო სენატი წარმოადგენდა², რომელსაც თავის მხრივ ემორჩილებოდნენ საგუბერნიო, საოლქო და სათემო სასამართლოები. სენატის წევრებს ირჩევდნენ საგუბერნიო სათათბიროები (მუდმივად) და ამტკიცებდა იმპერატორი. განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გასარჩევად სენატის შემადგენლობაში იქმნებოდა უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლო. მის კომპეტენციაში შედიოდა ისეთი საქმეების განხილვა, როგორცაა აჯანყების

¹ ბუნებრივია, ნათქვამია პროექტში, რომ იმპერატორს, რომელიც თვითონვე ამტკიცებს კანონს, „არ შეუძლია იმოქმედოს მისი არსის საწინააღმდეგოდ“. ამას, სპერანსკის სიტყვით, არც სახელმწიფო საბჭო გააკეთებდა, ვითარცა „კანონების მიწოდებისა და დამტკიცებისათვის ხელის შემწყობი დაწესებულება“ („Проекты...“, 171).

² „სენატი არის უმაღლესი მოსამართლე მთელს იმპერიაში“ („Проекты...“, 198).

მოწყობა, ღალატი, სახელმწიფოს უშიშროებისათვის ზიანის მიყენება და სხვ. მასვე უნდა გაერჩია მაღალი რანგის მოხელეთა სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს წევრების, სენატორებისა და მინისტრების და გუბერნატორების დანაშაულებრივი მოქმედებანი (იქვე, გვ. 200).

პროექტის მიხედვით, როგორც გაკვრით არაერთხელ აღვნიშნეთ, არსდებოდა სახელმწიფო საბჭო, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახორციელებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა საქმიანობის კოორდინაციას. სწორედ ამ საბჭოს მეშვეობით უკავშირდებოდნენ დასახელებული დარგები უმაღლეს ხელისუფლებას. კანონი, განხილული და მოწონებული სახელმწიფო სათათბიროში, გადადიოდა სახელმწიფო საბჭოში და მხოლოდ ამ უკანასკნელის დასტურის შემდეგ მიერთდებოდა იმპერატორს საბოლოოდ დასამტკიცებლად¹. საბჭოს დასტური არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ კანონი ძალაში შესულიყო². ამისთვის უმაღლესი ხელისუფლების, ე. ი. ხელმწიფის სანქცია იყო აუცილებელი. საბჭოს წევრები იყვნენ იმპერატორის მიერ ნდობით აღჭურვილი პირები. მინისტრები თავიანთი მდგომარეობით შედიოდნენ მის შემადგენლობაში. საბჭოს თავმჯდომარეობდა იმპერატორი ან რომელიმე წევრი იმპერატორის დანიშვნით.

ჩვენ გავეცანით სპერანსკის შეხედულებებს, რომლებიც გაფანტულია მის სხვადასხვა დროის ნაწერებსა და პროექტებში, მაგრამ განსაკუთრებით ვრცლად მოცემულია 1809 წლის სახელმწიფოებრივი მმართველობის გარდაქმნის გეგმაში. ეს უკანასკნელი, ისე როგორც საერთოდ მთელი მისი ნააზრევი, წინააღმდეგობრივია და შეიცავს როგორც პროგრესულ, ისე რეგრესულ კონსერვატულ საწყისებს. მესაკუთრული უფლებების მინიჭება საზოგადოების ყველა წევრისათვის, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე პირთა კონტინგენტის გაფართოება ვაჭრების, მრეწველებისა და საერთოდ არაპრივილეგიური წარმოშობის, მაგრამ ქონებრივი ცენზის მქონე ადამიანებით, საკანონმდებლო ხელისუფლების გარკვეული ფუნქციების წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის გადაცემა, სახელმწიფო

¹ „Посему все законы и учреждения в первообразных их начертаниях предлагаются и рассматриваются в государственном совете и потом действием державной власти поступают к предназначенному им совершению“ („Проекты...“, 216—217).

² „არც ერთი კანონი, წესდება და დებულება არ მომდინარეობს სახელმწიფო საბჭოდან და არ შედის ძალაში მისი უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცების გარეშე“ (იქვე, გვ. 217).

მმართველობისა და მართლმსაჯულების საფუძვლად კანონის გამოცხადება და სხვა, რასაც სპერანსკი თითქოს უყოყმანოდ უჭერდა მხარს, თავისთავად დადებითი, ქვეყნის განვითარების ბურჟუაზიული გზით წამყვანი ღონისძიებები იყო. მაგრამ ამასთან ერთად, სპერანსკი, რომელიც პრინციპში არ თანაუგრძნობდა ბატონყმობას, არ ითვალისწინებდა მის ახლო მომავალში მოსპობას და ფაქტიურად ტოვებდა მას, ისევე, როგორც იმპერატორის ხელისუფლებას, რომელიც მართალია, რამდენადმე იზღუდებოდა, მაგრამ მაინც უმაღლეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ინსტანციად რჩებოდა. არაბურჟუაზიული, ფეოდალური იყო თავისი ხასიათით პოლიტიკური უფლებების წართმევა ყმა გლეხებისა და საერთოდ სათანადო აღზრდა-განათლების არამქონე ადამიანებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ამის საშუალებას ქონებრივი ცენზი აძლევდა.

ეს ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო საწყისი, რასაც ჩვენ სპერანსკის შეხედულებებსა და პროექტებში ვხედავთ, შეპირობებულია მისი თანამედროვე ეპოქის გარდამავალი ხასიათით, როდესაც გაბატონებული ფეოდალური ფორმაციის წიაღში ვითარდებოდა და ძალას იკრეფდა ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობა. სპერანსკის რეფორმის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ ახლისათვის ანგარიშის გაწევით, გარკვეული დათმობებით, ძველის შესწორება-შელამაზებით, ეხსნა რუსეთი რევოლუციური აფეთქებისაგან¹. და მაინც სპერანსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და ამ შეხედულებათა ამსახველი პროექტები ობიექტურად პროგრესის საქმეს ემსახურებოდნენ და ამდენად დადებით შეფასებას იმსახურებენ.

სპერანსკის პროექტმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანამედროვე საზოგადოებაზე. შთაბეჭდილება, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარი იყო. რეაქციულ-კონსერვატიულ ბანაკს ის, ცხადია, არ მოეწონა და იერიში მიიტანა მასზე. სიძველის დამცველნი თავს ესხმოდნენ მას, როგორც მეოცნებეს, ქარაფშუტას, რომელიც წარსდგა მთავრობის წინაშე გარდაქმნების არარეალური, სათანადოდ მოუ-

¹ ეს კარგად შენიშნა ჩერნიშევსკიმ. იგი წერდა, რომ სპერანსკი, ერთი მხრივ, მომხრე იყო რევოლუციის შედეგად საფრანგეთში დამყარებული პოლიტიკური სისტემისა, „რომელმაც გამოაცხადა ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა და გააუქმა შუასაუკუნეობრივი წყობილება“, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ერთგული იყო იმპერატორისა და მმართველობის გარდაქმნა სურდა „არა მეფის დამხობით, არამედ მისი ხელისუფლების დახმარებით“. ჩერნიშევსკის სიტყვით, სპერანსკი იყო რუსი მოხელე, რომელსაც „არასოდეს არ მოსვლია თავში აზრი, გამოეყენებინა ისეთი ღონისძიება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კანონით ნებადართულს“.

ფიქრებელი და რუსეთისათვის მიუღებელი გეგმით. „სპერანსკის ნაშრომს (ლაპარაკია 1809 წლის პროექტზე—ი. ა.) აზის ქარაფშუტობის კვალი, ქარაფშუტობისა, რომლითაც ეს რეფორმატორი უღებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას“ — წერდა ჩვენთვის საინტერესო მოღვაწის ერთი თანამედროვე. „მე არ მინდა, — განაგრძობს იგივე თანამედროვე. — საკამათოდ ვაქციო სპერანსკის პროექტების დამსახურებანი, დარწმუნებული ვარ, რომ მათი ცხოვრებაში გატარება ქვეყნის პროგრესის მაჩვენებელი იქნებოდა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ნაშრომში, ისე როგორც სხვა ნაწერებშიც..., სპერანსკი ბევრს ფიქრობდა საქმის გარეგან ფორმაზე, მაგრამ ნაკლებად მის შინაარსზე“.

ასეთსავე შეფასებას აძლევს სპერანსკის რეფორმას მისი ბიოგრაფი ბარონი კორფი. ისიც მეოცნებეს უწოდებდა სპერანსკის და თვლიდა, რომ იგი რუსეთის სინამდვილის გაუთვალისწინებლად წინ მიდიოდა, მომავლის საქმე აწმყოში გადმოჰქონდა და მეორე ნაბიჯს პირველის გადაუდგმელად აკეთებდა. «Колосален был этот план (მხედველობაშია სახელმწიფოებრივი მმართველობის გარდაქმნის სპერანსკისეული გეგმა — ი. ა.), исполнен смелости, как по основной своей идее, так и в подробностях развития. Все еще живя жизнью более мыслительною, кабинетной, нежели практическою, Сперанский не чувствовал или скрывал от себя, что он, по крайней мере частично своих замыслов, опережает и возраст своего народа, и степень его образованности; не чувствовал, что стоит без фундамента, т. е. без достаточной подготовкой умов в отношениях нравственном, юридическом и политическом; наконец, что, увлекаясь живым стремлением к добру, к правде и возвышенному, он, как сказал когда-то немецкий писатель Гейне, хочет ввести будущее в настоящее или, как говорил Фридрих Великий про Иосифа II, делает второй шаг, не сделав первого»¹.

რეაქციონერები, რომელთა შორის თვალსაჩინო როლს თამაშობდა კარამზინი, დაუნდობლად მოექცნენ სპერანსკის. მას სამშობ-

¹ აღსანიშნავია, რომ სპერანსკის საქმიანობის ასეთ შეფასებას არსებითად მხარი დაუჭირა ისტორიკოსმა ვ. კლიუჩევსკიმაც. მან ეს რეფორმები ნაადრევად მიიჩნია. „შეუდგა რა სახელმწიფოებრივი რეფორმების საერთო გეგმის შედგენას, — წერს იგი, — მან (სპერანსკიმ — ი. ა.) ჩვენს სამშობლოს შეხედა როგორც დიდი გრიფელის დაფას, რომელზედაც შეიძლება დახაზო ნებისმიერი მათემატიკურად სწორი სახელმწიფოებრივი ნაგებობა. მან მართლაც დახაზა ასეთი გეგმა, რომელიც საოცარი... თანმიმდევრობით გამოიჩინოდა. მაგრამ როცა საქმე ამ გეგმის განხორციელებაზე მიდგა, ვერც ხელმწიფემ, ვერც მინისტრებმა ვერ შეძლეს მიეყენებინათ იგი რუსეთის ნამდვილ მოთხოვნილებათა დონისა და არსებული საშუალებებისათვის“.

ლოს მოღალატე. კანონიერი ხელისუფლების დამთრგუნველი¹ და რევოლუციონერი უწოდეს. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში სპერანსკი დამარცხდა. მან, ეტყობა, თავის გამართლება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. იმპერატორთან ორსაათიანმა საუბარმა უშედეგოდ ჩაიარა. მეფის კაბინეტიდან გამოსული სპერანსკი სახლისკენ გაემართა. იქ დახვდა პოლიციის მინისტრი ბალაშოვი, რომელიც მის ხელნაწერში იქექებოდა. 1812 წლის მარტში, ნაპოლეონთან ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

2. 5. მორდვინოვის საზოგადოებრივ-პრონომიური უხედაულობანი

ნიკოლოზ სტეფანეს ძე მორდვინოვი (1754—1845) იყო მსხვილი მემამულე, 100 ათასი დესეტინა მიწის მფლობელი. ჰქონდა ადმირალის სამხედრო წოდება. ადრე ეკავა საადმირალო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, ხოლო მოგვიანებით — საზღვაო საქმეთა მინისტრის ადგილი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტს და იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი.

მორდვინოვის შეხედულებათა არსი მდგომარეობს კერძო საკუთრების ხელუხლებლობის აღიარებაში. მესაკუთრულ უფლებებს იგი ანიჭებდა მემამულეებსა და ვაჭრებს, გლეხებს კი გამორიცხავდა ამ უფლებების მქონე პირთა კონტინგენტიდან. „საკუთრება, — წერდა ის, — ყოველგვარი კანონმდებლობის ქვეკუთხედია. საკუთრებისა და მისი დამცველი კანონების გარეშე არ არის და არც არავის უნდა სამშობლო და სახელმწიფო“.

მორდვინოვი გამონაკლისის სახით უშვებდა გლეხთა განთავისუფლებას ბატონყმური ურთიერთობიდან, მაგრამ უმიწოდ და სათანადოდ გამოსასყიდი თანხის გაღებით. ამ უკანასკნელის სიდიდე ყმის ასაკით ისაზღვრებოდა. 2-დან 15 წლამდე გადასახდელი იყო 100-დან 400 მანეთამდე, 20-დან 30 წლამდე — 1500 მანეთი, 30-დან 40 წლამდე — 2000 მანეთი და 40-დან 50 წლამდე — 1000 მანეთი. ეს ძალიან დიდი თანხა იყო და მისი გაღება მხოლოდ ერთეულებს, მდიდრებს შეეძლოთ. ასეთი ნიხრის დაწესება, თავისთავად ცხადია, საგრძნობლად აფერხებდა გლეხთა განთავისუფლების საქმეს, რაც სავსებით ხელსაყრელი იყო მორდვინოვისათვის, რომელიც

¹ რუსეთის საზოგადოების რეაქციული ნაწილის მიერ ინფორმირებული დანიელი მინისტრი წერდა: „მთავარი დანაშაული, რაშიც მას ბრალი ედება, ეს არის არსებული წყობილების სრული მოშლის განზრახვა“ („Русский архив“, 1882 г., тетрадь 4, стр. 172).

არსებითად მხოლოდ ეპოქის ზეგავლენით ლაპარაკობდა ზოგიერთ აუცილებელ ცვლილებათა შესახებ იმდროინდელ სოციალურ ურთიერთობაში. «Из истории Англии, Франции и других западноевропейских стран Мордвинову было известно, что существование крепостного права не видно, что по мере экономического и политического развития страны крепостное право уничтожается путем революции или отменяется посредством реформы. Он учитывал также, что в России крестьяне неоднократно поднимались против крепостного права, и высказывал опасения, что приблизится время всеобщего возмущения крестьян. Понимая, что сохранить крепостную зависимость крестьян на вечные времена нельзя, опасаясь восстания крестьян, Мордвинов... допускал возможность постепенного освобождения крестьян без земли, с уплатой ими выкупа за свободу». („История русской экономической мысли“).

მორდვინოვს არ აკმაყოფილებდა 1803 წლის კანონი, რადგანაც ის გლეხის მიწით განთავისუფლებას უშვებდა. იგი, როგორც უკვე ვთქვით, თანახმა იყო ყმების მხოლოდ პირადად განთავისუფლებისა და ისიც, მისი აზრით, უნდა მომხდარიყო არა უცბად და ერთბაშად. ერთი სახელმწიფოებრივი აქტით, არამედ ნელ-ნელა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში და, რაც მთავარია, მემამულეთა თანხმობითა და სურვილით. მორდვინოვის შეხედულებით, ეს საქმე დინჯად, აუჩქარებლად უნდა გატარებულიყო იმიტომაც, რომ მემამულეები მომზადებული შეხვედროდნენ მუქთი შრომის დაკარგვას — უნდა დაეგროვებინათ თავისუფალი სამუშაო ძალის დასაქირავებელი კაპიტალი. „მაშინ.—წერდა იგი,—არც ერთი მემამულე არ მოისურვებს ჰყავდეს თავის მიწაზე ყმა..., მაგრამ სანამ ეს ბედნიერი ცვლილება მოხდება, საჭიროა შევინარჩუნოთ ბატონყმური ურთიერთობა“.

საინტერესოა მორდვინოვის ეკონომიური შეხედულებანი. ის უმთავრეს ამოცანად თვლიდა რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევას, რაც, მისი აზრით, მრეწველობის უპირატესი განვითარებით შეიძლებოდა. „რუსეთი. — ნათქვამია ერთ მის ნაშრომში, — გამდიდრების მხრივ ჩამორჩა სხვა ქვეყნებსა და ხალხებს იმიტომ, რომ აქამდე სოფლის მეურნეობას უფრო მეტი უპირატესობა ეძლეოდა, ვიდრე ქალაქის მრეწველობას“ („О мерах улучшения государственных доходов“). ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მას აუცილებლად მიაჩნდა რუსეთის გამოყვანა „მიწათმოქმედი ქვეყნის მდგომარეობიდან და გადაყვანა სანრეწველო ქვეყნის მდგომარეობაში“.

მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობის წარმატებას

შეუწყობდა ხელს. „შეუძლებელია. — წერდა მორდვინოვი, — მიწათმოქმედების განვითარება ხელოსნობისა და ფაბრიკების გარეშე. ფაბრიკების გამრავლებით სოფლის მუშას ექნება უკეთესი ბარი, უკეთესი ფარცხი და სხვა იარაღი. სოფლის მეურნეობის ყველა დარგი დაწინაურდება“ (იხ. მისი „ზოგიერთი მოსაზრება მანუფაქტურებისა და ტარიფის თაობაზე რუსეთში“, რუსულად). მიწათმოქმედს. მრეწველობაში დამზადებულ სამუშაო იარაღებით მოუმარაგებელს, ის უზემ მწარმოებელს უწოდებს, რომელსაც მთელი სიმძიმის ცენტრი ხელით შრომაზე გადააქვს. მორდვინოვის აზრით, ყველას, ვისაც სიკეთე სურდა სოფლის მოსახლეობისათვის, ხელი უნდა შეეწყო ფაბრიკების გამრავლებისათვის

მრეწველობის წარმატებისათვის ზრუნვა მას აუცილებლად მიანიჭდა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინარჩუნების თვალსაზრისითაც. „მიწათმოქმედი ქვეყნის ხალხები, — წერდა მორდვინოვი, — კეთილდღეობისკენ ძალზე ნელი ნაბიჯით მიიწევენ წინ, იმყოფებიან სიღარიბესა და გაჭირვებაში და, რაც მთავარია, ასეთი ხალხები არ შეიძლება თავისუფალი იყვნენ, რადგანაც დამოკიდებული არიან სხვა სახელმწიფოებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ. აღნიშნული ხალხები მოკლებული არიან მეტად საჭირო პოლიტიკურ თავისუფლებას... და იძულებული ზღებიან დაემორჩილონ მეზობლების ხელმძღვანელობასა და ნებასურვილს“ (იქვე).

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მორდვინოვის შეხედულებებში სუსტ მხარეებთან ერთად (მაგალითად, მიწის მემამულეთა კანონიერ საკუთრებად გამოცხადება და გლეხის მხოლოდ პირადი განთავისუფლების დაშვება და ისიც გამოსყიდვით) იყო ძლიერი მხარეებიც, რომლებიც ობიექტურად პროგრესის საქმეს ემსახურებოდნენ. მორდვინოვის წინადადების, კერძოდ მისი ეკონომიური პროგრამის ცხოვრებაში გატარება არსებითად ძირს გამოუთხრიდა ბატონყმობას, გააძლიერებდა ბურჟუაზიულ ელემენტს, თუმცა თვითონ მას მიწასა და სამუშაო ძალაზე მემამულეთა მონოპოლიის დატოვება და საერთოდ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნება სურდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მორდვინოვს უნდოდა ქვეყნის „ბურჟუაზიული ეკონომიური პროგრესი თავადაზნაურობის ხელმძღვანელობისათვის დაემორჩილებინა“ („რუსეთის ეკონომიური აზროვნების ისტორია“). სწორედ ამან განსაზღვრა მის შეხედულებათა წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის ელემენტების შერწყმაში გამოიხატა.

ლიტერატურა და წყაროები

1. ა. ს უ რ გ უ ლ აძ ე, რუსეთი XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1963, გვ. 158—166.
2. В. О. Ключевский. Сочинения, т. V, 1958 г., стр. 216—228.
3. С. Б. Окунов. Очерки истории СССР (конец XVIII — первая четверть XIX века), 1956 г., стр. 170—184.
4. И. Г. Блюмин. Очерки истории экономической мысли в России в первой половине XIX века, М.-Л., 1940 г., глава IV.
5. А. И. Пыпин. Общественное движение в России при Александре I, 1900 г., стр. 120—182.
6. А. И. Пашков и др. История русской экономической мысли, т. I, ч. 2, стр. 40—60; 61—80.
7. Н. К. Шильдер. Император Александр I, т. II, СПб, 1897 г., стр. 249—259; 372—395.
8. Н. М. Карамзин. Записки о древней и новой России, СПб, 1914 г.
9. М. М. Сперанский. Проекты и записки, 1961 г.
10. Н. С. Мордвинов. Избранные произведения, М., 1945 г., стр. 75—87; 217—220.

**დეკაბრისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შეხედულებანი**

**1. დეკაბრისტულ შეხედულებათა ფორმირების იდეური წანამძღვრები.
წინადეკაბრისტული ორგანიზაციები**

დეკაბრიზმის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა გარკვეული სისტემის ფორმირება საკმაოდ დიდ ხანს მიმდინარეობდა. მას თავისი იდეური და ორგანიზაციული წანამძღვრები ჰქონდა. მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, შთაგონებული რადი-შჩევის „მოგზაურობის“ ანტიბატონყმური იდეებით, გაბედულად უტევდა არსებულ წყობილებას და მისი ახალი, უფრო სამართლიანი წყობილებით შეცვლას მოითხოვდა. დროთა განმავლობაში ეს შეხედულებები იხვეწებოდა და შედარებით მწყობრ სისტემად ყალიბდებოდა.

დეკაბრისტული იდეების შესწავლისას ყურადღებას იპყრობს ს მ ო ლ ე ნ ს კ ი ს ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი ს წ რ ე, დაარსებული კახოვსკის მიერ XVIII საუკუნის 90-იან წლებში. ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ო წინადეკაბრისტული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის შესახებ ძალიან მცირე რამაა ცნობილი. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, წრის წევრები (რამდენიმე ათეული კაცი) მძიმედ განიცდიდნენ თავისი ქვეყნის ბედს და ოცნებობდნენ მისი პოლიტიკური მმართველობის საფუძვლიან გადახალისებაზე. ამ გადახალისების შედეგად რუსეთი რესპუბლიკად უნდა ქცეულიყო. ასე ფიქრობდა ყოველ შემთხვევაში წრის წევრთა ერთი ნაწილი. მიზნის მისაღწევად ისინი მოქმედების ტერორისტულ ტაქტიკასაც მიმართავდნენ, ვარაუდობდნენ, კერძოდ, იმპერატორის მოკვლას და ამაზე გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ. ალექსანდრე კახოვსკი სამხედრო ძალის გამოყენებაზეც ფიქრობდა. კაპიტან კრიაჟევის ჩვენების თანახმად, მას ამ მიზნით სუვოროვთანაც ჩამოუგდია ლაპარაკი, მაგრამ უშედეგოდ. გაჩუმდი. გაჩუმდი, არ შემოძლია, ვერ ჩავყოფხელს თანამემამულეთა სისხლშიო, — ყოფილა თურმე მისი პასუხი.

მთავრობამ მიაგნო წრეს და გაანადგურა იგი.

დეკაბრისტული იდეების გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან

კერას წარმოდგენდა მოსკოვის უნივერსიტეტი. ამ უდიდესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების მოწინავე პროფესორები და სტუდენტები შეძლებისდაგვარად ეწეოდნენ პროგრესულ შეხედულებათა პროპაგანდას, ანტიბატონყმური და ანტიმონარქისტული იდეების პოპულარიზაციას. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, პროფესორი ცვეტაევი, რომელიც ბუნებით სამართალში კითხულობდა ლექციებს. ამ ლექციების ხასიათსა და მიმართულებაზე წარმოდგენას გვაძლევს სტუდენტ ნ. ტურგენევის მოგონება. იგი 1808 წლის 7 მაისის თარიღით თავის დღიურებში წერს: „ლაპარაკობდა რა სხვადასხვა სახის დანაშაულზე, პროფესორმა ცვეტაევმა სხვათაშორის განაცხადა, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში არ შეიმჩნევა უბრალო ხალხისადმი ისეთი სიძულვილი, როგორც ჩვენთან, რუსეთში (თუმცა ამის მოსმენა ძალზე ძნელი იყო, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მართლაც უბრალო ხალხი არსად არაა ისე შევიწროვებული, როგორც ჩვენთან). ცვეტაევი ასახელებდა მაგალითებს, როდესაც მაღალი წრიდან გამოსული ბევრი ყმაწვილი, რომელსაც ჯერ კიდევ ტუჩებზე დედის რძე არ შემრობია, განკარგულებას იძლევა უკანონოდ სცემონ საწყალი კაცი პოლიციის თვალწინ“.

ამ ლექციებმა ტურგენევზე, ეტყობა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. იგი ამ ტუჩებზე დედის რძეშეუმრობელ ყმაწვილებს „ადამიანთა მოდგმის მტარვალებს“ უწოდებს.

დეკაბრისტულ შეხედულებათა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა აგრეთვე დისკუსია, რომელიც გაიმართა მოსკოვის უნივერსიტეტში დაახლოებით 1813 წელს მალოვის საკანდიდატო დისერტაციასთან დაკავშირებით. საკვალიფიკაციო ნაშრომის ავტორი, ჩანს, მიზნად ისახავდა ეჩვენებინა მონარქიული წყობილების უპირატესობა მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით. დისერტანტს ეს არამცთუ არ დაუმალავს, არამედ თავისი „ნააზრევით“ შესაბამისად დაუსათაურებია — „მონარქიული მმართველობა ყველა სახის მმართველობაზე უკეთესია“. როგორც თანამედროვე დ. სვერბეევის მოწმობიდან ჩანს, დისერტაციის თეზისებში სიტყვა „მონარქიულს“ წამატებული ჰქონია სიტყვა „შეუზღუდველი“, ხოლო გამოთქმას „უკეთესია“ — სიტყვები: „რუსეთისათვის აუცილებელი და ერთადერთი“. უნივერსიტეტის მოწინავე ადამიანებს დიდი წინასწარი მუშაობა ჩაუტარებიათ — მათ კამათში მონაწილეობისათვის საიმედო და ნიჭიერი ახალგაზრდები მოუმზადებიათ. ისინი მართლაც მარჯვედ შებმიან მონარქისტებს, რომელთა წინააღმდეგ მერე თვით უფროსი თაობის წარმომადგენლებიც გაოსულან დეკაბრისტ სტეფანე სემიონოვის მეთაურობით. ისინი თურ-

მე. ამ დისკუსიაში მონაწილე სვერბეევის მოწმობით, დიდი ალტაკებით ლაპარაკობდნენ რომის რესპუბლიკაზე და ამ უკანასკნელის მაგალითზე უჩვენებდნენ დემოკრატიული წყობილების აშკარა უპირატესობას რუსეთში გაბატონებულ დესპოტურ მმართველობასთან შედარებით. სხდომის თავმჯდომარე სანდუნოვი შეკამათებია მათ. „თქვენ. ბატონებო, ასახელებთ რომის რესპუბლიკის მაგალითს, მაგრამ გავიწყდებთ, რომ ის (რომი) არაერთხელ ამყარებდა დიქტატურას“. ამ შენიშვნით ოდნავადაც არ შემფოთებულა მოწინააღმდეგეთა ბანაკი და თავისი წარმომადგენლის სემიონოვის პირით განუცხადებია: მედიცინა ხშირად მიმართავს სისხლის გამოშვებას, მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამომდინარეობს, რომ ის ყოველთვის საჭიროა: ჭანსალი ადამიანებისათვის იგი სრულიად ზედმეტია და ზიანის მომტანი. თავმჯდომარე, რომელიც კამათის წაგების აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, იძულებული იყო დისპუტი შეეწყვიტა: „ასეთ რეპლიკას, — მიუმართავს მას დამსწრე საზოგადოებისათვის, — ყველაზე უკეთეს პასუხს მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერი გასცემდა, მაგრამ ვინაიდან მისი მოწვევა უნივერსიტეტში უხერხულია, მე როგორც დეკანი, დისპუტს ვხურავ“.

ამრიგად, რესპუბლიკურმა ბანაკმა სრულ გამარჯვებას მიაღწია მონარქისტებთან შერკინებაში.

უკეთესს რა კომენტარს ამ შემთხვევას, აკად. მ. ნეჩინა წერს: «Этот замечательный случай интересен с разных сторон. Во-первых, он говорит о процессе идейного брожения и развития среди молодежи первых политических взглядов, враждебных самодержавию. Во-вторых, пример свидетельствует не о каком-нибудь мечтателе-одиночке, а о наличии многих вольнодумцев, причем организовавшихся и рискнувших выступать открыто под предводительством будущего декабриста. В-третьих, он говорит о слабости политического надзора и снисходительном отношении начальства к подобному вольнодумству. Декан-монархист, возмущенный молодыми республиканцами и даже закрывший в силу этого диспут, все же считает „неприличным“ для университета прибегать к помощи полицмейстера. Позже правы переменялись, и после восстания декабристов московский полицмейстер становится необходимой опорой университетского начальства в борьбе с передовым общественным движением».

დეკაბრისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და გავრცელების ასევე მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა კოლონების ბელმძღვანელთა სკოლა (Школа колонновожатых) მოსკოვში, და--

არსებული მომავალი დეკაბრისტების ალექსანდრე და მიხეილ მურავიოვების მამის, ნ. მურავიოვის მიერ. ამ სკოლიდან მარტო 1816—1823 წლებში, ე. ი. შვიდი წლის განმავლობაში, როდესაც მას ნ. მურავიოვი ედგა სათავეში, ოცდაოთხი მომავალი დეკაბრისტი გამოვიდა. მათ შორის: კრიუკოვი, ბასარგინი, არტამონ მურავიოვი, მუხანოვი, კორნილოვიჩი, ლიხაროვი, ზაიკინი და სხვ. სწორედ აქ, ამ წრის ატმოსფეროში, შეიქმნა (1810—1811 წწ.) ფარული საზოგადოება „ყმაწვილური თანაძმობა“ („Юношеское общество“), რომლის მიზანს არსებული წყობილების გარდაქმნა და მისი სულ სხვა საფუძვლებზე აშენება წარმოადგენდა. აი რას წერს ამ, „ჩოკას“¹ სახელითაც ცნობილი წრის შესახებ მისი შემქმნელი და ხელმძღვანელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი, რომელიც, მოგვიანებით, მეფისნაცვლად დანიშნეს კავკასიაში: „როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ახალგაზრდობის წლებში, ჩვენ ვმსჯელობდით ბევრ რამეზე და მე, არ ვზღუდავდი რა ჩემს წარმოდგენა-შეხედულებებს, რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ ზეგავლენით შემუშავებულს, ვსახავდი სხვადასხვა ღონისძიებას მომავლისათვის. ვფიქრობდი და მოვიფიქრე შემდეგი: ხუთი წლის შემდეგ წავსულიყავი რომელიმე პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფი ხალხით დასახლებულ კუნძულზე, თან წამეყვანა რამდენიმე საიმედო ამხანაგი, გამენათლებინა კუნძულის მოსახლეობა და შემიქმნა ახალი რესპუბლიკა... ჩამოვყალიბე რა ქალაქზე რესპუბლიკის კანონები, დავითანხმე ჩემთან ერთად გამგზავრებულნიყვნენ კუნძულზე არტამონ მურავიოვი, მათე მურავიოვ-აპოსტოლი და ორი პეროვსკი — ლევანი და ვასილი... მერე შეიქმნა ნამდვილი საკრებულო და შემოღებულ იქნა ერთმანეთის გამოსაცნობი პირობითი ნიშნები... მე ამირჩიეს საზოგადოების პრეზიდენტად... კრებებზე იკითხებოდა წევრების მიერ შედგენილი მოხსენებები ამხანაგობის კანონების გაუმჯობესება-სრულქმნის შესახებ და სათანადო განხილვის შემდეგ მტკიცდებოდა. სხვათაშორის დავადგინეთ, რომ თითოეულს, ჩემი გამოკლებით, ესწავლა რომელიმე ხელობა, მე კი სამხედრო ნაწილების შედგენა და ჩვენი სამფლობელოს (ე. ი. რესპუბლიკის — ი. ა.) მეზობლების თავდასხმისაგან დაცვა დამევალა. არტამონს ექიმობა უნდა ესწავლა, მათეს — ღურგლობა. ცხენოსანთა გვარდიის იუნკერ სენიავინს ფლოტისთვის უნდა ეხელმძღვანელა“.

საზოგადოების მიერ შემუშავებული ეს გეგმა. თავისთავად ცხა-

¹ „ჩოკა“ სახალის ნიშნავდა. სწორედ ეს კუნძული იქნა შერჩეული ახალი წყობილების ჩამოსაყალიბებლად.

დია. უტოპიური იყო და მას ცხოვრებაში განხორციელება არ ეწერა. უტოპიური და ფანტასტიკური იყო შედარებით მაღალი და სრულ-ქმნილი პოლიტიკური წყობილების შექმნის იდეა კუნძულზე, რომლის მოსახლეობა პირველყოფილ მდგომარეობას არ გასცილებია. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის მთავარია არა აღნიშნული გეგმის ფანტასტიკური ხასიათის გახაზვა. არამედ მისი შინაარსი და მიზანდასახულობა. ის ვითარება, რომელმაც წრეში გაერთიანებული ახალგაზრდობა მის შემუშავებამდე მიიყვანა. ნახევრად უკაცრიელ და ცივილიზაციის სხივებშიუკარებელ კუნძულზე გადახვეწა, რაც ფარული საზოგადოების წევრებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მკაფიო მოწმობაა მათი პროტესტანტული განწყობილებისა. ეს იყო იმ სიძულვილის დემონსტრაცია, რომელსაც იჩენდა თითოეული მათგანი იმდროინდელი რუსეთის დესპოტური მმართველობისადმი. ისინი, როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. ნეჩკინა, მიდიოდნენ შორეულ ქვეყანაში არა იმ მიზნით, რომ იქ მათ სამშობლოში არსებული, სოციალურ და პოლიტიკურ ჩაგვრაზე დამყარებული წყობილება დაენერგათ, არამედ შეექმნათ ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული რესპუბლიკა. ეს უკანასკნელი, ცხადია, გამორიცხავდა ბატონყმობას და მეფის ადგილს მმართველობაში, რომელიც მთლიანად ხალხის ხელში გადადიოდა.



როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, დეკაბრისტული იდეების ფორმირება ჯერ კიდევ 1812 წლის სამამულო ომამდე დაიწყო. ამ უკანასკნელმა და 1813—1814 წლების რუსეთის ჯარების საზღვარგარეთულმა ლაშქრობებმა კი საგრძნობლად დააჩქარეს ეს პროცესი. მათ ითამაშეს უძლიერესი კატალიზატორის როლი. აღნიშნულმა მოვლენებმა წინა პლანზე წამოსწიეს ხალხის პრობლემა, ხალხისა, რომელმაც ლეგენდარული გმირობის გამოჩენით დაიცვა თავისი სამშობლო, მისი დამოუკიდებლობა და იხსნა ევროპის ქვეყნები ნაპოლეონ ბონაპარტის ბატონობისაგან. ყველას მიერ შევიწროებულმა და შეურაცხყოფილმა გლეხმა თითქოს ღრმა ძილიდან გამოღვიძება იწყო, თავი მეტი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსად სცნო. „1812 წლის ომმა, — ნათქვამია დეკაბრისტ ი. იაკუშკინის მოგონებაში, — ხალხი გამოაღვიძა. ის (ომი — ი. ა.) წარმოადგენს მნიშვნელოვან პერიოდს ხალხის პოლიტიკურ არსებობაში. მთავრობის ყველა განკარგულება და ღონისძიება უძლური იქნებოდა განედევნა რუსეთში

შემოქრილი გალები და ორ ათეულ ენაზე მოლაპარაკე მტერი, რომ ხალხი წინანდებურად გაოგნებული ყოფილიყო. მოსახლეობამ ტყეებსა და ქაობებს შეაფარა თავი ფრანგების მოახლოებისას, ისე, რომ არ ყოფილა მთავრობის საგანგებო განკარგულება. მოსკოვის მთელი მოსახლეობა გავიდა ძველი დედაქალაქიდან ჯართან ერთად მთავრობის განკარგულების გარეშე. რიაზანის გზის ორივე მხარის მინდვრები სავსე იყო ჭრელი მასით და ახლაც მახსოვს ჩემს გვერდით მდგარი ჯარისკაცის სიტყვები: „მადლობა ღმერთს, მთელი რუსეთი სალაშქროდ აღდგა“. ჯარში უკვე არ იყო არც ერთი შეუგნებელი ჯარისკაცი, თითოეული გრძნობდა, რომ მოწოდებულია ხელი შეუწყოს დიდ საქმეს“.

ომგადახდილი გლეხები შეღავათს მოელოდნენ, ეგონათ. რომ მთავრობა მათ შრომისა და ცხოვრების უკეთეს პირობებს შეუქმნიდა, თითქმის დარწმუნებული იყვნენ, რომ მიწასა და თავისუფლებას მიიღებდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამან კი მათი უკმაყოფილება კიდევ უფრო გააძლიერა. „ჯერ კიდევ ომი არ დასრულებულიყო. — წერდა ალექსანდრე ბესტუჟევი, — რომ სახლში დაბრუნებულმა რაზმელებმა, გაავრცელეს ხალხში უკმაყოფილების სული. ჩვენ ვღვარეთ სისხლი, ამბობდნენ ისინი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გვაიძულებენ ოფლი ვიწუროთ საბატონო სამუშაოზე. ჩვენ ვიხსენით სამშობლო ტირანისაგან, ბატონები კი ძველებურად ტირანებად გვევლინებიან“.

ხალხის ასეთი მდგომარეობა. ცხადია აწუხებდა მოწინავე ადამიანებს, მომავალ დეკაბრისტებს, აღვივებდა მათში პროტესტანტულ განწყობილებას. „მე უკმაყოფილებას გამოვთქვამდი ღმერთისა და მეფის მისამართით, მოახსენა ძიებას დეკაბრისტმა ი. ანდრეევიჩმა, — და გაბრაზებულ გუნებაზე ვცდილობდი დამედგინა თანამემამულეთა ტანჯვა-წამების წყარო. და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც არაფერი ვიცოდი ფარული საზოგადოების არსებობაზე. აი მიზეზი, მეტად ცხადი, რომელმაც მაიძულა მეძებნა ხალხის მუდარისა და ჯარისკაცების კვენისის თანამგრძნობი ადამიანები, ჯარისკაცებისა, ასე ბრწყინვალედ და გმირულად რომ იბრძოდნენ 1812 წლის ომში... მათ ფიცი მისცეს ტახტს, სამშობლოს და ეს ფიცი პირნათლად შეასრულეს. და განა შესაფერისი ჯილდო მიიღეს მათ გამოჩენილი მამაცობისათვის? არა, პირიქით, ხალხის ტანჯვა მერე კიდევ უფრო გაძლიერდა. ამაზე არაფერს ვიტყვოდი, რომ სამშობლოს ერთგული შვილი არ ვიყო“. იმავე ანდრეევიჩის განცხადებით ომში, ქმრებდაკარგულ ქვრივთა ტირილი, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა ქვითინი, ობლების უნუგეშო მდგომარეობა, მასობრივი

მათხოვრობა. ბრმებისა და დასახიჩრებულთა სიმრავლე, მათდამი სრული უყურადღებობა მკაფიო მაჩვენებელი იყო იმისა, რომ „არსებობს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც გვიგზავნის ყველა ზემოჩამოთვლილ უბედურებას“.

ერთი სიტყვით, სამამულო ომის გავლენა მომავალ დეკაბრისტებზე ისე დიდი იყო, რომ მათე მურავიოვს სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „ჩვენ 1812 წლის შვილები ვართ“.

მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დეკაბრისტების შეხედულებათა ფორმირებაზე გარკვეული (მაგრამ არა გადამწყვეტი) ზეგავლენა 1813—1814 წლების რუსეთის ჯარების საზღვარგარეთ ლაშქრობაშიც მოახდინა. ევროპის ქვეყნებში ყოფნამ ისინი მტკიცედ დაარწმუნა საკუთარი სამშობლოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების ჩამორჩენილობაში. მათთვის ცხადი გახდა ვეებერთელა კონტრასტი რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, რომლიდანაც პირველში ხალხი ბატონყმობისა და დესპოტური მმართველობის ვითარებაში ცხოვრობდა, ხოლო მეორეში — ბურჟუაზიული თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში. „მთელი წლით გერმანიაში, ხოლო რამდენიმე თვით პარიზში ყოფნას, — ვკითხულობთ იაკუშკინის მოგონებაში. — არ შეეძლო რამდენადმე მანც არ შეეცვალა მოაზროვნე რუსი ახალგაზრდობის შეხედულებანი; იმ გრანდიოზულ ატმოსფეროში ყოველი ჩვენგანი მეტ-ნაკლებად გაიზარდა“.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდებმა უფრო ნეტად იწყეს ფიქრი ხალხის ბედზე, მის ჭირ-ვარამზე. სრულ უუფლებობაზე. „ჩვენს საუბრებში, ჩვეულებრივ, — წერს იაკუშკინი, — ლაპარაკი იყო რუსეთის მდგომარეობაზე. ვმსჯელობდით სამშობლოს მთავარ წყლულებზე: ხალხის სიბეჩავეზე, ბატონყმობაზე, ჯარისკაცებისადმი მკაცრ დამოკიდებულებაზე, მათი 25-წლიანი სამსახურის აუტანლობაზე, საყოველთაოდ გავრცელებულ მექრთამეობაზე, მძარცველობაზე და, დასასრულ, ადამიანისადმი სრულ უპატივემლობაზე“.

უცხოეთში ნამყოფი ახალგაზრდებისათვის ძნელი იყო ბატონყმურ რუსეთსა და მის დამცველ საზოგადოებასთან შეგუება. გაჩნდა მთელი უფესკრული არსებული წყობილების მომხრე და მის მოწინააღმდეგე ძველსა და ახალ თაობებს შორის. „ორი წლის განმავლობაში (მხედველობაშია 1813—1814 წწ., როდესაც რუსეთის ჯარები საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ — ი. ა.), — გვიდასტურებს იგივე თანამედროვე, — ჩვენს თვალწინ მრავალი დიდი მნიშვნელობის მოვლენა დატრიალდა, რომლებმაც გადაწყვიტეს ხალხთა ბედი.

ჩვენ გარკვეული აზრით ვმონაწილეობდით მასში. ახლა პირდაპირ შეუძლებელი გახდა პეტერბურგის ცარიელი და უშინაარსო ცხოვრების ატანა და იმ მოხუცთა ლაყობის მოსმენა, რომლებიც ყოველივე ძველს ქება-დიდებას ასხამდნენ და ახალს კი ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ; ჩვენ იმათთან შედარებით მთელი ასი წლით წინ ვიყავით წასული“.

მოწინავე, ძველისგან მკვეთრად განსხვავებული ახალგაზრდობის ბანაყის შექმნაზეა ლაპარაკი უცნობი ავტორის ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში — „წერილი გერმანიაში მყოფ მეგობარს“. იქ ნათქვამია: „ამ დედაქალაქის (ე. ი. პეტერბურგის — ი. ა.) საზოგადოებასთან რამდენიმე შეხვედრაც კი საკმარისია, რომ შენიშნო, თუ რაოდენ დიდია განხეთქილება მაღალი კლასის წრეში. ერთნი მომხრენი არიან ძველი წესების, დესპოტური მმართველობისა და ფანატიზმისა, ხოლო მეორენი — იცავენ უცხოურ ჩვევებსა და ლიბერალურ იდეებს. ეს ორი პარტია თავისებურ საომარ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, თითქოს სიბნელის სული ექიდება სინათლის გენიას“.



სამამულო ომითა და 1813—1814 წლების საზღვარგარეთ ლაშქრობებით შთაგონებული ახალგაზრდობა ახლა მეტი ინტენსიურობით აგრძელებს ანტიბატონყმური და ანტიმონარქიული იდეების პროპაგანდას, ვიდრე მანამდე. ახალი იდეების გავრცელება სხვადასხვა წრეებში მიმდინარეობდა, რომელთაგან ზოგი აშკარად არსებობდა, ზოგი კი — ფარულად. ლეგალურად მოქმედი წრეების რიცხვს ეკუთვნოდა „ს ე მ ი ო ნ ო ვ ი ს პ ო ლ კ ი ს ო ფ ი ც ე რ თ ა ა რ ტ ე ლ ი“, დაარსებული 1815 წელს. მასში, იაკუშკინის მოწმობით, გაერთიანებულია 15 თუ 20 კაცი იმ მიზნით, რომ „ერთად სადილობის საშუალება ჰქონოდათ“. სადილის შემდეგ არტელის წევრები ქადრაკს თამაშობდნენ, უცხოურ გაზეთებს კითხულობდნენ და ამ გზით იგებდნენ ევროპაში მომხდარ ამბებს. დროის ასეთი გატარება, თანამედროვეთა მოწმობით, სრულიად ახალი მოვლენა იყო. იმპერატორ ალექსანდრე I-ს არ მოეწონა ეს და წინადადება მისცა პოლკის უფროსს გენერალ პოტიომკინს, არტელი დაეხურა. გენერალი, რომელიც არ კრძალავდა ახალგაზრდა ოფიცრების ზემოაღნიშნულ საქმიანობას, იძულებული იყო ბრძანება სისრულეში მოეყვანა (1815 წ.).

1815 — 1818 წლებში მოქმედებდა „გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი შ ტ ა ბ ის ო ფ ი ც ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა ა რ ტ ე ლ ი“ — ომის შემდეგდროინდელი მეორე წინააღმდეგობრივი ორგანიზაცია. მისი შემქმნელი და სულისჩამდგმელი იყვნენ: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი, მისი ძმები ალექსანდრე და მიხეილი, ივანე ბურცოვი, პეტრე და პავლე კალოშინები, ივანე და მიხეილ პუშჩინები, ალექსი სემიონოვი, ალექსანდრე რაჰინსკი და დემიან ისკრიტსკი. არტელს რესპუბლიკური მიმართულება ჰქონდა. მისი შინაური ყოფა სწორედ რესპუბლიკურ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ერთ ოთახში ეკიდა „ვეჩეს ზარი“, რომლის დარეკვის უმალ იკრიბებოდნენ წრის წევრები საერთო საქმეების გადასაჭრელად. ნ. მურავიოვის მოწმობით, არტელის ყველა წევრს ნება ჰქონდა ზარი დაერეკა და კრების განსახილველად ესა თუ ის საკითხი გამოეტანა. ნოვგოროდის „რესპუბლიკის“ წინაშე ქედის მოხრა, როგორც სამართლიანად წერს აკად. მ. ნეჩკინა, დეკაბრიზმის დამახასიათებელი ნიშანია. ცნობილია, მაგალითად, რომ პესტელმა და ნიკიტა მურავიოვმა უფრო გვიან თავიანთ კონსტიტუციის პროექტებში მომავალი რუსეთის პარლამენტს „სახალხო ვეჩე“ უწოდეს. „დიდი ნოვგოროდის ისტორია ამტკიცებდა ჩემში რესპუბლიკურ აზრებს“, უთქვამს თავის ჩვენებაში სამხრეთელი დეკაბრისტების მეთაურს. ნიკიტა მურავიოვის „საინტერესო საუბარში“ კი ჩვენ შემდეგ საყურადღებო ადგილს ვხვდებით:

კ ი თ ხ ვ ა: როგორი მმართველობა იყო რუსეთში თვითმპყრობელობის შემოღებამდე?

პ ა ს უ ხ ი: სახალხო ვეჩეს მმართველობა.

კ ი თ ხ ვ ა: რას ნიშნავს ვეჩე?

პ ა ს უ ხ ი: ვეჩე ნიშნავს სახალხო კრებას. ყოველ ქალაქში ვეჩეს ზარის დარეკვის უმალ იკრიბებოდა ხალხი ან მისი წარმომადგენლები და მსჯელობდნენ საერთო საქმეებზე, ადგენდნენ საიდან რამდენი მებრძოლი გამოეყვანათ, რამდენი გადასახადი აეღოთ, სამართალში აძლევდნენ „ნამესტნიკებს“, როდესაც ისინი ძარცვავდნენ და ავიწროვებდნენ მოსახლეობას. ასეთი ვეჩეები არსებობდნენ კიევში, ნოვგოროდში, ფსკოვში, ვლადიმირში, სუზდალსა და მოსკოვში.

კ ი თ ხ ვ ა: რატომ და როდის შეწყვიტეს ამ ვეჩეებმა არსებობა?

პ ა ს უ ხ ი: ამ ვეჩეებმა არსებობა შესწყვიტეს თათარ-მონღოლთა შემოსევის შემდეგ; თათრებმა ასწავლეს ჩვენს წინაპრებს ტირანული ხელისუფლებისადმი მორჩილება.

ერთი სიტყვით, ნოვგოროდის რესპუბლიკის ერთგვარი იდეალი-

ზაცია, რაც ასე დამახასიათებელია დეკაბრისტებისთვის საერთოდ და გენერალური შტაბის ოფიცერთა არტელისათვის — კერძოდ, ნათლად ლაპარაკობს ამ უკანასკნელის რესპუბლიკურ ხასიათზე. არტელის წევრებს მტკიცედ სწამდათ, რომ მათი სანუკვარი ოცნების განხორციელება გარდუვალი იყო და ვერავინ შეძლებდა მისი წარმატების შეჩერებას. ეს კარგად ჩანს ლექსიდან „არტელის მეგობრებს“, რომელიც მ. ნეჩკინას ვარაუდით, პეტრე კალოშინს უნდა ეკუთვნოდეს. იქ ნათქვამია:

Но час пробьет: услышим мы
Отечества призыванье!
Тогда появится из тьмы
Душ пламенных желанье:

Сплетенные рука с рукой,
На путь мы ступим жизни,
И пылкой полетим душой
Ко счастью отчизны.

И кто возможет положить
Преграды нам в полете?
Кто для отчизны а.тчет жить,
Тот выше бедствий в свете.

დაახლოებით 1816 წელს კ ა მ ე ნ ე ც-პ ო დ ო ლ ს კ შ ი შეიქმნა ომის შემდგომდროინდელი მესამე წინადეკაბრისტული წრე, რომელსაც ოფიცერი ვ ლ ა დ ი მ ე რ რ ა ე ვ ს კ ი მეთაურობდა. მისი წევრები იყვნენ პოდპოლკოვნიკი კისლოვსკი, შტაბის კაპიტანი პრიკლინსკი, გუბინი, ექიმი დიმერი და სხვ. წრის ხასიათზე, მის პოლიტიკურ პროფილზე წარმოდგენას გვაძლევს რაევსკის ლექსი „წერილი პეტრე გრიგოლის ძე პრიკლინსკის“, რომელშიც ნათქვამია:

Как часто видим мы невежу и глупца
С титулом княжеским, в заслугах возвышенья,
Который с гордостью бросает взор презренья
На долю скромную и бедность мудреца.
Чем выше звание — тем ближе к разрушенью,
Опасен скользкий путь титулов и честей,
Опасны милости и дружество царей!
Кто ближе к скипетру, тот ближе к ниспаденью!

ლექსი, რომლის ანტიმონარქისტული ხასიათი აშკარაა, თავდებოდა მოწოდებით ენერგიული მოქმედებისაკენ, რომლის შედეგად უნდა დამხობილიყო მაშინ არსებული პოლიტიკური წყობილება.

Довольно, милый друг, за призраком гоняться,
Не время у моря погоды ждать.

დასასრულ, 1815 წლის მეორე ნახევარსა და 1816 წლის დასაწყისში მოქმედებდა „რ უ ს რ ა ი ნ დ თ ა ო რ დ ე ნ ი“ — ომის შემდგომი ხანის მეოთხე წინადეკაბრისტული საზოგადოება, შექმნილი

გენერალ-მაიორ მიხეილ ორლოვის მიერ. წრის აქტიური წევრი იყო მსხვილი მემამულე. მაგრამ ამავე დროს დიდი პატრიოტი მ. დმიტრიევ-მამონოვი. მან 1812 წელს ნაპოლეონთან საბრძოლველად შექმნა მთელი პოლკი, რომელსაც საკუთარ ხარჯზე ინახავდა. მანვე შეადგინა საზოგადოების პროგრამა [შავი] სახელწოდებით: «Пункты преподаваемого во внутреннем Ордене учения».

„ორდენი“, როგორც ჩანს, მაშინ მიზნად ისახავდა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას და კონსტიტუციური მმართველობის შემოღებას. მეფე შეზღუდული იყო 1000 კაცისაგან შემდგარი საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი სენატით, რომლიდანაც 200 მემკვიდრეობით „პერები, მაგნატები და დიდი თანამდებობის მქონენი“ უნდა ყოფილიყვნენ, 400—თავადაზნაურების წარმომადგენლები და 400—ხალხის წარგზავნილები. პროექტის ავტორი, „მონობის მოსპობას“, ე. ი. ბატონყმობის გაუქმებას უჭერდა მხარს, თუმცა არსებულ სოციალურ სტრუქტურას ხელუხლებლად ტოვებდა. იგი არამცთუ არ სპობდა თავადაზნაურობას როგორც წოდებას, არამედ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ ის სენატში იმდენსავე დეპუტატს გზავნიდა, რამდენსაც ხალხი, თუმცა რიცხობრივად ბევრად ნაკლები იყო მასზე.

საზოგადოებამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, დროთა განმავლობაში ევოლუცია განიცადა. მისი კონსტიტუციურ-მონარქიულ პრინციპებზე დამყარებული პროგრამა რესპუბლიკური მიმართულებით განვითარდა. რესპუბლიკური ხასიათისაა სწორედ ახალი პროგრამული დოკუმენტი „მოკლე გამოცდილება“. უკეთებს რა ანალიზს ამ უკანასკნელს, აკად. მ. ნეჩკინა წერს: «Проект коренным образом отличается от разобранных выше «Пунктов», о конституционной монархии уже и речи нет, перед нами — проект республиканского характера... Парламент носит название «Народная веча» и делится на две палаты: палату вельмож и палату мещан. Палата вельмож состоит из 679 депутатов — 221 наследственного вельможи, владеющих уделами «неприкосновенными» в тех областях, от которых они являются «наследственными представителями и депутатами», 442 простых дворян — «не наследственных, но избранных представителей», сверх того, 10 депутатов «русского рыцарства» и шесть депутатов от «вольных городов», причем эти депутаты могут быть и «плебеянами». Мы видим, что в «парламенте вельмож» особо привилегированное положение занимают те же наследственные «пэры», что и в «Пунктах»; таким образом, аристократический характер проектируемой

республики с крупным землевладением, присущий и «Пунктам», сохраняется. Палата мещан многочисленна, состоит из трех тысяч человек. Название её условно, она включает не только мещан, но и купцов, духовных, мастеровых и поселян».

პირველი დეკაბრისტული საზოგადოება
(„ხსნის კავშირი“, „კათილდემოკრატის კავშირი“)

ზემოთქმულიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დეკაბრიზმს, როგორც საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობას და სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობას. თავისი იდეური და ორგანიზაციული წინამძღვრები გააჩნდა. იგი შემზადებული იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში მოღვაწე მოწინავე ადამიანების ნაფიქრ-ნააზრევითა და პრაქტიკული საქმიანობით. ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევის პროცესის გაღრმავებამ. კლასობრივი ბრძოლის შემდგომმა გამწვავებამ (1801—1812 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 7—9 გლეხთა მღელვარება ხდებოდა, 1815—1820 წლებში კი — 17—25) და აქედან გამომდინარე სხვა მოვლენებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მისცეს სამშობლოს ერთგულ შვილთა ოპოზიციურ საქმიანობას. ამის ერთი გამოვლინება იყო სწორედ ფარული საზოგადოების — „ხსნის კავშირის“ შექმნა 1816 წელს გენერალური შტაბის ოფიცერთა წმინდა არტელისა და სემიონოვის პოლკის ოფიცერთა არტელის ყოფილი წევრების მიერ. მისი ფუძემდებლები იყვნენ ალექსანდრე მურავიოვი, სერგეი ტრუბეცკოი, ნიკიტა მურავიოვი, ივანე იაკუშკინი, მათე მურავიოვ-აპოსტოლი და სერგი მურავიოვ-აპოსტოლი. ორგანიზაციაში, რომლის წევრთა რაოდენობა 30 კაცს უდრიდა. გარდა ზემოთ დასახელებული პირებისა. შედიოდნენ: პავლე პესტელი, თედორე გლინკა, პეტრე კალოშინი. პავლე კალოშინი, არტამონ მურავიოვი, ილია დოლგორუკოვი, მიხეილ მურავიოვი და სხვ.

„ხსნის კავშირის“ (1816—1817 წწ.) პროგრამასა და წესდებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მის მიზანდასახულობაზე მსჯელობა მაინც შესაძლებელი ხდება პასუხისმგებაში გადაცემულ პირთა ჩვენებებისა და მოგონებათა საფუძველზე. ამ ხასიათის წყაროების მიხედვით ეჭვიმუთანლად დგინდება, რომ ჩვენთვის საინტერესო ფარული საზოგადოება თავის უპირველეს ამოცანად ბატონყმობის მოსპობასა და კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას თვლიდა. „საზოგადოების ნამდვილი მიზანი, — მოახსენებდა პესტელი ძიებას, — მონარქიულ-კონსტიტუციური მმართველობის შემოღება

იყო. რაც შეეხება გლეხთა განთავისუფლებას ბატონყმობისაგან, ეს იყო საზოგადოების მიზანი დასაწყისიდანვე“. ამას ემთხვევა დანარჩენი დეკაბრისტების ჩვენებაც. „საიდუმლო საზოგადოებას უნდოდა კონსტიტუციური მონარქიის დაწესება რუსეთში“ — განაცხადა დაკითხვაზე სერგი ტრუბეცკოიმ. „საზოგადოების მიზანი იყო მოემზადებინა ქვეყანა კონსტიტუციის მისაღებად“ — დაადასტურა ალექსანდრე მურავიოვმა. „საზოგადოება ცდილობდა მოემზადებინა ყველა წოდება წარმომადგენლობითი მმართველობისათვის“ — აჩვენა იაკუშკინმა. „საზოგადოების წევრები ხელმძღვანელობდნენ ამ აზრით, რომ შემოეღოთ რუსეთში წარმომადგენლობითი მმართველობა“ — თქვა მათე მურავიოვ-აპოსტოლმა. „1816 წელს ალექსანდრე მურავიოვმა წინადადება მომცა შეგვედგინა საიდუმლო საზოგადოება, რომლის მიზანი რუსეთში წარმომადგენლობითი მმართველობის შემოღება იქნებოდა“ — ჩააწერინა ნიკიტა მურავიოვმა ძიებას. დასასრულ, მისივე სიტყვით, საიდუმლო კავშირი „დაბეჭიბვით ცდილობდა შეეცვალა სამშობლოს ძირითადი კანონები და შემოეღო ახალი წყობილება, დამყარებული წარმომადგენლობით ჰრინციკებზე“.

საზოგადოების პროგრამასა და წესდებას, როგორც უკვე ვთქვით. ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ დეკაბრისტების ჩვენებათა და მოგონებების საფუძველზე აკად. მ. ნეჩკინამ სცადა დასახელებული ორი დოკუმენტიდან მეორის აღდგენა, რაც მან წარმატებით შეასრულა კიდევ. მ. ნეჩკინას სწორი ვარაუდით, მის მიერ რესტავრირებული წესდების ერთ-ერთი მთავარი, მომავალი წყობილების განმსაზღვრელი მუხლი დაახლოებით ასე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული: საზოგადოების მიზანია წარმომადგენლობითი მონარქიის შემოღება რუსეთში, რასაც თან სდევს „გლეხობის მონობის“ მოსპობა. იმ ადგილს კი, სადაც მიზნის მისაღწევ საშუალებებზე იყო ლაპარაკი, შემდეგი სახე უნდა ჰქონოდა: მთავრობისათვის კონსტიტუციის გამოგლეჯა ნავარაუდევია საიდუმლო საზოგადოების აშკარად გამოსვლის გზით მონარქების შეცვლის მომენტში. საჭიროა მთავრობა ვაიძულოთ დაეთანხმოს წარმომადგენლობითი მმართველობის შემოღებას. საზოგადოების წევრები კისრულობენ ვალდებულებას მხოლოდ მაშინ მისცენ ფიცი ახალ იმპერატორს, როდესაც ის დათანხმდება შეზღუდოს ერთმმართველობა ხალხის წარმომადგენლებით.

„ბნის კავშირი“ იმედს სსხედრო გადატრიალებაზე ამყარებდა. აჭანყების დაწყებას იგი ფიქრობდა იმ შემთხვევაში, თუ იმპერატორი უარს იტყოდა კონსტიტუციის შემოღებასა და ბატონყმო-

ზის გაუქმებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოება, მისი გარკვეული ნაწილი, მოქმედების არც ტერორისტულ ტაქტიკას გამოირიცხავდა. აი რას წერს ამასთან დაკავშირებით იაკუშკინი: „ერთხელ (1817 წელს) ალექსანდრე მურავიოვი მოვიდა ჩენთან იმ სახლში, სადაც მე ვსადილობდი და მითხრა, რომ საღამოს მასთან შემევლო. მე მართლაც მივედი დანიშნულ დროს. თათბირი არ იყო მრავალრიცხოვანი. იქ, თვით მასპინძლის გარდა: იყვნენ ნიკიტა, მათე და სერგი მურავიოვები, ფონვიზინი, თავადი შახოვსკი და მე. ალექსანდრე მურავიოვმა წაგვიკითხა ტრუბეცკოის წერილი, რომელიც ის იყო მიეღო. წერილში იგი პეტერბურგის ამბებს გვატყობინებდა. ჯერ ერთი, ის იწერებოდა, რომ მეფე პოლონეთზეა შეყვარებული და ეს ყველასათვის ცნობილი იყო. პოლონეთს, რომელსაც მან ამას წინათ (1815 წელს — ი. ა.) კონსტიტუცია მისცა და რუსეთზე განათლებულად თვლიდა. უყურებდა როგორც ევროპის ნაწილს; მეორე. ტრუბეცკოი გვარწმუნებდა, რომ მას (ალექსანდრეს — ი. ა.) სძულს რუსეთი და ეს სავსებით დასაჯერებელი იყო იმის შემდეგ. რაც მან გააკეთა რუსეთში 1815 წლიდან (იაკუშკინს მხედველობაში აქვს მთავრობის რეაქციული საშინაო პოლიტიკა — ი. ა.); მესამე. რომ იმპერატორს გადაწყვეტილი აქვს ჩამოგლიჯოს რუსეთს მიწა-წყალა და შეუერთოს პოლონეთს... ალექსანდრე მურავიოვმა მეორედ წაიკითხა ტრუბეცკოის წერილი და გაიმართა მსჯელობა იმ სავალალო მდგომარეობაზე, რომელშიც იმყოფებოდა რუსეთი იმპერატორ ალექსანდრეს მმართველობის დროს... ცოტა ხანს ყველა გაჩუმდა. ბოლოს ალექსანდრე მურავიოვმა განაცხადა, რომ იმ უბედურების თავიდან ასაცილებლად, რომელიც საფრთხეს უმზადებს რუსეთს, საჭიროა შეწყდეს იმპერატორ ალექსანდრეს მეფობა. მან წინადადება შემოიტანა კენჭის ყრით შეერჩიათ ამ საქმის შემსრულებელი პირი. ამაზე მე ვუპასუხე, რომ მან დაავიანა და რომ მე ყოველგვარი კენჭის ყრის გარეშე გადავწყვიტე მსხვერპლად შევეწირო ამას და არავის დაუეთმო იმპერატორის მოკვლის საპატიო მოვალეობა“.

ივანე იაკუშკინის მოწმობიდან ჩანს, რომ „ხსნის კავშირს“ ეს განზრახვა სისრულეში არ მოუყვანია. რადგანაც ბევრი მის წინააღმდეგ გამოსულა. „ფონვიზინი მომიახლოვდა, — ნათქვამია იაკუშკინის მოგონებაში. — მთხოვა დავმშვიდებულიყავი და მითხრა, რომ ახლა წონასწორობა დაკარგული მაქვს და ამიტომ არ უნდა ვიღო თავს ისეთი რამ, რაც ხვალ უაზრობად მომეჩვენება. ჩემის მხრივ მე ფონვიზინს ვარწმუნებდი, რომ აბსოლუტურად დამშვიდებული ვარ და ამის დასამტკიცებლად ჭადრაკის თამაში შევთავაზე და მოვუხვე კიდეც... მეორე დღეს ფონვიზინი, რომელმაც იგრძნო ჩემი გა-

დაწყვეტილების სიმტკიცე. ხამონიკებში გაემგზავრა და იქ მყოფ წევრებს აცნობა, რომ მე უარს არ ვამბობ ჩემს გადაწყვეტილებაზე. სალამოს შევიკრიბეთ ფონვიზინთან იგივე პირები, ვინც წინა დღით ალექსანდრე მურავიოვთან ვიყავით. მარწმუნებდნენ, რომ შეიძლება წერილში აღნიშნული ფაქტები ტყუილი იყოს, რომ ალექსანდრეს სიკვდილი ამჟამად ქვეყნისათვის არ იქნება სასარგებლო, და რომ მე ჩემი ჯიუტობით ვლუპავ არა მარტო მათ, არამედ საიდუმლო საზოგადოებასაც, რომელსაც შეუძლია მომავალში რუსეთს დიდი სარგებლობა მოუტანოს... დასასრულ, მე მათ პირობა მივეცი, რომ არ შევუდგები ჩემი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას და თანაც განვუცხადე, რომ ამიერიდან არ ვეკუთვნი ფარულ საზოგადოებას“.

1817 წლის ბოლოს „ხსნის კავშირმა“ არსებობა შეწყვიტა. ამის უმთავრესი მიზეზი ის შინაგანი წინააღმდეგობა იყო, რომელმაც საზოგადოებაში იჩინა თავი საპროგრამო საკითხების განხილვისას. მისი ზოგი წევრი (მაგალითად, შიხეილ მურავიოვი, ბურცოვი, კალოშინი და სხვ.) გამოდიოდა რადიკალურ ღონისძიებათა წინააღმდეგ, არ თანაუგრძნობდა არსებული წყობილების ძალით დათრგუნვის იდეას, იმპერატორის მკვლელობას და მხარს უჭერდა მხოლოდ მშვიდობიანი პროპაგანდის ტაქტიკას, რასაც „ხსნის კავშირის“ წესდებაც არ უარყოფდა, მაგრამ განიხილავდა მას როგორც მოქმედების ერთ-ერთ (და თანაც დაქვემდებარებულ) ფორმას.

* * *

1818 წელს შეიქმნა ახალი საზოგადოება „კეთილდღეობის კავშირი“ (1818—1821 წწ.), რომელიც 200-ზე მეტ წევრს აერთიანებდა. რევოლუციამდელი ხანის ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება დასახლებული კავშირის საქმიანობის ლეგალური ხასიათის შესახებ. ასე ფიქრობდა, მაგალითად, პიპინი. „თავდაპირველად, — წერს ის, — ჩვენი ფარული საზოგადოებანიც არ ფიქრობდნენ არავითარ პოლიტიკურ გეგმებზე, არ სურდათ არავითარი ცვლილების მოხდენა არსებულ წყობილებაში. მათი განწყობილება სავსებით მშვიდობიანი იყო. ეს იყო იდეალისტური პატრიოტიზმი; რომელიც პროპაგანდითა და განათლების გავრცელებით ცდილობდა მოქმედებას და მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენას... კეთილდღეობის კავშირი მთავრობისადმი ნდობით დაარსდა. მისი შემქმნელები იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ამის შესახებ ეცნობებინათ ხელისუფლებისათვის და დახმარება ეთხოვათ“.

პიპინის ეს მტკიცება მცდარია და სინამდვილეს არ შეეფერება.

„კეთილდღეობის კავშირი“ იყო ფარული, იატაკქვეშ მომუშავე საზოგადოება. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს პესტელის ჩვენება, რომელიც ეხება საერთოდ ყველა დეკაბრისტულ ორგანიზაციას, დაწყებული პირველიდან უკანასკნელამდე. „ჩვენი საიდუმლო საზოგადოება, — განუცხადა მან ძიებას, — დასაწყისიდანვე რევოლუციური ორგანიზაცია იყო და არსებობის მთელ მანძილზე ასეთად დარჩა. ის ცვლილებები, რომლებიც ამ საზოგადოებამ განიცადა, ეხებოდა მისი მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბებას. მიზნებისა, რომლებიც ყოველთვის რევოლუციური რჩებოდნენ. კავშირში არ იყო არც ერთი წევრი, რომლის იმედი მას არ ჰქონდა რევოლუციის მოხდენის დროს. ის თითოეულის დახმარებასა და მონაწილეობაში საე-სებით დარწმუნებული იყო“. და კიდევ: „ფარულ საზოგადოებაში, — ამბობს პავლე პესტელი, — რევოლუციური აზრები არსებობდნენ ჯერ კიდევ მის შექმნამდე სამხრეთში. ეს რევოლუციური აზრები წარმოადგენდნენ სწორედ საზოგადოების მიზნების განხორციელების ძირითად საშუალებას. რევოლუციურ შეხედულებას იზიარებდა ყველა წევრი გამონაკლისს გარეშე, რადგანაც ფარული საზოგადოების მთელი არსი სწორედ ამაში მდგომარეობდა“.

„კეთილდღეობის კავშირი“ რომ აშკარად მოქმედი ორგანიზაცია არ იყო, ამას ნათლად ამტკიცებს ფიცის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა საზოგადოებაში მისაღები ყველა პირი. ფიცი ორჯერ იდებოდა. ერთხელ — სამოქმედო პროგრამის გაცნობამდე, მეორედ — მის შემდეგ. „მე. ქვემოთ ამისა ხელისმომწერი, — ნათქვამი იყო პირველი მათგანის ტექსტში, — დარწმუნებული ვარ რა იმაში, რომ კეთილდღეობის კავშირის კანონები და მიზნები არაფერს შეიცავენ სარწმუნოების, სამშობლოსა და საზოგადოების საწინააღმდეგოს, ვიძლევი პატიოსან სიტყვას არ გავცე მისი მიზნები და მით უფრო არ გავკიცხო, თუკი ისინი მათი გაცნობის შემდეგ არ მომეწონებიან და არ შევალ კავშირში წევრად“. მეორე ფიცის ტექსტში კი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეხება პირველ ეტაპგამოვლილებს, ე. ი. იმათ, ვინც უკვე გაიცნო საზოგადოების პროგრამა, გაიზიარა ის და თანხმობა განაცხადა წევრობაზე, ვკითხულობთ: „მე. ქვემოთ ამისა ხელისმომწერი, ვცანი რა კეთილდღეობის კავშირის მიზნები და კანონები ჩემს შეხედულებათა შესაბამისად. პირობას ვიძლევი აქტიური მონაწილეობა მივიღო მის... საქმიანობაში, დავემორჩილო მის კანონებს და მის მიერ დაყენებულ ხელისუფლებას. ამას გარდა, სიტყვას ვიძლევი არ გავკიცხო და მით უფრო წინააღმდეგობა არ გავუწიო კავშირს მისი ჩემი სურვილით ან სურვილის წინააღმდეგ დატოვების შემთხვევაში“.

დასასრულ, თვით ჩვენთვის საინტერესო საზოგადოების წესდებაში პირდაპირაა მითითებული, რომ მისი მოქმედება საიდუმლო ხასიათს ატარებს. თუმცა კავშირი, ნათქვამია იქ, მიზნად ისახავს მხოლოდ სიკეთეს, მაინც „გადაწყვეტილია მისი მოქმედება ფარულ ფორმებში წარიმართოს“.

ასეთი სიფრთხილის გამოჩენა, თავისთავად ცხადია, ლეგალურად მომუშავე ორგანიზაციას არ სჭირდებოდა. ის აუცილებელი იყო იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ოპოზიციაში ედგა მთავრობას და მის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. ასეთი იყო სწორედ „კეთილდღეობის კავშირი“, რომელიც პიპინს, როგორც უკვე ვთქვით, შეცდომით, ხელისუფლების დამხმარე, მასთან შეთანხმებით მოქმედ ორგანიზაციად მიაჩნდა. „კავშირის“ პროგრამის — „მწვანე წიგნის“ — პირველი ნაწილი მართლაც არ შეიცავდა რაიმე საიდუმლოს, მთავრობისათვის საშიშსა და მიუღებელს; ასეთი რამის შემცველი იყო „მწვანე წიგნის“ მხოლოდ მეორე ნაწილი და სწორედ ის იყო მაქსიმალურად კონსპირირებული და თვით წევრების დიდი უმრავლესობისათვისაც უცნობი. ჩვენ ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით მათ დახასიათებაზე.

პროგრამის პირველი ნაწილი ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა: კატომოყვარეობის, განათლების, მართლმსაჯულების და საზოგადოებრივი მეურნეობის. როგორც განსახილველ დოკუმენტშია ნათქვამი, კატომოყვარეობის განყოფილებაში ჩართულ პირებს ევალებოდათ ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი ცხოვრება-არსებობის პირობების გაუმჯობესებისათვის. „ქვეყანაში არაა ისეთი ადამიანი, — ვკითხულობთ „მწვანე წიგნის“ პირველ ნაწილში, — რომელიც სავსებით გულგრილად შეხვდება ახლობლის უბედურებას და რომელიც შეცოდების გრძნობას არ გამოიწვევს მისივე მსგავსი ადამიანის გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა... თითოეული ჩვენგანი უბედურს დახმარების ხელს გაუწვდის, მათხოვარს მოწყალეობას მისცემს. მაგრამ ასეთ ერთდროულ შემწეობას განა შეუძლია დაამშვიდოს მისი მიმღები?“ პასუხი აქ მხოლოდ ერთია: არ არის საკმარისი ასეთი ერთდროული დახმარება, საპირობა ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც საერთოდ გზაზე დააყენებს უბედურებაში ჩავარდნილს.

მაგრამ აქ ლაპარაკია დახმარებაზე არა ყველა გაჭირვებულისადმი, არამედ ისეთებისადმი, რომელთაც, ვითარცა ფიზიკურად დაუძლურებულებს, არ შეუძლიათ ოჯახისა და საკუთარი თავის რჩენა. ფიზიკურად ძლიერებს, მაგრამ შრომის დეზერტირებს ასეთი დახმარება არ უნდა მიეღოთ. „რამდენს ვხედავთ ჩვენ, — წერია დასა-

ხელეზულ დოკუმენტში, — უსაქმო ადამიანს, რომელიც თავისი სიზარმაცის დასაკმაყოფილებლად დახეტილობს წარა-მარა და მათხოვრობით აგროვებს ცხოვრებისთვის საჭირო საარსებო საშუალებას. და ეს მაშინ, როდესაც მათ შრომისმოყვარეობით შეუძლიათ სარგებლობა მოუტანონ სამშობლოს და ნამდვილად გაჭირვებულ ადამიანებს... ისინი ტვირთს წარმოადგენენ ქვეყნისათვის და სხვებშიც უსაქმური ცხოვრების სურვილს ბადებენ“. აღნიშნული ბოროტების აღმოფხვრა და მისი სიკეთით შეცვლა წარმოადგენდა სწორედ კაცთმოყვარეობის განყოფილების ძირითად მიზანს. ეს კი შესაძლებელი იყო ამ მოხეტილად მასის დასაქმებით.

აღნიშნული დარგის წევრებს ევალეზოდით გაეკეთებინათ ყველაფერი იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მემამულეთა შედარებით უკეთესი დამოკიდებულება გლეხებისადმი. მათ უნდა გაეკიცხათ და სააშკარაოზე გამოეტანათ მტარვალ მებატონეთა არაადამიანური საქციელი. „საერთოდ, — ნათქვამია პროგრამაში, — ხსენებული დარგის წევრები არწმუნებენ მემამულეებს გლეხებისადმი კარგი დამოკიდებულების საჭიროებაში, არწმუნებენ იმაში, რომ ხელქვეითები ისეთივე ადამიანები არიან (როგორც თვითონ) და რომ ბუნებაში არ არსებობს ისეთი განსხვავებული უფლება, რომელიც ნებას აძლევს ხელისუფალთ სასტიკად მოეპყრან თავიანთ ხელქვეითებს“.

კაცთმოყვარეობის განყოფილების პირდაპირი მოვალეობა იყო აგრეთვე მოხუცების, ინვალიდებისა და საერთოდ შრომისუნარდაკარგული ადამიანებისათვის თავშესაფარი ადგილების დაარსებისათვის ზრუნვა. „იმათთვის, ვისაც შრომით ცხოვრება და თავის რჩენა არ შეუძლია, არსდება თავშესაფარი ადგილები. ამათ რიცხვში არიან ხანდაზმულები და დასახიჩრებული მებრძოლები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო წლები სამშობლოს დაცვას მოახმარეს და ამჟამად ყოველგვარ საშუალებას არიან მოკლებული მშვიდად გაატარონ დარჩენილი წლები. ისინი მათხოვრობით ეძებენ საარსებო საშუალებას. მაღლიერი სამშობლო ვალდებულია პატივისცემით მოექცეს მათ გაწეული სამსახურისათვის. კავშირი ეცდება მოაწყოს ისინი სახელმწიფო და კერძო თავშესაფარებში და ააშენოს მათთვის ასეთი ადგილები“ (იქვე).

საპატიო ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული მეორე — განათლების განყოფილების წევრებსაც. თითოეული მათგანი უნდა ყოფილიყო სხვისთვის მაგალითის მიმცემი. ოჯახური და საზოგადოებრივი მოვალეობის სანიმუშო შემსრულებელი. მანკიერის დამამცირებელი და კეთილის ამამაღლებელი, ხალხის ბედნიერებისათვის დაუღალავი

მებრძოლი. „განათლების“ დარგის წევრები უნდა ცდილიყვნენ გაეხსნათ საკუთარ ხარჯზე სკოლები, გაეგრცელებინათ იქ კეთილდღეობის კავშირის მიზნები და ამოცანები, გაეღვივებინათ აღსაზრდელებში სიყვარული სამშობლოსა და ყოველივე სიკეთისადმი, აღეკურვათ ისინი ცოდნით და მოემზადებინათ ცხოვრებისათვის „როგორც ერთგული და სასარგებლო მოქალაქენი“.

„მართლმსაჯულების“ დარგს თვალყური უნდა ედევნებინა მოხელეთა საქმიანობისადმი, ეზრუნა სამართლიანობისათვის სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებში, წაექეზებინა გლეხებისადმი შედარებით კარგი დამოკიდებულებით ცნობილი მემამულეები, ხელი შეეშალა ყმებით ვაჭრობისათვის და დაერწმუნებინა მფლობელები იმაში, რომ ასეთი ვაჭრობა შეიძლება მხოლოდ იმ ხალხებში იყოს, რომლებიც „ქრისტიანობის შუქით არ არიან განათებული“.

დასასრულ, „საზოგადოებრივი მეურნეობის“ დარგის წევრები მოწოდებულნი იყვნენ ხელი შეეწყოთ სახალხო დოვლათის ზრდისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აგრონომიული ცოდნის გავრცელებისათვის, შედარებით სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანერგვისათვის, ხალხის ქონების დაზღვევისათვის და სხვ.

როგორც ვხედავთ, პროგრამის პირველ ნაწილში არ იყო არც ერთი სიტყვა არც ბატონყმობის გაუქმებაზე, არც კონსტიტუციური მონარქიის შემოღებაზე. უფრო მეტიც, იქ საერთოდ არ იყო მსჯელობა არც ერთ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხზე და ამდენად ფარული საზოგადოების საქმიანობის ეს ნაწილი, ვითარცა სრულიად უვნებელი მთავრობისათვის. შეიძლებოდა აშკარა ფორმებში წარმართულიყო. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში პიპინს, როდესაც „კეთილდღეობის კავშირის“ ლეგალურ არსებობაზე ლაპარაკობდა.

მაგრამ, როგორც ზევითაც ვთქვით, არსებობდა „მწვანე წიგნის“ მეორე ნაწილი, პრინციპულად განსხვავებული პირველისგან. იქ, ჩანს, რომ ჩამოყალიბებული ყოფილა საზოგადოების საიდუმლო მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლას მეტად კონსპირატიული ხასიათი ჰქონდა. „ეგრეთწოდებული „მწვანე წიგნი“. — წერს დეკაბრისტი ნ. ბასარგინი, — აყალიბებდა საზოგადოების აშკარა მიზნებს. საიდუმლო ნაწილი კი შეიცავდა იმას, რაც აშკარად არ იყო თქმული (მის პირველ ნაწილში). ის დასაწყისში მხოლოდ წევრ-დამფუძნებელთათვის იყო ცნობილი, მერე კი მას მთავარი წევრებიც გაეცნენ“. ბასარგინის ამ ჩვენებას ადასტურებს და რამდენადმე აკონკრეტებს კიდევ ლუნინი. „საზოგადოებას, —

მოახსენა მან ძიებას, — ორი მიზანი ჰქონდა: აშკარა — განათლების გავრცელება და საქველმოქმედო საქმეები და საიდუმლო—კონსტიტუციის ან კანონებზე დაფუძნებული თავისუფალი მმართველობის შემოღება“. „საზოგადოების შორეული მიზანი, — ნათქვამია ობოლენსკის ჩვენებაში, — სახელმწიფოში კონსტიტუციური მმართველობის შემოღება იყო. უახლოესი კი — განათლების გავრცელება, ახალგაზრდობის ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, სამოქალაქო თანამდებობათა დაკავება და სხვ.“ „ამ... თავისუფლად მოაზროვნე ლიბერალების აშკარა მიზანი კონსტიტუციის შემოღება იყო“. — წერდა კეთილდღეობის კავშირის ყოფილი წევრი, ჯაშუში გრიბოვსკი.

„მწვანე წიგნის“ მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა არა მარტო შეზღუდული მონარქიული წყობილების შემოღებას, არამედ ბატონყმობის მოსპობასაც. აი რას წერს ამის შესახებ იაკუშკინი: „კეთილდღეობის კავშირის წესდება, რომელიც „მწვანე წიგნის“ სახელითაა ცნობილი, მე წავიკითხე შექმნისთანავე. მთავარი რედაქტორები იყვნენ მიხეილ და ნიკიტა მურავიოვები. წესდების დასაწყისშივე ნათქვამი იყო, რომ საიდუმლო საზოგადოების წევრები გაერთიანდნენ იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ბოროტი განზრახვის მქონე ადამიანებს და ამავე დროს ხელი შეუწყონ მთავრობის კეთილი სურვილების განხორციელებას. ამ სიტყვებში ნახევარი ტყუილი იყო, რადგანაც არც ერთ ჩვენთან არ სწამდა მთავრობის კეთილი ზრახვები. ამ დროს (1818 წ.) საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოების წევრთა რაოდენობა და ბევრი მათგანი... ქუხდა და კიცხავდა ისეთ ბარბაროსულ მოვლენებს, როგორცაა მათრახი, ბატონყმობა და სხვ.“ თავისი მოგონების სხვა ნაწილში იაკუშკინი წერს: „კეთილდღეობის კავშირის მიზანი იყო დაერწმუნებინა თავადაზნაურები გლეხების განთავისუფლების აუცილებლობაში... კავშირის ყველა წევრი..., ვისთანაც კი მე ურთიერთობა მქონდა, მსჯელობდა ბატონყმური ურთიერთობიდან გლეხთა განთავისუფლებაზე, რაც სავსებით შეესაბამებოდა ჩემს იმდროინდელ შეხედულებებს“.

დასასრულს „მწვანე წიგნის“ მეორე ნაწილის ანტიბატონყმურ ხასიათს ადასტურებენ კეთილდღეობის კავშირის სხვა წევრებიც. მას ადასტურებს, მაგალითად, შტაბის კაპიტანი კუტუზოვი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ საიდუმლო საზოგადოების მიზანს გლეხთა განთავისუფლება წარმოადგენდა.

კეთილდღეობის კავშირს ჰქონდა თავისებური ორგანიზაციული სტრუქტურა, აგებული დემოკრატიულ პრინციპებზე. საზოგადოების პირველი წევრები ქმნიდნენ უჯრედს, რომელსაც ძირეული კავშირი

(Коренной Союз) ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა ექვს კაცს — კავშირის მთავარ მმართველობას. ან აღმასრულებელი უფლებებით აღჭურვილ საბჭოს. ამ ექვსიდან ხუთნი მსაჯულებად იწოდებოდნენ, ხოლო ერთი — ზედამხედველად, რომლის მოვალეობას კავშირის დადგენილებათა დაცვა შეადგენდა. ძირეული კავშირის საბჭო ერთ-ერთ მსაჯულს თავმჯდომარედ ირჩევდა ორი თვის ვადით. იმისათვის, რათა ძირეული საბჭოს სხვა წევრებსაც მონაწილეობა მიეღოთ მთავარ მმართველობაში, ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ორი მსაჯული კენჭისყრით გადიოდა საბჭოდან. მეთვალყურეც იცვლებოდა, მაგრამ უკანასკნელ მსაჯულთან ერთად. კავშირის წევრები ძირეულ საბჭოს წევრებთან ქმნიდნენ ძირეულ გამგეობას, რომლის ფუნქციებში საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება შედიოდა.

ორიოდე სიტყვა საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობის შესახებ.

კავშირის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ბატონყმური დამოკიდებულებიდან გლეხთა განთავისუფლებაში. მათი ზრუნვის შედეგი იყო, მაგალითად, პოეტი სიბირიაკოვის განთავისუფლება რიაზანელი მემამულის მასლოვისაგან, რაშიც მან 10 ათასი მანეთი მიიღო. იგივე ითქმის ნიჟიერი ყმაწვილის ა. ნიკიტენკოს შესახებ. მისი გამოსყიდვა მიღწეულ იქნა კეთილდღეობის კავშირის წევრის ე. ობოლენსკის ფრიად ენერგიული მონაწილეობით. აღსანიშნავია ამ ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებული დეტალი. ნიკიტენკოს ბატონმა გრაფმა დ. შერემეტიევმა თავიდან თანხმობა განაცხადა მის განთავისუფლებაზე, მაგრამ მერე გადაიფიქრა და უარი თქვა. საქმეში ჩარიეს გრაფინია ჩერნიშოვა, რომელმაც საჯაროდ დიდი მადლობა გადაუხადა შერემეტიევს ნიკიტენკოს განთავისუფლებისათვის. გრაფს უკან დახევა აღარ შეეძლო და თავდაპირველად მიცემული სიტყვა შეასრულა.

კეთილდღეობის კავშირის წევრები ექომაგებოდნენ ბატონების გაუკითხაობით გაწამებულ ადამიანებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი შემთხვევა, რომელიც თ. გლინკას აქვს მოხსენებული და აღწერილი. „ყმა, ვინმე მიხეილ ვასილიევი, — წერს ის, — რომელსაც მემამულე „ე“ ფლობდა, საგიჟეთში მოათავსეს, მიუხედავად იმისა, რომ საღ გონებაზე იყო. იგი იქ ოთხი თვე იჯდა. ეს ამბავი მე მომიტხრო ერთხელ ნ. გორდენმა და დიდის მონდომებით იმსჯელა ჩემთან ერთად იმის შესახებ, თუ როგორ გვეხსნა ის უბედური. ეს სხვებსაც შევატყობინეთ და გადავწყვიტეთ, რომ ერთ ნაწილს სირცხვილში ჩაეგდო მემამულე და ეთქვა, რომ ეს საქმე უკვე გახმაურებულია,

რომ მასზე უკვე ქალაქში ლაპარაკობენ და ასეთ პირობებში ხომ არ აჯობებდა იმ კაცის განთავისუფლება და შეწყალება, მეორენი დაგვიპირდნენ ეს შემთხვევა დიდ მთავარ ნიკოლოზ პავლეს ძისთვის ეცნობებინათ. მე კი ჩემს თავზე მივიღე ყოველივე ეს მილორადოვიჩისათვის მეცნობებინა. გავიდა დრო, მაგრამ მემამულე არ ცხრებოდა... ნიკოლოზ პავლეს ძეს კი ერთხელ მილორადოვიჩისათვის გადაუცია ქალაქის ნაგლეჯი, რომელზედაც ეწერა თურმე: „მიხაილო ვასილიევი“. ეტყობა, ამასთანავე მილორადოვიჩს რაღაც უთხრა, რადგანაც მას, სახლში დაბრუნებულს, ბრაზით უთქვამს: „აი რა ამბები ჰდება ჩვენთან“... სასწრაფოდ გაგზავნეს საგიეეთში განკარგულება და ის კაცი გაათავისუფლეს“.

კეთილდღეობის კავშირის წევრები არა მარტო სხვებს არწმუნებდნენ ყმებისადმი კარგი დამოკიდებულებისა და მათი განთავისუფლების აუცილებლობაში, არამედ პირველ რიგში თვითონ აკეთებდნენ ამას. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი, დაკავშირებული იაკუშკინის სახელთან. მან გადაწყვიტა გაეთავისუფლებინა თავისი ყმა გლეხები და მეურნეობაში ნებით დაქირავებული შრომა გამოეყენებინა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როდესაც ბატონყმური ურთიერთობა ხელშეუხებლად ითვლებოდა და მისი საფუძვლების ოდნავი შებღალვა საუკუნეობრივი ტრადიციისა და კანონის დარღვევას უდრიდა, ძალიან ძნელი და გარკვეულ რისკთან დაკავშირებული საქმე იყო. მემამულეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის საერთოდ გაუგებარი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა. გაუგებარი დარჩა ის იაკუშკინის ახლო ნათესავებისათვისაც. აი რას წერს ის ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში: „გზად გავიარე რა (1816 წელს) ბიძასთან, რომელიც ჩემს პატარა მამულს მართავდა სმოლენსკის გუბერნიაში, მე მას გამოვუცხადე, რომ გადაწყვეტილი მაქვს გავათავისუფლო ჩემი ხელქვეითი გლეხები. მაშინ მე არც თუ ისე კარგად მესმოდა, თუ როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება და რა შედეგი შეიძლებოდა მას მოჰყოლოდა. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენა, რომ ბატონყმობა — საზიზღრობაა, დაბეჭივებით მიკარნახებდა გლეხების განთავისუფლების აუცილებლობას. ბიძაჩემმა თითქმის გაოცების გარეშე, მაგრამ რაღაც გარკვეული დაღვრემილობით მოისმინა ჩემი განცხადება; ის დარწმუნებული იყო, რომ მე კჶუაზე შევიშალე“.

მართალია, ახალგაზრდობის ასეთი ანტიბატონყმური შეხედულება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ ის, იაკუშკინისავე მოწმობით, მაინც თავისას აკეთებდა და გაბედულად მიიწევდა წინ. იაკუშკინმაც არ დაიხია უკან და მიუხედავად ბიძა-მოურავის უსიტ-

ყვოდ გამობატული წინააღმდეგობისა, გააგრძელა დაწყებული საქმე. მან 1819 წლის 29 ივლისს საგანგებო წერილით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს კოზოდავლევს და გლეხების განთავისუფლების ნებართვა სთხოვა.

«Желая,— ნათქვამია იქ,— отпустить на волю доставшихся мне по наследству крестьян..., числом сто двадцать душ, предоставляя им их имущество, строение и землю, находящуюся под усадьбами, огородами и выгонами, не требуя с них никакой за это платы, принимаю смелость спросить Ваше высокопревосходительство, могут ли люди они получить освобождение на означенном положении и могут ли по освобождении своём причислены быть к сословию вольных хлебопашцев и пользоваться правами сих последних; могу ли я по отпущению на волю крестьян заключить с ними добровольные с их стороны условия касательно обрабатывания земель моих».

ასეთია მოკლედ კეთილდღეობის კავშირის წევრების პრაქტიკული საქმიანობა.

მ. ლეჟაბრისტოა „სამხრეთის საზოგადოება“

1821 წლის იანვარში შედგა (მოსკოვში) კეთილდღეობის კავშირის ყრილობა, რომელმაც ბოლო მოუღო მის არსებობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მის შემადგენლობაში არაერთი საექვო პირი მოხვდა. უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვდნენ საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტას ან მისი სხვა ვითარებაში გაგრძელებას, და მართლაც, იმავე წელს თითქმის ერთდროულად, დაშლილი კეთილდღეობის კავშირის მაგიერ შეიქმნა ორი ახალი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელთაგან ერთს „სამხრეთის საზოგადოება“ ეწოდა, ხოლო მეორეს—„ჩრდილოეთის საზოგადოება“.

სამხრეთის საზოგადოებას, რომელიც ტულჩინოში (პოდოლსკის გუბერნია) ჩამოყალიბდა, პოლკოვნიკი პავლე პესტელი მეთაურობდა¹. ის იყო მისი იდეური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. მან შეადგინა „რუსული სამართლის“ სახელით ცნობილი საზოგადოების საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც მთელი თავისი არსით მიმართული იყო არსებული სოციალური და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. იგი არ მალავს სიძულვილს ბატონყმობისადმი და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ მოსპობას. „რუსული სამართალი“

¹ მისი წევრები იყვნენ: ს. მურავიოვი-აკოსტოლი, მ. ბესტუჟევი-რიუმინი, ა. პოჭიო, ნ. კრიუკოვი და სხვ.

მკაცრად აკრიტიკებს თავადაზნაურთა პრივილეგიებს, მაჩნია ისინი
შეკარა უსამართლობად და მხარს უჭერს მათ სასწრაფოდ ლიკვიდა-
ციას.

მაღალი წოდების პირველი პრივილეგია, პესტელის აზრით, ის
იყო, რომ მას ნება ჰქონდა ყმებად ჰყოლოდა თავისივე მსგავსი
ადამიანები. „ფლობდე ადამიანებს, როგორც საკუთრებას. — ნათ-
ქვამია დასახელებულ საპროგრამო დოკუმენტში, — გქონდეს უფ-
ლება მათი გაყიდვის, დაგირაების, საჩუქრად გაცემის, ნივთების
მსგავსად მემკვიდრეობით გადაცემისა, საკუთარი სარგებლობისა-
თვის, ხშირად კი მხოლოდ პირადი კაპრიზის დასაკმაყოფილებლად
მათი გამოყენებისა — არის სამარცხენო საქმე. წინააღმდეგა ადა-
მიანთა საზოგადოების, ბუნების კანონებისა და ქრისტიანული მოძღ-
ვრებისა... ამიტომ შეუძლებელია მომავალში დარჩეს რუსეთში ის
წესი, რომელიც უფლებას აძლევს ერთ ადამიანს თავისი ყმა უწო-
დოს მეორეს. მონობა ძირფესვიანად უნდა მოისპოს და თავადაზნა-
ურობამ უარი უნდა თქვას ადამიანების ყმებად ყოლის საზიზღარ
პრივილეგიაზე“.

თავადაზნაურების მეორე პრივილეგიად პესტელი მათი გადასახ-
ადებით დაუბეგრადობას თვლიდა. ესეც მისი აზრით, სრული უსა-
მართლობა იყო და ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოსპობილიყო. „ადა-
მიანთა საზოგადოება, — ვკითხულობთ „რუსულ სამართალში“, —
შექმნილია ყველას და თითოეულის კეთილდღეობისათვის. ეს კე-
თილდღეობა კი მიიღწევა სხვადასხვა საშუალებებითა და მოქმედე-
ბით, რომელთა შორის არის გადასახადების აკრეფის აუცილებლო-
ბაც. და რაკი საზოგადოების ყველა წევრს თანაბარი უფლება აქვს
კეთილდღეობაზე, ამიტომ ყველამ უნდა შეუწყოს ხელი მის დამყა-
რებას... მარტო ბოროტ ხელისუფლებას შეუძლია მოვალეობის მთე-
ლი სიმძიმე ერთ მხარეს დააკისროს, ხოლო მეორე — შელავათებით
გაანებებეროს... ამიტომ თავადაზნაურობა არ შეიძლება გადასახადე-
ბისაგან თავისუფალი იყოს. ის... არა მარტო უნდა სარგებლობდეს
სახელმწიფოებრივი სიკეთით, არამედ ვალდებულია შესაბამისი ტვი-
რთივ ზიდოს“.

გაუქმების ღირსად თვლიდა პესტელი თავადაზნაურობის მესამე
პრივილეგიასაც, რომელიც მას ფიზიკური სასჯელისაგან ათავისუ-
ფლებდა. სასჯელი, მისი შეხედულებით, უნდა განსაზღვრულიყო
არა დამნაშავეს წარმოშობითა და სოციალური მდგომარეობით, არა-
მედ ჩადენილი დანაშაულის ხასიათით. «Под наказанія,— ვკითხუ-
ლობთ იმავე ძეგლში, — должен соответствовать роду преступле-
ния, а не сословию преступника, ибо преступление есть произ-

ведение злых качеств человека... И хотя утверждают, что одинаковое наказание для человека образованного и человека без воспитания будет большее страдание для первого, нежели для второго, но одинаковое преступление, соделанное человеком без воспитания, заставляет предполагать более разврата и более унижения в первом, нежели во втором, а следовательно, и должен быть первый наказан сильнее второго, чем равновесие и восстановиться... Посему и должно быть наказание сообразно с действием преступника. Из этого явствует необходимость, чтобы за одинаковые преступления налагались были одинаковые наказания».

„რუსულ სამართალს“ შეუძლებლად მიაჩნდა მაღალი წოდების მეოთხე პრივილეგიის დატოვებაც, რომლის მიხედვით ის თავისუფალი იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან. ძეგლში ეს შემდეგნაირადაა დასაბუთებული. „ჯარში მებრძოლთა გაწვევა, — ნათქვამია იქ. — არის ღონისძიება. აუცილებელი სახელმწიფოს უშიშროებისათვის და, მაშასადამე, სახელმწიფოს არსებობისათვის. ამიტომ საჭიროა მისი მომავალშიც დატოვება. მაგრამ რაკი სამხედრო ძალიდან გამომდინარე სარგებელი თანაბრად წვდება საზოგადოების ყველა წევრს, ამიტომ ყველა წოდება ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის (სამხედრო ძალის — ი. ა.) შექმნაში... აქედან, ცხადია, თავადაზნაურობა არ შეიძლება თავისუფალი იყოს პირადი სამხედრო სამსახურისაგან და ეს პრივილეგია უნდა მოისპოს“.

დასასრულ, „რუსული სამართალი“ აუქმებდა თავადაზნაურობის უკანასკნელ, მეხუთე პრივილეგიასაც, რაც მის კეთილშობილ წოდებად აღიარებაში გამოიხატებოდა. ის დაუყოვნებლივ უნდა მოსპობილიყო, ვითარცა ღვთის საწინააღმდეგო.

აჯამებს რა თავის მსჯელობას მაღალი წოდების პრივილეგიების შესახებ, „რუსული სამართალი“ წერს: „ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ყველა ხუთი პრივილეგია, თავადაზნაურობას დღემდე რომ აქვს, უეჭველად უნდა მოისპოს. და რაკი აზნაურობა სხვა არაფერია, თუ არა ამ ხუთი პრივილეგიის ჯამი, ამიტომ, ცხადია, უნდა მოისპოს თვით ეს წოდება. მისი წევრები შევლენ რუსეთის მოქალაქეთა შემადგენლობაში საერთო წესით“.

ამრიგად, სამხრეთელები აცხადებდნენ ბატონყმობისა და თავადაზნაურობის, როგორც წოდების, გაუქმებას, გლეხების განთავისუფლებას. მაგრამ აქვე სავსებით ბუნებრივად იზადება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი „რუსული სამართლის“ შემდგენელს განთავისუფლებული გლეხის ეკონომიური მდგომარეობა? რით და როგორ უნდა ეცხოვრა მას? როგორ იყო გადაწყვე-

ტილი ხსენებულ საპროგრამო დოკუმენტში სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწით უზრუნველყოფის პრობლემა? რევოლუციის წარმატებით დამთავრების შემდეგ პესტელის გეგმით მიწის მთელი მარაგი ორ ნაწილად უნდა დაყოფილიყო. პირველი იწოდებოდა საზოგადოებრივ ფონდად. ამ ფონდიდან ნაკვეთის აღება შეეძლო აბსოლუტურად ყველას, ვისაც კი ამის სურვილი და საჭიროება ჰქონდა, მაგრამ მისი გასხვისება, გაყიდვა, გასაჩუქრება და ა. შ. კატეგორიულად აკრძალული იყო. ის ითვლებოდა საზოგადოებრივ საკუთრებად, რომელიც ეძლეოდა მშრომელ კაცს სარგებლობის უფლებით „აუცილებელი პროდუქტის“ შესაქმნელად. მიწის მეორე ნაწილს, „სიუხვის“ საწარმოებლად რომ იყო გამოიხსნელი, კერძო მფლობელთა ხელში დარჩენილი მიწები შეადგენდნენ და ამიტომ, ბუნებრივია, ნებადართული იყო მათი თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა.

საზოგადოებრივი ფონდი, პესტელის კონსტიტუციით, უნდა შექმნილიყო მემამულეთა მიწების კონფისკაციის გზით. მემამულეს, რომელსაც 10 ათასი და მეტი დესეტინა მიწა ჰქონდა, ერთმეოდა ნახევარი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და გადადიოდა საერთო ფონდში¹. იმას კი, ვისი მიწის მფლობელობა 5 ათას და მეტ დესეტინას (მაგრამ არა უმეტეს 10 ათასისა) უდრიდა, ნახევარი ჩამოერთმეოდა, მაგრამ არა უსასყიდლოდ, არამედ ფულადი ანაზღაურების ან შესაბამისი მიწის ნაკვეთის სხვა ადგილას მიცემის პირობით. ფულადი ანაზღაურების სახით დაზარალებულს ეძლეოდა თანხა, რომელიც საჭირო იყო იმდენი მიწის შესაძენად, რამდენიც კონფისკაციის შემდეგ დარჩენილ მიწებთან ერთად შექმნიდა სულ 5 ათას დესეტინას. ასეთივე წესით ხდებოდა დანაკლისის ნატურით (მიწით) ანაზღაურება².

¹ „თუ მემამულეს, — ვკითხულობთ „რუსულ სამართალში“, — 10 ათასი და მეტი დესეტინა მიწა აქვს, ნახევარი ერთმეოდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, 12 ათასი დესეტინის მფლობელი კარგავდა 6 ათას დესეტინას, 14 ათასისა — 7 ათასს და ა. შ.

² „თუ მემამულეს 10 ათას დესეტინაზე ნაკლები მიწა აქვს, მაგრამ არა ნაკლებ 5 ათასი დესეტინისა, ჩამოერთმეულ ნახევარში ეძლევა ანაზღაურებად (სხვა ადგილას) იმდენი დესეტინა მიწა, რამდენიც ჩამოერთმევის შემდეგ მემამულის ხელში დარჩენილ მიწებთან ერთად შექმნის სულ 5 ათას დესეტინას“ („რუსული სამართალი“).

ამის მიხედვით, მემამულეს, რომელსაც, ვთქვათ, 8 ათასი დესეტინა მიწა ჰქონდა, ერთმეოდა ნახევარც. ე. ი. 4 ათასი და გადადიოდა საზოგადოებრივ ფონდში. დანაკლისის ანაზღაურების სახით მას ეძლეოდა სხვა ადგილას მხოლოდ 1000 დესეტინა იმ ვარაუდით, რომ მას მემამულის ხელში დარჩენილ მიწებთან (4 ათასი დესეტინა) ერთად შეექმნა ჯამში სულ 5 ათასი დესეტინა.

როგორც ვხედავთ, პესტელის პროგრამა ითვალისწინებდა ფეოდალური მიწისმფლობელობის საკმაოდ სერიოზულ შეზღუდვას, მაგრამ არა სრულ ლიკვიდაციას. მემამულეთა მიწების არცთუ ისე მცირე ნაწილის კონფისკაცია, რასაც „რუსული სამართალი“ მიმართავდა საზოგადოებრივი ფონდის შესაქმნელად, რა თქმა უნდა, მეტად გაბედული ნაბიჯი იყო იმ დროის კვალობაზე, მაგრამ მას თანმიმდევრობა აკლდა. აღნიშნული ღონისძიების ცხოვრებაში გატარება, ცხადია, დიდ ზიანს აყენებდა თავადაზნაურების ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ არ სპობდა ფეოდალურ მიწათმფლობელობას, რადგანაც კონფისკაციის ჩატარების შემდეგაც რჩებოდნენ მრავალი ათასობით დესეტინის მფლობელი მემამულეები. სხვანაირად რომ ვთქვათ, რჩებოდა (თუმცა გარკვეულად შეზღუდულ-დასუსტებული სახით) ფეოდალის საკუთრება მიწაზე: ე. ი. ის, რაც წარმოადგენს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძველს, მის ქვაკუთხედს. ასეთ ვითარებაში პესტელის განცხადება ბატონყმობისა და თავადაზნაურობის როგორც წოდების დაუყოვნებლივ მოსპობის შესახებ არსებითად განუხორციელებელ ოცნებად გამოიყურებოდა.

როგორი უნდა ყოფილიყო სამხრეთელების გეგმით რუსეთის მომავალი პოლიტიკური წყობილება? ის მათ რესპუბლიკის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი, უმაღლესი ხელისუფლება ორ ნაწილად იყოფოდა—საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად. პირველ მათგანს განახორციელებდა ერთპალატიანი სახალხო ვეჩე, ხოლო მეორეს — სახელმწიფო სათათბირო. ამ ორის გარდა, პესტელის კონსტიტუციით, იქმნებოდა აგრეთვე საკონტროლო ფუნქციების მქონე სპეციალური ორგანო, რომელსაც უმაღლესი კრება (Верховный совет) ეწოდებოდა.

სახალხო ვეჩეს დეპუტატებს ირჩევდა ხალხი 5 წლის ვადით. ყოველ წელიწადს იცვლებოდა მისი შემადგენლობის ერთი მეხუთედლი ახალი წევრებით, თუმცა ძველის დატოვებაც არ იყო გამორიცხული (თუკი მას ისევ აირჩევდნენ). სახალხო ვეჩე, როგორც უკვე ვთქვით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო. მის გარეშე არ მიიღებოდა არც ერთი კანონი, არ ცხადდებოდა ომი, არ იღებოდა ზავი და ა. შ.

აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვილი სახელმწიფო სათათბიროც, რომლის წევრთა რაოდენობა ხუთ კაცს უდრიდა, ასევე 5 წლის ვადით ირჩეოდა. ყოველ წელიწადს მისი ერთი წევრი მეორით იცვლებოდა. „სახელმწიფო სათათბირო, — ნათქვამია სამხრეთელთა პროგრამაში, — განახორციელებს უმაღლეს აღმასრულებელ

ხელისუფლებას, აწარმოებს ომსა და მოლაპარაკებას, მაგრამ არ აცხადებს მას და არ დებს ზავს. ყველა სამინისტრო, საერთოდ ყველა მთავრობის ორგანო, სახელმწიფო სათათბიროს ხელქვეითია და მას ემორჩილება“.

უმაღლესი კრება, რომელსაც საკონტროლო ფუნქციები ენიჭებოდა, 120 კაცისგან შედგებოდა. წევრებს მუდმივად ირჩევდნენ და მათი შეცვლა ახალი წევრებით არ ხდებოდა. განმარტავს რა ამ ორგანოს დანიშნულებას, რუსული სამართალი წერს: «Собрание имеет верховную законодательную власть. Народная дума препровождает к нему... свои законы. Собрание не рассуждает о сущности предметов, но смотрит на одни формы, дабы во всем соблюденно было законное; после сего... получает закон свою действительную силу... Верховное собрание удерживает в пределах законности Народную думу и Государственную Думу. Сам же не имеет никакого действия положительного. Главнокомандующие действующих армий назначаются Верховным собранием. Оно принимает начальство над армиею, когда выступает за пределы государства».

ასეთია ძირითად ხაზებში „რუსული სამართლით“ გათვალისწინებული ქვეყნის პოლიტიკური წყობილება, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკური იყო თავის საფუძვლებში და აბსოლუტურად გამორიცხავდა იმპერატორის ყოველგვარ ხელისუფლებას.

სამხრეთელების პროგრამა აცხადებდა სიტყვის, ბეჭდვის, რწმენისა და ადგილიდან ადგილზე გადასვლის თავისუფლებას, აწესებდა ყველასათვის ერთ სამართალს და ა. შ. რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებზე მთლიანად ვრცელდებოდა „რუსული სამართლის“ ძირითადი პრინციპები, ისპობოდა ბატონყმობა, მყარდებოდა რესპუბლიკური მმართველობა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს პესტელის მიერ ნაციონალური საკითხის გადაჭრის უვარგისი. დიდმპყრობელური ხასიათი. მისი აზრით, იმპერიაში შემავალ ხალხებს ხელი უნდა აეღოთ თავიანთ ეროვნულ თავისებურებაზე და მთლიანად შერწყმოდნენ რუსებს. „სხვადასხვა ტომები, — ნათქვამია განსაზღვრულ ძეგლში, — რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს შეადგენენ, განიხილებიან როგორც რუსები. ისპობა მათი სახელები (ინდივიდუალობა) და ისინი ქმნიან ერთ რუს ხალხს“. გამონაკლისი მხოლოდ პოლონეთის მიმართ იყო დაშვებული; მას პესტელის პროგრამა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ანიჭებდა, რაც ფარულ საზოგადოებაში მომუშავე პოლონელების ერთგვარი ზეგავლენით აიხსნება.

დეკაბრისტთა „ჩრდილოეთის საზოგადოება“, როგორც ზემოთაც ვთქვით, 1821 წელს შეიქმნა. მისი მეთაური იყო ნიკიტა მურავიოვი, ხოლო წევრები ნ. ტურგენევი, მ. ლუნინი, ს. ტრუბეცკოი, ე. ობოლენსკი, ი. პუშჩინა, კ. რილეევი, ძმები ნიკოლოზ, ალექსანდრე და მიხეილ ბესტუჟეევი, კახოვსკი, კიუხელბეკერი და სხვ.

საზოგადოების პროგრამა, რომელიც „კონსტიტუციის“ სახელითაა ცნობილი, შეადგინა ნიკიტა მურავიოვმა. ისიც, ისე როგორც სამხრეთელთა პროგრამა, ანტიბატონყმური და ანტიმონარქისტული იდეების შემცველია. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველი უფრო ლიბერალურია, ვიდრე მეორე, მას უფრო აზის კლასობრივი შეზღუდულობის კვალი, ვიდრე მეორეს.

„კონსტიტუციაში“ მკაცრადაა გაკრიტიკებული ბატონყმური ურთიერთობა და აღიარებულია მისი მოსპობის აუცილებლობა. „ბატონყმური ურთიერთობა და მონობა უქმდება. მონა, შეეხება რა რუსეთის მიწას, თავისუფალი ხდება. საზოგადოების დაყოფა კეთილშობილად და უბრალო ხალხად ისპობა, ვითარცა ქედმაღლობის გამომხატველი და ქრისტიანობის საწინააღმდეგო, ქრისტიანობისა, რომლის მიხედვით ყველანი ძმები და კეთილად შობილნი არიან“ („კონსტიტუცია“). იკრძალებოდა ადამიანის ადამიანზე საკუთრების უფლება, საკუთრება მხოლოდ ნივთზე შეიძლებოდა და კანონი მას ფხიზლად იცავდა. მიწა მემამულეთა კუთვნილებად ცხადდებოდა, გლეხს მხოლოდ 2 დესეტინა ეძლეოდა (კომლზე), რაც თავისთავად ცხადია, მიახლოებოდაც არ იყო საკმარისი. დანაკლისი მას მემამულეთა მიწების იჯარით უნდა შეევესო. ასეთ ვითარებაში მყოფი უშუალო მწარმოებელი არსებითად დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩებოდა და სრულყოფილად ვერ გამოიყენებდა „კონსტიტუციის“ მიერ მინიჭებულ პირად თავისუფლებას.

გადადის რა პოლიტიკური წყობილების საკითხზე, განსახილველი დოკუმენტის ავტორი მკაცრად აკრიტიკებს მმართველობის დესპოტიურ სისტემას. რომელიც მთლიანად გამორიცხავს ხალხის ინიციატივას, მის მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ყველა ხალხისა და დროის მაგალითი გვიჩვენებს, — კვითხულობთ იქ, — რომ თვითმპყრობელობა ერთნაირად დამღუპველია როგორც მმართველებისათვის, ისე საზოგადოებისათვის. ის არ ეგუება არც ჩვენს წმინდა რწმენას, არც ჭანსალი გონების საფუძვლებს. შეუძლებელია მმართველობა ერთი ადამიანის თვითნებობაზე დამყარდეს, შეუძლებელია დავეთანხმოთ იმას, რომ ყველა უფლება ერთ მხარეზე იყოს, ხოლო მოვალეობა — მეორეზე. ბრმა მორჩი-

ლება მხოლოდ შიშის შედეგია და არ შეეფერება გონიერ მბრძანებელსა და ჰკვიან აღმსრულებელს. აყენებენ რა თავს კანონებზე მაღლა, მეფეებმა დაივიწყეს, რომ ისინი ასეთ შემთხვევაში კანონს გარეშე რჩებიან“.

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს რუსი ხალხის თავისუფალ და დამოუკიდებელ ხალხად გამოცხადება; „ის არ არის და არც შეიძლება იყოს რომელიმე პირის ან ოჯახის კუთვნილება“. ყოველგვარი ხელისუფლების წყაროდ ხალხია აღიარებული, მას ჰქონდა მინიჭებული „ძირითად დადგენილებათა მიღების განსაკუთრებული უფლება“.

მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილება რუსეთისა, რომელიც ფედერაციად ცხადდებოდა¹, ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციური მონარქიის სახით ჰქონდა წარმოდგენილი, რომლის დროსაც იმპერატორი მხოლოდ და მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი იქნებოდა.

რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ნიკიტა მურავიოვის პროექტით, სახალხო ვეჩე იყო. იგი ორი პალატისგან შედგებოდა, რომლიდანაც ერთს უმაღლესი სათათბირო ან ზედა პალატა ეწოდებოდა, ხოლო მეორეს—ხალხის წარმომადგენელთა ან ქვედა პალატა. პირველი მათგანის დეპუტატების რაოდენობა 42 კაცით იყო განსაზღვრული², ხოლო მეორის — 450-ით³. არჩევნებში მონაწილეობის უფლება მაღალი ქონებრივი ცენზით იყო შეპირობებული. პალატები აწყობდნენ ცალ-ცალკე და ერთობლივ ღია და დახურულ სხდომებს. ესა თუ ის პროექტი, მოწონებული სახელმწიფო სათათბიროსა და წარმომადგენელთა პალატის მიერ, უნდა გადასცემოდა იმპერატორს იმისათვის, რომ მას მიეღო კანონის ძალა. თუკი იმპერატორი მოიწონებდა მას, ხელს

¹ ფედერაციაში შედიოდა 13 „დერეჟა“ (სახელმწიფო), მოსკოვის ოლქი და დონის მხარე. თითოეულ მათგანს თავისი დედაქალაქი ჰქონდა. ვოლხოკის „დერეჟის“ დედაქალაქად, მაგალითად, პეტერბურგი ითვლებოდა, „შავი ზღვის“ „დერეჟისა“ — კიევი, უკრაინისა — ხარკოვი. კავკასიისა — თბილისი და ა. შ.

² თითოეული „დერეჟა“ (მათი რიცხვი, როგორც უკვე ვთქვით, 13-ს უდრდა) 3 დეპუტატს ირჩევდა, მოსკოვის ოლქი — ორს და დონის მხარე — ერთს, სულ, ამრიგად, გამოდიოდა 42 დეპუტატი ($13 \times 3 + 2 + 1 = 42$).

³ წარმომადგენელთა პალატის დეპუტატების რაოდენობა პრინციპში მოსახლეობის რიცხვის შესაბამისად ისაზღვრებოდა. მამრობითი სქესის ყოველი 50000 კაცი (იგულისხმებიან სრული ასაკის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და კონსტიტუციით გათვალისწინებული ქონებრივი ცენზის მქონენი) პალატაში ერთ დეპუტატს გზავნიდა. მაგრამ მოსახლეობის რიცხვის დადგენამდე, რაც მხოლოდ აღწერის ჩატარებით იყო შესაძლებელი, 450 კაცით ისაზღვრებოდა.

აწერდა. თუ არა და აკეთებდა სათანადო შენიშვნებს და უბრუნებდა იმ პალატას. რომელმაც პროექტი პირველად წამოაყენა. ხდებოდა მისი ხელმეორედ განხილვა. თუკი ამ ხელმეორედ განხილვის დროსაც პალატის წევრთა 2/3 მხარს დაუჭერდა მას, ის იმპერატორის შენიშვნებით მეორე პალატას ეგზავნებოდა. ამ უკანასკნელის წევრთა ორი მესამედის დასტური პროექტს უკვე კანონის ძალას ანიჭებდა და იმპერატორის დამტკიცების გარეშე მოქმედებაში შედიოდა. კანონის ძალას ღებულობდა პალატების ის წინადადებებიც, რომლებსაც მეფე პასუხს არ გასცემდა კონსტიტუციით დადგენილი ათი დღის განმავლობაში (კვირა და უქმე დღეების გამოკლებით).

სახალხო ვეჩე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ის იმუშავებდა რუსეთის სამოქალაქო, სისხლის სამართლის, სავაჭრო და სამხედრო კანონმდებლობას, მხოლოდ ის იყო უფლებამოსილი ომი გამოეცხადებინა და ზავი დაედო, მასზე იყო დამოკიდებული საზღვრების, სანაპიროების, შინაგანი უშიშროების დაცვისა და ჯარის შეკრება-შეცვლების წესების დადგენა, გადასახადების შემოღება, სესხის გამოშვება, პენსიებისა და ჯამაგირების განსაზღვრა და სხვ.

იმპერატორს მურავიოვის კონსტიტუცია მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდა. ის სახალხო ვეჩეს სახელითა და თანხმობით აწარმოებდა მოლაპარაკებას და ღებდა ზავს უცხო ქვეყნებთან, მაგრამ დამოუკიდებლად მას არც ერთის უფლება ჰქონდა და არც მეორის. მას ვეჩესთან შეუთანხმებლად არამტოუ ომის გამოცხადება არ შეეძლო, არამედ თვით ქვეყნის შინაგანი საპიროებისთვისაც ეკრძალებოდა ჯარის გამოყენება, თუმცა სახელმწიფოს სახმელეთო და საზღვაო ძალების უმაღლეს სარდლად ითვლებოდა. იმპერატორი ნიშნავდა ელჩებს, კონსულებს, მაღალი რანგის მოსამართლეებს, მაგრამ ისევ და ისევ სახალხო ვეჩეს თანხმობით. იგი თავისი მოვალეობის შესრულებას ფიცის დადებით იწყებდა. რომლის ტექსტში ნათქვამი იყო: „საზეიმოდ ფიცსა ვდებ კეთილსინდისიერად შევასრულო რუსეთის იმპერატორის მოვალეობანი და გამოვიყენო მთელი ჩემი ძალები ამ საკონსტიტუციო წესდების შესანარჩუნებლად და დასაცავად“.

ჩრდილოეთელების პროგრამით, იმპერატორი რუსეთის მთავრობის უმაღლეს მოხელეს წარმოადგენდა, რომელიც სახალხო ვეჩეს ემორჩილებოდა და მისი ხელისუფლებით იყო სერიოზულად შეზღუდული. მისი ოჯახის წევრები ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ და ყველასათვის სავალდებულო წესებ-

სა და კანონებს ემორჩილებოდნენ. არავითარი პრივილეგიები მათ არ ჰქონდათ.

როგორც ვხედავთ, ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუცია ბევრი საინტერესო და გაბედული ღონისძიების შემცველი დოკუმენტი იყო. ის ენერგიულად უტევდა ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას, პირველის მოსპობას გულისხმობდა, ხოლო მეორის — საგრძნობლად შეზღუდვას. მაგრამ ჩრდილოეთელების პროგრამას ბევრი სუსტი მხარეც გააჩნდა, უფრო მეტი, ვიდრე პესტელის რუსულ სამართალს და ამ უკანასკნელთან შედარებით უფრო ლიბერალური იყო (კონსტიტუციური მონარქია რესპუბლიკის მ-გიერ, მემამულეთა მიწების თითქმის ხელუხლებლად დატოვება, გლეხებისათვის მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთის და 2 დესეტინა საველე მიწის მიცემა, მაღალი ქონებრივი ცენზი და სხვ.).

რომ დავამთავროთ საუბარი ჩრდილოეთ დეკაბრისტების საზოგადოებაზე, საჭიროა გაიხაზოს უფრო რადიკალური რესპუბლიკური მიმართულების შედარებით მცირე ჯგუფის არსებობა ამ საზოგადოებაში. ჯგუფს (მასში შედიოდნენ ობოლენსკი, ნიკოლოზ ალექსანდრე და მიხეილ ბესტუჟევები, კახოვსკი, იაკუბოვიჩი, კიუხელბეკერი და სხვ.), რომელსაც კონდრატე რილეევი ხელმძღვანელობდა, არ მოსწონდა ნიკიტა მურავიოვის ზომიერება და მას მეტი რადიკალიზმისკენ უბიძგებდა. ის მომავალ წყობილებაში მეფისათვის საერთოდ არავითარ ადგილს არ ტოვებდა და ხალხის მმართველობის შემოღებაზე ოცნებობდა. „საიდუმლო საზოგადოების განზრახვა, — სწერდა 1826 წელს ხსენებული ჯგუფის წევრი კახოვსკი ნიკოლოზ I-ს— გამოძედავენებულია. ჩვენ ვიყავით თქვენს წინააღმდეგ შეთქმულნი. ჩვენი მიზანი იყო ამჟამად გაბატონებული სამეფო საგვარეულოს ამოწყვეტა და საშინელი სისხლის ღვრის შედეგად ხალხის მმართველობის დამყარება“.

უპოვებელი საზოგადოება და ჩრდილოეთი დეკაბრისტების შორის

მიუხედავად სამხრეთელ და ჩრდილოეთელ დეკაბრისტებს შორის არსებული განსხვავებისა, მათ საკმაოდ ცხოველი კავშირით ერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. და ეს ბუნებრივიცაა. რადგანაც პესტელისა და მურავიოვის პროგრამები პრინციპულ საკითხებზე ერთი აზრისანი იყვნენ. მათ აერთიანებდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, სამხედრო გადატრიალების ტაქტიკა და სხვ. საზოგადოებათა ხელმძღვანელები,

კერძოდ. პესტელი, ეტყობა, კარგად გრძნობდა ძალების კონცენტრაციისა და მოქმედების კოორდინირების საჭიროებას და ამ მიმართულებით კიდევ გადადგა გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯი. 1824 წელს იგი პეტერბურგს ჩავიდა, შეხვდა ჩრდილოეთელებს და ბევრი იზრუნა იმისათვის, რომ „რუსული სამართალი“ გამხდარიყო ორივე საზოგადოების საპროგრამო დოკუმენტი. მას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკური მიმართულების წარმომადგენლებმა, მაგრამ უმრავლესობამ ის არ სცნო. არ მიიღეს, კერძოდ, მიწის განაწილების პესტელისეული გეგმა. უარყვეს დროებითი რევოლუციური მთავრობის დიქტატურის იდეა და სხვ. მაგრამ ამით ჩრდილოეთელ დეკაბრისტებს ხელი არ აუღიათ მოქმედების კოორდინირების აზრზე. მათ გადაწყვიტეს სამხრეთელებთან შეთანხმება პესტელის გარეშე და ამ მიზნით კიევში მიავლინეს სერგეი ტრუბეცკოი. მან მოლაპარაკება აწარმოვა სერგეი მურავიოვ-აპოსტოლთან. საზოგადოების ვასილკოვის „უპრავის“ წარმომადგენელთან და შეუთანხმდა მას ერთობლივი მოქმედების, გაერთიანებული ძალებით გამოსვლის თაობაზე. სამხრეთელები დათანხმდნენ, რომ აჯანყების წარმატებით დამთავრების შემდეგ, დროებითი მთავრობის დიქტატურის მაგიერ (რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა პესტელი) მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა აგრარული საკითხი. მაგრამ, როგორც ცნობილია, დეკაბრისტული საზოგადოების ერთობლივი გამოსვლა მაინც ვერ მოხერხდა და ახალგაზრდა რევოლუციონერთა ისედაც მცირერიცხოვან ჯგუფს ცალ-ცალკე დაქსაქსულად მოუხდა მტერთან შერკინება, რაც უმთავრესად იმპერატორ ალექსანდრე I-ის მოულოდნელი გარდაცვალებით იყო გამოწვეული.

6. შეერთებული სლავების საზოგადოება

შეერთებული სლავების წინაპარი იყო ძმების—პეტრე და ანდრია ბორისოვების მიერ პოლტავის გუბერნიის დაბა რეშეტილოვკაში 1818 წელს ჩამოყალიბებული საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც „პირველი შეთანხმების საზოგადოება“ ეწოდებოდა. 1823 წელს ის „შეერთებულ სლავთა საზოგადოებად“ იქცა. მისი მიზანი იყო სლავების გაერთიანება, სლავური ფედერაციის შექმნა. მის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ რუსეთი, პოლონეთი, ბოჰემია, მორავია, უნგრეთი, ტრანსილვანია, სერბია, მოლდავეთი, ვლახეთი, დალმაცია და კროაცია. ფედერაცია ვეებერთელა ტერიტორიის მქონე სახელმწიფოდ იყო წარმოდგენილი, რომლის საზღვრები ოთხ

ზღვას — შავ, თეთრ, ბალტიისა და ადრიატიკის ზღვებს ებჭინებოდა. ეს იყო თანასწორუფლებიან ხალხთა გაერთიანება, რომლის საფუძველს დემოკრატიულ-რესპუბლიკური წყობილება წარმოადგენდა. „შეერთებული სლავების მიზანი, — ნათქვამია პეტრე ბორისოვის ჩვენებაში, — მდგომარეობდა იმაში, რომ სლავთა მოდგმა გაერთიანებულიყო ერთ ფედერაციულ კავშირში. კავშირის ცენტრში უნდა აშენებულიყო ქალაქი, რომელშიც სლავი ხალხები გაგზავნიდნენ თავიანთ დეპუტატებს და სადაც იქნებოდა ფედერაციული კავშირის მთავარი მმართველობა“. „სლავთა ყველა მოდგმის გაერთიანება და მათი განთავისუფლება, — ვკითხულობთ იმავე დოკუმენტში, — მესახებოდა მე ბრწყინვალე ღონისძიებად, რადგანაც ამ გზით ვფიქრობდი ბედნიერება მომეტანა არა მარტო თანამემამულეებისათვის, არამედ სხვა ხალხებისთვისაც“.

ფედერაცია რომ გულისხმობდა ხალხთა გაერთიანებას დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძველზე¹ და რომ ის გამორიცხავდა რომელიმე ხალხის უპირატეს უფლებებს. ამას ჩვენთვის საინტერესო საზოგადოების მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი ი. გორბაჩევსკიც ადასტურებს. „საზოგადოების უმთავრესი მიზანი იყო, — წერს ის, — ყველა სლავი ხალხის განთავისუფლება, მოსპობა ზოგ მათგანს შორის არსებული ნაციონალური შუღლისა და მათი მიწების

¹ შეერთებული სლავების რესპუბლიკანელობას, მათ შეხედულებათა ანტი-მონარქისტულ ხასიათს ადასტურებს აგრეთვე „მართლმადიდებლური კატექიზიცი“. ის წაუკითხეს ჩერნიოგოვის პოლკს აჯანყების წინ. რომელიც მოაწყვეს სლავებმა (სამხოეთლებთან ერთად). „კატექიზი“ შედგენილი იყო კითხვა-პასუხის სახით.

კითხვა: რატომაა რუსი ხალხი და ქარი უბედური?

პასუხი: იმიტომ, რომ მეფეებმა მოსტაცეს მათ თავისუფლება.

კითხვა: მაშასადამე. მეფეები იქცევიან ღვთის ნება-სურვილის წინააღმდეგ?

პასუხი: დიახ, რა თქმა უნდა.

კითხვა: უნდა ემორჩილებდეთ თუ არა მეფეებს. როდესაც ისინი ღვთის ნება-სურვილის წინააღმდეგ იქცევიან?

პასუხი: არა. რუსი ხალხი და ქარი სწორედ იმიტომ იტანჯებიან, რომ ისინი მორჩილობენ მეფეებს.

კითხვა: რის გაკეთებას ურჩევს საღვთო სჯული რუს ხალხსა და ქარს?

პასუხი: მოინანიოს ხანგრძლივ მონობაში ყოფნა, აღსდგეს ტირანიისა და უბედურების წინააღმდეგ და დაიფიცოს: დაე ყველგან, ზეცაზე და მიწაზე, იყოს ერთი მეფე — იესო ქრისტე.

კითხვა: როგორი მმართველობა შეესაბამება საღვთო სჯულს?

პასუხი: ისეთი, სადაც არ არიან მეფეები.

კითხვა: მაშასადამე, ღმერთს არ უყვარს მეფეები?

პასუხი: არა, არ უყვარს. ისინი დაწყვეტილი არიან მისგან, ეითარცა ხალხის შემეწირობებლნი.

ერთ ფედერალურ კავშირში გაერთიანება... განზრახული იყო დემოკრატიული მმართველობის შემოღება ყველა ხალხში, კონგრესის შექმნა-ჩამოყალიბება კავშირის საქმეების გასაძლოდ და საერთო ძირეული კანონების შესაცვლელად საჭიროების შემთხვევაში. ამავ დროს ფედერაციაში შემავალ თითოეულ სახელმწიფოს უფლება ენიჭებოდა თვითონვე ემართა შინაური საქმეები და ყოფილიყო დამოუკიდებელი თავისთვის განკუთვნილი კანონების მიღებაში".

მთელს ფედერაციასა და მის შემადგენელ ნაწილებში მყარდებოდა არა მარტო რესპუბლიკური მმართველობა, არამედ დაუყოვნებლივ ისპობოდა ბატონყმობა. პეტრე ბორისოვის მიერ შემუშავებული წესდებიდან მკაფიოდ ჩანს შეერთებულ სლავთა საზოგადოების ანტიბატონყმური ხასიათი. მის მეორე მუხლში ნათქვამია: „ნუ ისურვებ მონის ყოლას, რადგანაც თვითონ არ გინდა მონა იყო“. მაგრამ რაკი ამ სანუკვარი ოცნების განხორციელება შეიძლებოდა დაგვიანებულყო (ამისთვის საჭირო იყო რევოლუციის მოწყობა და მისი წარმატებით დაგვირგვინება), სლავები ვარაუდობდნენ სათანადო თანხის შეგროვებას გლეხების გასათავისუფლებლად დამოკიდებული მდგომარეობიდან, ანტიბატონყმური აზრების გავრცელებას ხალხში და ა. შ. «Славяне,— წერს გორბაჩევსკი,— убежденные в том, что надежды их не могут так скоро исполниться, как они того желали, не хотели терять времени в пустых и невозможных усилиях, но вознамерились сделать все, что зависит от них и ведет, хотя медленно, к предпринятой цели. В исполнение сего намерения они положили определить некоторую часть общественной суммы на выкуп крепостных людей, стараться заводить или споспешествовать заведению небольших сельских и деревенских училищ; внушать крестьянам и солдатам необходимость познания правды и любовь к исполнению обязанностей гражданина и таким образом возбудить в них желание изменить унижительное состояние рабства и проч.».

როგორ და რა გზით ფიქრობდნენ შეერთებული სლავები მიზნის მიღწევას? ძალის გამოყენებით, რევოლუციის გზით. მათი წესდების პირველსავე მუხლში ნათქვამი იყო, რომ საიდუმლო საზოგადოების წევრს უნდა ჰქონდეს ორი რამის იმედი—მეგობრებისა და იარაღის-მეგობრები. — ნათქვამია იქ. -- დაგვხმარებიან, ხოლო იარაღი — დაგიცავს. ამ უკანასკნელის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩანს ფიცის ტექსტიდან, რომლის ცერემონიალი სწორედ იარაღის საშუალებით სრულდებოდა. „იარაღით ხელში მივალწევ დასახულ მიზანს“. — ამბობდა ფიცის მიმცემი. თანამედროვეთა მოწმობით, საზოგადოების ყველა წევრს მტკიცედ ჰქონია შეთვისებული აზრი,

რომ თავისუფლება შედეგია არა ცრემლის, არამედ უღმობელი და მრავალ მსხვერპლთან დაკავშირებული ბრძოლისა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ სლავებს, განსხვავებით დანარჩენი დეკაბრისტებისგან, რევოლუცია წარმოდგენილი ჰქონდათ არა როგორც შეთქმულთა ვიწრო წრის გამოსვლა. არამედ ხალხის შედარებით ფართო მასების მონაწილეობით მოწყობილი აჯანყება. მხოლოდ ასეთი გზით მიღწეული გადატრიალება შეიძლება ყოფილიყო საიმედო და პერსპექტიული. „სლავების საზოგადოება, — ნათქვამია გორბაჩევსკის მოგონებებში. — მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი გადატრიალება არ შეიძლება წარმატებით დამთავრდეს, თუკი მას მთელი ერი მხარს არ უჭერს. მართალია, სამხედრო რევოლუციები უფრო მალე აღწევენ მიზანს, მაგრამ მათი შედეგები სახიფათოა; ისინი არიან არა აკვანი, არამედ სამარე თავისუფლებისა, რომლის გამოც ეს რევოლუციები ეწყობა“. იგივე აზრია გატარებული გორბაჩევსკის მოგონების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია სლავებსა და სამხრეთელებს შორის არსებულ განსხვავებებზე «Они (ე. ი. სამხრეთელები), — ნათქვამია იქ, — думали произвести переворот одною военною силою, без участия народа, не открывая даже предварительно тайны своих намерений ни офицерам, ни нижним чинам, из коих первых надеялись увлечь энтузиазмом и обещаниями, а последних — теми же средствами, или деньгами и угрозами... Славяне же в действиях своих руководствовались совершенно противоположными началами... Они были проникнуты обширностью своего плана и для приведения его в исполнение считали необходимым содействием всех сословий; в народе искали они помощи, без которой всякое изменение непрочно».

როგორც ვხედავთ, შეერთებული სლავები ძალიან ახლოს იყვნენ სამხრეთელ დეკაბრისტებთან თავიანთი ანტიბატონყმურა და ანტი-მონარქისტული, რესპუბლიკური იდეებით, ისე როგორც მოქმედების რევოლუციური ტაქტიკით. მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავებაც არსებობდა, რაც, ვიმეორებთ ისევ, რევოლუციური გადატრიალებისა და ხალხის როლის სხვადასხვაგვარ გაგებაში მდგომარეობდა. სლავების თვალსაზრისა ამ საკითხში უფრო სწორი და მართებული იყო.

7. დეკაბრისტებისა და დეკაბრისტული იდეების აღვილი ისტორიაში

დეკაბრისტული იდეების ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ ბევრი მცდარი შეხედულება გამოითქვა. არასწორად შეაფასა ეს მოვლენა, კერძოდ, თავადაზნაურულმა და ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა

ისტორიოგრაფიამ. ვ. კლიუჩევსკიმ, მაგალითად, უარყო დეკაბრიზმის კანონზომიერება და ის „ისტორიულ შემთხვევითობად“ გამოაცხადა. მან ვერ გაიგო დეკაბრისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ხასიათი, მათი კლასობრივი არსი და რევოლუციონერთა ამ პირველი თაობის გამოსვლა XVIII საუკუნის სასახლის გადატრიალებებს შეუდარა. ბარონმა კორფმა, ავტორმა წიგნისა „იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლა“, დეკაბრისტები ვერაგ და თავზეხელაღებულ მეამბოხეებად მონათლა, რომლებმაც ხელი აღმართეს ყველას მიერ მოწონებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ა. პიპინმაც, როგორც უკვე ვთქვით, მთლიანად გააყალბა დეკაბრისტული მოძრაობისა და იდეების ისტორია. მან სავსებით უარყო ამ იდეების ანტიბატონყმური და ანტიმონარქისტული ხასიათი და დეკაბრისტების მოღვაწეობა საქველმოქმედო საქმიანობამდე დაიყვანა, რომელსაც მთავრობა ვითარცა არარევოლუციურს, ოღნაედაც არ სდევნიდა. ჩვენთვის საინტერესო მოვლენის სწორი შეფასება ვერ მოგვცა ვერც მ. პოკროვსკიმ. მან დეკაბრისტების გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე პურის ფასების გადიდებას დაუკავშირა, უარყო მათი შეხედულებათა ანტიბატონყმური და პატრიოტული ხასიათი, არ სცნო ისინი რევოლუციურ შეხედულებებად.

მაგრამ ამ მცდარ თვალსაზრისთან ერთად დეკაბრიზმზე დროთა განმავლობაში სწორი თვალსაზრისიც მუშავდებოდა. ეს უკანასკნელი პირველ ყოვლისა თვით დეკაბრისტების სახელთანაა დაკავშირებული. დეკაბრისტები მკაფიოდ გახაზავდნენ თავიანთი საქმიანობის ანტიბატონყმურ, ანტიმონარქისტულ და რევოლუციურ ხასიათს, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო XVIII საუკუნის სასახლის გადატრიალებებთან. ისინი არ უმაღავდნენ სამძებრო ორგანოებს საიდუმლო საზოგადოებების რევოლუციურ მიზანდასახულობას. ის არ დაუმაღავს, მაგალითად, პავლე პესტელს, რომელმაც არაორაზროვნად გაუსვა ხაზი დეკაბრისტულ ორგანიზაციათა რევოლუციურ ხასიათს დღიდან მათი წარმოშობისა უკანასკნელ დღემდე; არ დაუმაღავს ის არც პეტრე კახოვსკის, რომელიც წერილში ნიკოლოზ I-სადმი პირდაპირ ამბობდა, ჩვენი მიზანი სამეფო გვარეულობის ამოწყვეტა და სახალხო მმართველობის შემოღება იყო. იგივე ითქმის გ. ბატენკოვის შესახებაც, რომელმაც დეკაბრისტების გამოსვლას „პოლიტიკური რევოლუციის პირველი ცდა“ უწოდა რუსეთში.

ჩვენთვის საინტერესო მოვლენაზე სწორი თვალსაზრისის გამო-მუშავებას დიდად შეუწყვეს ხელი რევოლუციონერ-დემოკრატებმა, პირველ რიგში გერცენმა და ოგარიოვმა. გერცენს შესანიშნავად ეს-მონდა დეკაბრიზმის პოლიტიკური არსი. ის, მისი აზრით, იყო „პირ-

ველი, ჰეშმარიტად რევოლუციური ოპოზიცია“. რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. „14 декабря, — წერდა გერცენი, — действительно, открыло новую фазу нашему политическому воспитанию и, — что может показаться странным, — громадное влияние, которое имело на это дело... само восстание, геройское поведение заговорщиков на площади, во время суда, в кандалах, в присутствии императора Николая, в рудниках, в Сибири“. დეკაბრისტებმა მისივე სიტყვით, სახრჩობელას სიმალლიდან გააღვიძეს ახალგაზრდა თაობა, ჩამოხსნეს თვალზე აფარებული ნიღაბი და პროგრესის საქმისათვის თავგანწირული ბრძოლისკენ უბიძგეს მას.

ბოლომდე სწორი და ყოველმხრივ სრული შეფასება დეკაბრისტებისა მოგვცა ვ. ი. ლენინმა. მან ისინი პირველ რევოლუციონერებად აღიარა რუსეთში. „ჩვენ, — წერდა ის, — ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებენ. თავდაპირველად თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები, გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან, მაგრამ მათ საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, გერცენმა გაშალა რევოლუციური აგიტაცია“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 18, გვ. 18—19).

აქ, როგორც ვხედავთ, ხაზგასმულია დეკაბრიზმის როგორც სოციალ-კლასობრივი არსი, ისე მისი როლი და ადგილი რუსეთის ისტორიაში.

ლიტერატურა და წყაროები

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 18—19.
2. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, რუსეთი XIX ს. პირველ ნახევარში. თბ., 1963.
3. История СССР, т. II, под редакцией М. В. Нечкиной. Москва, 1954 г.
4. М. В. Нечкина а. Движение декабристов, т.т. I—II, 1955 г.
5. С. Б. Окуни в. Очерки истории СССР (конец XVIII — первая четверть XIX века), 1956 г.
6. А. И. Пашков. История русской экономической мысли, т. I, ч. 2.
7. А. И. Пыпин. Общественное движение в России при Александре I, 1900 г.
8. В. О. Ключевский. Сочинения, т. V, 1958 г.
9. Избранные социально-политические и философские произведения декабристов, тт. I—III, 1951 г.
10. „Конституция Н. Муравьева“ (в книге Н. М. Дружинина „Декабрист Никита Муравьев“, 1933 г.).
11. „Русская Правда“ (Наказ Временному верховному правлению), СПб, 1906 г.
12. И. И. Горбачевский. Записки и письма, 1963 г.
13. И. Д. Якушин. Записки, статьи, письма, 1951 г.

მიხეილ ბარათაშვილი და დეკაბრისტები.

მ. ბარათაშვილის შეხედულებათა დეკაბრისტული ხასიათი

მიხეილ ბარათაშვილი (ბარათაევი) დაიბადა 1784 წლის 25 იანვარს ქ. სიმბირსკში, სიმბირსკის გუბერნატორის გენერალ-პორუჩიკ პეტრე მელქისედექის ძე ბარათაშვილის ოჯახში. მელქისედექ ბარათაშვილი 1724 წელს მეფე ვახტანგ VI ერთად რუსეთში გადასახლდა 1798 წელს მიხეილმა. 14 წლის ყმაწვილმა, საარტილერიო ბატალიონში შესვლით დაიწყო სამხედრო სამსახური, რომელსაც. მისი მოწმობის თანახმად. მთელი მისი გვარეულობა ეწეოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ბარათაშვილმა ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი მიანება. 1806 წელს, როდესაც რუსეთი ომს აწარმოებდა საფრანგეთის წინააღმდეგ. ბარათაშვილმა, რომელმაც „იგრძნო შემსუბუქება“ ავადმყოფობის მხრივ, „ვალდებულად ჩათვალა თავი ისევ შესულიყო სამსახურში“. ის პავლოგრადის ჰუსარათა პოლკში განაწესეს. მან კარგი და თავაზიანი ოფიცრის სახელი მოიხვეჭა. ფრანგებთან ბრძოლაში ბარათაშვილმა არაერთხელ გამოიჩინა თავი ძალზე საშიში ოპერაციების შესრულებით. პულტუსკთან ბრძოლის (1806 წ.) წინ, გენერალ დოხტუროვის დავალებით, ბარათაშვილმა, გაიკაფა რა მტრის ნაწილებით დაკავებული გზა, ძვირფასი ცნობები მიუტანა გენერალ ბარკლაი დე ტოლის, რამაც ამ უკანასკნელს საშუალება მისცა შეერთებოდა რუსეთის ჯარების მთავარსარდალს ბენინგსენს. ამ გაბედული საქციელისათვის ბარათაშვილი, როგორც ჩანს, დაჯილდოებული არ ყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ იმ ვაჟკაცობისათვის, რომელიც მას თვით პულტუსკთან მომხდარ ბრძოლის დღეს გამოუჩენია, დაუჯილდოებიათ ვლადიმერის ორდენით. 1812 წელს ის მონაწილეობას იღებდა სამამულო ომში და თავი გამოიჩინა ბოროდინოს ბრძოლაში. 1812 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით გენერალ-ფელდმარშალმა კუტუზოვმა მისთვის „მიცემული უმაღლესი უფლების“ საფუძველზე ორდენებით დააჯილდოვა შტაბის ოფიცრები, რომლებიც იმყოფებოდნენ მასთან „24 და 26 აგვისტოს დიდ ბრძოლებში და თავი გამოიჩინეს... განსაკუთრებული მამაცობით

და მათზე დაკისრებულ ვალდებულებათა საუკეთესო შესრულებით“ დაჯილდოებულთა შორის არის შტაბის კაპიტანი თავადი მ. ბარათაშვილი. მას მიუღია ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი.

ბ. ესაძეს აღნიშნული აქვს, რომ თითქოს მ. ბარათაშვილს რუსეთის ჯარების 1813—1814 წლების საზღვარგარეთ ლაშქრობებშიც მიეღოს მონაწილეობა, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ჯერ ერთი, თვით ბარათაშვილი ამბობს, რომ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იგი გადადგა სამსახურიდან და 1813 წელს უკვე დაბრუნდა სიმბირსკის გარეუბანში მდებარე თავის სოფელ ბარათოვკაში. მეორეც, ერთ შემთხვევაში ბარათაშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ის სამხედრო სამსახურში შესვლის დღიდან დაახლოებით თოთხმეტი წლით მოშორდა სიმბირსკის გუბერნიას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი სამხედრო სამსახურში შესვლიდან (რაც მოხდა 1798 წელს) საგვარეულო მამულში გამობრუნებამდე (1813 წელს) განვლო დაახლოებით 14 წელმა. ამიტომ, ცხადია, მას 1813—1814 წლების ლაშქრობებში არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო.

1815 წლის ბოლოს ბარათაშვილს ირჩევენ სიმბირსკის მაზრის თავადაზნაურების წინამძღოლად, 1820 წელს კი — სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურების წინამძღოლად. 1816 (ან 1817) წელს, პეტერბურგში ყოფნის დროს, ის შევიდა მასონურ სალონში, რომელსაც „შეერთებული მეგობრების სალონი“ („Ложка соединенных друзей“) ეწოდებოდა. პეტერბურგიდან რომ სიმბირსკში ბრუნდებოდა, ბარათაშვილმა 1817 წლის 24 ივლისს დიდ სალონ „ასტერეისაგან“ მიიღო რწმუნება „მასონური სალონის“ გახსნის შესახებ ყაზანისა და სიმბირსკის გუბერნიებში. მიუხედავად სიმბირსკის გუბერნატორის წინააღმდეგობისა, ბარათაშვილმა მაინც მოახერხა გაეხსნა სალონი სახელწოდებით „სათნოების გასაღები“ და მისი მმართველი გახდა. 1826 წელს ის დააპატიმრეს დეკაბრისტების საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ იმავე წელს გაათავისუფლეს მამხილებელი დოკუმენტების უქონლობის გამო. 1839 წელს ბარათაშვილი ინიშნება საქართველოში საბაჟო ოლქის მმართველის თანამდებობაზე. აქ მან შეაგროვა ძველი ქართული, სომხური, სპარსული, ბერძნული, რომაული და სხვა ფულების მდიდარი კოლექცია, რომელიც საფუძვლად დაედო მის ძვირფას გამოკვლევას „საქართველოს სამეფოს ნუმისმატიური ფაქტები“ (რუსულ ენაზე). მიხეილ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1856 წელს თავის მამულში, ბარათოვკაში.

ბარათაშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების დაბასათებასთან დაკავშირებით აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მასონობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იგი იყო. მთავრობისათვის საშიში მიმდინარეობა არასოდეს არ ყოფილა. თავისი სოციალური შემადგენლობით რუსეთის მასონობა თავადაზნაურული იყო და დაბალი წრიდან გამოსულ პირებს მასში არ ლეზულობდნენ. მასონები, რომლებიც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ თავისუფლებასა და თანასწორობაზე, სინამდვილეში არ გამოდიოდნენ მაშინდელი ძირითადი სოციალური ბოროტების — ბატონყმობის წინააღმდეგ. მათ პუბლიცისტურ თხზულებებსა და სიტყვებში არამტუთ არაა მოწოდება ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არამედ, პირიქით — „ბატონყმობის პრობლემა განზოგადებულია და აყვანილია რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპის დონემდე“ (История русской литературы, т. IV, ч. II, 1947, стр. 60). მასონი ი. ლოპუხინი, მაგალითად, ცდილობდა დაემტკიცებინა თანასწორობის შეუძლებლობა იმ შემთხვევაშიც კი, „რომ დედამიწაზე არსებობდეს ოქროს ხანა, შექმნილი პოეტების მიერ“. ლაპარაკობდა რა ბატონყმობაზე, ი. ლოპუხინი წერდა, რომ გლეხების მემამულეებისადმი მორჩილების შესუსტება „მტრის შემოსევაზე უფრო სახიფათოა“.

მასონების ასეთი შეხედულებით აიხსნება მათი სალონების ლეგალური არსებობა. მთავრობამ მხოლოდ მაშინ დაიწყო მათი დევნა და აკრძალა სალონების არსებობა (1822 წ.), როდესაც მასონების წრეში ბევრი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა შევიდა სალონებში ახლა ისეთმა პირებმა მოიყარეს თავი, რომლებიც გაბედულად იბრძოდნენ ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგალითად, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სწორედ მასონურ სალონებში დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა ცნობილმა დეკაბრისტებმა პესტელმა, რილეევმა, ნ. მურავიოვმა, ს. ტრუბეცკოიმ, ნ. ბესტუჟევმა და სხვებმა. კიშინიოვის სალონის „ოვიდიუსის“ წევრი იყო ა. პუშკინი.

დეკაბრისტები, როგორც რევოლუციონერები, იბრძოდნენ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამდენად, ცხადია, რადიკალურად განსხვავდებოდნენ მასონებისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი შედარდნენ მასონურ სალონებში, რათა გამოეყენებინათ მათი ლეგალური არსებობა საკუთარი საქმისათვის, გას-

ცნობიდან მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას და მასონებს შორის მომხრეები მოექცნათ.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მასონებს შორის ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სძულდათ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა და რომლებიც გაბედულად იბრძოდნენ მაშინ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალების საფუძველზე მ. ბარათაშვილს იმ მასონების რიცხვს ვაკუთვნებთ, რომლებიც პირუთვნელად აკრიტიკებდნენ ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის საზიზღარ მხარეებს.

ამ მხრივ ის უექველად განსზვავდებოდა ბატონყმობის და თვითმპყრობელობის მოტრფიალე მასონებისაგან. მ. ბარათაშვილი თავის სიტყვებში (გამოსვლებში) გვევლინება, როგორც თავისუფლების, სოციალური თანასწორობისა (გარკვეული აზრით) და ღარიბ-მაშვრალთა დამცველი. ის წინააღმდეგია სიმდიდრისა და ტიტულების, იმისა, რომ ადამიანებს აფასებდნენ და აწინაურებდნენ ამ ნიშნების მიხედვით. მ. ბარათაშვილი მწუხარებით აღნიშნავს, რომ მის თანამედროვე საზოგადოებაში გადამწყვეტია „სიმდიდრე, ფუჭი ტიტულები და წარმოშობა“, რომლებიც განსაკუთრებული ხასიათის ამპარტავენობას (ყოყოჩობას) ბადებენ. სიმდიდრე, გვარიშვილობა და დაუმსახურებლად მიღებული ტიტულები «заставляют часто мечтать непросвещенного, что ему все возможно, все позволено, что он мудрее всех и добродетельнее всех и отличную породу от других человеков имеет. Лыстецы низкие, поклонники блестящего кумира укрепляют его в мыслях сих, и тогда слабый смертный, забыв себя, природу и ближних, презрением встречает истинное достоинство, посмеивается благородным усилиям, друг человечества, с улыбкой самодовольствия своим порокам черноте души своей дает громкие титулы великодушных поступков». ასეთ მდიდრებსა და ტიტულის მქონე ადამიანებს, რომლებიც „ღარიბებს ავიწროებენ“ და „სათნობას დევნიან“, მ. ბარათაშვილი „მტარვლებს“ უწოდებს. მისი აზრით, ასეთ ადამიანებში ამაო იქნებოდა გვეძებნა „შებრალების, თანაგრძნობის, მახლობლისადმი სიყვარულის. ობლისადმი დახმარებისა და შეურაცხყოფილისადმი ყურადღების გრძნობა“. აკრიტიკებდა რა თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას, ბარათაშვილს თავის სიტყვებში მოჰყავდა მსჯელობა მდიდარი და ტიტულის მქონე ადამიანისა, რომელიც უპირისპირებდა თავს უბრალო მოკვდავს, ღარიბსა და „გვარიშვილობის“ არმქონეს. აი ადგილი ბარათაშვილის სიტყვიდან: „მე შენზე უფრო საპატიო ვარ — ლაპარაკობს უგუნური, —

როგორ გაბედე შეკითხვის მოცემა? მე შენზე მდიდარი ვარ, როგორ გაბედე წამოგეყენებინა მოთხოვნილება ადამიანურ უფლებებზე და ჩემს გვერდით დგომა? ჩემი წინაპრები მრავალი საუკუნეების განმავლობაში დიდი ადამიანები იყვნენ, და ამიტომ ჩემი სული სულ სხვაა, ვიდრე შენი, შენი — ცხოველის ინსტინქტზე უკეთესი არაა, ჩემი კი ზეცის მკვიდრის სულის მსგავსია. მე გაგიბრძვიარ შენ და ჩემს სხეულს გახრწნის ჟამს დავიცავ (შემოვზღუდავ) ბრინჯაოთი, მარმარილოთი და დიდი სივრცით, რათა შენს ნეშტს არ შევერიო“.

სულ სხვანაირად უყურებდა ბარათაშვილი სიმდიდრესა და ტიტულებს. მისი აზრით, მთავარი სიმდიდრე და გვარიშვილობა კი არაა. არამედ ადამიანის შინაგანი თვისებები. ამ უკანასკნელი ნიშნების მიხედვით უნდა ხდებოდეს ადამიანის დაფასება და პატივისცემა. „სიმდიდრე, წარჩინება, გვარიშვილობა, — ამბობდა ის. — ადამიანის ისეთი თვისებებია, რომლებიც, მართალია, ჩვენს არსებას ღირსებას ანიჭებენ, მაგრამ პირდაპირ არ წარმოადგენენ ჩვენს კუთვნილებას; განა კაცი — კეთილშობილი სულით, სათნო შინაგანი გულისწადილით, საპატიო თავისი საქმეებით, მდიდარი სამშობლოს წინაშე დამსახურებით, წარჩინებული გულის გრძნობებით, კარგავს თავის ღირსებებს იმის გამო, რომ უბრალო გვარიშვილობა ხვდა მას წილად, სიღარიბე ცხოვრობს მის უბრალო ქოხში, მისი მოქმედების არე შემოფარგლულია არც ისე ბრწყინვალე, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის მქონე საქმეებით? — სრულებითაც არა! მას უფლება აქვს თავი ყველა იმ ადამიანებზე მაღლა დააყენოს, ვინც მხოლოდ ტიტულებითაა ცნობილი“.

ბარათაშვილის სიტყვებისა და წერილების გულდასმით შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ის არა მარტო სიტყვით იყო ასეთი (უარყოფითი) შეხედულებისა ტიტულებზე, არამედ ეს უკანასკნელი მას არასდროს არ უძებნია. მის მიერ 1820 წლის 21 სექტემბერს მასონ ეგორ რეინეკესადმი გაგზავნილ წერილში ამ საკითხის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „ტიტულს ჩემთვის ნუგეში არ მოუნიჭებია და თუ მისი დატოვება საჭირო იქნება, ამას უყოყმანოდ გავაკეთებ. მე ძალზე დამშვიდებულად ვცხოვრობდი და ჩემი ცხოვრების თვრამეტი წლის ასაკიდან, როდესაც (სამსახურში) მიმიღეს, ტიტულები არ მიძებნია. თუ მისი (ტიტულის — ი. ა.) ვინმესთვის გადაცემას მიბრძანებენ, მზად ვარ ეს შევასრულო და პრიციენტებიც გავიღო (სციამ. ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 6 — 10).

ბარათაშვილის სიტყვებში და წერილებში არაა მოწოდება მდიდრების, პირველ რიგში გაბატონებული ფეოდალური კლასის, თვითნებობის შეზღუდვისკენ, მაგრამ ის, დანარჩენი მასონებისაგან განს-

ხვავებით, გაბედულად აკრიტიკებდა მისი თანამედროვე საზოგადოების შავ მხარეებს და თავის პრაქტიკულ მოქმედებაში, როგორც სალონის „სათნოების გასაღების“ მმართველი და გუბერნიის თავდაზნაურების წინამძღოლი, ყოველნაირად ცდილობდა პრივილეგიური წოდების თვითნებობის შეზღუდვას, მისთვის ლაგამის ამოღებას. მას ღარიბების ინტერესების გაბედული დაცვით არაერთხელ გამოუწვევია მაღალი თანამდებობის პირთა უკმაყოფილება და აღშფოთება. ლაპარაკობდა რა გენერალ ივაშოვის უკმაყოფილებას მიზეზებზე. მ. ბარათაშვილი აღნიშნავდა: „გენერალი გამწყვრალია ჩემზე იმიტომ, რომ მე. არ ვეკიდები რა პატივისცემით ჩინებსა და სიმდიდრეს, გადასახადებს ვანაწილებ ყველაზე და, რაც ამაზე უარესია, ვცდილობ ღარიბების მდიდრებისგან დაცვასა და მფარველობას“ (იქვე, ფურც. 12—13). იმავე კერძო წერილებში ბარათაშვილი თვითმპყრობელობის აშკარა მოწინააღმდეგედ მოჩანს: ერთ მათგანში ის წერდა: „აი იმის დასტური, რომ მე არც თვითმპყრობელობა მიყვარს და არც დესპოტიზმი“ (იქვე, ფურც. 6—10).

1826 წელს, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, მ. ბარათაშვილი დააპატიმრეს და პეტერბურგში ჩაიყვანეს. ბრალად მას დეკაბრისტების საქმეში მონაწილეობა ედებოდა. ბარათაშვილის დაპატიმრების საფუძველი ის გაბედული შეხედულებები იყო, რომელსაც გამოთქვამდა იგი თავის სიტყვებსა და კერძო წერილებში მისი თანამედროვე საზოგადოების ნაკლოვანებებზე. ეს შეხედულებები კი მთავრობისათვის ცნობილი გახდა (გარდა სხვა გზისა) ეგორ რეინეკეს (სალონ „ასტერის“ მდივანი) დასმენის წყალობით. რეინეკესთან კი ბარათაშვილს მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა. ეგორ რეინეკემ მთელი მიწერ-მოწერა ბარათაშვილთან, მოხსენებითი ბარათის დართვით, საიდუმლო პოლიციას წარუდგინა. მოხსენებით ბარათში დამსმენის მიერ ბარათაშვილი წარმოდგენილი იყო, როგორც ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნება.

„1819 წელსვე, — ვკითხულობთ რეინეკეს 1826 წლის 15 თებერვლის დასმენაში, — შტაბს-როტმისტრმა თავადმა ბარათაშვილმა, რომელიც აქამად თავადაზნაურობის წინამძღოლია სიმბირსკში და რომელსაც მე გავეცანი, როცა იგი იქ სალონს ხელმძღვანელობდა, შემომთავაზა შევსულიყავი კარბონართა ორდენში და დასძინა, რომ იგი დანიშნულია ამ ორდენის მესვეურად რუსეთში. ქვეშევრდომის მოვალეობის გრძნობამ მიკარნახა დავთანხმებოდი შესვლაზე, რათა გამეგო ყველაფერი ის, რაც ფარულ საზოგადოებას ეხებოდა. მან დაუყოვნებლივ გააღო თავისი ყუთი, სადაც თავისუფალი კალატოზებისა და ტამპლიერების აქტების გარდა კარბონართა აქტებიც

ელაგა. აი აქტებიც. მითხრა მან, მაგრამ ვიდრე მიგიღებდეთ, წერა-ლობით უნდა მიპასუხოთ რამდენიმე კითხვაზე. როგორც მახსოვს, მან შემდეგი კითხვები დამისვა: რა შეხედულებისა ვარ რელიგიაზე, სახელმწიფოს მმართველობის ნაირსახეობაზე და რომელი მიმაჩნია უკეთესად იმ საშუალებებზე. რომელთაც შეუძლიათ ადამიანი კეთილდღეობამდე მიიყვანონ. და თუ აღმოჩნდებოდა ვინმე, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ მიზნის განხორციელებას, მივიჩნევდი თუ არა მიზანშეწონილად საერთო საქმისათვის მის მსხვერპლად შეწირვას“ (იქვე. ფურც. 1—2).

მოტანილ ამონაწერში. პირველ ყოვლისა. ყურადღებას იპყრობს ის ადგილი. სადაც ლაპარაკია ბარათაშვილის მიერ რეინეკესათვის მიცემულ წინადადებაზე კარბონარების ორგანიზაციაში შესვლის შესახებ. კარბონარები კი, როგორც ცნობილია. წევრები იყვნენ ფარული რევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც არსებობდა იტალიაში XIX საუკუნის პირველ მესამედში. მიუხედავად თავისი შემადგენლობის სიჭრელისა (მასში შედიოდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური და დემოკრატიული ელემენტები, გაბურჟუებული თავადაზნაურობის წარმომადგენლები, ოფიცრობა, სასულიერო წრეებთან გამოსულნი და აგრეთვე გლეხებისა და ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენები). კარბონარიზმმა მაინც შეასრულა გარკვეული პროგრესული როლი ისტორიაში.

1820 წელს კარბონარები სათავეში ედგნენ ნეაპოლის რევოლუციას და მეფე ფერდინანდ IV აიძულეს კონსტიტუცია შეემუშაებინა. ისინი მონაწილეობდნენ 1821 წლის პიემონტის რევოლუციაშიც. 1828 და 1829 წლებში ადგილი ჰქონდა კარბონარების უშედეგო ცდას მოეწყოთ რევოლუცია ნეაპოლში და პაპის ოლქში. 1830 — 1831 წლებში ისინი ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციაში. რომელმაც იტალიის სხვადასხვა კუთხეში იფეთქა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეინეკეს ჩვენებიდან იმ ადგილს. სადაც ლაპარაკია კარბონარისტულ აქტებზე. რომლებიც მან თურმე მ. ბარათაშვილთან ნახა და რომლებიც ამ უკანასკნელის კარბონარობაზე მიუთითებდნენ. კიდევ მეტი: თუ დავუჯერებთ რეინეკეს, ბარათაშვილს მისთვის განუცხადებია, რომ „ის დანიშნულია ამ ორდენის მესვეურად რუსეთში“.

თვითონ მ. ბარათაშვილი, როგორც მოსალოდნელიც იყო, კატეგორიულად უარყოფდა კარბონარების ორგანიზაციასთან ყოველგვარ კავშირს. „კარბონარების საზოგადოება ჩემთვის სავსებით უცხო იყო“ — წერდა ის ერთ თავის ახსნა-განმარტებაში. იგივე დაადასტურა მან სხვა განცხადებებშიც. ასე, მაგალითად, წერილობით

პასუხში, რომელიც შედგენილია 1826 წლის 10 მარტს. მ. ბარათა-
შვილი წერდა: „ბატონი რეინეკეს (ჩვენება) იმის შესახებ, რომ მე
თითქოს თავი გავასალე კარბონარების დიდ მაგისტრად. მსურდა ამ
სექტის (ჩვენში) გავრცელება, უფრჩევდი შესულიყო მასში და ამას-
თან დაკავშირებით ვეკითხებოდი მას რალაცას.... სრული სიცრუეა.
ჩემს სიცოცხლეში არასდროს არ ვეკუთვნოდი არც ერთ ფარულ სა-
ზოგადოებას, გარდა მასონებისა რუსეთში“ (იქვე, ფურც. 26—29).

საგამომძიებლო ორგანოები. რა თქმა უნდა, უნდობლად შეზ-
ედნენ ბარათაშვილის ამ „გულწრფელ“ აღიარებას. მისი გაბედული
გამოსვლები სიმბირსკის სალონში მათთვის კარგად იყო ცნობილი.
ასევე კარგად იყო ცნობილი ბრალდებულის თითქმის მთელი კერძო
მიწერ-მოწერის შინაარსიც.

მაგრამ საგამომძიებლო ორგანოებს ბრალდების დასამტკიცებ-
ლად უფრო მკაფიო და ექვმიუტანელი საბუთი ჰქონდათ. ჩვენ მხედ-
ველობაში გვაქვს კარბონარული აქტები. რომლებიც რეინეკემ ნახა
ბარათაშვილთან. არ უარყოფდა რა ამ ფაქტს, ბარათაშვილი აცხადებ-
და: „1816 თუ 1817 წელს, არ მახსოვს ზუსტად, პეტერბურგში ბა-
ტონ ბებერის (მასონების უფროსი პრეფექტის) დავალებით გავეცა-
ნი მე იტალიიდან ჩამოსულ კონდრიატის. რომელმაც მითხრა, რომ
კონსტანტინოპოლში მასონურ სალონებს აარსებენ და თურქები
მასში დიდი სურვილით შედიან... ვაცნობე რა ეს ბებერს. მან მოი-
სურვა ცარგრადში, (კონსტანტინოპოლში — ი. ა.) მიმდინარე მუშა-
ობის აქტები ენახა. მე ვთხოვე ხსენებულ იტალიელს ეს აქტები,
მაგრამ რადგანაც ისინი იტალიურ ენაზე იყო დაწერილი. ვათარგ-
მნინე ფრანგულად ბებერისათვის და კიდევაც მივართვი მას. ეს
აქტები პირველი ხარისხის კარბონარული აქ-
ტები აღმოჩნდნენ. რომლებიც შესაძლებელია
ნახა ჩემთან ბატონმარეინეკემ: მაგრამ წინადადება
კარბონარების სექტაში შესვლის შესახებ მე მისთვის არ მიმიცია,
რადგანაც თვითონაც არ ვეკუთვნოდი მას და ამ ხაზით არავისთან
არავითარი ურთიერთობა არა მქონია“ (იქვე, ფურც. 25).

მაშასადამე. ბარათაშვილი არ უარყოფს, რომ მას ნამდვილად
ჰქონდა კარბონარული აქტები. ის არც იმას უარყოფს, რომ ეს აქ-
ტები ნახა მასთან რეინეკემ. ამასთანავე ბარათაშვილი, ცდილობდა რა
ბრალდების შემსუბუქებას, არწმუნებდა საგამომძიებლო ორგანოებს,
რომ მან თითქოს თავდაპირველად არ იცოდა ხსენებული აქტების
კარბონარული ხასიათი. სწორედ ეს აზრია გამოხატული მის სიტყ-
ვებში: «акты сии оказаались карбонарские». მაგრამ ბარათა-
შვილის სხვა ჩვენებათა ანალიზი საწინააღმდეგოში გვარწმუნებს.

ბებერმა. — წერს ის. — გააჩნია რა აქტების ფრანგული თარგმანი, „ივარაუდა, რომ ისინი კარბონარების პირველი ხარისხის აქტებია, კარბონარებისა. რომელნიც მაშინ ცუდი მხრით არ იყვნენ ცნობილნი... ამ აქტებში მან ვერ ნახა ვერც ქრისტიანობისა და ვერც მთავრობის საწინააღმდეგო აზრები“ (იქვე, ფურც. 26—29).

აქედან ცხადია, რომ ხსენებული აქტების ნამდვილი არსი ბარათაშვილისთვის იმთავითვე ყოფილა ცნობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ისინი არათუ არ მოუხსნია, არამედ წლების მანძილზე შემოუნახავს კიდევ. რეინეკეს ჩვენების თანახმად, მას ეს კარბონარული დოკუმენტები ბარათაშვილთან 1819 წელს (მისი იტალიური ენიდან ფრანგულ ენაზე გადათარგმნის სამი წლის შემდეგ) უნახავს. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, აღნიშნულ ფაქტს არც ბრალდებული უარყოფდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და ლაპარაკობს მიხეილ ბარათაშვილის აშკარა სიმპათიებზე კარბონარიზმისადმი.

მაგრამ მთავარია ამ შემთხვევაში არა ბარათაშვილის კავშირი კარბონარიზმთან, არამედ დეკაბრისტებთან. მთავრობასაც ამის გაგება სურდა. ის დაიჭირეს 1826 წლის დასაწყისში (15 თებერვლის შემდეგ. მაგრამ არა უგვიანეს 10 მარტისა) სწორედ დეკაბრისტების საქმესთან დაკავშირებით. საგამომძიებლო ორგანოებს, გარდა რეინეკეს განცხადება-დასმენისა, ხელთ ჰქონდათ მისი პირადი წერილები. სადაც, მართალია, დეკაბრიზმზე ერთი სიტყვა არ იყო თქმული, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი იყო ისეთი ადგილები, რომლებიც ბარათაშვილის პოლიტიკურ „ცოდვებს“ მოწმობდნენ.

ბრალდებულმა, როგორც საფიქრებელიც იყო, კატეგორიულად უარყო დეკაბრისტებთან კავშირი. „ამყამად გამოძევებულ ფარულ საზოგადოებას (ლაპარაკია დეკაბრისტებზე. — ი. ა.), — უჩვენებდა ბარათაშვილი, — მე არამცთუ არ ვეკუთვნოდი, არამედ მისი არსებობაც კი არ ვიცოდი. მის წევრებთან ურთიერთობა არ მქონია და ბევრის სახელიც კი არ გამიგონია. სიმბირსკში და მთელს გუბერნიაში საიღუმლო საზოგადოების არსებობის შესახებ არაფერი ვიცი, და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი რამე არც არსებობს“ (იქვე, ფურც. 25).

ამასვე იმეორებდა ბარათაშვილი ყველა თავის ჩვენებასა და წერილობით ახსნა-განმარტებაში. „ვუდასტურებ თქვენს აღმატებულებას, რომ გარდა მასონობისა, მე არავითარ ფარულ საზოგადოებას არ ვეკუთვნოდი... კანონის საწინააღმდეგო მიწერ-მოწერა არავისთან არ მქონია, და მხოლოდ გაზეთებიდან გავივე ბოროტგანზარახულთა ჭგუფის შესახებ (ე. ი. დეკაბრისტებზე). თავზარდაცემუ-

ლი ვკითხულობდი (ცნობას) ამაზე და საკუთარ თვალებს არ ვუჭერებდი. იქ აღნიშნულ პირებთან ნაცნობობა არ მქონია და ბევრი მათგანი არც კი მინახავს არასოდეს“ — ამბობს ბარათაშვილი ერთ-ერთ თავის განმარტებით ბარათში (იქვე, ფურც. 29).

საგამომძიებლო ორგანოების დასარწმუნებლად ბარათაშვილი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თავის „ღრმა პატივისცემასა“ და სიყვარულს იმპერატორის ხელისუფლებისა და მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებისადმი. ბარათაშვილი ბრალდების მოსახსნელად ხშირად აგონებდა ორგანოებს თავის ორმოც წელზე მეტი ხნის უმწიკვლო სამსახურს. „უბრძანეთ. — აცხადებდა იგი, — გასინჯონ მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი საქმეები და ვბედავ იმის თქმას, რომ ისინი წმინდა არიან ღვთისა და ადამიანების წინაშე“.

ასეთ პირობებში საგამომძიებლო ორგანოებმა მოაწყვეს ბარათაშვილისა და ჯამუში რეინეკეს პირისპირ შეხვედრა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. რეინეკემ თავისი წერილობითი დასმენის ტექსტი სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, ბარათაშვილმა კი წინანდებურად კატეგორიულად უარყო წამოყენებული ბრალდება. „პირისპირ შეხვედრისას, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — რეინეკემ უჩვენა, რომ 1819 წელს მას თავადმა ბარათაევმა ნამდვილად მისცა წინადადება კარბონარების ორდენში შესვლაზე, მოითხოვდა წერილობით პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც მის დასმენაშია ჩამოთვლილი, მაგრამ მან უარი განუცხადა ამის დასამტკიცებლად რეინეკემ ბარათაევს მოაგონა, რომ ის მაშინ ცხოვრობდა დიუმუტის სასტუმროში, სადაც მან იგი დილით იხახულა... შტაბის როტმისტრმა თავადმა ბარათაევმა კი განაცხადა, რომ მას რეინეკესათვის არ მიუცია წინადადება კარბონარების ორდენში შესვლის შესახებ, კითხვებზე პასუხი არ მოუთხოვია და საერთოდ არავითარი საუბარი, გარდა თურქებს შორის მასონობის გავრცელების შესახებ მსჯელობისა, მასთან არა მქონია“ (იქვე, ფურც. 44—45).

ამის გამო მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის დადგენილება: „რაკი არ არის არავითარი საბუთი ბარათაშვილის წინააღმდეგ, ისევე, როგორც რეინეკეს დასმენის უარსაყოფად, ვინაიდან მათ საუბარს მოწმენი არ დასწრებიან, კომიტეტს არა აქვს საშუალება მისცეს ამ საქმეს მსვლელობა... და დაადგინა: ყოველივე ეს მოხსენდეს მის იმპერატორობით უმაღლესობას“ (იქვე, ფურც. 46). ამაზე ნიკოლოზ პირველის ხელით წარწერილია: „ბარათაევი განთავისუფლდეს“.

ამრიგად, ბარათაშვილი გაათავისუფლეს წაყენებული ბრალდების დამამტკიცებელი სათანადო საბუთების უქონლობის გამო. მაგ-

რამ ის გარემოება, რომ საგამომძიებლო ორგანოებს მამხილებელი დოკუმენტები არ აღმოაჩნდათ. რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ასეთების საერთოდ არარსებობას. ასეთი დოკუმენტები კიდევ რომ ჰქონოდა ბარათაშვილს (მიწერ-მოწერა დეკაბრისტებთან და სხვ.) თავისთავად ცხადია. მას, რომელიც დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ ორ თვეზე მეტ ხანს თავისუფლად დადიოდა, ადვილად შეეძლო მათი განადგურება¹. ამიტომ საგამომძიებლო ორგანოს დადგენილება არ გამოდგება ისეთ საბუთად, რომელზეც შეიძლება დამყარდეს მსჯელობა ბარათაშვილის მონაწილეობის შესახებ დეკაბრისტების საქმიანობაში.

ბარათაშვილის უშუალო ორგანიზაციული კავშირი დეკაბრისტებთან ჯერ-ჯერობით არ ჩანს. მაგრამ მისი იდეური ურთიერთობა მათთან თითქოს უეჭველია. უეჭველია, რომ ის იზიარებდა დეკაბრისტების შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებზე². რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების კრიტიკა ბარათაშვილის მიერ, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, მართალია, უკიდურესად რადიკალური არ იყო, მაგრამ ბევრ რამეში ჰგავდა დეკაბრისტების მიერ მოცემულ კრიტიკას. მასონთა საზოგადოებაში, რომელშიც ბარათაშვილი წლების განმავლობაში ტრიალებდა, ბევრი დეკაბრისტი ირიცხებოდა. ასე, მაგალითად, 1816 წელს „შეერთებული მეგობრების“ სალონის წევრად მიღებულ იქნა ცნობილი დეკაბრისტი მათე ივანეს ძე მურავიოვ-აპოსტოლი. იქვე დაიწყეს თავიანთი მასონური მოღვაწეობა დეკაბრისტებმა სერგი გრიგოლის ძე ვოლკონსკიმ და ილია ანდრიას ძე დოლგოროუკოვმა.

ბუნებრივია იმის დაშვება, რომ ბარათაშვილი პირადად იცნობდა

¹ მასონობის გამო ატეხილმა ხმაურმა, — წერს ი. გონჩაროვი თავის მოგონებებში. — 14 დეკემბრის შემდეგ გამოიწვია „ძმობაში“ გაერთიანებულ პირთა გაჩხრეკა. მიჰქონდათ ქაღალდები. გზავნიდნენ პეტერბურგში. ხოლო თვით სალონის თავმჯდომარე ბრავინი (მ. ბარათაშვილი — ი. ა.) კი, რომელსაც მთელი მრმონწერა ჩამოართვეს, პეტერბურგს გაისტუმრეს. მაგრამ მისი მრმონწერის ყველაზე საყურადღებო ნაწილი, როგორც ამბობენ, გაჩხრეკამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაყრილ იქნა მის ბაღში მდებარე ტბაში“. (И. А. Гончаров. Сопр. соч., т. VII. 1954. გვ. 246—257. მომყავს პროფ. ვ. შადურის წიგნიდან «Декабристская литература и грузинская общественность», Тб., 1959, стр. 547).

² ასეთივე მოსახრება აქვს გამოთქმული პროფ. ვ. შადურისა. „საფიქრებელია. — წერს ის — რომ ბარათაშვილი არ ეუთვნოდა დეკაბრისტთა საიდუმლო ს.ზოგადოებებს. მაგრამ შეხედულებებით და ნაწილობრივ თავისი მოღვაწეობის ხასიათით იგი უეჭველად მათთან ახლო იდგა“ (პროფ. ვ. შადური, «Декабристская литература и грузинская общественность», 547).

ყველა ამათ, ხშირად საუბრობდა მათთან და განიცდიდა კიდევ მათ გავლენას. დეკაბრისტებიც „სინჯავდნენ“ ბარათაშვილს, ეცნობოდნენ მის აზრებს, შეხედულებებს და ბევრ საერთოსაც ნახულობდნენ მასთან.

ლიტერატურა და წყაროები

1. В. Ш а д у р и. Декабристская литература и грузинская общественность, Тб., 1959.
2. История русской литературы, т. IV. ч. 2-я, 1947.
3. С о к о л о в с к а я. Русское масонство и его значение в истории общественного движения.
4. А. Пы п и н. Материалы для истории масонских лож. Журн. «Вестник Европы», 1872 г., февраль.
5. К масонской деятельности кн. Баратаева. Журн. «Русская старина» за 1909 год.

იდეური ვიღილი XIX საუკუნის 20 — 40-იან
 წლებში. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის
 წარმოშობა

1. ვითარება ლეაბრისტაგის აჯანყების შემდეგ. მთავრობის
 ღონისძიებები „წასრივის“ დასაწყობლად

დეკაბრისტების აჯანყებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ნიკოლოზ I-სა (1825—1855) და მის მთავრობაზე. მართალია, იმპერატორმა შეძლო მოძრაობის ჩაქრობა და მის მონაწილეთა მკაცრად დასჯა. მაგრამ ის მაინც არ იყო დამშვიდებული მოწინავე საზოგადოებრივი ძალების ახალი შემოტევის მოლოდინში. რევოლუციისადმი ადრე გამომუშავებული სიძულვილი მას კიდევ უფრო გაულრმავდა სენატის მოედანზე მომხდარი ამბებით და მან თავისი მეფობის უპირველეს ამოცანად სწორედ მის წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა. რევოლუცია ჩვენი ქვეყნის საზღვარზეა. — განაცხადა ნიკოლოზ I-მა 1825 წლის 14 დეკემბრის შემდეგ. — მაგრამ ვფიცავ, „სანამ ცოცხალი ვარ და სული მიდგას, ის ვერ შემოიჭრება რუსეთში“.

ასეთი სამოქმედო პროგრამის დასახვა, ცხადია, დონკიხოტობა იყო, მაგრამ იმპერატორი მაინც დიდი ენერჯითა და მონდომებით შეუდგა მის ცხოვრებაში განხორციელებას. მთავრობამ შეიმუშავა და გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა საერთო დანიშნულება თავისუფალი აზრის ამოძირკვა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შეჩერება და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და მონარქიული წყობილების მაქსიმალური დაცვა იყო. 1826 წლის 12 მაისს გამოვიდა სპეციალური მანიფესტი, რომელიც უსაფუძვლოდ აცხადებდა ხალხში გავრცელებულ ხმას საბატონო გლეხების დამოკიდებული მდგომარეობიდან განთავისუფლების შესახებ ახლო მომავალში. სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბრძოლის შეუწყვეტელობით, მისი შემდგომი გაღრმავებით იყო გაპირობებული დასახელებული მანიფესტის თითქმის პერმანენტული კითხვა 20—30-იან წლებსა და მის მომდევნო ხანაში.

1826 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით იმპერატორის კანცელარიაში შეიქმნა ეგრეთ წოდებული მესამე განყოფილება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა თავისუფალი აზრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ეს დაწესებულება, ბენკენდორფის მეთაურობით, უნდა ყოფილიყო ყველგან არსებული და ყოვლის მკოდნე. ჯამუშების ფართო ქსელის გამოყენებით მას უნდა შეეკრიბა საიმედო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო საზოგადოების დაბალი ფენებისა და მოწინავე ახალგაზრდობის გუნება-განწყობილება, რას ფიქრობდნენ და რა ხასიათის საქმიანობას ეწეოდნენ ისინი და ა. შ.

მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლიტერატურას და მეცნიერთა ნააზრევ-ნაფიქრალის მკაცრ შემოწმებას. სწორედ მათი მოღვაწეობისა და ნაწერების წყალობით ვრცელდებოდა რუსეთში მოწინავე, მთავრობისათვის საშიში, მიუღებელი აზრები და ამიტომ, ბუნებრივია, ხელისუფლებამ მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. ამის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ახალი საცენზურო წესდება, დამტკიცებული იმავე წელს. მან უკიდურესად მძიმე პირობებში ჩააყენა მოწინავე საზოგადოებრივი აზრი. კატეგორიულად აკრძალა ისეთი წიგნებისა და სტატიების გამოქვეყნება, რომელთა ავტორები კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდნენ მონარქიულ-დესპოტური წყობილებისა და ბატონყმური ურთიერთობის მიმართ, ლაპარაკობდნენ სახელმწიფოებრივი მმართველობის გადახალისებაზე, იმდროინდელი ცხოვრების უკუღმართ მხარეებზე და სხვ. ფილოსოფიაში მხოლოდ სახელმძღვანელოების ბეჭდვა იყო ნებადართული. «Прочие (же) сочинения сего рода, наполненные бесплодными и пагубными мудрствованиями новейших времен, вовсе печатаемы быть не должны», — ნათქვამი იყო ამ „თუჯის ფილის“ სახელწოდებით ცნობილ საცენზურო წესდებაში¹.

არსებული წყობილების საფუძვლების განმტკიცებისათვის ზრუნვა იყო უმთავრესი ამოცანა 1826 წლის 6 დეკემბერს შექმნილი საიდუმლო კომიტეტისაც, რომლის სათავეში დაყენებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. კოჩუბეი. კომიტეტს უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ცვლილების შეტანა იყო საჭირო ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა ღონისძიებათა გატარებით შეიძლებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისის შენელება და ა. შ. აღნიშნულმა დაწესებულებამ თავის 173 სხდომაზე მრავალი პროექტი განიხილა, რო-

¹ ასე ეწოდა მას იმიტომ, რომ ახალი წესდება თუჯის ფილის სიმძიმით დააწვა ლიტერატურისა და მეცნიერული ფრონტის მოღვაწეებს.

მელთაგან ზოგიერთი კიდევ განხორციელდა უფრო მოგვიანებით. ასეთების რიცხვს ეკუთვნის, მაგ., კანონი მათორატის დაწესების შესახებ. თავადაზნაურთა ეკონომიური ინტერესებიდან გამომდინარე იგი ითვალისწინებდა ნაკრძალი მამულების შექმნას, რომელთა დაქუცმაცება არ შეიძლებოდა. ნაკრძალი მამული გადადიოდა მხოლოდ ერთი, უფროსი შვილის ხელში. პრივილეგიური წოდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად 1831 წელს გატარებული მეორე ღონისძიებაც, რომელმაც საგრძნობლად გაადიდა არჩევნებთან დაკავშირებული ქონებრივი ცენზის ნორმა. ამიერიდან მხოლოდ ძალიან მსხვილ მიწისმფლობელებს შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება¹. იმავე ამოცანას ემსახურებოდა „საპატიო მოქალაქეთა“ (მემკვიდრეობითი და პირადი) წოდების შექმნა, რაც 1832 წელს განხორციელდა. ამ ღონისძიებას უნდა დაეცვა თავადაზნაურთა რიგები უბრალო წარმოშობის, მაგრამ ეკონომიურად ძლიერი და სხვადასხვა დამსახურების მქონე ადამიანებისაგან. სწორედ ამ კატეგორიის ხალხისთვის შეიქმნა ზემოთ დასახელებული „საპატიო მოქალაქეთა“ წოდება.

მთავრობის ყურადღების ცენტრში იყო, რა თქმა უნდა. განათლების დარგიც. ჯერ კიდევ ალექსანდრე I-მა სცადა მკაცრი კონტროლის ქვეშ დაეყენებინა უმაღლეს სასწავლებელთა და გიმნაზიების საქმიანობა. «Повелеваем вам.—1. წერდა ის სიკედილის წინ განათლების მინისტრს შიშკოვს,— войти в строгое наблюдение, дабы как в издаваемых, так и впредь издаваемых сочинениях и переводах, особливо же в преподавании по училищам наук, ничего колеблющего веру и благонравие не укрывалось... Поэтому обязаны все употребить неусыпный за сим надзор, истребляя и обличая всякие, рассеянные в книгах... лжеучения».

შიშკოვი ენერგიულად მოეკიდა ამ დავალების შესრულებას, მაგრამ უკვე ახალი იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის დროს, მისი აზრით. მცენიერებას მხოლოდ მაშინ შეეძლო სარგებლობის მოტანა, როდესაც მას ზომიერად და საჭიროების მიხედვით იყენებენ. ამავე დროს ის, მინისტრის სიტყვით, საჭირო იყო არა ყველასთვის, არამედ მხოლოდ გარკვეული წრისა და მდგომარეობის ადამიანებისათვის. სწორედ ამის შესაბამისად დამტკიცდა 1827 წელს კანონი „უნივერსი-

¹ ამ კანონით უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა იმას. ვისაც 3000 დესეტინა მიწა ჰქონდა, ამაზე ნაკლების მფლობელნი კი ირჩევენ მხოლოდ რწმუნებულებს. რომლებიც თავის მხრივ ხმას აძლევდნენ თანამდებობაზე წამოყენებულ კანდიდატებს.

ტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების მოსასმენად. მართო თავისუფალი წოდების პირთა მიღების შესახებ“. საზოგადოების დაბალი ფენებისათვის უნივერსიტეტებისა და გიმნაზიების დაკეტვით მთავრობა ფიქრობდა დაეცვა პრივილეგიური წოდება ხსენებული კონტინგენტის „გამრყენელი“ გავლენისაგან.

არსებული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილები დაეცას ისახავდა მიზნად ეგრეთ წოდებული „ოფიციალური ხალხურობის თეორია“, შექმნილი 1832 წელს რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრის ამხანაგის გრაფ ს. უვაროვის მიერ¹. ხსენებული თეორია რომ მართლაც ასეთ მიზანს ისახავდა. ეს პირდაპირაა მითითებული უვაროვის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში“. იქ ნათქვამია, რომ თანამედროვე ვითარებაში, როდესაც აშკარა საფრთხე ემუქრება სარწმუნოებასა და კანონიერ ხელისუფლებას, აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ «укрепить отечество на твердых основаниях, на коих зиждятся благоденствие, сила и жизнь народная». ამოცანა, უვაროვის აზრით. მდგომარეობდა იმაში. რომ მოძებნილიყო საზოგადოებრივი ყოფის ის თავისებურებანი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ რუსეთს ყოველგვარი საშიშროებისაგან და უზრუნველყოფდნენ მის შეუნელებელ წინსვლა-განვითარებას. განათლების მინისტრის ამხანაგმა „მიაგნო“ ამ, მხოლოდ რუსეთისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს — მართლმადიდებლობას. თვითმპყრობელობასა და ხალხურობას და მათი საფუძვლების მაქსიმალური დაცვა-განმტკიცება მოითხოვა.

მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ა. განსახილველი თეორიის თანახმად. რუსი ხალხის დიდი მფარველი ძალა იყო. ის ყოველთვის წინ უძღოდა მას ხიფათთან შერკინებისას და გამარჯვებული გამოდიოდა. ხალხმა ისე მტკიცედ შეითვისა და ირწმუნა ქრისტეს სჯული. რომ მის გარეშე არსებობა ვერც კი წარმოუდგენია. «Искренню и глубоко привязанный к церкви отцов своих,— ნათქვამია უვაროვის მოხსენებაში,— русский исконно взирал на нее, как на залог счастья общественного и семейного. Без любви к вере предков, народ, как и частный человек, должен погибнуть. Русский, преданный отечеству, столь же мало согласится на утрату одного из догматов нашего православия, сколь и на похищение одного перла из венца Мономахова».

¹ ს. უვაროვი. რომელსაც 1832 წელს განათლების მინისტრის ამხანაგის თანამდებობა ეკავა, 1833 წელს მინისტრად დაინიშნა. ამ პოსტზე იყო ის 1849 წლამდე.

ასევე უდიდესი მნიშვნელობის ძალა იყო თვითმპყრობელობა. ის, უვაროვის სიტყვით, რუსეთის არსებობისა და ძლიერების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. მისი გაძლიერება ქვეყნის აყვავებას იწვევდა. ხოლო დასუსტება — ყოველმხრივ დაძაბუნებას. გარეშე მტერი სწორედ მაშინ ზეიმობდა და თავს ესხმოდა ჩვენს სამშობლოს. როდესაც ერთმმართველობა იზღუდებოდა. „თვითმპყრობელობა, — სწერდა უვაროვი ნიკოლოზ I-ს, — არის რუსეთის პოლიტიკური არსებობის მთავარი პირობა. რუსული კოლოსი ემყარება მას. ისაა მისი ქვაკუთხედი. ამ ჭეშმარიტებას გრძნობს თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომთა აბსოლუტური უმრავლესობა“.

დასასრულ. რუსეთის სახელმწიფოს არსებობისა და ძლიერების მესამე პირობად უვაროვს მისი ხალხურობა მიაჩნდა. განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან. რუსეთში, ამ თეორიის თანახმად, ხალხსა და ხელისუფლებას შორის არ იყო აღმართული ჩინური კედელი, არ იგრძნობოდა მათ შორის არავითარი ანტაგონიზმი, რადგანაც აქ (რუსეთში) სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ხელისუფლება შექმნილია არა ძალდატანების, არაზედ ნებაყოფლობითი შეთანხმების გზით. რუსებმა თვითონ, საკუთარი სურვილით მოიწვიეს ძმები ვარიაგები (სინეუსი, ტრუვორი, რიურიკი) და სთხოვეს მათ ქვეყნის მართვა.

ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ოფიციალური ხალხურობის თეორიას მას მხარი დაუჭირა, კერძოდ, რეაქციულ თვალსაზრისზე მდგომმა ისტორიკოსმა პოგოდინმა (XIX საუკუნე), რომელიც ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენთან არ იყო მონობა, არ იყო პროლეტარიატი, არ იყო სიძულვილი, არ იყო ინკვიზიცია, არ იყო ფეოდალური ტირანია, მაგრამ სამაგიეროდ იყო მშობლიური მმართველობა, პატრიარქალური თავისუფლება, ოჯახური თანასწორობა..., სახალხო კრება. ერთი სიტყვით, შუა საუკუნეებში ჩვენთან იყო ის, რის მიღწევასაც ცდილობდა დასავლეთი ახალ და უახლეს ხანებში, მაგრამ ვერ მიაღწია და საექვოა მომავალშიც მიაღწიოს მას“.

ოფიციალური ხალხურობის თეორიის შემქმნელი პრინციპული წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ცვლილებებისა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც იგი უნაკლოდ მიაჩნდა. უვაროვის ნააზრევადან გამომდინარე, ეს დასკვნა უფრო განავითარა და მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბა უანდარმთა შეფმა ბენკენდორფმა. „რუსეთის წარსული საოცარია, — წერდა იგი, — მისი აწმყო დიდებულზე უკეთესია, ხოლო მომავალი იმაზე მაღლაა, რის წარმოდგენაც კი შეუძლია ყველაზე ძლიერ ფანტაზიას“.

მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიზანს ვერ მიაღწია და არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ვერ შეანელა. უფრო მეტიც, მთელი განსახილველი პერიოდი აღინიშნა კლასობრივი ანტაგონიზმის შემდგომი გამწვავებით. მეცნიერებებს განკარგულებაში მყოფი არასრული ცნობებით, 1825—1854 წლებში რუსეთში 674 გლეხთა მღელვარება მომხდარა. აქედან პირველ ათწლეულში (1826—1834 წწ.) — 145. ხოლო ბოლო ათწლეულში (1845 — 1854 წწ.) — 348. საგრძნობლად გაიზარდა მემამულეთა მკვლელობის შემთხვევები. საკმარისია ითქვას, რომ 1836—1854 წლებში გლეხებს, ოფიციალური ანგარიშების თანახმად, 173 მემამულე მოუკლავთ და 77 წარუმატებლად დამთავრებული თავდასხმა მოუხდენიათ. მებატონეებისადმი ასეთი „უპატივცემლო“ დამოკიდებულებისათვის 1835—1843 წლებში 416 გლეხი გაუციმბირებიათ. კლასობრივი ბრძოლის ასეთი გამწვავებით შეუფოთებული ბენეკენდორფი სამართლიანად მოახსენებდა ნიკოლოზ I-ს, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობა თავგანწირვით ეძებს თავისუფლებას და რომ ბატონყმობა თოფისწამლის საწყობია, რომლის აფეთქება დღე-დღეზეა მოსალოდნელი.

არ დამცხრალა არც საზოგადოებრივი აზრი. დეკაბრისტების მიერ გამოღვიძებულმა ახალგაზრდობამ გააგრძელა დაწყებული ბრძოლა. იგი არ შეუშინდა მთავრობის რეპრესიებს და მდგრად ეკვეთა სიძველეთა დამცველებს. მოწინავე აზრების კერას უმადლესი სასწავლებლები წარმოადგენდნენ. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, „უმადლეს მეცნიერებათა ნეყინის გიმნაზია“. იქ, როგორც მასალებიდან ჩანს, 1826 წელს შექმნილა ოპოზიციურად მოაზროვნე პროფესორებისა და სტუდენტების წრე. ის არ იყო შორს მიმავალი მიზანდასახულობის მქონე პოლიტიკური შეთქმულება. მის წევრებს აერთიანებდა მოწინავე, ანტიბატონყმური და ანტიმონარქისტული შეხედულებანი, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებისათვის მათ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ. პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელთა შორის ბელოუსოვი გამოირჩეოდა, რომელიც ბუნებითი სამართლის კურსს კითხულობდა. იგი თავის ლექციებში საყოველთაო თანასწორობის პრინციპს ასხამდა ქება-დიდებას და გაბედულად ილაშქრებდა დესპოტური წყობილების წინააღმდეგ. ერთხელ ბელოუსოვს თავის მსმენელთათვის თურმე ასეთი შეკითხვა შეუთავაზებია: როგორ უნდა მოექცეს ხალხი მეფეს, რომელიც ივი-

წყებს ქვეშევრდომთა ინტერესებს და ბოროტად იყენებს მისგან მიღებულ ხელისუფლებას? და იქვე თვითონვე გაუცია პასუხი: ასეთი მეფე ჩამოგდებისა და მოკვლის ღირსიაო.

ნეეინის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების გუნებანწყობილების გასარკვევად საინტერესოა მეორე ფაქტიც, დაკავშირებული ბელოუსოვის მეგობრის, ფრანგული ენის მასწავლებლის ლანდრაჟინის სახელთან. მისთვის მოსწავლე ზმიევს წარუდგენია ერთი ფრანგულ ენაზე თარგმნილი და კონდრატე რილევის მიერ ხელმოწერილი ლექსი, „რომელიც თავისუფლებისაქენ მოწოდებას შეიცავდა“. ლანდრაჟინს დაუმალავს ეს ფაქტი. ზმიევთან საუბარში კი უთქვამს: „კიდევ კარგი, რომ ეს ისეთი კეთილშობილი კაცის ხელში მოხვდა, როგორიცა ვარ მე; იცი თუ არა შენ, რომ ასეთი საქმისათვის ვიღონში რამდენიმე ახალგაზრდა გააუბედურეს; ჩვენთან, რუსეთში, მმართველობა დესპოტიურია, თავისუფლად ლაპარაკი არ შეიძლება“.

ნიკოლოზ I მკაცრად გაუსწორდა (1828 წ.) ნეეინელებს. წრის ერთი წევრი — შაპალინსკი ვიატკაში გადასახლა და მხოლოდ 36 წლის შემდეგ გაათავისუფლა იგი მთავრობამ პოლიციის მეთვალყურეობისაგან. ბელოუსოვი კი სამსახურიდან გადააყენეს და პედაგოგიური მოღვაწეობა აუკრძალეს.

1827 წელს წვრილმა სახელმწიფო მოხელემ (კანცელარისტმა) პეტრე ოსინინმა ქალაქ ვლადიმირში საიდუმლო ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. იგი, ისე როგორც 20—30-იანი წლების სხვა ფართული საზოგადოება, დეკაბრისტების უშუალო ზეგავლენით შეიქმნა. ოსინინმა ძიებას არ დაუმალა თავისი სიმპათიები პირველი რუსი რევოლუციონერებისადმი და უყოყმანოდ განაცხადა, რომ ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა მას „1825 წლის დეკემბრიდან გაუჩნდა“. საზოგადოებამ ვერ მოასწრო პროგრამის შემუშავება, მაგრამ მის მიზნებსა და ამოცანებზე წარმოდგენას გვაძლევს ოსინინის მიერ შედგენილი ფიცის პირი, რომლის მე-17 მუხლში ნათქვამი იყო: წრის წევრები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მთლიანად ამოწყვიტონ იმპერატორის საგვარეულო. საფიქრებელია, რომ ეს, არსებითად შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოება რესპუბლიკური მიმართულებისა იყო.

მთავრობამ მიაკვლია წრის საქმიანობას და სასტიკად გაუსწორდა მას. მისი ხელმძღვანელი პეტრე ოსინინი კატორღაში გაისტუმრეს, ხოლო წრის დანარჩენი წევრები პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ დააყენეს.

იმავე წელს ქალაქ ორენბურგში ჩამოყალიბდა ფართული.

საზოგადოება, რომელსაც პრაპორშჩიკი კოლესნიკოვი მეთაურობდა. წრის წარმოშობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1826 წელს ორენბურგს ჩავიდა იპოლიტე ზავალიშინი, ძმა დეკაბრისტ დიმიტრი ზავალიშინისა. იპოლიტე იყო პროფესიონალი ჯაშუშა, მან მთავრობასთან დაასმინა თავისი ძმა დიმიტრი და დაც. ხელისუფლება უხვად სარგებლობდა მისი პოლიტიკური ინფორმაციით. იგი არც ყალბი ცნობების მიწოდებას ერიდებოდა, რისთვისაც არაერთხელ დასაჯეს. ზავალიშინის ორენბურგში გამოჩენაც ერთი ასეთი სასჯელის მოხდასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ჯაშუშს გული არ გასტეხია და მთავრობისათვის ახალი სამსახურის გაწვეით ფიქრობდა სრული რეაბილიტაციის მიღწევას. ზავალიშინმა გაშალა თავისი ჯაშუშური საქმიანობა. ის დაუკავშირდა ორენბურგელ ოფიცრებს კოლესნიკოვს, ტაპტიკოვს და უთხრა მათ, რომ დეკაბრისტების საზოგადოება არაა განადგურებული, ხელისუფლებამ მხოლოდ მისი ფილიალების ერთი ნაწილის დათრგუნვა შეძლო. დანარჩენები კი წარმატებით განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. მან ადგილობრივ ოფიცრებს მოუწოდა შეექმნათ ფარული ორგანიზაცია და ჩაბმულიყვენ არსებული წყობილების წინააღმდეგ სახიფათო. მაგრამ საპატიო ბრძოლაში.

რაკი ორენბურგის ახალგაზრდა ოფიცრობა ოპოზიციურად იყო განწყობილი და დიდ სიძულვილს ამჟღავნებდა რუსეთის დესპოტიური წყობილებისადმი, ბუნებრივია, ის მხურვალედ გამოეხმაურა ზავალიშინის სიტყვებს და მიიღო მისი წინადადება საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელად მასალები კოლესნიკოვს ასახელებენ. შევიდნენ ოფიცრები ტაპტიკოვი, კუდრიაშოვი, დრუეინინი, სტარკოვი, შესტაკოვი, ვეტოშნიკოვი და სხვები, სულ დაახლოებით 25 კაცი (ამდენია დასახელებული იპოლიტე ზავალიშინის დასმენაში).

რა მიზნებს ისახავდა საზოგადოება? მისი მიზანი იყო: 1. რუსეთის გამოცხადება თავისუფალ ქვეყნად. 2. გლეხთა განთავისუფლება მემამულეთა დამოკიდებულებისაგან. 3. რიგით სამხედრო პირთა სამსახურის ვადის შემცირება. 4. სახელმწიფო გადასახადების დავალთანების პატიება და 5. ფიზიკური სასჯელის მოსპობა რიგითი მებრძოლების მიმართ.

მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტების, ძმების — პეტრე, მიხეილ და ვასილ კრიტსკეების წრე შეიქმნა მოსკოვში 1826 წლის მეორე ნახევარში დეკაბრისტების ჩამოხრჩობის პირდაპირი ზეგავლენით.

როგორი იყო წრის წევრთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი? ერთმა მათგანმა, კერძოდ ლუშნიკოვმა, ამასთან დაკავშირებით ძიებას უჩვენა: „მიხეილ კრიტსკი ძალიან აქებდა ინგლისსა და ესპანეთის კონსტიტუციას. იგი უბედურ ბედში მყოფად თვლიდა მონარქიული მმართველობის მქონე ხალხებს. დიდ ადამიანებს უწოდებდა დეკაბრისტებს და ამბობდა, რომ მათ სამშობლოს კეთილდღეობა სურდათ... ოთხჯერ შეხვედრის შემდეგ მათ (ძმებმა კრიტსკებმა — ი. ა.) გაუმეღავენეს მას (ლუშნიკოვს — ი. ა.), რომ სურთ იხილონ რუსეთი კონსტიტუციური ქვეყნად და რომ ამ მიზნის მისაღწევად კაცმა სიცოცხლე არ უნდა დაიშუროს“.

იგივე აჩვენეს წრის სხვა წევრებმაც. კერძოდ, პეტრე კრიტსკიმ განაცხადა, რომ მას სიყვარული თავისუფლებისადმი და სიძულვილი მონარქიული მმართველობისადმი აღუძრა პუშკინისა და რილეევის ლექსების კითხვამ. დეკაბრისტების ჩამოხრჩობამ დაბადა მასში მთავრობისადმი ზიზღი და დეკაბრისტების საქმიანობისადმი მიბაძვის დიდი სურვილი.

წრის ანტიმონარქისტულ ხასიათს მკაფიოდ ადასტურებს აგრეთვე მისი ერთი წევრის ლექსი, რომელშიც ნათქვამია:

Когда бы вместо фонаря,
Что светит тускло в непогоду,
Повесить деспота-царя,
То заблестал бы луч свободы.

ფარული საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა მეფის მოკვლის იდეას და სწამდა, რომ ამ გზით შესაძლებელი იყო დასახული მიზნის მიღწევა. „ვმსჯელობდით მეფეზე თავდასხმის მოწყობის შესახებ,—მოახსენეს ძიებას დაპატიმრებულებმა. ერთხელ საუბრის დროს მიხეილ კრიტსკიმ უთხრა დანიელ ტიურინს: „საჭიროა მოვკლათ მეფე“. „ეს არავითარ სარგებლობას არ მოგვცემს“, — უპასუხა ტიურინმა. „მეფის მკვლელობა დააშინებს სამეფო გვარეულობის დანარჩენ წევრებს და აიძულებს მათ გერმანიას შეათარონ თავი“ — გააგრძელა მიხეილ კრიტსკიმ. „პირიქით, ისინი მიიღებენ უსასტიკეს ზომებს და ისეთი ვითარება შეიქმნება, რომ გაუფრთხილებელი სიტყვისათვის ადამიანებს გაციმბირებით დაემუქრებიან“, — თქვა ტიურინმა. საუბრის განახლებისას გადაწყდა კენჭისყრით აერჩიათ მეფის მკვლელი, რომელიც თავსაც მოიკლავდა... მესამეჯერ მიხეილ კრიტსკიმ ვასილ პოპოვისა და ტიურინის დასწრებით ლუშნიკოვს უთხრა: „თქვენ როგორ ფიქრობთ — ძირფესვიანად ამოვაგდოთ მეფის ოჯახი, თუ მხოლოდ ძირამდე მივიღეთ, ე. ი.

ამოვწყვიტოთ მეფის ოჯახის ყველა წევრი, თუ დავტოვოთ მემკვიდრეები?“. „თუ ჩემი ქვეყნის კეთილდღეობა და მმართველობის შეცვლა მოჰყვება შედეგად ამ მსხვერპლს, მე მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, მაგრამ რა საჭიროა მეფის არასრულწლოვანი ბავშვის მოკვლა? იგი არ შეიძლება ჩვენთვის საშიში იყოს“, — უპასუხა ლუშნიკოვმა. „კარგია — არ შეიძლება საშიში იყოს. განა გველის წიწილი არ იღებს შხამს დედა-გველისგან“ — შეესიტყვა ვასილ კრიტსკი.

წრის წევრები, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ. დეკაბრისტების დიდ ზეგავლენას განიცდიდნენ, მაგრამ ზოგ რამეში ისინი მათგან მაინც განსხვავდებოდნენ. განსხვავდებოდნენ, კერძოდ, ხალხის როლის შეფასებაში. დეკაბრისტები, როგორც ცნობილია, საერთოდ უარყოფდნენ ხალხის როლს ისტორიულ პროცესში და მთელ იმედებს შეთქმულ ოფიცერთა მცირერიცხოვან ჯგუფზე ამყარებდნენ. კრიტსკელებს კი წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად ბრძოლაში ხალხთა ფართო მასების ჩაბმა მიაჩნდათ. „მიხეილ კრიტსკიმ, — უჩვენა წრის ერთ-ერთმა წევრმა, — წინადადება შემოიტანა გაგვევრცელებინა ხალხში ამაღლებელი მოწოდებანი... ლუშნიკოვი ვარაუდობდა მოსკოვის მოსახლეობისათვის დაეწერა მოწოდება და დაედო იგი მინინისა და პოჟარსკის ძეგლზე. მიხეილ კრიტსკიმ მოიწონა ეს აზრი და თქვა: „კარგი იდეაა, მაგრამ ამით შეიძლება საქმე დაზარალდეს“. იგი შიშობდა, რომ ხელნაწერით მთავრობა წრის კვალს მიაგნებდა. ამის თავიდან ასაცილებლად მას საჭიროდ მიაჩნდა საბეჭდი მანქანის შეძენა, რომ „კორონაციის“ დღეს (ე. ი. 1827 წლის 22 აგვისტოს. — ი. ა.) დაებეჭდათ პროკლამაცია და მიმოებნიათ წითელ მოედანზე. მათ იმედი ჰქონდათ გენერალ ერმოლოვის, როგორც განაწყენებული ადამიანისა, სიმბირსკის გუბერნატორის თავად ბარათაევისა და გენერალ ივაშოვისა“.

1831 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა ნ. სუნგუროვმა ფარული წრე შექმნა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სტუდენტები კოსტენეცკი, პლატონ ანტონოვიჩი, ადოლფ კნობლოხი, ფ. გუროვი და სხვ. შეთქმულნი კონსტიტუციური წყობილების შემოღების იდეით იყვნენ გატაცებულნი. „კონსტიტუცია, — ამბობდა სუნგუროვი, — ზღუდავს მონარქების დესპოტიზმს, აძლევს თავისუფლებას მოქალაქეებს“. წრის წევრთა უმცირესობა უფრო შორს მიდიოდა და რესპუბლიკურ მმართველობას უჭერდა მხარს. სუნგუროველები მიზნის მიღწევას ხალხის მონაწილეობით ორგანიზებული გადატრიალების გზით ცდილობდნენ. გადატრიალება კი, მათი აზრით, არტილერიის ხელში ჩაგდებათ უნდა დაწყებულ-

ლიყო. ისინი ვარაუდობდნენ საწარმოთა მუშებისა და საერთოდ მოსკოვში მცხოვრები უბრალო ხალხის აღშფოთებას. ბრძოლაში პატიმრობიდან განთავისუფლებული პატიმრებიც უნდა ჩაბმულიყვნენ. დაგეგმილი იყო არსენალის აღებაც და იქ შენახული იარაღის აჯანყებელი მასისათვის დარიგება. შეთქმულთ არც ტულის იარაღის დამამზადებელი ქარხნის ოკუპირება დავიწყებიათ. ერთი სიტყვით, არსებული წყობილების დამხობის ყველაზე საიმედო და საუკეთესო გზად მათ შეიარაღებული გამოსვლა მიაჩნდათ, რომელშიც მათი აზრით, ხალხს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა.

ნათქვამი, ცხადია იმას არ ნიშნავს, რომ სუნგუროველები ბრძოლის სხვა საშუალებას გამორიცხავდნენ. არ გამორიცხავდნენ ისინი, კერძოდ, მოქმედების ისეთ საშუალებას, როგორცაა ინდივიდუალური ტერორი. შეთქმულნი ვარაუდობდნენ, მაგალითად, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მოკვლას და მისი მემკვიდრის კონსტიტუციით შეზღუდვას. ახალი იმპერატორის ტახტზე ასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დასაშვებად მიჩნეული. თუ ის ფიცით დაადასტურებდა თავის ერთგულებას კონსტიტუციისადმი.

საიდუმლო წრემ ცოტა ხანს იარსება. იგი გასცა ჭაშუშმა.

* * *

ზემოთ დასახელებული ყველა წრე, როგორც ვნახეთ, ძირითადად კონსტიტუციური (ზოგი კი რესპუბლიკური) მიმართულებისა იყო. ისინი დეკაბრისტების გამოსვლის უშუალო ზეგავლენით წარმოიშვნენ და თავს დეკაბრისტების საქმის გამგრძელებლებად თვლიდნენ. განსხვავებით მათგან, ხსენებული წრის წევრები ხალხის როლს შედარებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მიზნის მიღწევას სახალხო გადატრიალების გზით თვლიდნენ შესაძლებლად.

3. 3. ჩაადაევი და მისი „ფილოსოფიური წერილები“

პეტრე იაკობის ძე ჩაადაევი, ცნობილი რუსი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი, პუშკინის უახლოესი მეგობარი, დაიბადა 1793 — 1796 წლებს შორის და გარდაიცვალა 1856 წელს. ახალგაზრდობაში ახლო ურთიერთობაში იყო დეკაბრისტებთან და „კეთილდღეობის კავშირის“ წევრადაც ითვლებოდა. 1821 წელს ჩაადაევი საზღვარგარეთ გაემგზავრა, რამდენიმე წელი იქ დაჰყო, დეკაბრისტების აჯანყების დროისათვის სამშობლოში არ იმყოფებოდა და სწორედ ამან გადაარჩინა იგი დაპატიმრებას. 20-იანი წლების მეორე ნახევრისა და 30-იანი წლების დასაწყისის რეაქციის ვითარებაში ჩაადაევი დაწერა თავისი „ფილოსოფიური წერილები“. რომელთა მნიშვნელობა რუსული საზოგადოებრივი აზრის განვი-

თარების ისტორიაში ძნელია კაცმა გადაჭარბებით შეაფასოს. ეს იყო მრისხანე პროტესტი ბატონყმობისა და დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ, ნიკოლოზ I-ის დროინდელ რუსეთში რომ იყო გაბატონებული. წერილების ავტორი გაბედულად მოითხოვს სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლებას, იმ სისტემის მოსპობას, რომელიც სავსებით ნორმალურად თვლის ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მონურ მდგომარეობაში ყოფნას «Эти рабы, — натежамия მეორე წერილში!», — которые вам прислуживают, разве не они составляют окружающий вас воздух? Эти борозды, которые в поте лица взрыли другие рабы, разве это не та почва, которая вас носит? И сколько различных сторон, сколько ужасов включает в себе одно слово: раб! Вот проклятая действительность, о неё мы все разбиваемся. Вот что парализует волю всех нас... это ужасная язва, которая нас изводит».

ავტორი გაცხადებულია იმით, რომ ბატონყმობის განმტკიცება რუსეთში მოხდა სწორედ მას შემდეგ, რაც იქ ქრისტიანობა გავრცელდა და სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადდა. ასეთი შედეგი მას სრულიად მოულოდნელად ეჩვენებოდა, რადგანაც ქრისტიანობა სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის მქადაგებელ მოძღვრებად მიაჩნდა. ამის საილუსტრაციოდ ჩაადაევი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ასახელებს, სადაც ბატონყმობა შედარებით ადრე ჩაბარდა ისტორიულ წარსულს. ეს, მისი შეხედულებით, კათოლიკური სარწმუნოების კეთილმყოფელი ზეგავლენით იყო შეპირობებული. აქედან გამომდინარეობდა ჩაადაევის პრინციპულად მცდარი დასკვნა, რომლის თანახმადაც მართლმადიდებლური ქრისტიანობა ბატონყმური იდეოლოგია იყო, ხოლო კათოლიკობა, პირიქით, — სოციალური თანასწორობის დამცველი მოძღვრება. „Как могло случиться, — წერს ჩაადაევი, — что самая поразительная черта христианского общества как раз именно и есть та, от которой русский народ отрекся на лоне самого христианства? Откуда у нас это действие религии наоборот? Не знаю, но, мне кажется, одно это могло бы заставить усомниться в православии, которым мы кичимся. Вы знаете..., что по признанию самых даже упорных скептиков уничтожением крепостничества в Европе мы обязаны христианству (католическому). Более того, известно, что первые случаи освобождения были религиозными актами и совершались перед алтарем и что в большинстве отпускных грамот мы встречаем выражение — ради искупления души. Наконец, известно, что духовенство показало везде пример освобождения собственных крепостных, и что

¹ „ფილოსოფიური წერილები“ სულ რვა წერილისაგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი დაიბეჭდა 1836 წელს ეურნალ „ტელესკოპში“.

რუმესკიხე პერვოსვიაშენიქი პერვე ვიზვალე უნიჭოჯენი რაბ-
ტვა ვი ბლასტი, პოდჩინენიი იქ დუხოვნოუ უპრავლენიო. პოჩე-
მუ ჯე ხრისტიანოვო ნე იმელო ტაკიქ ჯე პოსლედსვიი ი უ ნას?
პოჩემუ, ნაობოროტ, რუსსკიი ნაროდ პოდვერსე რაბტვუ ლიშე პო-
სლე თოგო, კაკ იმ სტალ ხრისტიანსკიიმ, ა იმენიო ვი ცარსტვოვანიე
გოდუნოვა ი შუიისკოგო? პუსტე პრავოსლავნია ცერკოვი ბიხვასნიტ
ეო იავლენიე».

მთელი ეს მსჯელობა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ. არა მარტო
საოცრად სუსტია, არამედ პრინციპულად მცდარიც. ჩაადაევი, რა
თქმა უნდა. არაა მართალი, როდესაც კათოლიკობას ბატონყმობის
მტრად მიიჩნევს, ხოლო მართლმადიდებლობას — მის დამცველად.
ქრისტიანული რელიგიის ორივე სახეობამ, როგორც ცნობილია,
დაახლოებით ერთნაირი როლი ითამაშა სოციალურ ურთიერთობათა
ისტორიაში. ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ არც ერთი გამოსუ-
ლა და არც მეორე. საკითხთან დაკავშირებული მასალები ექვმიუტა-
ნლად ადასტურებენ, რომ ისინი ყველა კლასობრივ საზოგადოებაში
მჩაგვრელებს ექმნაგებოდნენ და მათ სასარგებლო საქმეს აკეთებ-
დნენ. მაგრამ ჩაადაევის შეხედულებათა ხასიათის გარკვევისას ამ
შეცდომას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია აქ არა
კათოლიკობის როლის მცდარად შეფასება ბატონყმურ ურთიერთო-
ბათა წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ავტორის უაღრესად დიდი სი-
ძულვილი სოციალური ჩაგვრისადმი, იმ წყობილებისადმი, რომლის
დროსაც ერთ მხარეზეა ყველა პრივილეგია, ხოლო მეორეზე —
ყველა მძიმე მოვალეობა. ჩაადაევის სანუკვარი ოცნება ამ უსამართ-
ლო წყობილების მოსპობა იყო და მართლმადიდებელ ქრისტიანულ
სარწმუნოებას იგი სწორედ იმიტომ კიცხავდა, რომ ის, მისი აზრით,
განსხვავებით კათოლიკობისაგან, ამ სამართლიან საქმეს არ ემსა-
ხურებოდა.

ჩაადაევი იყო დიდი პატრიოტი, მას ძალიან უყვარდა თავისი სამ-
შობლო და სწორედ ეს სიყვარული აიძულებდა ხმამაღლა და დაუფა-
რავად ელაპარაკა მის უარყოფით მხარეებზე. მოყვარეს პირში უძრა-
ხე, მტერს კი პირის უკანო — ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა იგი
რუსეთის სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შეფასებისას. „მე არ მის-
წავლია სამშობლოს სიყვარული, — წერს ჩაადაევი, — დახუჭული
თვალებით, დახრილი თავით, დახშული ყურებით. მე მგონია, რომ
ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყო სასარგებლო თა-
ვის ქვეყნისათვის, თუკი ის ნათლად ხედავს მას; მე ვფიქრობ, წავი-
და სამშობლოს ბრძალ შეყვარების დრო... მე მიყვარს ჩემი მამულა
ისე, როგორც მასწავლა პეტრე დიდმა. ჩემთვის უცხოა, ვალიარებ
პირდაპირ, ნეტარი, ცრუ პატრიოტიზმი..., რომელიც ყველაფერს სა-

სიამოვნო ფერებში ხედავს და თავს ილუზიებით იტყუებს. სამწუხაროდ, დღეს ამ სენით ბევრი საქმიანი ადამიანია დაავადებული. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ, ვითარცა უფრო გვიანდელი დროის თაობას, გვევალება ჩვენს წინაპრებზე უკეთ ვიმოქმედოთ, არ გავიმეოროთ მათი შეცდომები, თავიდან ავიცილინოთ მათი ცდომილებანი“.

ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე. ჩაადავეი ცდლობს არაფერი დამალოს, რუსეთის წარსულისა და აწმყოს ყველა უარყოფითი მხარე წარმოაჩინოს და მათი ლიკვიდაციისათვის იბრძოდოს. „ფილოსოფიური წერილების“ ავტორი, როგორც მოსალოდნელიც იყო, სამართლიანად აკრიტიკებს ბატონყმურ-თვითმპყრობელური რუსეთის სინამდვილეს. რომელიც მილიონობით ადამიანის მონობას გულისხმობდა და საგრძნობლად აფერხებდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს. იგი სწორად უსვამდა ხაზს რუსეთის შედარებით ჩამორჩენილობას, მაგრამ აჭარბებდა, მოვლენებს აბუქებდა და საბოლოო ჯამში არარეალურ სურათს ხატავდა. ეგება რა ამ ჩამორჩენილობის საკითხს, ჩაადავეი წერს: „Одна из самых жалких странностей нашего общества, нашего общественного образования (то), что истины, давно известные в других странах, и даже у народов, во многих отношениях менее нас образованных, у нас только-что открываются. И это от того, что мы некогда не шли вместе с другими народами; мы не принадлежим ни к одному из великих семейств человечества, ни к Западу, ни к Востоку, не имеем преданий ни того, ни другого. Мы существуем как бы вне времени и всемирное образование человеческого рода не коснулось нас... То, что у других народов давно вошло в жизнь, для нас до сих пор есть только умствование, теория“ („ფილოსოფიური წერილები“, წერილი პირველი).

რუსეთი რომ დიდი დაგვიანებით ითვისებდა სხვათა მიერ აღმოჩენილ-დადგენილ ქეშმარიტებებს. ეს, ჩაადავეის აზრით, უბედურება და ქვეყნის ჩამორჩენილობის მკაფიო მახვენებელი იყო. მაგრამ მას უფრო მეტ უბედურებად მიაჩნდა ის, რომ თვითონ რუსეთს, მისი სიტყვით, არ შეუქმნია არც ერთი ქეშმარიტება, არც ერთი სასარგებლო აზრი, არაფრით გაუმდიდრებია მეცნიერული და ტექნიკური ცოდნა. „აკვირდები რა ჩვენს მდგომარეობას. — ვკითხულობთ პირველ ფილოსოფიურ წერილში, — შეიძლება იფიქრო, რომ საზოგადოების საერთო კანონი არ არსებობს ჩვენთვის. ჩვენ, ვითარცა განდევნილებს მსოფლიოში, არც არაფერი მიგვიცია მისთვის და არც არაფერი წაგვიღია მისგან. საზოგადოებრივი აზრის საერთო მასისთვის არ მიგვიმატებია არც ერთი იდეა, არაფრით არ

შეგვიწყვია ხელი კაცობრიობის გონებრივი განვითარებისათვის... მთელი ჩვენი არსებობის განმავლობაში არაფერი გაგვიკეთებია ადამიანების საერთო კეთილდღეობისათვის: არც ერთი სასარგებლო აზრი არ წარმოშობილა ჩვენს უნაყოფო, მწირ მიწაზე; არც ერთი დიდი ქვეშაობა არ აღმოცენებულა ჩვენს შორის, არაფერი გამოგვიგონებია ახალი, ხოლო სხვათა მიერ გამოგონილიდან შევითვისეთ მხოლოდ მატყუარა გარეგნობა და უსარგებლო ფუფუნება“.

რუსეთის ისტორიულ წარსულში, ჩაადაევის რწმენით, არაფერი იყო დიდი და საამაყო. რუს ხალხს თავის არსებობის მთელ მანძილზე არ ჰქონდა არც ერთი პერიოდი, რომლის დროსაც მოპოვებული წარმატებებით მას შეეძლო ეამაყა. „Чрезвычайно занимательная эпоха в истории народов, — ნათქვამია პირველ წერილში, — есть время их юности; время, когда способности их развиваются с наибольшею силою, время, воспоминание о котором, в возрасте возмужалом, служит нам наслаждением и уроком. Мы не имеем ничего подобного. В самом начале у нас дикое варварство. потом грубое суеверие, затем жестокое, унижительное владычество завоевателей, владычество, следы которого в нашем образе жизни не изгладились совсем и доныне. Вот горестная история нашей юности. Мы совсем не имеем возраста этой безмерной деятельности, этой поэтической игры нравственных сил народа. Эпоха нашей общественной жизни, соответствующая этому возрасту, наполняется существованием темным, бесцветным, без сил, без энергии. Нет в памяти чарующих воспоминаний, нет сильных нравственных примеров в народных преданиях... Мы живем в каком-то равнодушии ко всему, в самом тесном горизонте без прошедшего и будущего“.

როგორც მოტანილი ადგილებიდან ჩანს, ჩაადაევი, ვიმეორებთ ისევ. ბევრ რამეში მართალი არ იყო; რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მისეული კრიტიკა ყველა დეტალში, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი და ობიექტური. „ფილოსოფიური წერილების“ ავტორი აშკარად სცოდავდა ისტორიული ფაქტების წინაშე, როდესაც რუსეთის წარსულსა და აწმყოში ვერ ხედავდა ვერაფერს დიდსა და საამაყოს. მართალია ჩაადაევი, როდესაც მკაფიოდ უსვამს ხაზს უცხოელთა ბატონობის უარყოფით შედეგებს, მაგრამ ცდება, როდესაც არაფერს ამბობს ხალხის მედგარ ბრძოლაზე სხვადასხვა ჯურის აგრესორთა წინააღმდეგ, რამაც განაპირობა ამ ხალხის ფიზიკური არსებობისა და კულტურული მონაპოვრის შენარჩუნება. განა არაფერია საამაყო იმაში, რომ რუსმა ხალხმა მონღოლებთან თავისი უდრეკი შერკინებით იხსნა მთელი დასავლეთი ევროპა ამ უკანას-

კნელთა ბატონობისაგან? ხომ საამაყო ისიც, რომ 1812—1815 წლებში რუსეთმა არა მარტო თავი დაიკვა ფრანგების აგრესიისაგან, არამედ დიდად შეუწყო ხელი ევროპის ხალხების განთავისუფლებას ნაპოლეონ ბონაპარტეს საოკუპაციო რეჟიმისაგან? როგორ შეეძლო ჩაადაევს, რომელიც კარგად იცნობდა ლომონოსოვის დამსახურებას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, პუშკინის დიდებულ პოეზიას. მის ნათქვამ-ნათხარევს, ეთქვა, რომ რუსეთის მწირ მიწაზე არ წარმოშობილა არც ერთი ქეშმარიტება. არც ერთი სასარგებლო აზრი.

ამ კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა ერთხელ კიდევ ნათელიყოფს ჩაადაევის შეცდომებს, მისი კრიტიკის გადაჭარბებულ ხასიათს რუსეთის წარსულისა და აწმყოს ზოგი მხარის შეფასებისას. და ყველაფერი ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ის ცუდად იცნობდა ფაქტებს ან არ იყო თავისი ქვეყნის პატრიოტი. პირიქით. სწორედ ხალხისადმი, სამშობლოსადმი სიყვარულმა აიძულა ჩაადაევი ხმა აემალღებინა და დაეწერა თავისი, ბატონყმური სინამდვილის მკაცრი კრიტიკის შემკველი, „ფილოსოფიური წერილები“. ავტორს კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებდა — მას უნდოდა თავისი კრიტიკული გამოსვლით ხელი შეეწყო მშობლიური ხალხის წინსვლაპროგრესის საქმისათვის, მისი სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის. მაგრამ ამ მიზნით შთაგონებულმა ჩაადაევი გადააქარბა, ვერ მოზომა და შეცდომა დაუშვა — ისიც უარყო და დაიწუნა. რაც უარსაყოფი და დასაწუნი არ იყო. ამის მიზეზი ბატონყმური ურთიერთობა, მისდამი უკიდურესი სიძულვილი იყო. რომელსაც წონასწორობიდან გამოჰყავდა „ფილოსოფიური წერილების“ ავტორი და საჭიროზე მეტს ათქმევინებდა მას. მისი განცხადება რუსეთის წარსულისა და აწმყოს სრული უვარგისობის შესახებ ერთგვარი პასუხი იყო უვაროვ-ბენკენჯორფის ყალბ თეორიაზე, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩაადაევი, რომელიც ესოდენ „დაუნდობლად“ აფასებდა რუსეთის წარსულსა და აწმყოს, დიდი იმედით შეჰყურებდა მომავალს და სწამდა, რომ ეს მომავალი კარგი და ბედნიერი იქნებოდა: „Сладостное верование в будущее благоденствие человечества живит мою душу“ — წერდა იგი.

ჩაადაევის „ფილოსოფიურმა წერილებმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მათ ძლიერი ბიძგი მისცეს მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. „Письмо Чаадаева, — წერდა გერცენი, — было своего рода последнее слово, рубеж; это был выстрел, раздавшийся в темную ночь. Тонуло ли что и возвещало свое

გინბელს, ბყლ .ლი Ⴢტო სიგნალ, ზოვ ნა მომოხ, ვეხი Ⴁბ უტრატე ილი Ⴁ Ⴁომ, Ⴢტო ეგო ნე ბუდეტ,—ვე რავნი, ნადობნი ბყლო პროს-
ნუტყსა“.

შთავრობა. განსხვავებით მოწინავე ინტელიგენციისგან, შეშფო-
თებით შეხვდა „ფილოსოფიური წერილებს“, კერძოდ, პირველს, გა-
მოქვეყნებულს 1836 წელს ჟურნალ „ტელესკოპში“. მან კარგად
გაიგო მისი ანტიბატონყმური და ანტიმონარქიული ხასიათი. ნიკო-
ლოზ I-ის ხელისუფლებამ გადასახლებაში გაისტუმრა ჟურნალის
რედაქტორი ნადეჟდინი, ცენზორი სამსახურიდან გადააყენა, ჩაადა-
ევი გიჟად გამოაცხადა. ხოლო მისი ნაწერები აკრძალა. „ჟურნალ
„ტელესკოპის“ უკანასკნელ, მეთხუთმეტე ნომერში, — ნათქვამია
გრავ ბენკენდორფის 1836 წლის 22 Ⴁქტომბრის წერილში მოსკო-
ვის გენერალ-გუბერნატორ გოლიცინისადმი, — გამოქვეყნებულია
სტატია სახელწოდებით „ფილოსოფიური წერილი“, რომლის ავტო-
რია მოსკოვის მცხოვრები ბატონი ჩაადაევი. ამ სტატიამ, რომელსაც,
ცხადია. თქვენი ბრწყინვალეობა უკვე იცნობს. მოსკოველთა საყო-
ველთაო გაოცება გამოიწვია. მასში რუსეთზე, რუს ხალხზე, მის
წარმოდგენებზე, სარწმუნოებზე და ისტორიაზე ისეთი ზიზღითაა
ლაპარაკი, რომ გაუგებარია, თუ რატომ დაიმცირა თავი რუსმა ადა-
მიანმა ასეთი რამეების წერით. მაგრამ ჩვენი ძველი დედაქალაქის
მცხოვრებლები, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ჭანსალი
აზრითა და რუსი ხალხის ღირსების დაფასებით, მაშინვე მიხვდნენ,
რომ მსგავსი სტატია არ შეეძლო დაეწერა სრულ ჰკუაზე მყოფ მათ
თანამემამულეს; ამიტომ ისინი, ჩვენამდე მოღწეული ხმების თანა-
ხმად, არამცთუ არ აღშფოთებულან ბატონ ჩაადაევის წინააღმდეგ,
არამედ. პირიქით, სინანულით შეხვედრიან მის გონებრივ შერყევას,
აღნიშნულ უაზრობათა დაწერის მიზეზს. აქ (პეტერბურგში — ი. ა.)
ჩამოაღწიეს ხმებმა, რომ მოსკოვის მთელი საზოგადოებრიობა ერთ-
ხმად იზიარებს ბატონ ჩაადაევის მდგომარეობით გამოწვეულ მწუ-
ხარებას... ხელმწიფე იმპერატორის სურვილია, რომ თქვენმა ბრწყინ-
ვალეობამ, თქვენი თანამდებობის შესაბამისად, აღმოუჩინოთ ბატონ
ჩაადაევის სათანადო სამედლიცინო დახმარება. მისი უდიდებულესობა
ბრძანებს, რომ თქვენ ავადმყოფის მკურნალობა მიანდოთ გამოც-
დილ ექიმს და დაავალოთ მას ყოველდღე ინახულოს ბატონი ჩაადა-
ევი... ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ
აღდგენილ იქნეს მისი შერყეული ჭანმრთელობა. ხელმწიფის სურ-
ვილია, რომ თქვენ ჩაადაევის ჭანმრთელობის შესახებ თვეში ერთ-
ხელ მიაწოდოთ ცნობები მის იმპერატორობით უდიდებულესობას“.

ბესარიონ გრიგორის ძე ბელინსკი (1811—1848 წწ.), სახელგანთქმული მწერალი-კრიტიკოსი და მოაზროვნე, დაიბადა 1811 წლის 1 ივნისს სვებბორგში. ხუთი წლის ასაკში მისი მშობლები პენზის გუბერნიის ქალაქ ჩემბარში გადასახლდნენ, სადაც მამამისი მაზრის ექიმად მუშაობდა. პატარა ბელინსკის მშობლები არათუ არ ანებივრებდნენ, არამედ საერთოდ ცუდად ექცეოდნენ და მის აღზრდას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. „დედას ჭორიკანებში ყოფნა და ენის ხეხვა უყვარდა. მამა ვერ მიტანდა, მლანძღავდა, მაპკირებდა, მცემდა უმოწყალოდ... მე ოჯახში უცხო ვიყავი“ — წერდა ბესარიონ გრიგორის ძე თავის ბავშვობის წლების შესახებ. არც გიმნაზიაში გატარებულ წლებს მიუნიჭებია მისთვის სიხარული. ის გიმნაზიაში, მისი სიტყვით. დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა, წესიერი ბინაც კი არ ჰქონდა. 1829 წელს ბელინსკიმ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტში და გახდა სტუდენტი. აქედან იწყება მისი ლიტერატურული და რევოლუციური საქმიანობა.

1830 წლის დასაწყისში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მოწინავე სტუდენტების წრე¹, რომელსაც, იმ ოთახის მიხედვით, რომელშიც ბელინსკი და მისი ამხანაგები მეცადინეობდნენ, „ნომერი მეთერთმეტე ლიტერატურული საზოგადოება ეწოდა“. წრეში გაერთიანებული იყვნენ სტუდენტები პეტროვი, გრიგორიევი, ჩისტიაკოვი, პროტოპოპოვი, პროზოროვი. არგილანდერი და სხვ. წრეში ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობდა — კითხულობდნენ პუშკინის, რილეევის, პოლუეჟაევის და სხვათა ლექსებს, ეცნობოდნენ ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებებს, არჩევდნენ ლექციებს და ა. შ. იქ წაკითხულ იქნა ბელინსკის ანტიბატონყმური ხასიათის დრამა „დიმიტრი კალინინი“, რომელსაც წრის წევრები დიდი აღტაცებით შეხვდნენ. აღტაცებით შეხვდნენ, კერძოდ, დრამის მთავარი გმირის შემდეგ სიტყვებს: „ვინ მისცა ერთს იმის უფლება, რომ მონობაში იყოლიოს მეორე, მისივე მსგავსი ქმნილება, წაართვას მას წმინდათა წმინდა საგანძური — თავისუფლება?.. ბატონს გართობის მიზნით შეუძლია ტყავი გააძროს თავის ყმას, შეუძლია გაცვალოს. როგორც საქონელი, ძაღლზე, ცხენზე, ძროხაზე, ჩამოაშოროს სამულდამოდ მამას, დედას, დებს, ძმებს და საერთოდ ყველას, ვინც ძვირფასი და საყვარელია მისთვის“.

¹ მან 1832 წლამდე იარსება.

დრამის ანტიბატონყმურ ხასიათს მკაფიოდ უსვამს ხაზს თვითონ ბელინსკი. „В этом сочинении,—წერდა ის,— со всем жаром сердца, пламенеющего любовью к истине, со всем негодованием души, ненавидящей несправедливость, я в картине довольно живо и верно представил тиранство людей, пришедших себе гибельное и несправедливое право мучить себе подобных. Герой моей драмы есть человек пылкий, с страстями дикими и необузданными; его мысли вольны, поступки беснены,— и следствием их была его гибель“. ავტორი გველებს, ნიანგებსა და ვეფხვეებს უწოდებს მემამულეებს, რადგანაც ისინი, მისი სიტყვით. მიირთმევდნენ თავისივე მსგავსი ადამიანების ძვალსა და ხორცს, სვამდნენ მათ სისხლს.

დრამა „დიმიტრი კალინინი“ გამოხატავდა არა მარტო ბელინსკის, არამედ საერთოდ მთელი წრის, მისი წევრების შეხედულებებს. ეს შეხედულებები კი, როგორც უკვე ვთქვით, იყო ანტიბატონყმური, ანტიმონარქიული. ლიტერატურული საზოგადოების დევიზი იყო ბრძოლა სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისათვის.

1834 წელს ბელინსკიმ „მოღვაში“, ჟურნალ „ტელესკოპის“ და-მატებაში. დაბეჭდა ვრცელი კრიტიკული ნარკვევი — „ლიტერატურული ოცნებანი“. ავტორი თავს ესხმის „ოფიციალური ხალხურობის“ რეაქციულ ლიტერატურას, ბულგარინის, გრეჩისა და კუკულნიკოვის ნაწერებს, იძლევა ხელოვნების დანიშნულების სწორ განსაზღვრას და ა. შ.

იმ დროს, როდესაც „ლიტერატურული ოცნებანი“ დაიწერა და გამოქვეყნდა, ბელინსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიური შეხედულებები ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო. ეს პროცესი მიმდინარეობდა მომდევნო 1834—1839 წლებშიც. 1834—1837 წლებში ბელინსკი, ისე როგორც ადრე, ზიზღითაა გამსქვეალული ბატონყმობისადმი, საერთოდ ყოველგვარი უსამართლობისადმი, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებელ საშუალებათა არჩევანში შეცდა და უპირველესი ადგილი განათლებას დაუთმო. იგი მაშინ რევოლუციის აშკარა წინააღმდეგი იყო. „რუსეთის მთელი იმედი, — წერდა ის 1837 წლის 7 ივლისს, — განათლებაზეა დამყარებული და არა გადატრიალებაზე. საფრანგეთში უკვე ორი რევოლუცია (1789 და 1830 წლებისა — ი. ა.) იყო და შედეგად კონსტიტუცია შეიქმნა. და მერე რა გამოვიდა აქედან? ამ კონსტიტუციურ საფრანგეთში გაცილებით ნაკლებია აზრის თავისუფლება, ვიდრე თვითმპყრობელურ პრუსიაში; და ეს იმიტომ, რომ კონსტიტუციური თავისუფლება პირობითი თავისუფ-

ლებათ; ნამდვილი ქვეშარიტი თავისუფლება კი მკვიდრდება სახელმწიფოში განათლების წარმატებასთან ერთად. მის შედეგად“.

ავითარებს რა აზრს განათლების, როგორც გარდამქმნელი ძალის მნიშვნელობის შესახებ, ბელინსკი წერს: „საზოგადოებრივი აზრის შექმნა შესაძლებელია განათლების გავრცელებისა და... თვითმპყრობელური ხელისუფლების მოქმედების შედეგად. თვითმპყრობელური ხელისუფლება ჩვენ გვაძლევს ფიქრისა და აზროვნების სრულ თავისუფლებას, მაგრამ გვიზღუდავს აზრის ხმაამალა გამოთქმის თავისუფლებას. იგი ჩვენს ქვეყანაში ისეთი წიგნების შემოტანის უფლებას იძლევა, რომელთა აღგილზე თარგმნა და გამოცემა აკრძალულია. და ეს ყველაფერი სწორია და კანონზომიერი — ის, რისი ცოდნაც აუცილებელია შენთვის, არაა საჭირო გლეხმა იცოდეს. რადგანაც აზრი, რომელსაც შენი განკარგება შეუძლია, დამლუპველი იქნება გლეხისათვის. მთავრობა ჩვენ ნებას გვაძლევს გამოვიწეროთ საზღვარგარეთიდან ყველაფერი, რასაც კი ქმნის მოაზროვნე გერმანია, მაგრამ არ გვაძლევს უფლებას გამოვიწეროთ პოლიტიკური წიგნები. რომლებიც მხოლოდ ზიანს მიაყენებენ რწმენას. ჩემს თვალში ეს ფრიად მოსაწონი ღონისძიებაა... დ ვ ი ნ ო მ ხ ო ლ ო დ მ ო ზ რ დ ი ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ა ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო . რ ო მ ლ ე ბ მ ა ც ი ც ი ა ნ მ ი ს ი ხ მ ა რ ე ბ ი ს წ ე ს ი . მ ა გ რ ა მ დ ა მ ლ უ პ ვ ე ლ ი ა ბ ა ე ვ შ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს . პ ო ლ ი ტ ი კ ა დ ვ ი ნ ო ა , რ ო მ ე ლ ი ც რ უ ს ე თ შ ი შე ი ძ ლ ე ბ ა ო პ ი უ მ ა დ ი ქ ე ს . ვ ი ყ ო თ განათლების მოციქულები — აი ჩვენი მოვალეობა. ამრიგად, მივბაძოთ ქრისტეს მოციქულებს. რომლებიც არ აწყობდნენ შეთქმულებებს. ფარულ საზოგადოებებს, არც აშკარა პოლიტიკურ წრეებს, მაგრამ მაინც წარმატებით ავრცელებდნენ ქრისტეს მოძღვრებას“.

როგორც ვხედავთ, ბელინსკი ცდებოდა არა მარტო განათლების როლის შეფასებაში, არამედ საზოგადოების დაბალი ფენების (ყერძოდ გლეხების) პოლიტიკისადმი დამოკიდებულების საკითხშიც. პოლიტიკა. პოლიტიკური წიგნების კითხვა გლეხებისათვის არამცთუ ზედმეტად, არამედ მავნედ და საზიანოდ მიაჩნდა. ბელინსკი ცდებოდა ნიკოლოზ I-ის რეჟიმის შეფასებაშიც. იგი, რა თქმა უნდა არ იყო მართალი, როდესაც გააუღი საუკუნის 30-იანი წლების რუსეთში ფიქრისა და აზროვნების „სრულ თავისუფლებაზე“ ლაპარაკობდა. ამ შეხედულების მცდარობაში მალე თვითონაც დარწმუნდა.

1837—1839 წლებში ბელინსკი დაადგა არსებულ „სინამდვილესთან იძულებით შერიგების“ თვალსაზრისს. იგი აღმოჩნდა ჰეგელის.

ფილოსოფიისა და. კერძოდ, მისი ერთი დებულების უძლიერესი გავლენის ქვეშ. დებულებისა, რომლის თანახმად „ყველა არსებული გონივრული“ და „ყველა გონივრული არსებულია“. რაკი ბელინსკიმ გაიზარა პრუსიის მონარქიის გასამართლებლად საგანგებოდ ჩამოყალიბებული ეს დებულება, ცხადია, მას იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებაც უნდა ეცნო და მისი არსებობა გონივრულად გამოეცხადებინა. ეს იყო ფაქტიურად ხელის ალება ბრძოლაზე და სურვილის წინააღმდეგ ბატონყმურ სინამდვილესთან შერიგება.

დადგა 1840 წელი. ამ დროისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბელინსკი როგორც მოაზროვნე. წარსულს ჩაბარდა მერყეობისა და ღძიმე შეედომების პერიოდი. „დემიტრი კალინინის“ ავტორმა გამოიღვიძა, დაგმო თავისი თვალსაზრისი საზიზღარ სინამდვილესთან შერიგების შესახებ. შეიცვალა შეხედულება განათლების როლზე ისტორიულ პროცესში, სცნო რევოლუციურ გადატრიალებათა ვადამწყვეტი მნიშვნელობა და ა. შ. ყველაფერი ეს კარგად ჩანს მისი 1840 წლის 10—11 დეკემბრის წერილიდან ბოტკინისადმი. აი ერთი ადგილი იქიდან. „გამოვიღვიძე... ქრუანტელი მივლის, როდესაც ვიგონებ ჩემს ძილს... ეს იძულებითი შერიგება საზიზღარ სინამდვილესთან, ჩინისმოყვარეობასთან, ჯვარისმოყვარეობასთან, ფულს-მოყვარეობასთან, მექრთამეობასთან, გარყვნილობასთან! შერიგება იმ სინამდვილესთან, სადაც განწირულია ყოველივე ადამიანური, ცოტად თუ მეტად გონივრული, ტალანტური, სადაც ცენზურა სამხედრო წესდებადაა ქცეული, სადაც თავისუფლება მოსპობილია, სადაც პუშკინი გაჭირვებაში ცხოვრობდა და უსამართლობის მსხვერპლი გახდა... არა, გახმეს ის ენა, რომელიც გააპართლებს ყოველივე ამას — და თუ ამას გააკეთებს ჩემი ენა — დაე, გახმეს ისიც. რაც არსებობს გონივრულია! ჯალათიც ხომ არსებობს და მისი არსებობა ნამდვილია, მაგრამ იგი ხომ საშინელი და საზიზღარია. არა, ამიერიდან ჩემთვის ლიბერალი (აქ ეს რევოლუციონერის აზრით იხმარება -- ი. ა.) და ადამიანი სინონიმი ა; აბსოლიუტიზტი და ჯოხისტიც — სინონიმი ა“.

ბელინსკი არა მარტო უყოყმანოდ დგება რევოლუციურ პოზიციებზე, არამედ დარწმუნებულია, რომ მიზნის მიღწევა, სამართლანი წყობილების დამყარება მხოლოდ ძალის გამოყენებითა და მსხვერპლის გაღებით შეიძლება. „სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, — სწერდა იგი ბაკუნინს 1841 წლის 8 დეკემბერს, — რომ ის (სამარ-

თლიანი წყობილების დამყარება — ი. ა.). შეიძლება მოხდეს თავისთავად, ძალმოპოვებითი გადატრიალებებისა და სისხლის ღვრის გარეშე. ადამიანები იმდენად სულელები არიან, რომ ბედნიერებისკენ მათი წაყვანა მხოლოდ ძალითაა შესაძლებელი... და მერე რა არის ათასი კაცის სისხლი მილიონების წვალებასთან შედარებით... მე სულ ვფიქრობდი და მეგონა, რომ ვიცოდი თუ რა არის რევოლუცია, მაგრამ ეს შეცდომა გამოდგა—მის გაგებას მხოლოდ ახლა ვიწყებ. (რევოლუციაზე) უკეთესს ადამიანები ვერაფერს გააკეთებენ. ფრანგები ნამდვილად დიდი ერის წარმომადგენლები არიან“.

მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას რუსეთში დიდი ბიძგი მისცა ბელინსკის ცნობილმა წერილმა გოგოლისადმი (1847 წ.). გოგოლი, „რევიზორისა“ და „მკვდარი სულების“ ავტორი, მტერი და მოძულე იყო ბატონყმური ურთიერთობისა, მან დასახელებულ და სხვა ნაწერებში დაუნდობლად ამხილა გონებრივი შეზღუდულობა, სიჩლუნგე და სულიერი სიმახინჯე გადაგვარების გზაზე მდგარი რუსეთის თავადაზნაურობისა, რისთვისაც მწერალი შერისხულ იქნა პრივილეგიური წოდების მიერ. სულ სხვაგვარად შეხვდა მან რუსეთის საზოგადოების პროგრესული ნაწილი. იგი გულწრფელად მიესალმა გოგოლს და თავისი საყვარელი მწერლების რიცხვში შეიყვანა. ასე მოიქცა პირველ რიგში ბელინსკი. „დიახ, — სწერდა იგი გოგოლს, — მე მიყვარდით თქვენ მთელი არსებით, ისე, როგორც შეუძლია თავის ქვეყანასთან სისხლხორცეულად დაკავშირებულ ადამიანს უყვარდეს მისი იმედი, მისი პატიოსნება, მისი სახელი და დიდება“.

1846 წლის ბოლოს გოგოლმა გამოსცა წიგნი „ჩრეული ადგილები მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“, რომელიც უკიდურესად რეაქციული იყო თავისი შინაარსით და მკვეთრად უპირისპირდებოდა ყველაფერ იმას, რაც მანამდე შეუქმნია მწერალს. წიგნი იცავდა ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას, ლაპარაკობდა ბატონსა და ყმას შორის მამაშვილურ დამოკიდებულებაზე, მორჩილებისაკენ მიუთითებდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას, რომლის შესახებაც ის საკმაოდ უპატივცემლოდ წერდა. ბელინსკი მკაცრი კრიტიკით შეხვდა „ჩრეულ ადგილებს“ და დიდი სინანული გამოთქვა მისი ავტორის შეხედულებათა რეაქციული მიმართულებით განვითარების გამო. საპასუხო წერილით გამოვიდა გოგოლი, რომელსაც ბელინსკი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. 1847 წლის 15 ივლისს დაწერა თავისი ცნობილი „წერილი გოგოლისადმი“, რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ეს შესანიშნავი დოკუმენტი. ავტორი დაუნდობლად

აკრიტიკებს წიგნს „რჩეული ადგილები“ და ამხელს მის აშკარა რეაქციულ ხასიათს. „Вы только отчасти правы,— ნათქვამია ამ წერილში,—увидев в моей статье рассерженного человека; этот эпитет слишком слаб и нежен для выражения того состояния, в которое привело меня чтение вашей книги. Вы вовсе неправы, приписавши это вашим действительно не совсем лестным отзывам о почтателях вашего таланта. Нет, тут была причина более важная. Оскорбленное чувство самолюбия еще можно перенести, и у меня достало бы ума промолчать об этом предмете, если бы все дело заключалось в нем, но нельзя перенести оскорбленного чувства истинны, человеческого достоинства: нельзя молчать, когда под покровом религии и защитною кнута проповедают ложь и безнравственность как истину и добродетель“.

ამ ზოგად განცხადებას მოსდევს გოგოლის წიგნის ცალკეული ადგილებისა და დებულებათა კრიტიკა. ბელინსკის ცილისწამებად მიაჩნია გოგოლის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ხალხი განათლებას გაურბოდეს, მას არ ეტანებოდეს, მისთვის საზიანო იყოს. თქვენს წიგნში ამტკიცებთ და უეჭველ ჰეშმარიტებად ასაღებთ აზრს, თითქოს განათლება არამცთუ უსარგებლოა უბრალო ხალხისათვის, არამედ პირდაპირ საზიანოა. რა უნდა გითხრათ ამაზე? ღმერთმა გაპატიოთ თქვენ ასეთი აზრის გამოთქმა“. უსამართლოდ მიაჩნია წერილის ავტორს გოგოლის დებულება რუსი ხალხის უკიდურესი რელიგიურობის შესახებ. რელიგიურობის საფუძველი, — წერდა ბელინსკი, — ღვთის წინაშე შიშია. რუს კაცს კი არამცთუ მისი შიში არა აქვს, არამედ ღმერთის ხსენებისას ის ერთ ადგილს იფხანს. „დააკვირდით მეტი ყურადღებით,—ნათქვამია წერილში,— და თქვენ დარწმუნდებით, რომ რუსი ხალხი თავისი ბუნებით ღრმა ათეისტია. მასში ბევრია ცრუმორწმუნეობა. მაგრამ რელიგიურობის ნატამალიც არ არის. ცრუმორწმუნეობა ქრება ცივილიზაციის წარმატებასთან ერთად, რელიგიურობა კი ხშირად მას ეგუება და მასთან ერთად ცხოვრობს“.

„წერილში“ ნახვევებია რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილების გოგოლისეული დახასიათების სრული უსაფუძვლოება. ბელინსკემ მას დაუპირისპირა ბატონყმურ-მონარქიული რუსეთის, მისი ზაფუძვლების მწარე და დამაჭერბელი კრიტიკა. „Россия, -- ნათქვამია აღნიშნულ დოკუმენტში,— представляет собою ужасное зрелище страны, где люди торгуют людьми, не имея на это и того оправдания, каким лукаво пользуются американские плантаторы, утверждая, что негр — не человек; страны, где люди сами себя называют не именами, а кличками: Васьками, Васьками, Шешками, Палашками; страны, где, нако-

ნეც, იქნა არა მარტო ნიკაიხი გარანტიი დღა ლიჩნოსი, ჩესტი ნი სობსტენნოსი, იო იქნა დამე პოლიცეისკოი პორიადკა, ა ესთ თოლკო ოგრომნიე კორპორაციი რაზნიე სლუჟებნიე ვოროვ ნი გრაბიტელეი“.

აქედან გამომდინარე, ბელინსკიმ ჩამოაყალიბა პროგრამა-მიზნობები, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა, მისი აზრით, იყო უმთავრესი ამოცანა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა. ის შეიცავდა სამ მუხლს: ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა, ფიზიკური სასჯელის გაუქმება და დაცვა თუნდაც იმ კანონების, რომლებიც უკვე არსებობენ.

ბელინსკის „წერილი გოგოლისადმი“ — ეს არის რუსეთის მოწინავე აზრის ბრწყინვალე ძეგლი. ის მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრის რუსეთში უკვე შეიქმნა რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკი, რომელიც სათავეში ჩაუდგა სიძველის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებს. „წერილმა“ უდიდესი გავლენა მოახდინა მოაზროვნე ახალგაზრდობაზე. „ბელინსკის სახელი, — წერდა აქსაკოვი. ცნობილია ყველა ცოტა თუ მეტად მოაზროვნე ახალგაზრდისათვის, ყველა იმათთვის, ვისაც პროვინციის დამყაყებელი ცხოვრებით თავი აქვს მობეზრებული და სუფთა ჰაერი ენატრება. არ არის გიმნაზიის არც ერთი მასწავლებელი... რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ბელინსკის წერილი გოგოლისადმი“.

სლავოფილები და მადასავლეთანი

სლავოფილები. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, ან, როგორც ისტორიკოსი ს. დმიტრიევი ფიქრობს, 1839 წელს რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაში გაჩნდა მიმდინარეობა, რომელიც სლავოფილობის სახელით არის ცნობილი. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ა. ხომიაკოვი, ძმები პეტრე და ივანე კირეევსკები, კონსტანტინე და ივანე აქსაკოვები, ა. კოშელოვი, ი. სამარინი და სხვ. სლავოფილობა — ესაა შეხედულებათა სისტემა. რომლის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს თეზისი რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურების შესახებ. სლავოფილების აზრით, რუსეთი თავისი განვითარების გზებით მკვეთრად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპისაგან და მასთან თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო. ასეთი თეზისის წამოყენებით მათ არსებითად ახალი არაფერი უთქვამთ, რადგანაც მსგავსი შეხედულება ადრე, როგორც ვიცით, ოფიციალური ხალხურობის თეორიის ავტორმა გრაფმა უვაროვმა გამოთქვა. ასე რომ სლავოფილების „დამსახურება“ მდგომარეობს

რეობს არა რუსეთის ისტორიული განვითარების სპეციფიკურობის აღმოჩენაში. არამედ ამ ძირშივე მცდარი დებულების უყოყმანოდ გაზიარებასა და, როგორც მათ ეგონათ, მისი დამადასტურებელი მასალებისა და ფაქტების მოხმობაში.

რით იყო შეპირობებული სლავოფილების ესოდენ ძლიერი სურვილი. დაემტკიცებინათ თავიანთი ქვეყნის განვითარების თავისებურება? მათ, როგორც მემამულეთა კლასის შიგნით წარმოშობილ ლიბერალური მიმდინარეობის წარმომადგენლებს, აშინებდა ევროპა თავისი ძლიერი კლასობრივი ანტაგონიზმითა და რევოლუციებით. რევოლუციები ნიდერლანდებში (XVI ს.), ინგლისსა (XVII ს.) და საფრანგეთში (1789. 1830 წწ.), რომლებმაც დაასამარეს ძველი ფეოდალური წყობილება და ფეოდალური კლასის სოციალ-პოლიტიკური პრივილეგიები. ბუნებრივია, შიშს გვრიდნენ მათ და იძულებულს ხდიდნენ ემტკიცებინათ, რომ რუსეთში, როგორც მეტად სპეციფიკურ ქვეყანაში, არ არსებობდა არავითარი ნიადაგი მსგავსი გადატრიალებისათვის, რომ რევოლუციური გარდატეხები იქ აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

რით „ასაბუთებდნენ“ სლავოფილები ამ დებულებას? რას ემყარებოდნენ ისინი, როდესაც ლაპარაკობდნენ რუსეთის განვითარების თავისებურ, ევროპისგან პრინციპულად განსხვავებულ კანონებზე? ამის „საილუსტრაციოდ“ ჩვენთვის საინტერესო მიმდინარეობის წარმომადგენლები ასახელებდნენ რუსეთის სახელმწიფოს ვარიანტების მოწვევის გზით წარმოშობის „ფაქტს“. ეს, მათი აზრით, იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ განაპირობა რუსეთის განვითარების თავისებურება. მმართველობის ხალხის სურვილით შერჩევამ და მათთან ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს შექმნამ განაპირობა მთავრობისა და ხელქვეითების ერთიანობა, მათ შორის ტკბილი და თბილი დამოკიდებულება. აღნიშნულმა გარემოებამ რუსეთს თავიდან ააცილას ისეთი არასასიამოვნო მოვლენები, როგორიცაა კლასობრივი ბრძოლა, აჯანყებები, გადატრიალებები. „В призвании добровольном,— წერდა კ. აქსაკოვი,— означались уже отношения земли и государства—взаимная доверенность с обеих сторон. Не брали, не вражда, как это было у других народов вследствие завоевания, а мир вследствие добровольного признания“. კ. აქსაკოვი ცდილობს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე ბანაკი „მმართველების მოწვევის“ ბრწყინვალე შედეგებში. მისი სიტყვით, რუსი ხალხი, სწორედ ამ მოწვევის გამო მუდამ დინჯად, მშვიდად იყო და მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ერთხელაც არ გამოსულა წონასწორობიდან. „ეს სიმშვიდე განა არ არის იმის საუკეთესო მაჩვენებელი,

თუ რაოდენ უცხოა რუსი სულისთვის საერთოდ ყოველგვარი რევოლუცია?“ — კითხულობდა კ. აქსაკოვი.

რუსეთის თავისებურებათა მეორე უცილობელი მაჩვენებელი და ამავე დროს განმსაზღვრელი, სლავოფილების რწმენით, იყო თემი. თემი, მათი შეხედულებით, იყო „ადამიანთა კავშირი“, რომელიც გამოირიცხავდა კლასობრივ ანტაგონიზმს და უზრუნველყოფდა საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას. ის წარმოადგენდა რუსეთის სამოქალაქო წყობილების ქვაკუთხედს. „Община, წერდა კ. აქსაკოვი, — есть одно уцелевшее гражданское учреждение русской истории. Отними его — не останется ничего; из его же развития может развиться целый гражданский мир“. თემს, როგორც ცნობილია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნაროდნიკებიც. ისინიც მას რუსეთის თავისებურების ერთ-ერთ მკაფიო მაჩვენებლად თვლიდნენ, მაგრამ მათი შეხედულება თემზე მაინც მკვეთრად უპირისპირდებოდა სლავოფილების შეხედულებას. სლავოფილები თემის არსებობის ფაქტიდან აკეთებდნენ რეაქციულ დასკვნებს, ხოლო ნაროდნიკები — რევოლუციურს. სლავოფილები თემს განიხილავდნენ როგორც უკრედს. რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის არარევოლუციური გზით განვითარებას, თავადაზნაურობის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ბატონობას. ძველის საფუძვლების შენარჩუნებას; ნაროდნიკებს კი, პირიქით, თემი მიაჩნდათ ყოველგვარი უსამართლობის მოსპობისა და მომავალი სოციალისტური წყობილების საფუძვლად. სლავოფილები თემის შემამულეთა კლასის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებაზე ფიქრობდნენ, ნაროდნიკები კი, პირიქით, წვრილ მწარმოებელთა, უპირატესად გლეხების, სასარგებლოდ.

სლავოფილები, გამომდინარე თავიანთი შეხედულებიდან რუსეთის განვითარების თავისებურებათა შესახებ, მკაცრად აკრიტიკებდნენ პეტრე პირველის მოღვაწეობას, მის რეფორმებს. რომელთა შედეგად „შეიცვალა რუსეთის ცხოვრების მთელი წყობა“. პეტრემ ბარბაროსული მეთოდების გამოყენებით მოინდომა ძველი წესებისა და ადათჩვევების ამოძირკვა და ევროპული კულტურის, ცივილიზაციის დაწერგვა რუსეთში. რაც ჩვენთვის საინტერესო მიმდინარეობია წარმომადგენელთა აზრით, იმპერატორის დიდი შეცდომა იყო. მან დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლომდე ვერ მოშალა და ქვეყანა ერთბაშად განვითარების მისთვის უცხო ევროპულ გზაზე ვერ დააყენა. სლავოფილები თავიანთ საპატიო ამოცანად თვლიდნენ პეტრეს რეფორმების უარყოფითი შედეგების დაძლევას, ძველი ყოფის დამახასიათებელი მოვლენების აღდგენა-შენარჩუნებასა და ამ გზით რევოლუციური გარდატეხების თავიდან აცილებას.

სლავოფილების დახასიათებისას არ უნდა დაგვავიწყდეს მათი პანსლავისტური იდეოლოგია. ისინი ოცნებობდნენ ყველა სლავური ტომის გაერთიანებასა და ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნაზე. ამაზე, როგორც ცნობილია, დეკაბრისტებიც ლაპარაკობდნენ და ეს მათთვის არავის უარყოფით საქმედ არ ჩაუთვლია. სლავოფილებთან კი ეს მოთხოვნა რეაქციულ ხასიათს ატარებდა. საქმე ისაა, რომ დეკაბრისტების პროგრამის თანახმად, სლავთა გაერთიანების შედეგად შექმნილი სახელმწიფო თანასწორი უფლებების მქონე დემოკრატიული ქვეყნების ფედერაცია იყო. რომელმაც არ იცოდა არც ბატონყმობა და არც თვითმპყრობელობა. სლავოფილების წარმოდგენით კი ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო მონარქიული წყობილების საფუძველზე მეფის რუსეთის ჰეგემონობით.

სლავოფილები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემამულეთა კლასის იდეოლოგები და ამდენად პრინციპში თვითმპყრობელობისა და თავადაზნაურობის პოლიტიკური ბატონობის მომხრენი იყვნენ. ამით ისინი დიდად ენათესავენოდნენ ოფიციალური ხალხურობის თეორიის მიმდევრებს. მაგრამ, განსხვავებით მათგან, სლავოფილები ფეოდალურ-მემამულური კლასის იმ ნაწილის თვალსაზრისს იზიარებდნენ. რომელიც, კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, საჭიროდ თვლიდა ზოგიერთი რეფორმის გატარებას. რეფორმა, მათი აზრით, უნდა გატარებულიყო, პირველ ყოვლისა. სოციალურ სფეროში, გლეხთა საკითხში. ამ საკითხის მოუგვარებლობას, სლავოფილების შეხედულებით, ბევრი უსიამოვნება შეიძლებოდა მოჰყოლოდა. უფრო მეტიც, უკმაყოფილო და უკიდურესობამდე მისულ გლეხობას შეეძლო იარაღი აეღო ხელში და მოესპო მთელი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა, მემამულეთა თავგასულობა. გლეხთა განთავისუფლებას (და მათთვის მიწის გარკვეული ნაწილის მიცემას) სლავოფილები იმიტომაც უჭერდნენ მხარს, რომ ისინი პრაქტიკულად დარწმუნდნენ დაქირავებული შრომის აშკარა უპირატესობაში არათავისუფალი ადამიანის შრომასთან შედარებით. „მხოლოდ ჩვეულება, მხოლოდ აღმოსავლური სიზარმაცე, — წერდა კოშელიოვი 1847 წელს, — გვაკავებს ჩვენ ყმა გლეხთა განთავისუფლებისაგან. ჩვენ თითქმის ყველანი დარწმუნებულნი ვართ თავისუფალი შრომის უპირატესობაში საბატონოსთან შედარებით“. „რამდენადაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ძლიერ ვრწმუნდები, რომ გლეხთა განთავისუფლება წარმოდგენს რუსეთის ხსნის ერთადერთ საშუალებას და თუ ეს სწრაფად არ მოხდა, ვიქნებით ნაცემი და შერცხვენილი არაერთგზის“ — ამბობდა 1856 წელს ყირიმის ომის უშუალო შედეგებით შეშფოთებული ი. აქსაკოვი.

სლავოფილები, როგორც უკვე ვთქვით, მხარს უჭერდნენ არა მარტო გლეხთა პირად განთავისუფლებას, არამედ მათთვის მიწის გარკვეული ნაწილის მიცემასაც. უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი, მათა აზრით, შფოთისა და აჯანყებების მედროშე იქნებოდა. „ჩვენ ყველანი იმ აზრისა ვიყავით, — წერდა კოშელიოვი, — რომ გლეხებს მიწა მიეღოთ და რომ ჩიტისებური თავისუფლება მათ არაფერს მისცემდა. უმიწოდ განთავისუფლება იქნებოდა უდიდესი უბედურება, არა ნაბიჯი წინ, არამედ საშინელი ნაბიჯი უკან“. კირეევსკის შეხედულებითაც გლეხის განთავისუფლება უსათუოდ მიწით უნდა მომხდარიყო. და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა შემამულებთა მხრივ გარკვეულ „მსხვერპლთან“ იყო დაკავშირებული, უარესი პერსპექტივით დაშინებული კირეევსკი მას მაინც უჭერდა მხარს.

ასეთია, მოკლედ, სლავოფილების თვალსაზრისი ბატონყმობაზე და საერთოდ მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ხასიათი. საუბარს ამ საკითხზე დავასრულებთ პროფ. ს. ოკუნის სიტყვებით, რომლებშიც ჩვენი აზრით, სწორადაა ხაზგასმული განსახილველი მიმდინარეობის ყველა ძირითადი ნიშანი. „Славянофильство 40-х годов, — წერს ის, — в сущности представляло собой промежуточное звено между теорией официальной народности, выражающей требования наиболее реакционной части господствующего класса, и либеральным западничеством¹, выражающим чаяния нарождающейся буржуазии и капитализировавшегося дворянства. Вот почему в славянофильстве мирно сочеталась теория исключительности развития России, проповедывавшаяся представителями официальной народности, с требованием отмены крепостного права, являвшимся исходным моментом программы западников. Столь же мирно сосуществовали в ней идеализация самодержавного принципа с некоторой оппозиционностью по отношению к николаевской бюрократической системе. Славянофильство выступало с программой, выражавшей интересы той части дворянства, которая объективно боролась за медленное вращение в капитализм, при условии сохранения не только экономических, но и политических привилегий дворянского сословия“.

* * *

მ ე დ ა ს ა ვ ლ ე თ ე ნ ი. ასე უწოდეს სლავოფილებმა თავიანთ მოწინააღმდეგეებს, იმათ, ვინც არ იზიარებდა მათ შეხედულებას რუსეთის განვითარების თავისებურებათა შესახებ. მედასავლეთობა, რომელიც ქრონოლოგიურად სლავოფილობასთან ერთად წარმოიშ-

¹ ამაზე ქვემოთ.

ვა. იყო მეორე მიმართულება გაბატონებული კლასის იდეოლოგია-ში. ის, როგორც უკვე ვთქვით, წარმოშობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურების ინტერესებს გამოხატავდა და ამდენად მას შეიძლება ეწოდოს ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული მიმართულება. თანამედროვენი ხშირად მედასავლეთეთა რიგებში აქცევდნენ ყველა იმას, ვინც არ იზიარებდა სლავოფილთა თვალსაზრისს რუსეთის განვითარების განსაკუთრებული გზების შესახებ, მაგალითად. ბელინსკის, გერცენს, ჩერნიშევსკის და დემოკრატიული აზრის ბევრ სხვა წარმომადგენელს. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომაა. რევოლუციონერ-დემოკრატებს. რომლებიც მშრომელი ხალხის, გლეხობის ინტერესებს იცავდნენ. არაფერი ჰქონდათ საერთო ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული მიმართულების მედასავლეთეებთან, გარდა იმისა, რომ ერთი-ცა და მეორეც უარყოფდა რუსეთის განვითარების თავისებურ, ევროპისგან პრინციპულად განსხვავებულ გზას.

მედასავლეთეების, როგორც მემამულეთა კლასის ლიბერალური დაჯგუფების, ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ პ. ანენკოვი, ვ. ბოტკინი ე. კორში, ნ. სატინი, კ. კაველინი, ს. სოლოვიოვი და სხვ. მათთან ახლოს იყო ცნობილი რუსი მედიევისტი პროფ. ტ. გრონოვსკი. თუმცა მის საქმიანობაში, ისტორიკოს ს. ოკუნის სიტყვით რომ ვთქვათ, დემოკრატიული განმანათლებლობის პრინციპები გაცილებით უფრო ძლიერად იყო წარმოდგენილი, ვიდრე მის პოლიტიკურ თანამოაზრეთა მოღვაწეობაში. იგი მემარცხენე მედასავლეთე იყო.

მედასავლეთენი, ვიმეორებთ ისევ, უარყოფდნენ რა სლავოფილების შეხედულებას, ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი მიდის განვითარების იმავე გზით, როგორც დასავლეთი ევროპა, რუსეთის მოძავალიც კაპიტალისტურია. კაპიტალიზმი კი, მათი აზრით, მუდმივი და იდეალური წყობილება იყო და ამდენად მის განვითარებას გულმხურვალედ მიესალმებოდნენ. „Пока промышленные интересы у нас не выступают на сцену,— წერდა ბოტკინი ანენკოვს,— до тех пор нельзя ожидать настоящей деятельности в русской литературе“. და კიდევ. „Вы меня браните за то,—სწერდა ბოტკინი იმავე ადრესატს,— что я защищаю буржуазию. Но ради бога, как же не защищать ее, когда наши друзья, со слов социалистов, представляют эту буржуазию чем то вроде гнусного, отвратительного чудовища, пожирающего все прекрасное и благородное в человечестве? Я понимаю такие гиперболы в устах французского работника, но когда их говорит наш умный Герцен, то они кажутся мне не более, как забавными“. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობდა მისი საბოლოო დასკვნა კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის შესახებ, რომელიც მან შემდეგი

სიტყვებით ჩამოაყალიბა: „ღმერთმა ქნას, რომ ჩვენთანაც იყოს ბურჟუაზია“.

მედასაველეთენი ვერ ხედავდნენ კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს, მიიჩნევდნენ მას სრულყოფილ წყობილებად და ამიტომ, ბუნებრივია, არ თანაუგრძობდნენ მშრომელი ხალხის ბრძოლას მის წინააღმდეგ. 1848 წლის ივნისის დღეებით შეშფოთებული ჩიჩერინი ბრაზმორეული ლაპარაკობდა პარიზის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლებზე. იგი წერდა: „ჩემთვის მეხისდამცემი იყო ივნისის დღეები, როცა დემოკრატიული მასა, რომელსაც მე ვენდობოდი, უეცრად, ყოველგვარი საბანბის გარეშე და ყოველად უაზროდ. გამოვიდა როგორც აღვირახსნილი ბრბო და მზად იყო დაემხო თვით ის დაწესებულება, რომელიც მისთვის იყო შექმნილი... დაეკარგე რა დემოკრატიის სასიცოცხლო ძალებისადმი რწმენა, დაეკარგე რწმენა სოციალიზმის თეორიული მნიშვნელობისადმი“. 1848 წლის ამბების ჩიჩერინისეულ შეფასებას მხარი დაუჭირეს ბოტკინმა, ანენკოვმა, სოლოვიოვმა და სხვებმა.

მედასაველეთენი, რომლებიც ამართლებდნენ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, გამოდიოდნენ ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ და მხარს უჭერდნენ ბატონყმობის გაუქმებას. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არა რევოლუციური გადატრიალების, არამედ რეფორმის გზით. მთავრობას გლეხი უნდა გაეთავისუფლებინა და მიეცა მისთვის პირადი თავისუფლება და მცირე ნაღელი გამოსყიდვით. რეფორმის ასეთნაირად გატარება კი, ბუნებრივია, რუსეთს კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულ გზაზე აყენებდა და უზრუნველყოფდა მემამულური ლატიფუნდიების წამყვან როლს. რეფორმის გატარების პრინციპების საკითხში, როგორც ვხედავთ, მედასაველეთეებსა და სლავოფილებს შორის პრინციპული განსხვავება არ ყოფილა, თუმცა არც სრულ დამთხვევას ჰქონია ადგილი. ორივე მიმართულების წარმომადგენელთა თვალსაზრისით ბატონყმობის გაუქმებას კაპიტალიზმის ნელი, იუნკერული გზით განვითარება უნდა მოჰყოლოდა შედეგად, მაგრამ განვითარების ტემპების განმსაზღვრელ ღონისძიებათა კომპლექსის დადგენაში მათ შორის რამდენადმე განსხვავება იგრძნობოდა. მედასაველეთენი ლაპარაკობდნენ არა მარტო საგლეხო რეფორმის, არამედ სხვა ბურჟუაზიული რეფორმების გატარების აუცილებლობაზე. ისინი კონსტიტუციურ-მონარქიულ წყობილებას უჭერდნენ მხარს. სლავოფილები კი ასე შორს არ მიდიოდნენ და განუსაზღვრელი ერთმმართველობის მომხრენი იყვნენ, რაც მათ ხელს არ უშლიდა ნიკოლოზ პირველის რეჟიმის ზოგიერთი მხარის კრიტიკაში.

1. ვ. ი. ლენინი. ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბატონ სტრუვეს წიგნში, თბ., ტ. 1.
2. ა. სურგულაძე. რუსეთი XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1963, გვ. 530—577; 591—605.
3. История СССР, т. II, Москва, 1954 (под ред. М. В. Нечкиной), стр. 179—214.
4. С. Б. Окунь. История СССР, вторая четверть XIX в., Ленинград, 1957, стр. 95—107; 301—329; 354—371.
5. История русской экономической мысли, т. I, часть 2-я.
6. И. Я. Шипанов. В. Г. Белинский — великий мыслитель и революционный демократ. В книге „История русской философской мысли“. М., 1949, стр. 287—365.
7. А. С. Нифонтов. Россия в 1848 г., М., 1949, стр. 147—162.
8. Хрестоматия по истории СССР, т. II, (под ред. С. Дмитриева), стр. 421—427; 429—431; 432—437.
9. П. Я. Чаадаев. „Философские письма“. Письмо первое. Журн. „Полярная звезда“, книга VI, М., 1968, стр. 141—162.
10. П. Я. Чаадаев. Неизданные „Философские письма“. „Литературное наследство“, № 22—24, М., 1935.
11. Журн. „Полярная звезда“, книга VII, М., 1968, стр. 91—97; 98—106 (ორენბურგისა და მშეზი კრიტიკების საიდუმლო წრეებზე).
12. „Русский архив“, 1885 г., кн. I, стр. 132—133 (ბენკენდორფის წერილი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისადმი ჩაადაევის შესახებ).
13. В. Г. Белинский. Избранные сочинения, М., 1947, стр. 620—624; 639—649.

პატრარქეველების საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შახეღუღებაანი

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ I-ის მთავრობის ბრძოლა კრამოლის წინააღმდეგ წარუმატებელი აღმოჩნდა. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა აზვირთებული საზოგადოებრივი ძალების დაშოშმინება. ამის მკაფიო დადასტურებას პეტრაშეველების სახელით ცნობილი იდეური მოძრაობაც წარმოადგენს.

პეტრაშეველთა საქმიანობას, რომელსაც მ. ბუტაშევიჩ-პეტრაშევისკი ხელმძღვანელობდა. საფუძველი ჩაეყარა 1845 წელს, ქალაქ პეტერბურგში. მასში მონაწილეობას იღებდნენ ნ. სპეშნიოვი, ვ. გოლოვინსკი, პ. ფილიპოვი, ნ. გრაგორიევი, ნ. მომბელი, ა. ხანიკოვი, დ. ახშარუმოვი, დამწყები მწერლები მ. სალტიკოვი და თ. დოსტოევსკი, პოეტები ა. პლეშჩეევი და ა. მაიკოვი, მეცნიერი პ. სემიონოვი. პიანისტი ა. რუბინშტერნი და სხვ. დასახელებული პირები სისტემატურად, კვირაში ერთხელ, პარასკევობით იკრიბებოდნენ პეტრაშევისკის ბინაზე და ლაპარაკობდნენ მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის სიახლეზე. მშრომელი კაცის მძიმე მდგომარეობაზე რუსეთში. ბატონყმობის ანტიხალხურ ხასიათზე. მოხელეთა ბოროტ-მოქმედებაზე, უტოპიურ სოციალიზმზე და ა. შ. ერთ-ერთ ასეთ, „პარასკევობის“ სახელით ცნობილ შეკრებაზე მწერალმა დოსტოევსკიმ დიდი პათოსით წაიკითხა იმდროინდელი მოწინავე ახალგაზრდობის საპროგრამო დოკუმენტი — „ბელინსკის წერილი გოგოლისადმი“. 1845 წელს პეტრაშეველთა წრემ გამოსცა „რუსულ ენაში შესულ უცხო სიტყვათა ჯიბის ლექსიკონი“, რომელიც, მიუხედავად ასეთი უწყინარი სათაურისა, დემოკრატიულ-რესპუბლიკურ იდეებს ავრცელებდა რუსეთში. ლექსიკონში განმარტებული იყო, თუ რა არის „ოუენიზმი“, რას ნიშნავს „წარმოების ორგანიზაცია“, „ნორმალური მდგომარეობა“ და სხვ. ამ ცნებების გაშიფვრით პეტრაშეველები უტოპიური სოციალიზმის იდეებს ნერგავდნენ ხალხში. წრე თავისი შემადგენლობით ერთფეროვანი არ იყო. მასში ლიბერალურად მოაზროვნე წევრებთან (დანილევსკი, ბეკლემიშევი და სხვ.) ერთად, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდებიც იყვნენ.

სწორედ ისინი წარმოადგენდნენ პეტრაშეველთა მთელი საქმიანობისათვის ტონის მიმცემ და წარმმართველ ძალას. რადიკალების ჯგუფში. რომელსაც მ. პეტრაშევესკი მეთაურობდა, შედიოდნენ ფილიპოვი, ხანიკოვი, მომბელი, ახშარუმოვი, პალმა, სპეშნიოვი, გოლოვინსკი და სხვ.

1. მ. ზუბაშვინი-პეტრაშევესკი

პეტრაშევესკის (1821—1866) სიტყვები, მისი ჩვენებები და სხვა მასალები საკმაოდ მკაფიოდ გვიხასიათებენ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს. მათ წითელი ზოლივით გასდევს უკიდურესი სიძულვილი ბატონყმობისადმი, თვითმპყრობელობისადმი. ერთი მხრივ, და ხალხისადმი დიდი სიყვარული—მეორე მხრივ. პეტრაშევესკი ყველა შესაძლებელ შემთხვევას იყენებდა იმისათვის, რათა გაეკრიტიკებინა იმდროინდელი რუსეთის პოლიტიკური წყობილება. ეჩვენებინა მისი ანტიხალხური ხასიათი. სამართლიანი წყობილების დამყარებამდე, რომელიც პეტრაშევესკის რესპუბლიკის სახით ჰქონდა წარმოდგენილი, უნდა მოგვარებული და გადაწყვეტილიყო სამი, ხალხის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ფრიად საჭირო ბოროტო საკითხი. უნდა გაუქმებულიყო ბატონყმობა, დამკვიდრებულიყო ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და შემოღებულიყო სამართლიანი მართლმსაჯულება. ყველაზე მნიშვნელოვნად მაშინ მართლმსაჯულების პრობლემა მიაჩნდა. რადიკალური მიმართულების ზოგიერთი წარმომადგენელი სხვაგვარად უდგებოდა საკითხს და დემოკრატიული ძალების უმთავრეს ამოცანად ბატონყმობის გაუქმებას თვლიდა. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, კერძოდ, გოლოვინსკი. წრის წევრების ერთ-ერთ შეკრებაზე მათ შორის გამართულა ცხარე კამათი, რომლის მსვლელობა ჯამუშ ანტონელს შეზღუდვანიერად აქვს გადმოცემული: „როდესაც მე კრებაზე მივედი... ნათქვამია ანტონელის მოხსენებაში, — ცნობილი პირი (ე. ი. პეტრაშევესკი — ი. ა.) სიტყვას ამბობდა. მისი დასაწყისი მე არ მომისმენია და მას იმ დროს მივეუსწარი, როდესაც ცნობილი პირი არჩევდა სამ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც, მისი სიტყვით, ყველას აწუხებდა და აინტერესებდა. ეს საკითხებია: წიგნის ბეჭდვის თავისუფლება, მართლმსაჯულება და საბატონო გლეხების განთავისუფლება... გლეხთა განთავისუფლება ცნობილმა პირმა მეორეხარისხოვან საკითხად აღიარა და სტატისტიკური მასალის მოტანით ამტკიცებდა, რომ მართლმსაჯულებით იტანჯება ყველა, ხოლო (ბატონყმობით) — მხოლოდ 12 მილიონი ადამიანი. ცნობილი პირის შემდეგ სცენაზე გამოვიდა გოლოვინსკი. მან გააკრიტიკა ცნობილი პირი და სცადა

დამტკიცებინა, რომ პირველხარისხოვანი საკითხია არა მართლმსაჯულების შეცვლა, არამედ გლებთა განთავისუფლება... სამარცხვინოა, ამბობდა იგი, რომ საზოგადოებამ დამშვიდებით და გულგრილად უყუროს ამ 12 მილიონი მონის ტანჯვა-წამებას, რომ თითოეული მათ განთავისუფლებას უნდა ცდილობდეს, რომ გლებთა განთავისუფლება არ არის მოულოდნელი და ძნელი საქმე. რადგანაც ისინი გრძნობენ თავიანთი მდგომარეობის აუტანლობას და თავისუფლებისკენ მიისწრაფიან... მთავრობა გლებებს არ განთავისუფლებს და არც შეუძლია ამის გაკეთება. ვინაიდან განთავისუფლება უნდა მოხდეს მიწით, რაც დაკავშირებულია ხელისუფლების მხრივ მემამულეების დაჯილდოებასთან, ამის საშუალება კი მას არა აქვს: უმიწოდ განთავისუფლება კი, ან მიწების ფასის მემამულეებისათვის გადაუხდელობა — რევოლუციური ნაბიჯი იქნებოდა და ამით მთავრობა საფუძველს გამოითხრიდა... ვახშმის შემდეგ ცნობილმა პირმა ნებართვა ითხოვა პასუხი გაეცა გოლოვინსკისათვის. მან თქვა: გლებებში თავიანთი მდგომარეობის შეგრძნობა ჭერ კიდევ საკმარისი არ არის. მათი შეგნების დონე არ არის ისეთი, როგორც გოლოვინსკის წარმოდგენია. გლებთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს სულაც არ სურს განთავისუფლება და აცხადებს. რომ თუმცა მემამულის ხელქვეით ყოფნის პირობებში ისინი მნიშვნელოვან ღალას იხდიან, მაგრამ სამაგიეროდ ეწვეიან ვაჭრობას ბაჟის გადაუხდელოდ“ და საკმაო სარგებელსაც იღებენ მისგან.

პეტრაშევსკი, რა თქმა უნდა. ცდებოდა, როდესაც ბატონყმური ურთიერთობის მოსპობას მეორეხარისხოვან საკითხად თვლიდა. სინამდვილეში კი გასული საუკუნის 40-იანი წლების რუსეთში, როდესაც პეტრაშევსკელთა წრე საქმიანობდა, ეპოქის უმნიშვნელოვანეს საკითხს სწორედ გლებთა განთავისუფლება წარმოადგენდა. სწორედ გლებთა განთავისუფლებას თვლიდა მოწინავე საზოგადოება თავის უმთავრეს საბრძოლო ამოცანად. პეტრაშევსკის არც ის განცხადება იყო სწორი, რომელიც გლებთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს ბატონყმობის პირობებში ყოფნის სურვილს მიაწერდა. ასეთ შეხედულებას ფაქტები არ ადასტურებენ.

ნათქვამიდან, ცხადია, ის დასკვნა არ უნდა გაკეთდეს, თითქოს პეტრაშევსკი გლებთა განთავისუფლებას მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა ან საერთოდ მისი წინააღმდეგი იყო. რა თქმა უნდა. არა. მას. ვითარცა ხალხის ინტერესების დამცველსა და გულშემატკივარს, მხურვალედ სურდა სოციალური მონობის მოსპობა, გლებების მიწით და უსასყიდლოდ განთავისუფლება, მაგრამ ამაზე უფრო ადრე მოსაგვარებელ პრობლემად იგი მართლმსაჯულებას თვლიდა, რაშიც

ცდებოდა. როგორ და რით ასაბუთებდა პეტრაშევსკი მართლმსაჯულების შეცვლის უპირველეს მნიშვნელობას? თითოეული ჩვენგანი, ამბობდა იგი. ჭეშმარიტების მიღწევას ცდილობს და ახლობელთან თუ შორეულთან კონფლიქტის შემთხვევაში სიმართლის მოპოვებისკენ მიისწრაფის. ჩვენს არეულ და რთულ სასამართლოში სიმართლის მიღწევა შეუძლებელია და თუ ათას შემთხვევაში ერთგან მისი მიღწევა მაინც ხერხდება — ეს ბედნიერი გამონაკლისია. საქმის სწორად გადაწყვეტას მხოლოდ საჯარო, ღია სასამართლო უზრუნველყოფს. ადვოკატი (დამცველი) აცნობს საზოგადოებას საქმის არსს, ვითარებას. რომელშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა. ჭეშმარიტების დადგენაში თავიანთ წვლილს შეიტანენ ნაფიცი მსაჯულები, რომელთა მონაწილეობა პროცესში სავალდებულოდ უნდა ცნოს ახალმა სასამართლო დებულებამ. ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის შექმნით დემოკრატიული ნაკადი შევა მართლმსაჯულებაში, საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერევიან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. ასეთი ცვლილებების შეტანით დიდი შეღავათი მიეცემა ხალხს, რუსეთის იმპერიის მთელ მოსახლეობას. 60 მილიონ კაცს. განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობისა. რადგანაც უკუღმართ პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება ჩაგრავს არა მარტო გლეხობას, არამედ ყველას, ბატონსა და ყმას, მღვდელსა და ერს, ჭაღსა და კაცს. მოხუცსა და ახალგაზრდას. რაკი ბატონყმობა, ასკვნიდა პეტრაშევსკი, ტანჯავს მხოლოდ 12 მილიონ კაცს, ხოლო მართლმსაჯულების არსებული სისტემა აბსოლუტურად ყველას — „ამიტომ მე მას ვთვლი უპირველესი მნიშვნელობის საკითხად“¹.

მესამე საკითხი, რომლის მოგვარება პეტრაშევსკის აუცილებლად მიაჩნდა. ეს იყო ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, რომელსაც მისი შეხედულებით. შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა როგორც განათლების, ისე „მომავალი წყობილების დამყარების საქმეში“. მაგრამ მკაცრი ცენზურის მოხსნა და საერთოდ საცენზურო დარგის დემოკრატიზაცია, პეტრაშევსკის აზრით. მაინც არ იყო ისე აქტუალური, როგორც მართლმსაჯულების რეფორმა და ბატონყმობის გაუქმება.

¹ იგივე აზრი გაატარა მან თავის ჩვენებაში. ასაბუთებდა რა მართლმსაჯულების რეფორმის უპირატეს მნიშვნელობას. პეტრაშევსკიმ განაცხადა: „სამართლიანობა ყველა წოდების... მოთხოვნილებაა. სამართლიანობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგივეა. რაც ჰაერი ბუნებაში. რაც ნაყლებია ჰაერში... მით უფრო სუსტია და ღარიბი მცენარეულობა. რაც უფრო ნაყლებია სამართლიანობა. მით უფრო ჩამკვდარია საზოგადოებრივი ცხოვრება. სამართლიანობის არარსებობის გარეგანი გამოვლინება მექრთამეობაა. სადაც უფრო ხშირად და მეტს იღებენ. იქ ნაყლებია სამართლიანობა. რუსეთს სამართლიანად უწოდებენ მექრთამეობის კლასიკურ ქვეყანას... სამართლიანობის უქონლობა არის სწორედ ყველა რევოლუციისა და საზოგადოებრივი არეულობის მიზეზი“.

აქ ჩამოთვლილი სამი საკითხის მოგვარებით პეტრაშევსკი საზოგადოების მოწინავე ნაწილის საქმიანობას დამთავრებულად არ თვლიდა. მის წინაშე უფრო რთული ამოცანა იდგა — მას უნდა განეგრძო ბრძოლა მომავალი სამართლიანი წყობილების დამყარებისათვის, რომელიც პეტრაშევსკის რესპუბლიკის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. „ამჟამად, — ამბობდა იგი, — როდესაც ხალხი გათვითცნობიერდა, როდესაც ადამიანმა საკუთარი ღირსება შეიგნო და თვალნათლივ დაინახა... საერთო კეთილდღეობის ერთი ადამიანისადმი დამორჩილების სრული უაზრობა, მან ირწმუნა, რომ მხოლოდ სახალხო მმართველობას, მხოლოდ წარმომადგენლობით სისტემას, სადაც დაცული იქნება ყველა კლასისა და პირის ინტერესები, შეუძლია უპასუხოს ხალხის მოთხოვნებს... უმაღლესი მმართველობა უნდა ჩაბარდეს საბჭოს. რომელიც შეიქმნება სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებისგან და რომლის თავმჯდომარედ ხმის უმრავლესობით აირჩევა ერთი მათგანი... საბჭოს ევალება იზრუნოს ხალხის საპრობლემაზე. იმსჯელოს კანონებზე, ჯარის შენახვაზე, ზავსა და ომზე და ყველაფერ იმაზე, რაც ყველა ტომის ინტერესებს შეეხება. მას უფლება აქვს გაარჩიოს ტომებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები. გამოაცხადოს მობილიზაცია. შეაწეროს ხალხს გადასახადი და სხვ. მისი გადაწყვეტილება უნდა იყოს წმინდა და ხელშეუხებელი“.

ავითარებს რა თავის შეხედულებას რესპუბლიკურ წყობილებაზე, როგორც მმართველობის ყველაზე უკეთეს ფორმაზე. პეტრაშევსკი წერს: „მხოლოდ რესპუბლიკური, წარმომადგენლობითი მმართველობა შეეფერება ადამიანის ღირსებას, რადგანაც სასაცილოა და უხერხული, რომ ადამიანმა, დაჯილდოებულმა გონებით, თავისუფლებითა და თვითშეგნებით, დაუპირჩილოს თავისი სხეული, თავისი სულიერი შესაძლებლობანი მეორე ადამიანის თვითნებობას, ადამიანისა. რომელიც მისგან სწორედ თვითნებობითა და დესპოტიზმით განსხვავდება. განა ერთ ადამიანს, რომელსაც თავისი ინტერესები გააჩნია, შეუძლია იყოს ობიექტური და სამართლიანი სხვების მიმართ? განა შეუძლია გაიგოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც მისი მოწინააღმდეგე კლასის ბანაკს ეკუთვნიან... შეადარეთ ჩვენი ქვეყანა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და თქვენ დარწმუნდებით ჩემი შეხედულების სისწორეში. სად შეიძლება სასამართლო ისე უსამართლო და დამქანცველი იყოს, როგორც ჩვენთან? სასამართლო საქმეს უნდა მიეცეს საჯარო ხასიათი ნაფიც მსაჯულების მოწვევით და მხოლოდ ამ გზით გახდება ის სამართლიანი დაწესებულება“.

არსებული წყობილების შეცვლის ერთადერთ გზად პეტრაშევსკის რევოლუცია მიაჩნდა. მაგრამ ის უნდა მომხდარიყო არა უცბად, ერთბაშად. არამედ თანდათანობით, ფრთხილად და წარმატების სრული იმედით. ამისთვის კი, მისი აზრით, საჭირო იყო, რომ იღეა მთავრობის შეცვლის. აჯანყების მოწყობის შესახებ გამჭდარიყო არა ერთი. ორი ან ათი ადამიანის გონებაში, არამედ გამხდარიყო პოპულარული. ფეხი მოეკიდებინა ხალხთა მასებში და წარმოჩენილიყო არა როგორც ზევიდან ხელოვნურად შთაგონებული, არამედ როგორც მოვლენათა მსვლელობის ბუნებრივი შედეგი

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს სამართლიანი წყობილებისათვის ბრძოლაში ხალხის როლის პეტრაშევსკისეული შეფასება. პეტრაშევსკის რევოლუციური გადატრიალება ესმოდა როგორც ძალდატანებითი აქტი, რომლის წარმატებით განხორციელება მხოლოდ ხალხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით იყო შესაძლებელი. იგი არამტუთ არ თანაუგრძნობდა იმათ, ვისაც ბრძოლის საუკეთესო საშუალებად შეთქმულთა ვიწრო წრის გამოვლა მიაჩნდა, არამედ მკაცრად აკრიტიკებდა მათ. იგი აკრიტიკებდა, კერძოდ, დეკაბრისტებს, რომლებიც აჯანყებაში ხალხის მონაწილეობას გაურბოდნენ და საქმე სამხედრო გადატრიალებამდე დაჰყავდათ: „14 დეკემბრის შეთქმულებას, — წერდა პეტრაშევსკი. — არ შეიძლებოდა წარმატება ჰქონოდა, ვინაიდან მონაწილეთა მთავარი მიზანი მხოლოდ მცირე ჯგუფთათვის იყო ცნობილი... თუმცა მთავრობას ყველა საშუალება გააჩნია იმისათვის, რომ დეკაბრისტების მსგავსი საქმე წარუმატებელი გახადოს, მაგრამ მასა ყოველთვის ხელისუფლების წინააღმდეგია და ამიტომ მას (ხელისუფლებას) არ შეუძლია საერთო დინების შეჩერება და იძულებული იქნება შეურიგდეს ახალ წყობილებას, მით უმეტეს, თუ ხალხის სათავეში საკუთარი საქმის ქეშმარიტებაში დარწმუნებული და ერთიმეორისადმი ნდობით აღჭურვილი ადამიანები იქნებიან“.

ყველაზე მეტ იმედებს პეტრაშევსკი ხელოსნებზე ამყარებდა, რომელთაც, მისი სიტყვით, მოქმედების მეტი საშუალებაც ჰქონდათ და უკმაყოფილების დიდი საფუძველიც. იგი სპეციალურად ჩაეწერა კიდევ „მეშჩანების საცეკვაო საზოგადოებაში“, რათა ზეგავლენა მოეხდინა ხელოსნებზე და გადმოებირებინა ისინი თავის მხარეზე. „გარდა იმისა, — ამბობდა პეტრაშევსკი, — რომ ეს კლასი თავისთავად მრავალრიცხოვანია, თითოეული მათგანი, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს წინამძღოლი ხუთიდან ასორმოცდაათამდე კაცისა“. პეტრაშევსკის საჭიროდ მიაჩნდა ბრძოლაში ჩაბმა არა მარტო ცალკეული სოციალური ფენებისა, არამედ ცალკეული

ხალხებისა და ქვეყნებისა, მაგალითად, ისეთებისა. როგორცაა კავკასია, პოლონეთი, ციმბირი და სხვ. ისინი, მისი აზრით, ვითარცა უკმაყოფილონი მთავრობის პოლიტიკათ, აქტიურად ჩაებმებოდნენ აჯანყებაში. „ჩერქეზებს უნდა ჩაუუნერგოთ აზრი, — არწმუნებდა იგი თავის ამხანაგებს. — რომ ისინი რუსეთის მთავრობისადმი მორჩილებით კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას..., რომ რუსეთის ომი კავკასიის წინააღმდეგ არ არის ხალხის სურვილი, ის მხოლოდ მთავრობის პოლიტიკის შედეგია. მთავრობის შეცვლით შეიცვლება ჩერქეზებისადმი დემოკიდებულება. გადატრიალება კავკასიაში სასარგებლო იქნება როგორც ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობით, ისე უფრო ვიწრო მნიშვნელობითაც. წინააღმდეგობის გაძლიერება კავკასიაში გამოიწვევს ჯარის, გადასახადებისა და სხვა სიმძიმეთა გადიდებას, რაც, ბუნებრივია, პირველ რიგში გააღრმავებს მთავრობის მომდურავთა უკმაყოფილებას და დააჩქარებს მასებში მისი შეცვლა-გაუმჯობესების შესახებ აზრის მომწიფებასა და წარმომადგენლობითი მმართველობის დამყარებას“.

პეტრაშევსკი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკური წყობილების მომხრე იყო, მაგრამ ეს რესპუბლიკა, მისი შეხედულებით, უნდა ყოფილიყო არა ბურჟუაზიული, არამედ სოციალისტური. იგი როგორც უტოპისტ-სოციალისტი, ფურიეს მიმდევარი, ზიზლით იყო გამსჭვალული არა მარტო ფეოდალურ-ბატონყმური, არამედ საერთოდ ყველა კლასობრივი, მათ შორის ბურჟუაზიულ საზოგადოებისადმი. მართალია, პეტრაშევსკი მოწონებით ლაპარაკობდა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიულ-რესპუბლიკურ წყობილებაზე. მაგრამ ის მისი იდეალი მაინც არ იყო. ამერიკას აქებდა ის არა იმიტომ, რომ იქ გაბატონებული ბურჟუაზიული წყობილება ბრულქმნილი წყობილება იყო. ის, მისი აზრით, ნამდვილად უკეთესი იყო, ვიდრე რუსეთის დესპოტური მმართველობა, მაგრამ უნაკლო ისიც არ იყო. უნაკლოდ პეტრაშევსკის სოციალისტური რესპუბლიკა მიანდა და ბრძოლაც საბოლოოდ სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართულიყო. „უცხო სიტყვათა ჯიბის ლექსიკონში“, რომელიც პეტრაშევსკიმ შეადგინა, განმარტებულია, თუ რა არის კეთილმოწყობილი საზოგადოება. ასეთად აღიარებულია საზოგადოება, რომელიც თანაბრად ზრუნავს ყველაზე და გამორიცხავს ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციას.

«Благоустроенным обществом, — ნათქვამია დასახელებულ ლექსიკონში, — обществом, находящимся в нормальном состоянии, будет то, которое доставляет всякому из членов своих средства для удовлетворения их нужд пропорционально потребностям и поставляет всякого человека в такое положение

ილი ოთხივეს კი ცხელად უყვარდა, რადგან იგი, უდავოდ, უფრო მეტად ვიდრე სხვები, მისი სულიერი განვითარებისათვის უფრო მეტად ხელსაყრელი იყო. იგი, უდავოდ, უფრო მეტად ვიდრე სხვები, მისი სულიერი განვითარებისათვის უფრო მეტად ხელსაყრელი იყო. იგი, უდავოდ, უფრო მეტად ვიდრე სხვები, მისი სულიერი განვითარებისათვის უფრო მეტად ხელსაყრელი იყო.

ადვილი მისახვედრია. რომ აქ დახასიათებული საზოგადოება არაა ბურჟუაზიული. ექსპლოატატორული: იგია სოციალისტური, დამყარებული თანასწორუფლებიანობისა და კოლექტივის ყველა წევრის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების პრინციპზე.

პეტრაშეველთა წრის რადიკალური მიმართულების დანარჩენი წარმომადგენლები (ნ. სპეზიოვი, ა. ხანიოვი, ნ. მოგვილი, კ. ფილიპოვი, ნ. გრიგორიევი, ლ. ახმარაშვილი)

პეტრაშეველთა წრის რადიკალური მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სპეზიოვი (1821—1882). იგი, თავისი თანამოაზრეების მსგავსად, გამოირჩეოდა დიდი სიძულვილით ბატონყმობისადმი და მისი დაუყოვნებლივ მოსპობა-გაუქმების თვალსაზრისს ავითარებდა. ამ საქმის მოგვარება, მისი აზრით, შეუძლებელი იყო მეფისადმი ადრესების მირთმევითა და საერთოდ მშვიდობიანი გზით. ბატონყმობა უნდა დამხობილიყო რევოლუციური გადატრიალების შედეგად. რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალად სპეზიოვს. განსხვავებით პეტრაშევესკისაგან, გლეხობა მიაჩნდა. ერთ საბუთში პირდაპირაა მითითებული, რომ იგი არსებული წყობილების მოსპობის საშუალებად გლეხთა აჯანყებას თვლიდაო. ამ ცნობის სისწორე მან თვითონაც დაუდასტურა ძიებას, რომელსაც გულანდილად მოახსენა—„აჯანყებაზე ვოცნებობდიო“. ჩერნოსვიტოვის ჩვენებიდან მკაფიოდ ჩანს ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდა სპეზიოვი სახელმწიფო გლეხთა 1841—1844 წლების გამოსვლებისადმი. იგი გულმოდგინედ ისმენდა თურმე ჩერნოსვიტოვის მონაყოლს ორენბურგისა და პერმის გუბერნიების სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბრძოლის შესახებ, ბრძოლისა. რომლითაც. მისი სიტყვით. „უნდა დაწყებულიყო რევოლუცია რუსეთში“. სპეზიოვი ფიქრობდა კიდევ გლეხთა აჯანყების გეგმაზე, რომელიც უნდა აღმოცენებულიყო ურალში, მოდებოდა ვოლგისპირეთს, მოსკოვსა და მთელ შუა რუსეთს.

პეტრაშეველთა წამყვანი ჯგუფის. კერძოდ, სპეზიოვის, რევოლუციურობას ადასტურებს აგრეთვე მის მიერ შედგენილი „სავალდებულო ხელწერილის პროექტი“. რომელიც უნდა დაედო წრეში მისაღებ ახალ წევრს. იქ ნათქვამია: „როდესაც საზოგადოების გან-

მკარგულელებელი კომიტეტი... დარწმუნდება და გადაწყვეტს, რომ დადგა აჯანყების დრო, მე ვივალდებულე თავს მივიღო მასში სრული და აშკარა მონაწილეობა, ე. ი. კომიტეტის გამოძახებით გამოცხადდე დანიშნულ დღეს და დანიშნულ ადგილას, შევიარადდე იქ ცეცხლმფრქვევი ან ცივი იარაღით, ან ორივეთი ერთად. თავის დაუზოგავად ჩავება ბრძოლაში და შეძლებისდაგვარად ხელი შევეუწყო აჯანყების წარმატებას“.

სპეშნიოვის რევოლუციური დემოკრატიზმი სოციალისტური იდეებთან იყო შეზავებული. იგი გამოდიოდა არა მარტო ბატონყმობის, არამედ ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგაც, თუმცა უკანასკნელი პირველთან შედარებით უფრო უკეთეს და ხალხურ წყობილებად მიაჩნდა. საბოლოო მიზანი, მისი შეხედულებით, სწორედ სოციალისტური საზოგადოების აშენება იყო, რადგან მხოლოდ მას შეეძლო სოციალური ჩავკრისა და ადამიანთა შორის უთანასწორობის მოსპობა. «Что же касается наиболее совершенной формы объединения между людьми,— сწერდა სპეშნიოვი ზოეცკის, — наиболее справедливой социальной формы, которой может достигнуть мысль..., то это будет такое общественное состояние, где личная заинтересованность будет заменена призванием, и где распределение продуктов будет производиться по потребностям. Одним словом, это будет общество, где производство будет регулироваться по великому принципу Фурье, а потребление будет регулироваться по общему коммунистическому принципу справедливого распределения».

მომავალ სამართლიან წყობილებაში, მისი აზრით, უნდა მოსპობილიყო კერძო საკუთრება, როგორც ყოველგვარი უბედურების წყარო და მიზეზი. „კერძო საკუთრება, — ნათქვამია მის მეორე წერილში ზოეცკისადმი, — არის ბოროტება, მიზეზი ადამიანების მიერ ჩადენილი ცოდვების ნახევრისა მაინც. კერძო საკუთრებითაა შეპირობებული, მაგალითად, ყაჩაღობა, ქურდობა, შუღლი, სიძულვილი და სხვ სწორედ ამიტომ მინდა ჩვენი გზის ამ უბედურებისაგან გასუფთავება“. სპეშნიოვი თავის ამ შეხედულების სისწორის დასაბუთებას საღვთო სჯულიდან იმ ადგილის მოტანითაც ცდილობს, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანს ერთსა და იმავე დროს არ შეუძლია ღმერთსაც ემსახუროს და საკუთრებასაცო.

კერძო საკუთრება სახელმწიფო საკუთრებით უნდა შეცვლილიყო. სახელმწიფო უნდა დაპატრონებოდა საწარმოო საშუალებებს როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში. მის განკარგულებაში უნდა გადასულიყო, კერძოდ, მიწის მთელი ფონდი. მას უნდა მიეცა (ალბათ უსასყიდლოდ) გლეხისთვის მისთვის საჭირო მიწის ფართობი. ასეთი აზრების წამოყენებით სპეშნიოვმა საგრძნობლად

გაუსწრო დეკაბრისტებს. თვით პესტელსაც კი, რომლის აგრარული პროგრამა ითვალისწინებდა საზოგადოებრივი და კერძო (მემამულური) საკუთრების პარალელურ არსებობას.

აგრარული საკითხის ასეთი გადაკრა მომავალი სამართლიანი წყობილების საფუძველი უნდა გამხდარიყო. «Превращение земли в государственную собственность.— ვკითხულობთ „რუსეთის ეკონომიური აზროვნების ისტორიაში“, — рассматривалось Спешневым, по всей видности, не только как мероприятие, направленное против помещичьего землевладения, но и как неразрывное звено всего плана преобразования общества на коммунистических началах. Таким образом, за проповедью восстания крепостного крестьянства скрывался у Спешнева вдохновляемый идеями революционного утопического коммунизма план переустройства общества, призванный подорвать как крепостничество, так и капитализм».

რადიკალურად მოაზროვნე პეტრაშეველთა ჯგუფს ეკუთვნოდა ალექსანდრე ვლადიმერის ძე ხანიკოვიცი (1825---1853). მის სიტყვებსა და გამოსვლებში მოცემულია რუსეთის ბატონყმურ-დესპოტური სინამდვილის მკაცრი კრიტიკა. მხილებულია არსებული წყობილების ანტიხალხური, დესპოტური ხასიათი. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქვეყანაში, სადაც ხალხი მონურ მღვდობა-რეობაშია ჩაყენებული და მოკლებულია ელემენტარულ უფლებებს. შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური განვითარება, ეკონომიური და კულტურული პროგრესი. სწორედ ასეთ დღეში იყო, მისი აზრით, გასული საუკუნის 40-იანი წლების რუსეთი. „ჩემი სამშობლო, — თქვა მან 1849 წლის 7 აპრილს შარლ ფურიეს საპატივცემლოდ გამართულ სადილზე, — ჯაჭვითაა შებოჭილი, მონობაშია; რელიგიამ. გაუნათლებლობამ, დესპოტიზმის ამ განუყრელმა თანამგზავრებმა, ჩაახშეს მისი ბუნებრივი სწრაფვა. ჩემო ქვეყანავ..., სადაა შენი თემური წყობილება, ღვიძლი სოფელი, სამრეწველო და სამოქალაქო ცხოვრების ეს აკვანი? სადაა ხალხის თავისუფლების სიმბოლო — დიდი ნოვგოროდი და დაქუცმაცებულობის ხანის უზრუნველი ცხოვრება?“

თემზე ლაპარაკი გამოწვეული იყო არა იმით, რომ ხაზი გასმოდა რუსეთის განვითარების გზების თავისებურებას, ასეთი რამ ხანიკოვს არ სწამდა, არამედ იმით, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ სინამდვილეს, რომელიც სოციალური და პოლიტიკური მონობით ხასიათდებოდა, დაპირისპირებოდა ადრინდელი ხანის, თემური წყობილების დროინდელი თავისუფალი, ჰარმონიული ცხოვრება. იმავე მიზანს ემსახურებოდა ნოვგოროდის დასა-

ხელებაც, სოვეგოროდისა, სადაც სახალხო კრება (ვეჩე), მაშინდელი წარმოდგენით, დიდი ფუნქციებით აღჭურვილი ორგანო იყო.

ხანიკოვიც ბატონყმობის დამხობის რევოლუციურ გზას უჭერდა მხარს. ბატონყმობა, მისი შეხედულებით, მხოლოდ გლახობა აჯანყებას შეეძლო მოესპო. მაგრამ სახალხო რევოლუცია ამაზე არ უნდა შეჩერებულიყო. მოწინავე ახალგაზრდობას ბრძოლა უნდა განეგრძო „საყოველთაო თავისუფლებისა და ბედნიერების“ მოსაპოვებლად. ეს კი ნიშნავდა ბრძოლას სოციალიზმისთვის. რადგანაც ვერც ერთი სხვა წყობილება, მათ შორის ბურჟუაზიულიც, ვერ უზრუნველყოფდა სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის მოსპობას, ადამიანთა შორის თანასწორობის დამყარებას. სწორედ ამ თანასწორობის მოპოვების სურვილმა მიიყვანა ხანიკოვი შარლ ფურიეს მოძღვრებამდე. რომლის ერთგული მიმდევარიც ის მერე გახდა. ფურიეს მოძღვრება, რომელიც კაპიტალისტური სისტემის კრიტიკას შეიცავდა, რუსეთის სინამდვილესაც მიუდგა. მისმა მიმდევარმა პეტრაშევილებმა (და კერძოდ ხანიკოვმა) ფრანგი უტოპისტ-სოციალისტის ნააზრევი აღიქვეს, პირველ ყოვლისა, როგორც გალაშქრება საერთოდ ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ. განურჩევლად მათი ფორმისა და ხასიათისა. ფურიეს იდეებში ისინი ხედავდნენ ადამიანის დაცვას ყველა ჯურის მოძალადისგან, მძარცველისაგან. სხვისი შრომის მიმთვისებლისაგან. სწორედ ამიტომ ცნეს პეტრაშევილებმა (ერთმა ნაწილმა) შესაძლებლად ფურიეს მოძღვრების ბატონყმურ-დესპოტური რუსეთის სინამდვილისადმი მიყენება. „მართალია, ის (ე. ი. ფურიე. — ი. ა.), — ამბობდა ხანიკოვი ჩვენს მიერ უკვე ერთხელ დასახელებულ სიტყვაში, — ლაპარაკობდა იმ ხალხის ენაზე, რომელშიც იგი ღაიბადა და ცხოვრობდა, მაგრამ აქედან ის დასკვნა როდი გამომდინარეობს, რომ თითქოს მისი სისტემა მხოლოდ ეროვნული ინტერესებს გამოუმხატველი იყო, როგორც ფიქრობს ზოგიერთი წინასწარაკვიატებული აზრის ადამიანი. ასეთი მსჯელობა ვიწრო და ზედპირულია. მიწის სისტემაში იმდენივეა ეროვნული, რამდენიც საერთო.... რადგანაც ქვეშაირიტება ერთია და განუყრელი თავის ერთიანობაში. ის ლაპარაკობდა ხალხის, მისი შვილების, ცხოვრებისა და საოცნებო მიზნების სასარგებლოდ და მისი სიტყვები არაა მსოფლიოსთვის დაკარგული. ჩრდილოეთის ყინულით დაფარულ მხარეშიც კი ესმით ერთობის, კავშირის, საყოველთაო თავისუფლებისა და სოლიდარობის მნიშვნელობა. ჩვენი დღესასწაულიც (მხედველობაშია ფურიეს სსოვნისადმი მიძღვნილი სადილი. — ი. ა.) სწორედ ამის დადასტურებაა“.

ხანიკოვი ქედს იხრიდა ფურიეს, როგორც სრულიად ახალი ცხოვ-

რებასათვის იდეურად მებრძოლი ადამიანის წინაშე. „ჩემი სალამი შენ, ვენიოსო, — განაცხადა მან იმავე სიტყვაში, — მოგმართავ უფერული. მაგრამ გულიდან ამონახეთქი სიტყვებით. მე ვისურვებდი შენაან გრძნობითა და აზრით შერწყმას... ჩვენი სისტემის მთელი სიღიადე არის ახალი სამყარო. აღმოჩენილი ჩვენი მასწავლებლების მიერ, ახალი სამყარო. სრულიად ააწინააღმდეგო დღეს არსებულისა. იგი ხასიათდება განუზომელი. აქამდე უცნობი და ხელუხლებელი სიმდიდრით“.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ფურიეს მიმდევარ პეტრაშეველთა გემალიცესეე საწილი. არც თვითონ პეტრაშევსკი, არც ხანიკოვი და არც ახშარუმოვი. არ იზიარებდნენ ღრანგი უტოპისტ-აოციალისტის ნააზრევუს არარევოლუციურ მხარეს. ისინი უარყოფდნენ მოქმედების მწვდობახ ტაქტიკას და, ფურიესგან განსხვავებით, მიზნის მიღწევა სიოლოდ რევოლუციური გადატრიალებას ძედევად მაახხდათ შესაძლებლად. «Петрашевцы, — წერს მკვლევარი ვ. ევგრაფოვი, — отвергли не только... религиозные мотивы ученья Фурье, но и его антиреволюционность. Они принимали и углубляли критику эксплуататорского строя, как феодально-го, так и капиталистического, данную в произведениях Фурье. Они принимали те принципы Фурье, которые в конечном счеге являлись отрицанием принципов капитализма и утверждением принципов социализма. Используя рациональный момент ученья Фурье, петрашевцы в соответствии с изучением опыта исторического развития западноевропейских государств, а равно освободительного движения в России не мыслили социализм без революционной борьбы народа, без ликвидации буржуазно-помещичьей власти и замены ее властью народных масс. К тому же утопический социализм не заслонял перед ними непосредственной и ближайшей задачи революционно-демократического преобразования России».

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მომბელის (1823—1891) შესედულებათა ფორმირება დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე იგი პეტრაშეველთა წრეში შევიდოდა. 1846 წელს, პეტრაშევსკის გაცნობამდე, მან შექმნა ლიტერატურულ-პოლიტიკური წრე, რომელშიც ირიცხებოდნენ ა. მაკშეევი, ნ. კარმალინი, ნ. იაზიკოვი, ნ. ვიტი, ფ. ლვოვი და სხვ. ზოგი მათგანი მერე პეტრაშეველთა „პარასკევობის“ მონაწილე გახდა. მომბელის წრის წევრები ლაპარაკობდნენ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. კითხულობდნენ სოციალისტური ხასიათის ლიტერატურას, ფრანგი მატერიალისტების ნაწარმოებებს და ა. შ. მომბელს შედარებით ადრე გამოუმუშავდა სიძულვილი დესპოტიზმისადმი. „დესპოტიზმი, — წერდა ის ჭერ კიდევ 1843 წელს, — მტერია ყოველგვარი განვითარებისა და ჭეშმარი-

ტი სამართლისა. ამ მმართველობის დროს ყველა საშუალებით ცდილობენ ჩვეულებრივ მოკვდავთა დამცირებას. მათ უფრო მეტად დამონებას“.

მომბელის ოპოზიციურ შეხედულებათა შემდგომი განვითარება დაკავშირებულია პეტრაშეველთა წრის სახელთან, რომლის აქტიური წევრიც ის იყო 1846 წლიდან. იმდროინდელი მისი ნაწერები გამოირჩევა ხალხის მძიმე მდგომარეობის დამაჩერებელი დახასიათებით და ამ მძიმე მდგომარეობის უმთავრესი მიზეზის — ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის მკაცრი კრიტიკით. თავის წერილში „შენიშვნები ცივილიზაციის შესახებ“ — მომბელი წარმოგიდგენს სოფლის მშრომელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების მეტად არასახარბიელო სურათს. რას ვხედავთ ჩვენ რუსეთში? — კითხულობს ავტორი და იქვე თვითონვე პასუხობს: „ათეული მილიონობით ადამიანი იტანჯება; ისინი მოკლებული არიან ელემენტარულ უფლებებს პლებერული წარმოშობის ან თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის უმნიშვნელობის. ან არსებობის საშუალებათა უქონლობის გამო. ამავე დროს კი პრივილეგირებულ ბედნიერთა მცირე კასტა, თავხედურად დასცინის რა ახლობლს უბედურებას, ეძებს წვრალმანაჰ პატივმოყვარეობისა და სამარცხვინო გარყვნილების გამოხატვის ფუფუნებრივ ფორმებს. რჩეულები დასცინიან სიღარიბეს, სიბეჭავეს. სამართლიანობას... მე მგონია, ჭეშმარიტად კეთილსინდისიერმა ადამიანმა არ უნდა ისურვოს დასტკებს უსარგებლო ზედმეტობით, მაშინ როდესაც მის ახლობლებს არ გააჩნიათ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებაც კი“.

მომბელს მოაქვს ამ ზოგადად გამოთქმული აზრის დამამტკიცებელი კონკრეტული მასალაც. ის აღშფოთებით ლაპარაკობს, კერძოდ, ვიტებსკის გუბერნიის მეტად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე. აი რას წერს იგი სტატიაში „რომის დაარსება და რომულის მეფობა“ (1847 წ.): «И теперь еще пробегает холодный трепет по жилам при воспоминании о виденном мною куске хлеба, которым питаются крестьяне Витебской губернии: мука вовсе не вошла в его состав; он состоит из мякны, соломы и еще какой-то травы... Видом похож на высушенный конский навоз, сильно перемешанный с соломою... Я желал бы чадолюбивого императора в продолжении нескольких дней посадить на пищу витебского крестьянина. Как странно устроен свет: один мерзкий человек, и сколько зла он может делать и по какому праву».

აქ აღწერილი ვითარების უმთავრეს მიზეზად მომბელს. როგორც ვთქვით, ბატონყმური ურთიერთობა, თავადაზნაურობის ბატონობა მიაჩნდა. მდგომარეობიდან გამოსავალს იგი ხსენებული უსამართლო

წყობილებისა და გაბატონებული კლასის დამხობაში ხედავდა. მას მტკიცედ სწამდა. რომ ეს ასე მოხდებოდა, რომ მტარვალები დაეცემოდნენ და მონობაში მყოფი ხალხი სამუდამოდ განთავისუფლდებოდა. — რატომ არ უკვრდებიან ისინი (ე. ი. პრივილეგიური წოდების წარმომადგენლები. — ი. ა.) იმას, — წერდა მომბელი, — რომ განხეთქილება, რომელმაც ხელი შეუწყო მათ სწრაფ ამალლებას, შეიძლება გახდეს მიზეზი მათი ასევე სწრაფი დაცემისა. ეს დაცემა კი მით უფრო არასასიამოვნო იქნება, რაც უფრო სწრაფი და მნიშვნელოვანი იყო მათი ამალლება“.

მომბელის თითქმის ყველა ნაწარმოები გაუღენთილია თვითმპყრობელობისადმი სიძულვილით. მათი ავტორი დარწმუნებულია იმაში. რომ ერთპიროვნული მმართველობა აფერხებს კაცობრიობის პროგრესს, მის კულტურულ-ეკონომიურ წინსვლას. „საფრანგეთს, — ნათქვამია მომბელის „პოლიტიკურ შენიშვნებში“, — რომელიც აშკარად წინ აღუდგა დესპოტიზმს, შეუძლია ისარგებლოს ცივილიზაციის ნაყოფით და მიაღწიოს სასურველ კეთილდღეობას მხოლოდ დესპოტიზმის მოსპობით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, ხარბი და აღვირახსნილი დესპოტიზმი, შეაჩერებს მის პროგრესს, მის ცივილიზაციას და ხელს შეუშლის უკეთესი ცხოვრების დამკვიდრებაში“.

და ეს, მისი აზრით, გასაგებიც იყო, რადგანაც ისეთი წყობილების დროს, რომელიც ერთ ადამიანს ანიჭებს ხალხის ბედის გადაწყვეტის უფლებას, არავინ და არაფერია დატული და გარანტირებული აშკარა თვითნებობა-გაუკითხაობისაგან. ასეთ თვითნება-გაუკითხავ მმართველად მიაჩნდა მომბელს იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. ის, მისი სიტყვით, ადამიანი კი არ იყო, არამედ მხეცი, რომელიც დაუყოვნებლივ მოსპობას იმსახურებდა. რუსებო, გონს მოდით, იმოქმედეთ სანამ კიდევ გვიანი არაა, გაუსწორდით დესპოტს, — მიმართა და იგი ხალხს.

მომბელის სიძულვილი ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილებისადმი ისე ძლიერი იყო, რომ ამ წყობილების დასუსტებისა და საბოლოოდ მოსპობის ინტერესები ხშირად მას საგარეო ურთიერთობის სფეროში რუსეთის წარუმატებლობის მომხრეთა ბანაკში აყენებდა. მისი აზრით, რუსეთის გამარჯვება, მაგალითად, თურქეთთან ომში. არ იყო სასურველი, რადგანაც ის გააძლიერებდა მაშინ არსებულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას და გაართულებდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა მდგომარეობას.

«В войне России с Турцией, — წერდა იგი, — примет участие вся Европа, и это будет борьба мнений, борьба начал. Кто победит — трудно решить и даже невозможно в настоящий момент. Если восторжествуют Россия с Австрией (физические

силы на их стороне), то абсолютный деспотизм разольется по всей Европе, поглотит всю Европу, и тогда страдания человечества продолятся, может быть, еще на столетия, пока человечество, доведенное до крайней степени отчаяния, не вспомнит о своих правах и средствах. Но зачем допускать дурные мысли, хочу верить в хорошее, отдаю преимущество нравственным силам и надеюсь, что правое дело восторжествует, что страдания человечества скоро прекратятся, заменятся общим благосостоянием и довольством, деспотизм погибнет навек и люди будут братьями».

როგორც ამ ადგილიდან ჩანს, მომბელს ეკვი არ ეპარებოდა ადამიანთა საზოგადოების, კერძოდ. რუსი ხალხის, ბორკილებიდან მალე განთავისუფლებაში. რაც, მისი აზრით, მხოლოდ ძალის გამოყენებით შეიძლებოდა მიღწეულიყო. ციტირებულ ტექსტში ხომ პირდაპირაა ლაპარაკი უკიდურესობამდე მისული ხალხის აზვირთებაზე ადამიანური უფლებების მოპოვების მიზნით. რუსეთში სამართლიანი წყობილება. მომბელის შეხედულებით, გლეხთა აჯანყების შედეგად უნდა დამყარებულიყო. იგი გეგმავდა კიდევ მალროსიის (უკრაინის), დონისა და პოლონეთის გლეხური მოსახლეობის ერთობლივ გამოსვლას.

რანაირი წყობილება უნდა დამყარებულიყო კონკრეტულად სახალხო აჯანყების წარმატებით დასრულების შედეგად? რა პრინციპებზე უნდა ყოფილიყო იგი აშენებული? მომავალი წყობილება, როგორც ნათქვამიდანაც ჩანს, უნდა ყოფილიყო სამართლიანი, რომელიც უზრუნველყოფდა ყველას „კეთილდღეობას“. თანასწორობა და ძმობა. მას ბოლო უნდა მოეღო დესპოტიზმის თანამგზავრი ისეთი მოვლენებისათვის, როგორცაა „უსაზღვრო შიში, დალატი, ეგოიზმი, გაიძვერობა, უნდობლობა“ და დაემკვიდრებინა მეგობრობა და ძმური სიყვარული. ყოველივე ეს კი შეუძლებელი იყო არა მარტო ბატონყმობის. არამედ თვით ბურჟუაზიული ურთიერთობის ბატონობის პირობებშიც. სრული თანასწორობისა და ჰარმონიის მიღწევას მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება უზრუნველყოფდა და მომბელიც საბოლოოდ სწორედ მის დამყარებაზე ოცნებობდა (თუმცა გამორჩეულად არც ერთ იმდროინდელ სოციალისტურ სისტემას არ ემხრობოდა).

პავლე ნიკოლოზის ძე ფილიპოვი (1825—1855). წარმოშობით აზნაური, პეტრაშეველთა წრეს 1845 წლიდან დაუკავშირდა და მის მემარცხენე ფრთას მიემხრო იგი, სემიონოვ-ტიან-შანსკის

მოწმობით. „უკიდურეს რევოლუციონერად“ იხილებოდა. ფილიპოვი, მისივე სიტყვით. „იყო რადიკალი. რესპუბლიკანელი და ძალიან უხეშად ლაპარაკობდა იმდროინდელ პოლიტიკურ წყობილებაზე“. მისთვისაც ეპოქის უპირველეს საკითხს გლეხთა განთავისუფლება წარმოადგენდა. ეს კი. მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ მშრომელი ხალხის თავგანწირული ბრძოლის შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო. იგი უარყოფდა ბატონყმობის დამკველთა მიერ გავრცელებულ ვერსიას გლეხთა კარგი მდგომარეობის შესახებ მსხვილ მიწისმფლობელთა მამულებში. მან უჩვენა. რომ მსხვილი მიწისმფლობელი ფეოდალური არისტოკრატია ისევე ბოროტად იყენებდა თავის ხელისუფლებას, როგორც წერილი და რომ ამ მხრივ მათ შორის არ იყო არავითარი პრინციპული განსხვავება.

ფილიპოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები საკმაოდ სისტულითაა მოცემული მის „ათ მცნებაში“ («Десять заповедей»). ეს ნაწარმოები, დაწერილი სახარების საფუძველზე. პრობანდისტული ხასიათის დოკუმენტია. ავტორის მიზანი იყო დაერწმუნებინა სოფლის მშრომელი მოსახლეობა უღმობელი ბრძოლის აუცილებლობაში. ბატონყმური ურთიერთობის გაჩაღებლობაში. მის დრომოქმელობაში. იმაში, რომ აჯანყების მოწყობა დესპოტებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ არ არის ანტიქრისტიანული საქმე. უკეთებს რა კომენტარს სახარების მეორე ცნებას, სადაც გაკიცხულია მომხვეჭელობა და ქონების ფეტიში. ძალადობა და უზურპატორობა, ფილიპოვი წერს: „ის, ვინც არასწორი გზით — ქურდობით, მოტყუებითა და ძარცვით იხვეჭს სიმდიდრეს, იგი უფრო მეტ პატივს ამ სიმდიდრეს სცემს, ვიდრე ღმერთსა და მის ჭეშმარიტ, წმინდა საქმეს. ვაი თქვენ, ბატონებო და უსულგულო უფროსებო, თქვენ გავიწყდებათ ღვთის ანდერძი და ამქვეყნიური სიამოვნებისათვის ხელქვეითებს ავიწროებთ. ვაი იმათ, რომლებიც იმ მიზნით, რომ ასიამოვნონ უფროსებს, უკანონობას ჩადიან. ვაი იმათ, ვინც ღარიბთა და შევიწროებულთა დაცვას გაუბრძობს. ვაი იმათაც, ვისაც შეუძლია, მაგრამ არ სურს გაჭირვებულთა და დამცირებულთა დაცვა. ვაი თქვენ, მშიშარა ადამიანებო, რომ ვერ ბედავთ მოძმეთა დაცვას. დადგება საშინელი განკითხვის დღე, როდესაც სათანადოდ დაფასდება ყველას საქმე“.

ფილიპოვი მთლიანად ამართლებს მემამულეთა გაუკითხაობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ გლეხს. უფრო მეტიც. იგი სავსებით ნორმალურად თვლის ზღვარს გადასული ბატონის ფიზიკურ განადგურებასაც კი. „უფროსები და ბატონები, — ნათქვამია გასარჩევ დოკუმენტში, — რომლებმაც დაივიწყეს ღვთის ანდერძი, სიტყ-

ვას არ ეტყვიან გლეხებს ლანძღვა-გინების გარეშე... დროა ჰკუა ვასწავლოთ ბოროტმოქმედებს, ნუ აწყენინებენ ისინი ღმერთს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი რისხვა ყველას დაგვატყდება თავს. მარტო ის კი არაა საკმარისი, რომ ადამიანი არ მოკლან, არამედ საჭიროა, რომ ის არ შეურაცხყონ. ღვთის სიტყვის დამრღვევი დაე მოკვდეს. თქვენ ყველანი მიდიხართ ხოლმე იმის სანახავად. თუ როგორ სჯიან გლეხებს, რომლებმაც გაბედეს ბატონის ურჩობა ან სულაც მოკლეს ის. განა თქვენ არ იცით, რომ მათ ყველაფერი ეს უზენაესის ნებით გააქეთეს და რომ ისინი იღებენ სასჯელს. როგორც წამებულნი ახლობელთათვის. განა თავი არ უნდა დაიცვას კაცმა, რომელსაც ყაჩაღები დაესხნენ? და განა მემამულე, რომელიც ჩაგრავს და ავიწროვებს თავის გლეხებს, ყაჩაღზე უარესი არაა?“. აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს პირდაპირ მოწოდებასთან. აღდგეს საუკუნეობრივ მონობაში მყოფი გლეხობა და გაუსწორდეს ექსპლოატატორებს. იმათ, ვისაც ყმები კვირაში ექვსი-შვიდი დღით საბატონო ბეგარაზე გაჰყავდა.

ფილიპოვი ასევე ენერგიულად ილაშქრებს მეფისა და საერთოდ დესპოტური მმართველობის წინააღმდეგ. ქვეშევრდომთა შემვიწროვებელი, მათთვის არამზრუნველი. უხეში. გულქვა და ტირანი მეფე დასანდობი და გასაჩერებელი არაა, ვითარცა ღვთის ნება-სურვილის დამრღვევი და არშემსრულებელი. „მეფე, — წერს ფილიპოვი, — რომელმაც დაივიწყა თავისი მოვალეობა, არ ექომაგება ხალხს და ბატონ-უფროსების ჩარჩოებში მოქცევას არ ცდილობს. ის ღმერთისა და ხალხის მტერია და მისი ხელისუფლება ღვთისგან კი არა, ეშმაკისგანაა მიღებული“. და, რაკი, ფილიპოვის აზრით, ბუნებაში არ ყოფილა და არც იქნება კეთილი, ქვეშევრდომებისათვის თავდადებული მეფე. საჭიროა მათთან ანგარიშის გასწორება და ამით უზენაესის ნების ცხოვრებაში გატარება.

ფილიპოვი, სხვა მოწინავე პეტრაშეველების მსგავსად, გამოდიოდა როგორც ბატონყმური, ისე ბურჟუაზიული ურთიერთობის წინააღმდეგ. ზემოთ მოტანილ ადგილებში გაკრიტიკებულია არა მარტო ფეოდალურ-მემამულური წყობილება. არამედ საერთოდ ყველა საზოგადოება, მათ შორის ბურჟუაზიულიც, რომელიც არ კრძალავს სხვისი შრომის მითვისებას. ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციას, მომხვეჭელობას, უზარმაზარი ქონების თავმოყრას ერთი მუკა ადამიანების ხელში, უსამართლობას, კანონების უცერემონიო დარღვევას და ა. შ. იგი ოცნებობდა ისეთი წყობილების დამყარებაზე. სადაც წარმოება და პროდუქტების განაწილება „ბუნებრივ“ — ე. ი.

სამართლიან პრინციპებზე იქნებოდა დამყარებული. ასეთად კი იგი სოციალისტურ საზოგადოებას თვლიდა.

ნიკოლოზ პეტრეს ძე გრიგორიევის (1822—1886) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს ვეცნობით ძირითადად მისი ნაწარმოების — „ჯარისკაცის საუბრის“ მიხედვით, რომელიც პირველად უფროსად „ბილოეში“ გამოქვეყნდა 1906 წელს. ნაწარმოების მთავარი გმირია ერთი მოხუცი ჯარისკაცი, რომელიც ბატონმა „რეკრუტში“ გაისტუმრა ურჩობისათვის. მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ჯარში გაატარა, ბევრი სასახელო საქმე ჩაიდინა, მაგრამ არ დაუფასდა და მოხუცებულობის წლებში, როდესაც ფიზიკურმა ძალამაც უმტყუნა. დარჩა უპატრონოდ, არსებობის საშუალებას მოკლებული. დღე და ღამე გავიდა, რაც ლუკმა არ ჩამიღია პირშიო. — ამ სიტყვებით დაიწყო მან თავისი ცხოვრების დეტალების მოყოლა. მისი თხრობა სავსეა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მამხილებელი ფაქტებით.

მე სულ პატარა ვიყავი.—დაიწყო ძველმა ჯარისკაცმა,—როდესაც ბატონმა ჩვენი ოჯახი, რომელიც ოთხი სულისაგან—დღეა, მამა, მე და ჩემი უმცროსი და — შედგებოდა, მიჰყიდა მეორე ბატონს, წარმოშობით გერმანელს. ის ნამდვილი მხეცი გამოდგა. ცოცხლებს ტყავს გვაძრობდა. ბევრს ვშრომობდით, მოსვენება არა გვქონდა. მაგრამ გაჭირვებულ ცხოვრებას თავი ვერ დავაღწიეთ. უფრო მეტიც. ბატონის გაუმადლობა-თვითნებობის წყალობით სულ გავდარიბდით და გავნადგურდით. მაგრამ ჩვენი უბედურება ამით არ დასრულებულა. ისედაც გამწარებული ცხოვრება გულქვა ბატონმა კიდევ უფრო გავვიმწარა იმ შეურაცხყოფით, რომელიც მან ჩემს პატარა დას მიიყენა. ამ ანტიქრისტიემ არაფერს არ გაუწია ანგარიში, ძალა იხმარა და გოგონას ნამუსი ახადა. მე, რა თქმა უნდა, ვერ მოვიტომინე და უსაშველოდ ვცემე დის შეურაცხმყოფელი. „რეკრუტშიც“ სწორედ ამის გამო მიკრეს თავი. ვმსახურობდი კეთილსინდისიერად, ჯილდოც კი მივიღე. 1813 წელს უცხოეთში მოვხვდი, ვიყავი პოლონეთსა და საფრანგეთში. გავეცანი იქ ხალხის ცხოვრებას და დავრწმუნდი, რომ მშრომელი კაცი არსად არაა ისეთ დღეში, როგორც ჩვენთან. განსაკუთრებით საფრანგეთის ცხოვრებაა მიმზიდველი. იქ არც გრაფებია და არც ბატონები, ყველა თანაბარია. ერთ დროს ფრანგების მდგომარეობაც გაუარესებულა. მეფეს, რომელიც დიდი რაოდენობით და უკონტროლოდ ხარჯავდა თურმე ფულს, ღდიდრები შეუყვარებია და ღარიბები შეუვიწროებია. ..და აი, შარშან აღდგა ხალხი, აღდგნენ ჯარისკაცები (ლაპარაკია 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციასზე. — ი. ა.). ქვებისგან ქალაქში ბარაკა-

დები გააკეთეს; გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. მეფემ და ბატონებმა გაქცევით უშველეს თავს. ახლა უკვე მათ არ უნდათ მეფე და ისეთი მმართველობა შემოიღეს, როგორც ჩვენ გვაქვს სოფლად. ქვეყანას შერთავენ ხალხის მიერ არჩეული პირები... ჭარში წაყვანილს იქ ვ წელი აჩერებენ, მერე კი სახლში ისტუმრებენ... ჯოხის ხსენებაც კი არაა... ჭარისკაცებს ჯამაგირი და კარგი კვება ეძლევათ. სამსახური პირდაპირ სახალისოა... ოფიცრებს ჭარისკაცები ირჩევენ თავისი წრიდან. იქ ყველა მსახურობს — ბატონიც, ვაჰარიც და ჩვენი ძმა გლეხიც. აი რანაირი ცხოვრებაა იქ, საფრანგეთში“.

ჩემმა ფრანგმა ნაცნობებმა მათ ქვეყანაში დარჩენა მთხოვეს, — განაგრძო მოხუცმა. — მაგრამ მე გული სამშობლოსკენ მიმიწევდა. არ დავრჩი და ჩამოვედი. დედ-მამა ცოცხალი არ დამიხვდა, დაც სულერთიანად ჩამომქნარა, სახლს სხვა დაპატრონებია. მალე სამსახურიდან გავედი და ტვირთის ზიდვით ვირჩენდი თავს. ამასობაში მოვხუცდი, ავადმყოფობა მომერია, დავჩაჩანაკდი. დავრჩი თავშესაფრისა და ლუკმა-პურის გარეშე. მათხოვრობა დავიწყე. მოწყალებას ვითხოვდი, მაგრამ ყურადღებას არაეინ მაქცევდა. ეტყობა, ჩვენ მხოლოდ მანამდე ვართ საჭირო, სანამ ძალა გვაქვს. ხოლო მერე კი, როგორც წუნს, ძაღლებს უგდებენ ჩვენს თავს. მე მარტო არა ვარ, ჩემისთანა გაჭირებული ბევრია... მეფე კი სასახლეებს იშენებს და ოქროთი ამკობს. მას არცთუ ძალიან უყვარს მართლმადიდებელი რუსები. იგი ყველაფერში გერმანელებს აძლევს უპირატესობას. ყველგან ისინი არიან.

მოხუცი ჭარისკაცის მონაყოლი დიდი ყურადღებით მოისმინეს ახლანაირად ჭარისკაცებმა და თბილი სიტყვები თქვეს „თავისუფლების, ძვირფასი თავისუფლების“ მისამართით.

ნაწარმოები, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ბატონყმობისა და თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგაა მიმართული. ავტორი, ჭარისკაცის სიტყვებით, ერთსაც კიცხავს და მეორესაც. ქებადღილებას ასხამს ხალხის მმართველობას. რესპუბლიკურ წესებს, ფრანგებს, რომლებმაც გადააგდეს მეფე და თავისუფლება მოიპოვეს. საფრანგეთში ხალხია ყველაფრის გადაწყვეტი, მის გარეშე იქ არაფერი კეთდება. გრიგორიევი დარწმუნებულია, რომ რუსეთიც ადრე თუ გვიან იმავე გზას დაადგება, რომ უსამართლო წყობილება აქაც მოისპობა და მშრომელი კაცი შვებას მიიღებს. მაგრამ ამისთვის. მისი აზრით, აუცილებელი იყო მსხვერპლის გაღება, ბრძოლა სისხლიანი და დაუნდობელი, ბრძოლა გაერთიანებული ძალებით. აი რა სიტყვებს ათქმევინებს ავტორი ნაწარმოების მთავარ გმირს, ძველ

ჯარისკაცს: „საღვთო წერილში ნათქვამია: ვინც ახლა პირველია, იქნება უკანასკნელი. ხოლო უკანასკნელი გახდება პირველი. ფრანგებმა სწორედ ასე მოაწყეს ცხოვრება. სხვებმაც იგივე გააკეთეს. მხოლოდ ჩვენთან და ავსტრიელებთანაა სხვაგვარად. ჩვენ რითა ვართ ფრანგებზე უარესი. რომ იმათ უკეთესი ხვედრი შეხვდათ, ვიდრე ჩვენ. ეტყობა, სამართლანად ამბობდნენ წმინდა მამები: ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ ნურც შენ იქნები გულხელდაკრეფილიო. ნეტავი იყოს თანხმობა და თავისუფლება, რომ სათანადო მივეზღო გერმანელებს და ვაცეკვო ისინი რუსული ბალალაიკის ქვეშ. ჩვენ უშეტესობა ვართ. რისი უნდა გვეშინოდეს გოლიათებს..., მამაც ჯარისკაცებს. თუ მოვკვდებით, მოვკვდეთ, მაგრამ არ მივცეთ მდიდრებს და ანტიქრისტიებს საშუალება შეურაცხყონ ჩვენი ძმები და თავისუფლება“.

ეს პირდაპირი მოწოდებაა აჯანყებისკენ, რომელშიც დიდი როლი უნდა ეთამაშათ ჯარისკაცებს. ე. ი. სამხედრო ფორმაში გამოწყობილ გლეხებს.

პეტრაშეველთა მემარცხენე ბირთვის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დიმიტრი დიმიტრის ძე ახშარუმოვი (1823—1910), სამხედრო ისტორიკოსის შვილი იყო. 1846 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. „პარასკეობებში“ 1848 წლის დეკემბრიდან მონაწილეობდა. რადიკალური აზრები მას მანამდეც ჰქონია. ასეთი აზრების შემცველი ყოფილა, მაგალითად, ახშარუმოვის ერთი წერილი, მიძღვნილი დეკაბრისტების განაჩენისადმი. მასში მკაცრად ყოფილა გაკრიტიკებული თვითმპყრობელობა. ბატონყმობის, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის მოსპობაში, ის, როგორც ჩანს ლექსიდან „ევროპა 1845 წელს“, გადამწყვეტ მნიშვნელობას რევოლუციურ გადატრიალებებს ანიჭებდა. პეტრაშევესკის წრეში მოხვედრის შემდეგ ახშარუმოვის რადიკალურ-ოპოზიციური შეხედულებები უფრო განვითარდნენ.

ახშარუმოვის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები ყველაზე უფრო სრულად ჩამოყალიბებულია მის „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში“, რომელიც დაწერილია 1848 წლის შემოდგომაზე და მის სიტყვაში ფურიეს ხსოვნისადმი მიძღვნილ სადილზე. პირველი მათგანი იწყება ასე: „ცხოვრება იმ სახით, როგორიც დღესაა, ძალიან მძიმეა და აუტანელი. იგი სავსეა მრავალნაირი უსიამოვნებებითა და საზიზღრობებით“. რატომ იყო ეს ცხოვრება ასე უვარგისო? უვარგისობის მთავარი მიზეზი, ავტორის აზრით, მაშინ არსებული წყობილება იყო. ბატონყმობა და თვითმპყრობელობა — აი, რა აპირობებდა, რა საზღვრავდა ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის სიღატა-

კეს, მის მძიმე მდგომარეობას, განუწყვეტლივ შრომას. «Мы. — ამბობდა ახშარუმოვი დასახელებულ სიტყვაში, — живем в столице безобразной, громадной, в чудовищном скопище людей, томящихся в однообразных работах, испачканных грязным трудом, пораженных болезнями... А еще пониже десятки миллионов работников целый день летом, на солнце и дожде, возятся с землей, да еще не со своей, чтоб она дала скудные плоды».

სოფლის მშრომელ მოსახლეობასთან საუბარში პეტრაშეველებს, ახშარუმოვის აზრით, უნდა ემხილებინათ ბატონყმობის ექსპლოატატორული ხასიათი, გლეხების სრული უუფლებობა, რომ ამით დაერწმუნებინათ ისინი ბრძოლისა და მტერთან შერკინების აუცილებლობაში. „ხალხს, — წერდა იგი, — უნდა ველაპარაკოთ ასე: თქვენ ყმები ხართ. ბიჭებო, იხდით ღალას და ასრულებთ საბატონო ბეგარას. თქვენ შევიწროებული ხართ, არაფერი გაგაჩნიათ, თქვენი ყველაფერი ბატონისაა. მას შეუძლია თქვენი გადასახლება, გაყიდვა. გაგდება: პოლიცია გართმევთ თქვენ ყველაფერს. რასაც კი მოისურვებს: თქვენი სამართლიანი საჩივრები თავდაზნაურობაზე არავის ესმის. ხოლო როდესაც თქვენ. თავდაცვის მიზნით. ხელით შეეხებით მათ. გეგმენ და სიკვდილის პირამდე მიჰყავხართ“.

ახშარუმოვი მკაცრად აკრიტიკებდა არა მარტო რუსეთის სოციალურ წყობას. გლეხს რომ იძულებულს ხდიდა სხვისი მიწა დაემუშავებინა, არამედ მის ღესპოტურ მმართველობასაც. იგი, მისი აზრით. უნდა შეეცვლილიყო ხალხის მმართველობით, დემოკრატიული წყობილებით. განუსაზღვრელი მონარქიის მოთმენა მას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუკი ტახტზე კეთილშობილი და საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანი იქნებოდა, მაგრამ რაკი ასეთი რამ, ახშარუმოვის სიტყვით, გამორიცხული იყო, ამიტომ იგი არსებული წყობილების აუცილებელ შეცვლაზე ლაპარაკობდა. „ჩვენ, — წერდა იგი. — არ შეგვიძლია დავტოვოთ ის (ე. ი. მმართველობა — ი. ა.) ამ მდგომარეობაში. საქირაო მისი შეცვლა. მაგრამ ფრთხილად, რომ მეტისმეტმა უწესრიგობამ ხალხი ისევ ძველ ვითარებას არ დაუბრუნოს“.

ახშარუმოვი, როგორც ვთქვით, რესპუბლიკას უჭერდა მხარს, მაგრამ პირველ ხანებში, მისი სწრაფად მიღწევის შეუძლებლობის ვითარებაში, მას კონსტიტუციური წყობილებაც არ ეჩვენებოდა ურიგოდ. «С другой стороны, — ვკითხულობთ „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში“, — стоять непременно и дожидаться упрямо республиканского правления — значит терять время, потому что конституционное лучше монархического, неограниченного. Пока у нас нет человека, известного всем, у которого был бы авторитет и популярность, то надобно иметь царя, но предоставить

ему самые ничтожные преимущества, сказав народу, что он на все имеет право только с согласия его самого; так, например, оставить ему титул, голос его в народном собрании считать за несколько голосов (за 3, даже за 10) и тому подобное, но чтоб у него не было права ни распускать, ни созывать собрание, ни назначать время продолжения его, чтоб войско не было в руках его... Потом, когда собрание получит доверенность народа, то можно обойтись без царя».

ახშარუმოვი. ვიმეორებთ ისევ, საბოლოოდ რესპუბლიკის მომხრე იყო. მაგრამ არა ბურჟუაზიულსა. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილება. მისი შეხედულებით, უკეთესი იყო, ვიდრე ბატონყმური. მაგრამ იგიც ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მათ სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორობას. იგი ოცნებობდა ისეთი ვითარების შექმნაზე. როდესაც ყველა ბედნიერი იქნებოდა და ერთი მეორის ხარჯზე არ იცხოვრებდა. სწორედ ამ ბედნიერ მომავალზე ოცნებამ მიიყვანა ახშარუმოვი ფურციეს მოძღვრებამდე და გახადა მისი მიმდევარი და პატივისმცემელი, თუმცა, სხვა მემარცხენე პეტრაშეველთა მსვაესად, უარყო მისი მოძღვრების არარევოლუციური მხარე.

ახშარუმოვს ბრძოლის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა მიზნის მიღწევა. მას სწამდა, რომ ლოდინითა და პასიურობით საქმე ვერ გაკეთდებოდა. სამართლიანი წყობილების დამყარება, მისი აზრით, მხოლოდ ადამიანს შეეძლო. მას უნდა მოემზადებინა გადატრიალება, გადატრიალება შეგნებული, ხალხის რწმენით გასხივოსნებული. არსებულის წინააღმდეგ ბრძოლა მსხვერპლთან იყო დაკავშირებული და ახშარუმოვიც, ჩანს, ამაზე უყოყმანოდ მიდიოდა. „თუ დანამდვილებით მეცოდინება, რომ თავის მსხვერპლად შეწირვა უშედეგოდ არ ჩაივლის და რამე სარგებლობას მოიტანს. მე მზად ვარ ათასჯერ ხელი ავიღო სიცოცხლეზე“, — წერდა იგი თავის „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში“.

8. ლიბერალები კაბრაშეველთა წრეში (ნ. დანილევსკი და სხვ.)

პეტრაშეველთა წრის ლიბერალურად მოაზროვნეთა ჯგუფში შედიოდნენ ნ. დანილევსკი, ა. ბეკლემიშევი, ი. იასტრკემბსკი და სხვ. განსხვავებით მემარცხენე მიმდინარეობისგან, რომელიც ბატონყმობისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა რევოლუციური გზით მოსპობის იდეას უჭერდა მხარს, ლიბერალები კმაყოფილდებოდნენ ხსენებულ სოციალ-ეკონომიურ სისტემათა გარეგნული კრიტიკით და ლაპარაკობდნენ მხოლოდ ზოგიერთი რეფორმის გატარების შესა-

ხებ. მათი მიზანი იყო ისეთი გზების მოძებნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კაპიტალისა და მემამულური საკუთრების შენარჩუნება-სტაბილიზაციას.

ლიბერალების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ იაკობის ძე დანიილევსკი (1825—1885). იგი ითვლებოდა ფურიეს მოძღვრების ყველაზე საუკეთესო მკოდნედ, მის მიმდევრად და პროპაგანდისტად. მაგრამ, ვანსხვაებით პეტრაშევსკისა, ხანიკოვისა და ახშარუმოვისგან, რომლებმაც უარყვეს ფურიეს მოძღვრების ანტირევოლუციური მხარე და აიღეს მისგან მხოლოდ მისი რაციონალური მარცვალი, დანიილევსკიმ ხელი ჩააჭიდა ფრანგი უტოპისტ-სოციალისტის ნააზრვეის სუსტ ადგილებს და სცადა მათი გამოყენება თავის ლიბერალურ შეხედულებათა დასასაბუთებლად, კლასობრივი ზავის თეორიის გასამტკიცებლად. დაპატიმრებული დანიილევსკი დაბეჯითებით განუმარტავდა ძიებას, რომ ფურიეს მოძღვრება, რომლის მიმდევრობაშიც მას ბრალი ედებოდა, არ შეიცავს არაფერს მთავრობისა და საერთოდ არსებული წყობილების საწინააღმდეგოს. ეს არის მოძღვრება წარმოების უკეთ მოწყობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სახალხო დოვლათის გადიდების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს შრომისა და კაპიტალის ჰარმონიული თანაარსებობა, მათ შორის ანტაგონიზმის მოსპობა, ერთის მდგომარეობის გაუმჯობესება მეორის დაჩაგვრის გარეშე და ა. შ. ფურიე, დანიილევსკის სიტყვით, ოდნავადაც არ ფიქრობდა მოესპო ისეთი კატეგორიები, როგორცაა საკუთრება, მემკვიდრეობა, ოჯახი და სხვ. ყველაფერ ამას იგი ხელუხლებლად ტოვებდა. «Право собственности, право наследства, право капитала, семейства,—წერდა იგი თავის ჩვენებაში,—все это, уничтожаемое или изменяемое в самой сущности своей другими учениями, оставляет Фурье неприкосновенным. Все изменения, делаемые им в экономическом устройстве обществ (до политического устройства он и вовсе не касается), состоят в заменении отдельных хозяйств одним большим хозяйством и в ведении вместо тягостной и монотонной системы производства работ — сериальной организации труда».

ამ აზრს დანიილევსკი არაერთხელ იმეორებს. „ფურიეს თეორია. — ნათქვამია იმავე ჩვენებაში, — არაფერს შეიცავს დამანგრეველს, საზიანოს, იმ პოლიტიკური და ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგოს, რომლებიც წარმოდგენენ ჩვენი დროის სახელმწიფოებრივი და კერძო ცხოვრების საფუძველს“.

დანიილევსკი გახაზავდა ფურიეს მოძღვრების არა მარტო მშვიდობიან ბუნებას, არამედ იმ საშუალებათა არარევოლუციურ ხასიათსაც, რომელთა გამოყენებითაც ფიქრობდა ფრანგი მოაზროვნე მის მიერ დახატული იდეალური მდგომარეობის მიღწევას. „ფურიეს

მოძღვრების ეს მშვიდობიანი და უვნებელი ხასიათი, — განუმარტავდა იგი ძიებას. — მცირე რამის შთქმელი იქნებოდა ჩემს სასარგებლოდ. რომ მის ცხოვრებაში გატარებას ძალდატანებითი და უკანონო მეთოდების გამოყენება მოეთხოვა. თვით ფურიე და მისი მიმდევრები... არამცთუ არ მოუწოდებდნენ ძალისკენ, არამედ, პირიქით, ყოველთვის მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. თავისი სავსებით მშვიდობიანი და წმინდა მეცნიერული ბუნების გამო. ეს მოძღვრება სხვანაირად არც შეიძლება განხორციელდეს... ფურიე თავისი მოძღვრების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად სწორედ იმას თვლიდა, რომ მის სისწორე-ქვემარტებებაში ადამიანი მცირე მასშტაბის ცდის დაყენებით შეიძლებოდა დარწმუნებულიყო».

1848 წლის გადატრიალებამ საფრანგეთში და მუშათა კლასის გამოსვლამ პარიზში კიდევ უფრო გააღრმავეს დანილევსკის სიძულვილი რევოლუციისადმი, კლასობრივი ბრძოლისადმი, თანასწორობის იდეისადმი, სოციალიზმისადმი. ხსენებული მოვლენების უშუალო ზეგავლენით მან მიატოვა პეტრაშეველთა წრე, რომლის წამყვან ბირთვის რესპუბლიკური მიმართულებისა და სოციალისტური იდეების მქონე, ფურიეს მოძღვრების რევოლუციურად გამომყენებელი ახალგაზრდობა წარმოადგენდა. «В начале мая 1848 года, — ნათქვამია დანილევსკის ჩვენებაში, — прекратил я мои посещения Петрашевского и оставил совершенно мысль о содействии успехам теории Фурье. Причины, побудившие меня к этому, были следующие... Находясь в связи с людьми, которые не все были полными приверженцами учения Фурье, но выражали другого рода идеи, касающиеся изменений административных и социальных, опасаясь скомпрометировать и себя и учение Фурье... Еще болсе утвердило меня в моем намерении оставить как распространение учения Фурье, так и посещения мои к Петрашевскому и вообще все знакомства, в которые я вошел, увлеченный желанием содействовать этому учению, покушение коммунистов насильственно утвердить свое учение во Франции. Потому что знал, как часто смешивается не только в общественном мнении, но и даже многими писателями учение Фурье с коммунизмом. Я нашел, что в смутное время неуместно говорить о предметах, смешиваемых, хотя и несправедливо, с стремлениями, kloпящимися к насильственному нарушению общественного порядка... Я никогда не принимал (совета) о полезности каких бы то ни было политических изменений».

მართალია, პატიმრის ჩვენება ყოველთვის არაა სანდო წყარო,

მაგრამ ამ საერთო წესს გამონაკლისიც გააჩნია. სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში. დანილევის წერილობითი ახსნა-განმარტებები, რომლებშიც რაღაც საოცარი მონდომებითა და დამაჯერებლობითაა ნაჩვენები მისი ავტორის მტრული დამოკიდებულება რევოლუციური იდეებისადმი, ვფიქრობთ, სრულ ნდობას იმსახურებენ. დანილევის მიერ რადიკალებისა და მათი საქმიანობის გაკიცხვა რომ მძიმე სასჯელის მიღების შიშით არ იყო გამოწვეული, ამას პეტრაშეველების წრესთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის ფაქტიც ადასტურებს, რაც, როგორც ცნობილია, დაპატიმრებამდე კარგა ხნით ადრე მოხდა.

4. პეტრაშეველთა საერთო შეფასება

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა. საფუძველს გვაძლევს პეტრაშეველთა წრე რესპუბლიკურ-დემოკრატიული მიმართულების წრედ ჩავთვალოთ. რომელშიც საკმაოდ ძლიერი იყო უტოპიური სოციალიზმის იდეების გავლენა. პეტრაშეველები (მათი მემარცხენე ნაწილი) გამოდიოდნენ არა მარტო ფეოდალურ-ბატონყმური, არამედ საერთოდ ყოველგვარი, მათ შორის ბურჟუაზიული ჩაგვრის წინააღმდეგ და მხარს უჭერდნენ რუსეთში მაშინ არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების რევოლუციური გადატრიალების გზით დამბობას. პეტრაშეველები, რომლებიც განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში განასახიერებდნენ გარდამავალ პერიოდს, შედგებოდნენ რაზნოჩინური ინტელიგენციისა და სიცრემამულიანი აზნაურებისაგან. მიუხედავად აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობისა, წრის წევრებს შორის რომ ჰქონდა ადგილი ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას, მათ აერთიანებდა ბატონყმურ-დესპოტური მმართველობის მოსპობისა და სამართლიანი წყობილების დამყარების იდეა. ეს დახასიათება, რა თქმა უნდა, არ ეხება პეტრაშეველთა ლიბერალურ თანამგზავრებს, რომლებიც, ვითარცა რეფორმატორები, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებზე ლაპარაკობდნენ.

ლიტერატურა და წყაროები

1. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1963. გვ. 605—615.
2. История СССР, т. II, 1949, стр. 312—329.
3. А. С. Н и ф о н т о в, Россия в 1848 году, М., 1949.
4. История русской экономической мысли. т. I, ч. 2-я. стр. 286—324.
5. Философские и общественно-политические произведения петрашевцев, М., 1953 (ვ. ე ვ გ რ ა ფ ო ე ის შესავალი წერილი და დოკუმენტები).
6. Дело петрашевцев, т.т. I—III.

გერცენი და გლეხთა საკითხი რუსეთში

ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი (1812 - 1870) დაიბადა 1812 წელს მოსკოვში. ის იყო მსხვილი მემამულე იაკოვლევის უკანონო შვილი. მან ბავშვობიდანვე შეიძულა ბატონყმობა და თვითმპყრობელობა. ძალადობა და უსამართლობა. აღმზრდელები სისტემატურად უნერგავდნენ მას სიყვარულს თავისუფლებისა და რევოლუციისადმი. ასე იქცეოდა, კერძოდ, ფრანგული ენის მასწავლებელი ბუში, იგი უყვებოდა პატარა გერცენს საფრანგეთის რევოლუციის ეპიზოდებს, რევოლუციისა, რომელმაც დაამხო ძველი დესპოტური მმართველობა და დასაბამი მისცა ახალ ბურჟუაზიულ წყობილებას. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვზე მასწავლებლის ცნობამ საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XVI-ის სიკვდილით დასჯის შესახებ. დიდად იმოქმედა მასზე 1812 წლის სამამულო ომმა და განსაკუთრებით დეკაბრისტების აჯანყებამ. პირველს იგი სხვათა მონაყოლით გაეცნო. ხოლო მეორეს თვითონ შეესწრო. 1826 წელს მან, 14 წლის ყმაწვილმა, თავის მეგობარ ოგარიოვთან ერთად, ერობიოვის (ახლანდელი ლენინის) გორაზე ფიცი დასდო ერთგული ყოფილიყო დეკაბრისტების საქმისა და. თუ საქირება მოითხოვდა, სიცოცხლეც კი შეეწირა მისთვის. 1829 წელს გერცენი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა. მალე იქ, მისი და ოგარიოვის მეთაურობით, პოლიტიკური წრე შეიქმნა, რომელიც დეკაბრისტების მემკვიდრედ თვლიდა თავს და თვითმპყრობელობის რევოლუციური გზით დამხობას უჭერდა მხარს. წრეში საკმაოდ პოპულარული იყო სოციალისტური იდეები. მიუხედავად სუსტი მხარეებისა, გერცენისა და მის თანამოაზრეთა სოციალისტური შეხედულებანი ატარებდნენ მებძოლ, რევოლუციურ ხასიათს. 1834 წელს გერცენი დააპატიმრეს, როგორც „საზოგადოებისათვის ძალიან საშიში“ პიროვნება და ჯერ პერმში, ხოლო მერე ვიატკაში გადაასახლეს. 1840 წელს იგი გაათავისუფლეს და დედაქალაქში დაბრუნების ნება დართეს. მომდევნო, 1841 წელს, ის ისევ დააპატი-

მრეს პოლიციის დანაშაულებრივი საქმიანობის მამხილებელი დოკუმენტის შედგენისათვის და ნოვგოროდში გადასახლეს.

ამ პერიოდში გერცენი ყალიბდება როგორც ფილოსოფოსი-მატერიალისტი და დიდი მოაზროვნე. მატერიალისტური სულითაა გაელენთილი მისი „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“, რომლებშიც, როგორც ცნობილია, ლენინის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. გერცენი მკაცრად ილაშქრებს ჰეგელის კონსერვატიულ-იდეალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, შემოქმედებითად აღიქვამს მის დიალექტიკას და აცხადებს მას „რევოლუციის აღგებრად“. გერცენი, ლენინის სიტყვით, ძალიან ახლოს მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმთან და შეიჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა გერცენის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა უფრო მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებაც. მის ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებში, როგორიცაა „ვინ არის დამნაშავე“, „ექიმი კრუპნოვი“, „ქურდბაცაცა კაქკაქი“ და სხვა. მხილებულია ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ანტიხალხური, დესპოტური ხასიათი.

1847 წელს გერცენი საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც იგი დიდი მოვლენების უშუალო მოწმე გახდა. 1853 წელს მან ქალაქ ლონდონში პირველი თავისუფალი რუსული სტამბა შექმნა, სადაც იგი, ოგარიოვთან ერთად, სცემდა ეურნალ „პოლიარნიაი ზვეზდას“ (1855—1869) და გაზეთ „კოლოკოლს“ (1857—1867). მათ უდიდესი როლი შეასრულეს რუსეთის საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. როგორც ცენზურის კლანჭებისგან თავისუფალი ორგანოები. ისინი პირდაპირ და გაბედულად ლაპარაკობდნენ ხალხის მძიმე მდგომარეობაზე. მაშინდელი პოლიტიკური და სოციალური წყობილების დრომოკმულობაზე, მისი შეცვლის აუცილებლობაზე და სხვ.

ამჟამად ჩვენ, როგორც სათაურშიც გავუსვით ხაზი, გვაინტერესებს გერცენის შეხედულებათა არა ყველა მხარე. არამედ მხოლოდ ერთი ასპექტი — თვალსაზრისი გლეხთა საკითხზე. გლეხთა საკითხი ყოველთვის იპყრობდა გერცენის ყურადღებას, მაგრამ მისდამი ინტერესი განსაკუთრებით ბატონყმობის გადავარდნის წინა წლებში გაუძლიერდა. ზემოთ დასახელებული ორგანოების მეშვეობით იგი ცდილობდა მთავრობის მიერ დაწყებული რეფორმისთვის საჭირო მიმართულება მიეცა. ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სოფლის მშრომელ მოსახლეობას მომავალი ცვლილების დროს მინი-

მალური მსხვერპლის გაღებით მაქსიმალური სარგებლობა მიეღო. მართალია, გერცენი ამასთან დაკავშირებულ საქმიანობაში სამწუხარო შეცდომებსაც უშვებდა. მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებს მის გულწრფელ სურვილს — ენახა მწარმოებელი კლასი შრომისა და ცხოვრების უკეთეს პირობებში.

გერცენის ნაწერების გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ მათ ავტორს ორი სამოქმედო პროგრამა ჰქონდა — პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი. პირველი მათგანი ახლო მომავალს უკავშირდებოდა და სამი მუხლისგან შედგებოდა: გლეხის განთავისუფლება მიწით, სიტყვის თავისუფლება და არსებული საცენზურო პირობებზე გაუქმება. მეორე მათგანი კი, შედარებით შორეული მომავლის საქმე რომ იყო. ძირეულ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებს ითვალისწინებდა და სოციალისტური წყობილების დამყარებას გულისხმობდა.

აყალიბებდა რა პროგრამა მინიმუმს, გერცენი 1856 წელს „პოლიარნაია ზეზნაში“ წერდა: „პირველი შემთხვევისათვის ჩვენი პროგრამა სიტყვის საჭაროდ თქმის მოთხოვნას უტრიალებს. ჩვენი დროშა გლეხების მიწით განთავისუფლებაა. ძირს ველური ცენზურა და მხეტური ბატონყმობა. ძირს საბატონო ბეგარა და ღალა. შინაყმას თავისუფლება. უბნის ბოქაულებს და კვარტალის პოლიციელებს კი ჩვენ მერე გავუხსნორდებით“. იგივე აზრია გატარებულა 1857 წელს „კოლოკოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში. „ჩვენ, — ნათქვამია იქ, — გასრესილებსა და დაბეჩავებულებს ხელისუფლებით, უსამართლოებით, ქრთამებით, ხმის ამოდების უუფლებობით, პიროვნებისადმი უპატივცემლობით, გვინდა უშიშრად ვილაპარაკოთ. ერთმანეთს აზრი გავუზიაროთ, ვამხილოთ ბოროტმოქმედება, რომლისგანაც თვითონ მთავრობა წითლდება და რომელსაც იგი არასოდეს არ ალაგვავს, თუკი სააშკარაოზე არ გამოვიტანეთ. ჩვენ გვინდა გლეხი განთავისუფლდეს მემამულის ძალაუფლებისაგან და მობეგრე რუსეთი — ჯოხებისგან“.

გერცენი, რა თქმა უნდა, პრინციპში გლეხების უსასყიდლოდ განთავისუფლებას უჭერდა მხარს; მისი ღრმა რწმენით, მშრომელ კაცს მიწა და თავისუფლება ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე უნდა მიეღო. მაგრამ რაკი საქმის მოგვარების ასეთი გზა მას იმ ვითარებაში რეალურად არ მიაჩნდა, იძულებული იყო გამოსყიდვას დასთანხმებოდა. „შინაგანად მე, — წერდა გერცენი, — ცხადია. მომხრე ვარ გლეხების მიწით განთავისუფლებისა; ამ წინადადებაში იმდენად ბევრი კეთილშობილებაა, რომ არ შეიძლება მას არ თანაუგრძნოს კაცმა. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მისი განხორ-

ციელება შეუძლებელია. მემამულეთა მეტი ნაწილი წინააღმდეგი იქნება არა მარტო მიწითა და ისიც უსასყიდლოდ განთავისუფლებისა. არამედ გაჭირვებით დაეთანხმება გლეხისთვის მიწის მიცემას საფასურის გაღების შემთხვევაშიც კი. ის (თავადაზნაურობა — ი. ა.) შეჩვეულია არა მარტო მიწის, არამედ მონის მფლობელობასაც. მისი უმცირესობა დაეთანხმება გამოსყიდვას, მაგრამ ყმისთვის მიწის უსასყიდლოდ მიცემის მომხრე იქნება მხოლოდ რამდენიმე ადამიანი. ამიტომ, უნდა ვთქვათ, რომ თქვენს წინადადებას (ლაპარაკია იმათ წინადადებაზე, ვინც მოითხოვდა გლეხის განთავისუფლებას გამოსყიდვის გარეშე — ი. ა.), რომელსაც ჩვენ შინაგანად თანავუგრძნობთ, ცხოვრებაში განხორციელება არ უწერია“.

გერცენს ერთ დროს იმედი ჰქონდა, რომ გლეხთა საკითხს თვითონ მთავრობა მოაკვარებდა მშვიდობიანი გზით. ასეთი იმედი გაუჩნდა მას ალექსანდრე II-ის ტახტზე ასვლისას. იგი შეცდომით ფიქრობდა, რომ ახალი იმპერატორი ალღოს აუღებდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და სათანადო რეფორმას გაატარებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ალექსანდრე II-ს. გერცენის სიტყვით რომ ვთქვათ, არაფერი გაუყეთებია გლეხთა წოდების განთავისუფლებისათვის. არ გადაუდგამს არცერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით. იგი მიმართავდა რუსეთის მთავრობას მოწოდებით ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის. სანამ კიდევ გვიან არ იყო. „დროა გამოიღვიძოთ. — წერდა ის 1857 წლის 1 ივლისს. — ჭერ არაა გვიან. შენ (მიმართავს იმპერატორ ალექსანდრე II-ს, — ი. ა.) შევიძლია მშვიდობიანი გზით გადაჭრ: გლეხთა განთავისუფლების საკითხი... დროა გაიღვიძოთ. კიდევ ცოტა და, უკვე გვიან იქნება... გლეხები მას (თავისუფლების მოპოვების საკითხს — ი. ა.) თავისებურად გადაჭრიან და მაშინ სისხლის მდინარე დადგება. ვინ იქნება მაშინ დამნაშავე? მთავრობა“.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და 1857 წლის 20 ნოემბერს გამოვიდა ალექსანდრე II-ის რესკრიპტი გენერალ-გუბერნატორ ნაზიმოვისადმი ბალტიისპირეთის სამივე გუბერნიაში საგლეხო კომიტეტების შექმნის შესახებ, კომიტეტებისა, რომელთაც ევალებოდათ მომავალი რეფორმის პროექტის შემუშავება და სათანადო ინსტანციებში წარდგენა. გერცენი დიდი აღტაცებით შეხვდა ამ ნაბიჯს და მიიჩნია იგი იმ შეხედულების დადასტურებად, რომლის მიხედვით მთავრობას, სურვილის შემთხვევაში, შესანიშნავად შეეძლო გლეხთა საკითხის მოგვარება. მან გადაჭარბებით შეაფასა რესკრიპტის მნიშვნელობა და ჩათვალა იგი დიდი საქმის მტკიცედ და კარგად დაწყების უტყუარ საბუთად. გერცენს არ დაუმაღავეს თავისი აღტაცება იმპერატორის მიერ გადადგმული „რაინდული“ ნაბიჯის გამო

და ქება-დიდებათ აღსავსე წერილი გაუგზავნა მას. „შენ გაიმარჯვე გალილეველ¹. — ნათქვამია იქ. — ჩვენთვის ადვილია ამის თქმა იმიტომ. რომ ჩვენს ბრძოლაში არაა გარეული არც თავმოყვარეობა და არც პირადობა. ჩვენ ვიბრძოდით საქმის გამო... მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ალექსანდრე მეორის პირველი აქტი, ალექსანდრესი, რომელმაც ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ის გლახთა განთავისუფლების მომხრეა. შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება მისდამი. ჩვენ საქმე გვაქვს უკვე ნიკოლოზ პირველის არა შემთხვევით მემკვიდრესთან. არამედ ძლიერ მოღვაწესთან, რომლითაც ახალი ხანა დაიწყო რუსეთის ისტორიაში. ის ისეთივე მემკვიდრეა 14 დეკემბრისა (ე. ი. დეკაბრისტებისა. — ი. ა.), როგორც მამამისის — ნიკოლოზისა. იგი მუშაობს ჩვენთან ერთად დიდი მომავლისათვის. ალექსანდრე მეორის სახელი ამიერიდან ისტორიას ეკუთვნის; ხვალვე რომ დასრულდეს მისი მეფობა, ის რომ დაეცეს რომელიმე აბოზოქრებული ოლიგარქების..., საბატონო სამუშაოთა და წყევლების მოსარჩლეთა მახვილქვეშ, სულერთია, გლახების განთავისუფლება მაინც მის სახელთან იქნება დაკავშირებული. მომავალი თაობა ამას არ დაივიწყებს“.

გერცენის ოპტიმიზმი მთავრობის პოლიტიკისადმი არ იყო მყარი და მუდმივი. იგი ხშირად იცვლებოდა იმისდამიხედვით, თუ როგორი იყო უმაღლესი ხელისუფლების პოზიცია აგრარულ-გლახურ საკითხში. ღონისძიებას, რომელიც, მისი შეხედულებით, ხალხის ინტერესებს პასუხობდა, იგი დიდი აღტაცებით ხედებოდა, ხოლო ხალხის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯებს კი მკაცრად აკრიტიკებდა და ურჩევდა მთავრობას თავი შეეკავებინა მათგან². ამ რჩევა-დარიგებებს მიზანი ეპოქის ურთულესი პრობლემის მშვიდობიანი ხაზით მოგვარება იყო. გერცენი, როგორც ზევითაც ვთქვით, რეფორმის წინა ხანაში სწორედ ამ გზას ანიჭებდა უპირატეს მნიშვნელობას. მაგრამ მისი წარუმატებლობის შემთხვევაში იგი ოდნავადაც არ გამორიცხავ-

¹ ამ სიტყვებით მიუმართავს. თითქოს, IV საუკუნის რომის იმპერატორს იულიანუსს, ქრისტიანობის წინააღმდეგ ამაოდ მებრძოლს. იესო ქრისტესათვის რომში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

² აი ამის ერთი მაგალითი. 1858 წელს გერცენი გაეცნო გლახთა საკითხის ნომგვარებელ ცენტრალური კომიტეტის პროექტს. რომელმაც იგი ძალიან აღაშთა და მთავრობის მისამართით „კოლოკოლის“ ფურცლებზე შემდეგი შინაარსის წერილი მოათავსა: „ჩვენ საშინელი გულისტკივილით წავიკითხეთ... პროექტი. ზეჯერდით, ნუ დაამტკიცებთ. თუ ხელს მოაწერთ მას, ამით ხელს მოაწერთ საკუთარ სიჩრცხვილს და დღეუპვით რუსეთს. როგორც პატიოსანი, კეთილი სურვილებით ამოძრავებული ადამიანები, გთხოვთ, გემუდარებით: ნუ დაამტკიცებთ პროექტს. დაფიქრდით“ („კოლოკოლი“, 1858 წლის 15 აგვისტოს ნომერი).

და ძალის გამოყენების შესაძლებლობას. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი უცნობი ავტორის წერილი «Реформа сверху или реформа снизу», დაბეჭდილი 1858 წლის 15 ნოემბრის „კოლოკოლში“. ანონიმი ავტორი მხარს უჭერს და უპირატესობას აძლევს გლეხების ზემოდან განთავისუფლებას, თუმცა პრინციპულად ის არც ქვემოდან განთავისუფლების წინააღმდეგია. მაგრამ რაკი ეს მეორე გზა დიდ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული, მისი გამოყენება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ დადგინდებოდა პირველი გზის უპერსპექტივობა. გერცენი, ეტყობა, იზიარებდა წერილის ძირითად დებულებას, რაც იქიდანაც ჩანს, რომ იგი მას „შესანიშნავ“ დოკუმენტს უწოდებდა. „რეფორმა, — ნათქვამია იქ, — შეიძლება ორნაირი გზით გატარდეს: ძალდატანებით, რევოლუციის, ან მშვიდობიანი, თანდათანობითი გარდაქმნების, მთავრობის მიერ ახალი საფუძვლების შემოღებისა და ძველი, დრომოკმულ დაწესებულებათა გაუქმების გზით. რომელი გზით სვლა გვარგუნა ჩვენ ბედმა? რა თქმა უნდა, უფრო სასურველია მეორე გზის არჩევა, ვინაიდან ყველა ძალდატანებითი გადატრიალება, რა რიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მისი შედეგი. თავის თავად იმდენი ბოროტების მომტანია, რომ მის დადებით შედეგებს არ შეუძლია იმ უბედურების გამოსყიდვა, მილიონ ადამიანებს თავზე რომ ატყდება რევოლუციის დროს. მაგრამ განა ყოველთვის შესაძლებელია ამ სისხლიანი გზის თავიდან აცილება? შესაძლებელია თუ არა მისი აცილება კერძოდ ჩვენთვის. აშეამად ჩვენთან არსებულ პირობებში? უნდა გვქონდეს თუ არა ჩვენ იმის იმედი, რომ მთავრობა მიგვიყვანს საოცნებო მიზნამდე. ან ვემზადოთ იმ სცენისათვის. რასაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში გასული საუკუნის მიწურულს?... საქმე ისაა. რომ მთავრობას. ე. ი. მეფეს. არცთუ ძალიან უნდა რეფორმა და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ის არ ტარდება... რეფორმა ზევიდან უნდა გატარდესო, ამბობს ის (მთავრობა. — ი. ა.), ეს სრული სიმატლეა. ამ იდეისათვის მოსთხოვეს თავადაზნაურობას, დაიწყოს გლეხთა განთავისუფლება და არ დაელოდოს იმ დღეს. როდესაც ისინი თვითონ დაიწყებენ ბატონყმობის საკითხის გადაწყვეტას... ჩვენ გვინდა განთავისუფლება არა მარტო 11 მილიონი სულისა, არამედ ყველა 60 მილიონი ადამიანისა, გვინდა გაწყობის უფლება წაეროვას თავადაზნაურობას, მოხელეებს, გვინდა, რომ სინდისი და თავისუფლება თითოეული ადამიანისა დაცული იყოს კანონით... გვინდა სახელმწიფოს საფუძვ-

ლების ისე გარდაქმნა, რომ ყველაფერი არ იყოს დამოკიდებული ერთი პიროვნებისაგან. რომელიც დამდგარა 60 მილიონი ხალხის ზევით. აი სწორედ ამაში იმალება ის, რაც აქარწყლებს მეფის ლიბერალურ იდეებს, აქაა ის საზღვარი, რომლის იქით ის ხელს იღებს პრინციპზე „რეფორმა ზემოდან“. აშინებს დაწყებული საქმე და ჩერდება ნახევარ გზაზე... ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: რეფორმა, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ..., არ შეიძლება განვიტარდეს აქამდე მიღებული პრინციპით „დაიწყე ზემოდან“. პრინციპით, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიან გზას. მაგრამ არდაწყებული საქმის მიტოვება შეიძლება. მთავრობას, მიუხედავად ძალისა, არ შეუძლია უკან დახევა გლახთა განთავისუფლების საქმეში. ამიტომ რეფორმა მომავალში უნდა განხორციელდეს პრინციპით „დაიწყე ქვემოდან“.

მაგრამ უცნობი ავტორი ამაზე არ ჩერდება. ის არაა მისი საბოლოო დასკვნა. იგი მაინც გამოთქვამს იმედს, რომ იმპერატორი ალექსანდრე II არ გაართულებს საქმეს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ განთავისუფლოს ყმური მოსახლეობა. როდესაც ხალხი მომწიფებულია და აშკარად აყენებს თავის მოთხოვნებს, მთავრობამ, ანონიმის აზრით, გაბედულად უნდა დააკმაყოფილოს ისინი და მისცეს შვება. საჭიროა ხელისუფლება უყოყმანოდ წავიდეს დათმობაზე და არ მოერიდოს ამასთან დაკავშირებული მსხვერპლის გაღებას. სწორედ, ნათქვამია წერილში. „ამ როლში გვინდა ვნახოთ ალექსანდრე მეორე, რომელმაც უფლება მოგვცა ვიყოთ მისგან ბევრი კარგის მოლოდინში. არ ვკარგავთ იმედს, რომ ის ბოლოს მაინც გამოვა ამ სასიქადულო როლში, შეიგნებს თავის მოწოდებას, ხელს აიღებს ვიწრო ინტერესებზე და გაბედულად დაადგება რადიკალური რეფორმის გზას... მაშინ შეუძლია ალექსანდრე მეორეს წაყვანოს თავისი ქვეშევრდომები პროგრესის გზით და კიდევ უფრო განამტკიცოს მათთან კავშირი ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გართარდეს რეფორმა პრინციპით „დაიწყე ზემოდან“, ე. ი. იმ გზით, რომელიც უზრუნველყოფს საქმის კარგად და მშვიდობით დამთავრებას“. ასეთი აზრების პროპაგანდა სერიოზულ წინააღმდეგობას ხვდებოდა რადიკალების მხრივ, რომელთაც ჩერნიშევსკი ხელმძღვანელობდა.

ისინი საერთოდ დიდად აფასებდნენ გერცენის მოღვაწეობას, მაგრამ სასტიკად აკრიტიკებდნენ მის მერყეობას, მის ლიბერალურ ილუზიებს. რადიკალების ჯგუფი არწმუნებდა „ელოკოლის“ რედაქტორ-გამომცემელს გლეხთა საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების შეუძლებლობაში. ასეთი შეხედულება განვითარებული კერძოდ, „წერილში რედაქტორისადმი“, რომელიც გაზეთის 1858 წლის 1 ოქტომბრის ნომერში დაისტამბა. იქ ნათქვამია: უკვე გაქრა ყველა იმედი გარდაქმნებზე, გაქრა როგორც საპნის ბუშტი. უსაფუძვლოა კიდევ გვექონდეს იმპერატორის იმედი. ძნელია საკუთარი შეცდომების აღიარება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს. დროა ბოლო მოელოს ბავშვურ ილუზიებს. უსაფუძვლო იყო ფიქრი, რომ ალექსანდრე მეორე რამე სახეიროს გააკეთებდა, მით უფრო უსაფუძვლოა ის დღეს. იმპერატორი არ გრძნობს გლეხების სრულად განთავისუფლების საჭიროებას, არ ცნობს მათ პრეტენზიებს მიწაზე. გლეხები კი მოელიან, რომ ხელმწიფე მალე გამოსცემს მანაფესტს ყმობის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. მას ოცნება თავისუფლების შესახებ საერთოდ სისულელედ მიაჩნია და ამიტომ არასოდეს არ წავა იმაზე, რომ ბატონსა და ყმას შორის დღეს არსებული ურთიერთობა ძალდატანების გარეშე მოსპოს. საჭიროა აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება, საჭიროა ბრძოლისკენ მოწოდება და არა ზემოდან გატარებული რეფორმის იმედით ცხოვრება.

გერცენი თავს იმართლებდა, მერყეობის მიზეზებს ასახელებდა და საქვეყნოდ აცხადებდა, რომ იგი არც მომავალში იტყოდა უარს მოქმედების მშვიდობიან ტაქტიკაზე. თუკი ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდა ძირითადი მიზნის მიღწევას. წითელი დემოკრატები, — წერდა გერცენი, — ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ ქება-დიდებას ვასხამთ ალექსანდრე მეორეს. ისინი ჩვენ ქარაფმუტობასა და მერყეობას გვსაყვედურობენ, გვეუბნებიან, რომ ჩვენ ზამთარში სიცივეს ვუჩივით, ზაფხულში კი — სიცხეს. ჩვენ მართლაც ვმერყეობთ, მაგრამ ეს სათანადო მიზეზებითაა გამოწვეული. ერთი გზით სიარული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადამიანს საქმე აქვს თანმიმდევრულ მოქმედებასთან. ჩვენ კი ვერ ვხედავთ ამ თანმიმდევრობას მთავრობის საქმიანობაში — ის ხან გლეხების განთავისუფლების მომხრედ გვევლინება, ხან კი — მოწინააღმდეგედ. ყოველივე ახალის დამთრგუნველად. თავის სიტყვაში მოსკოვის თავადაზნაურობის კრებაზე იმპერატორმა მხარი დაუჭირა გლეხთა განთავისუფლებას, ნაზიმოვს შესაბამისი რესკრიპტიც კი გაუგზავნა. მაგრამ საწინააღმდეგოც ბევრი გააკეთა. ამრიგად, მერყეობს თვითონ მთავრობა და ამან თავისი დაღი დაასვა ჩვენს საქმიანობას, ჩვენს სტატიებს. „ჩვენ არა

გვაქვს არც განსაკუთრებული სისტემა და არც პარტიის სული, მაგრამ გვაქვს ურყევი საფუძველი, მხურვალე სურვილი, რომელსაც ბავშვური მდგომარეობიდან ჭაღარა კაცის სიბრძნისკენ მივყავართ. ამაში ჩვენ არც ქარაფშუტობას ვიჩენთ და არც მერყეობას. არც არავითარ დათმობაზე მივდივართ. დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანი საქმეა. მიზნის განხორციელების მრავალგვარი საშუალება არსებობს. მისი არჩევა — ისტორიის საქმეა. ყმის მიწით განთავისუფლება — აი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი რუსეთისა და ჩვენთვის. მოხდება ეს განთავისუფლება ზემოდან თუ ქვემოდან — ჩვენ ორივეს მივესალმებით. თუ ყმებს გაათავისუფლებენ გლებთა კომიტეტები. შემდგარი განთავისუფლების მოსისხლე მტრებისგან. ჩვენ მათ გულწრფელად მივესალმებით... თუ ისინი თვითონ გაითავისუფლებენ თავს ამ კომიტეტებისა და ამომრჩევლებისაგან — ჩვენ ამასაც ასევე გულწრფელად და ძმურად მივესალმებით».

გერცენს აკრიტიკებდნენ არა მარტო რადიკალები, არამედ ლიბერალებიც. მაგრამ. ცხადია, სულ სხვა პოზიციებიდან. ლიბერალები ბრალს სდებდნენ „კოლოკოლის“ გამომცემელს ზედმეტ რევოლუციურობაში. იმაში, რომ იგი თავისი სტატიებით რყენიდა რუს ხალხს. მის ახალგაზრდობას. უნერგავდა მათ უნდობლობას მშვიდობიანი მოქმედებისადმი. ზემოდან გატარებული რეფორმისადმი. გერცენი, ლიბერალების აზრით, აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც არ იყო საჭირო — აღვივებდა ხალხის უკმაყოფილებას, აძლიერებდა საზოგადოებაში დანთებულ ცეცხლს. უცერემონიოდ ეხებოდა ჭრილობას და ამწვავებდა ტკივილებს და ამით უდიდეს ზიანს აყენებდა ქვეყანაში წესრიგის დამყარების საქმეს. მემარჯვენე ბანაკის წარმოქმადგენელთა სიტყვით, გერცენისა და მის თანამებრძოლთა ყურადღება. მთელი გულისყური მიჰყრობილი იყო მიზნისკენ და ისინი ნაკლებად ფიქრობდნენ ან სულ არ ფიქრობდნენ იმაზე. თუ რა გზით შეიძლებოდა მისი მიღწევა. „თქვენ, — ნათქვამია ლიბერალების წერილში „კოლოკოლის“ რედაქციისადმი. — მხოლოდ და მარტო მიზანი გაინტერესებთ და არ გაფიქრებთ ის, თუ რა გზით — სისხლიანი გადატრიალებით თუ მშვიდობიანი მოქმედებით — იქნება ის მიღწეული. რანაირი ხასიათიც არ უნდა მიიღოს მან—მიზნის მიღწევამ — უსაშველო დესპოტიზმის თუ გაცოფებული ბრბოს გამოსვლისა, თქვენთვის სულერთია, თქვენ ყველაფერს ხელს მოაწერთ... პოლიტიკურ მოღვაწეს კი უნდა აინტერესებდეს არა მარტო მიზანი, არამედ მისი განხორციელების საშუალებაც... თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა და ვამშვიდობთ აღელვებულ გრძნობები, ავაცილოთ ხალხს სისხლიანი შეტა-

კებები... თქვენ კი თქვენი ურნალის გვერდებს იწყებთ ბარბაროსული ძალისაყენ მოწოდებით. თქვენ, იყოფებით რა უცხოეთში, მოგვიწოდებთ ჯოხისა და ნაჯახისკენ, როგორც პოეტური კაპრიზისკენ, რომელსაც ხელი არ უნდა შეუშალოთ... სამწუხაროა, რომ პირველი თავისუფალი რუსული ურნალის მოქმედება ლაპარაკობს ძლიერი ცენზურის არსებობის სასარგებლოდ... წარმოიდგინეთ. რა იქნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე „კოლოკოლი“ წარმოშობილიყო და ყველას თქვენი მიბაძვით დაეწყო რეკვა, ვნებათა ღელვის გაღვივება, ჯოხისა და ნაჯახისკენ მოწოდება“ [„კოლოკოლი“, 1858 წ., 1 დეკემბერი].

გერცენს არც მემარჯვენე ბანაკის გამოსვლა დაუტოვებია უპასუხოდ. ლიბერალები, მისი სიტყვით, ისაზღვრებოდნენ ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით; ისინი ლაპარაკობდნენ მოთმინებაზე, ყველაფრის საფუძვლიანად შესწავლის საჭიროებაზე. მოვლენებისა და ფაქტების სერიოზულად აწონ-დაწონის აუცილებლობაზე. მ.გ. რამ არ იძლეოდნენ არც ერთ კონკრეტულ წინადადებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარებულიყო აგრარულ-გლეხური საკითხი. თუ თქვენ კეთილის მსურველი და ხალხის ბედით დაინტერესებული ხართ, მოგვეცით თქვენი მოფიქრებული წინადადებებიო. — მიმართავდა იგი თავის კრიტიკოსებს მემარჯვენე ბანაკიდან. საპასუხოდ მათი რჩევა-დარიგებისა, რომ საჭიროა მეტი სიღინჯე და მოთმინება და საქმე კარგად წავაო, გერცენი მიმართავდა ზეინკლისა და მექანიკოსის საქმიანობათა შედარებით დახასიათებას, რომლის დროსაც იგი მექანიკოსს ანიჭებდა აშკარა უპირატესობას. ლიბერალების შესხედულება რეფორმაზე გერცენს აგონებდა ზეინკალს. რომელსაც წინ დაუყარეს მანქანის ნაწილები და უთხრეს: ააწყვე და აამუშავე მანქანაო. ზეინკალს, ამბობს გერცენი, როგორც დავალებული საქმის არმკოდნეს, დასჭირდება დიდი დრო და მოთმინება იმისათვის, რომ დაადგინოს მანქანის რომელი ნაწილი სად და როგორ გამოიყენოს. მას მოუხდება თითოეული ნაწილის ასაჭერ და ათასჯერ გასინჯვა და კომბინაციის ვარიანტების შედგენა. იგი რამდენიმე წელს მოანდომებს მანქანის აწყობას, ბოლოს ააწყობს კიდევ; მაგრამ ბრმად და ამის გამო უხარისხოდ. სულ სხვაგვარად წარმართავს საქმეს მექანიკოსი. იგი ერთ საათში ააწყობს მანქანას და ისე აამუშავეს, რომ მისი ყურებაც კი სასიამოვნო იქნება. „რეფორმის საკითხი იმნაირადაა დასმული, რომ მოთმენა არ შეიძლება და ვერც დაველოდებით იმას. თუ როდის შეისწავლის ზეინკალი ყველაფერს; საჭიროა მექანიკოსის მოხმობა იმისათვის, რომ მანქანა სწრაფად და ხარისხიანად აიწყოს...

რეფორმა სწრაფად უნდა გატარდეს. ამას მოითხოვს გარემოება. ასეთი რეფორმა ყველაზე გონივრული. ყველაზე სამართლიანი იქნება“.

გერცენის ეს საპასუხო წერილი დათარიღებულია 1859 წლის 1 იანვრით. ეტყობა, ამ დროისათვის მისი ავტორი საფუძვლიანად იყო დაეჭვებული ზემოდან გატარებული რეფორმის ეფექტურ შედეგებში. ჩანს, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში იგი დარწმუნებულია, რომ მთავრობა არ ჩქარობს დაწყებული საქმის დამთავრებას და, რაც მთავარია, არ ცდილობს მისცეს მას ხალხისათვის სასურველი მიმართულება.

იმედები, რომელსაც გერცენი მთავრობაზე ამყარებდა, საბოლოოდ გაქრა 1861 წლის 19 თებერვლის შემდეგ, როდესაც დამტკიცდა დებულება რუსეთის შიდა გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ამერიიდან ყველაფერი ნათელი იყო. ყველამ დაინახა, რომ იმპერატორი არაფრის გამკეთებელი არ იყო და რომ არაფერი გამოვიდა ზემოდან დაწყებული რეფორმიდან. ეს კი ხალხის ინტერესების დამცველთა წინაშე, მათ შორის გერცენის წინაშე, ბუნებრივად აყენებდა საკითხს გლეხთა განთავისუფლების რევოლუციური გზის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. „დილა მშვიდობისა, გოლიათო. — მიმართავდა გერცენი რუსეთის ჩაგრულ მასას, — დროა, დროა. დევგმირული იყო შენი ძილი. მაშ დევგმირულადვე გაიღვიძე. გაიზმორე და გაიჭიმე რაც კი ვაჟკაცური სიგრძე გაქვს. ისუნთქე დილის სუფთა ჰაერით და ცხვირი დააცემინე. რომ დააფრთხო მთელი ეს ზროვა ბუზებისა, ყვავ-ყორნებისა. მტარვალებისა.. დააცემინე გოლიათო და მათი კვალიც გაქრება“ („კოლოკოლი“, 1861 წლის 1 ნოემბერი). ეს უკვე პირდაპირი მოწოდება იყო თავგანწირული ბრძოლისკენ.

ასე გაიმარჯვა გერცენის შეხედულებებში რევოლუციურ-დემოკრატიულმა თვალსაზრისმა. ახასიათებს რა მის როლს რუსეთის განმთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ვ. ი. ლენინი წერს: „გერცენმა რუსეთი მიატოვა 1847 წელს, მას არ უნახავს რევოლუციური ხალხი და არც შეიძლება ჰქონოდა მისდამი რწმენა. აქედან მისი ლიბერალური აპელაცია „ზედაფენებისადმი“. აქედანაა მისი ურიცხვი მოთაფლული წერილები „კოლოკოლში“ ალექსანდრე II ჯალათისადმი, რომლებსაც ახლა ისე ვერ წაიკითხავ, რომ ზიზღი არ მოგგვაროს... მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მიუხედავად გერცენის... მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა... გერცენის ბრალი კი არა, მისი უბედურება იყო. რომ მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში 40-იან წლებში. როცა მან დაინახა იგი 60-იან

წლებში... უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალების წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის შემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 15—16, 18).

ლიბერატურა და წყაროები

1. ვ. ი. ლენინი, გერცენის ხსოვნას. თხზ., ტ. 18.
2. ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 577—591.
3. Д. И. Чесноков, Мироззрение Герцена, 1948 г., главы I, VI, VII.
4. История русской экономической мысли, т. I, ч. 2-я, глава XXVI.
5. И. Г. Блюмин, Очерки экономической мысли в России в первой половине XIX века. глава IX.
6. М. Т. Иовчук, И. Я. Шипанов, Общественно-политические и философские взгляды Герцена. В книге „Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР“, т. I, гл. XIV.
7. „Колокол“, вып. I—X (წასაკითხი წერილები — ლექტორის მითითებით).
8. „Полярная звезда“, кн. I—VIII (წასაკითხი წერილები — ლექტორის მითითებით).
9. А. И. Герцен, Былое и думы, Ленинград, 1947 г., гл. III—IV, VI,

**XIX საუკუნის 60-იანი წლების პირველი ნახევრის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი**

გასული საუკუნის სამოციანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განმსაზღვრელი 1861 წლის საგლეხო რეფორმა, მისი ხასიათი და შედეგები იყო. შედეგები კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ხალხის საწინააღმდეგო გამოდგა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მწარმოებელი კლასი, სოფლის მშრომელი მოსახლეობა, უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე. მართალია, მან პირადი თავისუფლება მიიღო, მაგრამ ვერ აისრულა საუკუნეობრივი ოცნება — ვერ გახდა მიწის ბატონ-პატრონი. მთავრობამ არ ცნო მისი მესაკუთრული უფლებები და გამოსყიდვა მიწის შექმნის ერთადერთ საშუალებად გამოაცხადა. მცირემიწიანობა, რაც ესოდენ ძლიერ აწუხებდა გლეხობას, კიდევ უფრო საგრძნობი გახდა 19 თებერვლის შემდეგ, რადგანაც მას, დებულების ძალით, ჩამოაჭრეს მის მფლობელობაში მყოფი მიწების დიდი ნაწილი¹. ამიტომ წერდა ვ. ი. ლენინი, რომ 1861 წლის რეფორმა გლეხების ყოვლად უსინდისო ძარცვა იყო. იგი, მისი სიტყვით, წარმოადგენდა მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას მათ მიმართ. ოგარიოვის აზრით კი ბატონყმობა არსებითად არც გაუქმებულა, იგი დარჩა, მხოლოდ წოდება შეეცვალა. დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი იგივე ბატონყმობაა და ძველისგან მარტო სახელით განსხვავდება, — ამბობდა ის.

სოფლის მშრომელი მოსახლეობა პროტესტით შეხვდა რეფორმას და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მან სულ სხვა ხასიათი მიიღო. ვიდრე ელოდა. იგი უარს ამბობდა გადასახადებზე, მოითხოვდა მიწას და სრულ თავისუფლებას. «Всюду, — წერდა 60-იანი წლების ცნობილი მოღვაწე ნიკოლოზ სერნო-სოლოვიოვიჩი, — повторялись те же яв-

¹ ზოგიერთ გუბერნიაში გლეხებს ჩამოაჭრეს ერთი მესამედიდან ორ მეხუთედამდე მიწის ფართობი, ზოგან კი ჩამონაჭრების რაოდენობა მეტიც იყო და გლეხის მფლობელობაში მყოფი მიწების ნახევარსაც უღრიდა, ზოგან კი სამ მეოთხედსაც.

ლენია; კრესტყანე ოტკაზყვალისე ნაჲოდიშე ნა ბარშინუ ი პლატიშე ობროკ პომეშნიკამ, პროსილი პერემენყ საროსე ი ბურმისტროვ, პოსტაჲლენიშხ პომეშნიკამი, ჯალოვალისე ნა პრიტესნენი ოტ პომეშნიკოვ, ობყინილი პომეშნიკოვ ი ნაჩალესტვა ი სკრყიტი ნა-სტოყსეო მანიფესტა, ტრეოვალე ჩისტოყ ოვილი». მანამდე არნახუ-ლი ძალით აზვირთდა გლეხთა მღელეჲარებეის ტალდა. განსაკუთრებეით გამოირჩეოდა ამ მხრივ 1861 წელი, როდესაც, მესამე განყოფილებეის ცნობეით, 1176 გლეხთა გამოსვლას ჰქონდა ადგილი. კლასობრივი ბრძოლა არც მომდევნო 1862—1863 წლებში შენელებულა, თუმცა მღელეჲარებათა რაოდენობა წინა წლებთან შედარებეით გაცილებეით ნაკლებე იყო¹.

ყველაზე ძლიერი გლეხთა აჯანყება 1861 წელს მოხდა ყაზანის გუბერნიის სოფელ ბეზდნაში. მთავრობამ სამხედრო ძალის გამოყენებეით აღადგინა „წესრიგი“, რომლის დროსაც დაილუპა 350 კაცი. აჯანყებეის მეთაურს ანტონ პეტროვს სასამართლომ სიკვდილის განაჩენე გამოუტანა. რაც 1861 წლის აპრილის ოვეში სისრულეში იქნა მოყვანილი.

მოწინავე ახალგაზრდობა დიდი აღშფოთებეით შეხვდა ბეზდნის ტრაგედიას. ამასთან დაკავშირებეით ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დემონსტრაციის ხასიათის მქონე პანაშვიდი მოაწყვეს, რომელზედაც სიტყვეით გამოვიდა უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ა. შჩ ა პ ო ვ ი. მან თქვა: „უკვე ნახეჲარ საუკუნეზე მეტია, რაც რუსეთის ჩაგრულ მასებში. გლეხებს შორის. გამოჩნდენ... დემოკრატი კონსპირატორებეი. ხალხს სჯეროდა მათი და უყურებდა მათ. როგორც გაქირვებეიდან გამომხსნელთ, განმათავისუფლებელთ. აი ისეე გამოჩნდა წინასწარმეტყველი (მესია). და თქვენ, მეგობრებო, მისი მოწოდებეით დაეცით მსხვერპლად... თავისუფლებეისათვის. თქვენ პირველებმა დაარღვიეთ ჩვენი ძილი, თქვენ გააქარწყლეთ ჩვენი უსამართლო ეჭვი, თითქოს ჩვენს ხალხს არ ჰქონდეს უნარი იყოს ხელმძღვანელი პოლიტიკური მოძრაობისა. მიწა, რომელსაც თქვენ ამუშავებთ..., რომლის საკუთრებად შეძენა თქვენ გინდოდათ და რომელმაც თავის წიაღში მიიღო თქვენი გვაში, აი ეს მიწა მოუწოდებს ხალხს აჯანყებეისკენ, თავისუფლებეისკენ... მუღმივი ხსოვნა თქვენს თავგანწირულ საქციელს. გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას“.

რეფორმას პროტესტით შეხვდა არა მარტო გლეხობა, არამედ რუსე-

¹ მესამე განყოფილებეის მონაცემებეით 1862 წელს 400 მღელეჲარება მომხდარა. ხოლო 1863 წელს — 386.

თის მთელი მოწინავე ინტელიგენცია. რომელსაც ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი მეთაურობდა. რეფორმის შედეგების მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ იმ დროს საზღვარგარეთ მყოფი გერცენი და ოგარიოვი. ოგარიოვმა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, 1861 წლის 15 ივნისს „კოლოკოლის“ ფურცლებზე დაბეჭდა სტატია შემდეგი დამახასიათებელი სათაურით: «Разбор нового крепостного права, общинардованного 19 февраля 1861 года в Положении о крестьянах, вышедших из крепостной зависимости». ამ სტატიის ძირითადი თეზისი თვით სათაურიდანაც მკაფიოდ ჩანს. ავტორი ამტკიცებდა: ბატონყმური ურთიერთობა არ გაუქმებულა, ის ძალაში დარჩა. შეიცვალა მხოლოდ სახელწოდება. იმავე წლის 1-ლი ივლისის ნომერში „კოლოკოლმა“ დასტამბა ოგარიოვის მეორე წერილი „რა უნდა ხალხს?“, რომელიც რუსული დემოკრატიული აზრის ერთ-ერთი ბრწყინვალე დოკუმენტია. წერილში ხაზგასმულია მთავრობის პოლიტიკის თვალთმაქცური, ანტიხალხური ბასიათი, ნაჩვენებია, რომ რეფორმამ, რომელმაც იმედები აღუძრა სოფლის მშრომელ მოსახლეობას, სინამდვილეში არაფერი მისცა მას. „ოთხი წელი, — ნათქვამია იქ, — წერდნენ, წერდნენ და წერდნენ... დასასრულ გადაწყვიტეს საქმე და ხალხს თავისუფლება გამოუცხადეს. ყველგან გენერლები და მოხელენი გაგზავნეს მანიფესტის საკითხავად. ეკლესიებში წირვა-ლოცვა მოაწყვეს. ილოცეო მეფისათვის, მიწისათვის და საკუთარი ბედნიერებისათვის მომავალში. ხალხმა ირწმუნა და დაიწყო ლოცვა. მაგრამ როგორც კი გენერლებმა და მოხელეებმა მანიფესტის კითხვა დაიწყეს, გამოიჩვენა, რომ თავისუფლება მხოლოდ ქაღალდზეა მოცემული და არა ნამდვილად. გამოიჩვენა, რომ ახალ დებულებაში ძველი კანონები ახალი სიტყვებითაა მხოლოდ ჩაწერილი და გადატანილი“.

ოგარიოვი მიუთითებდა, რომ რეფორმამ მწარმოებელ კლასს არ მისცა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მისი ცხოვრებაში — მიწა, რაც, მისი აზრით, უდიდესი უსამართლობა იყო და სასწრაფოდ უნდა გამოსწორებულიყო. „ხალხს უნდა მიწა და თავისუფლება, — წერდა იგი. უმიწოდ მას ცხოვრება არ შეუძლია, უმიწოდ მისი დატოვება არც შეიძლება, რადგანაც იგი მისი საკუთრებაა. ვინ დაიკავა მიწა, რომელსაც რუსეთი ჰქვია სახელად? ვინ ამუშავებს მას? ვინ იცავს მას სხვადასხვა ჯურის მტრებისაგან? ხალხი, არავინ სხვა, გარდა ხალხისა“.

წერილში ჩამოთვლილია ხალხის უპირველესი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე მას, ოგარიოვის შეხედულებით, არსებობა არ შეეძლო. ეს მოთხოვნებია: მიწა და თავისუფლება.

ოგარიოვის აზრით, ყველა გლეხი უნდა განთავისუფლებულიყო მიწის იმ ნაკვეთით, რომელსაც ის ფაქტიურად ფლობდა. მიწის არამქონეთ ის ხაზინის ფონდიდან უნდა მიეღოთ. საბატონო ყმები კი, რომელთაც ჰქონდათ მიწები, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით, შემამულეებს უნდა დაექმყოფილებინათ და მიეცათ იმდენი. რამდენიც აუცილებელი იყო მეურნეობის გასამართავად, ოჯახის წევრების შესანახად, სახელმწიფოსთან ანგარიშის გასასწორებლად. „იმისათვის, რათა ხალხმა მიიღოს მიწა და თავისუფლება. — ნათქვამია შემდეგ დასახელებულ წიგნში, — სამუდამოდ შეინარჩუნოს ისინი, იმისათვის, რომ ხალხი არ დაბეგროს მეფემ აუტანელი გადასახადებით..., არ შეინახოს ზედმეტი ჯარი და ხალხის ფული ხალხისვე სასარგებლოდ გამოიყენოს, საჭიროა გადასახადების დაწესება და მათი განაწილება თვით ხალხის მიერ“.

ოგარიოვი, როგორც ცნობილია, ამაზე არ ჩერდებოდა და გლეხური რევოლუციის გზით მთელი არსებული წყობილების ძირფესვიანად შეცვლაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევამდე მას საჭიროდ მიაჩნდა ბრძოლა იმისათვის, რომ სოფლის მშრომელ მოსახლეობას მიწის მინიმუმი და პირადი თავისუფლება მიეღო.

განსახილველი ხანის დემოკრატიული აზრის ნამდვილი მშვენიერებაა ჩერნიშევსკის პროკლამაცია „ს ა ლ ა მ ი ს ა ბ ა ტ ო ნ ო გ ლ ე ხ ე ბ ს მ ა თ ი კ ე თ ი ლ ი ს მ ს უ რ ვ ე ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ“¹ (1861 წელი). მის პირველ ნაწილში მოცემულია რეფორმის შედეგების გამანადგურებელი კრიტიკა. „თქვენ ელოდით, — ვკითხულობთ იქ. — რომ მეფე თავისუფლებას მოგცემდათ, აი მიიღეთ კიდევ თავისუფლება. კარგია თუ არა ეს მეფისაგან მიღებული თავისუფლება, ამას ახლა თქვენც კარგად ხედავთ. აქ ბევრი არაფერია სალაპარაკო. ორი წლით ყველაფერი ძველებურად რჩება: საბატონო ბეგარაც, ბატონის ხელისუფლებაც... ორი წლით, ამბობს მეფე... ხუთი ან ათი წელი

¹ პირველად მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ პროკლამაციის ავტორი ჩერნიშევსკია. გამოთქვა მ. ლემკემ 1906 წელს. მისი აზრით, „საბატონო გლეხებს“ ჩერნიშევსკის მიერ დაწერილი ან მისი უშუალო მონაწილეობით შედგენილი დოკუმენტია. ეს შეხედულება მერე ბევრმა გაიზიარა და თითქმის სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. თუმცა მას არაერთი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა. ჩერნიშევსკის ავტორობაში ამ ბოლო დროს ეკვი შეიტანა, მაგალითად, ნ. ალექსეევმა, რომელმაც 1939 წელს ქალაქ სარატოვში გამოაქვეყნა ჩერნიშევსკის პროცესებისადმი მიძღვნილი დოკუმენტების კრებული. საბჭოთა ისტორიკოსებმა არ გაიზიარეს მისი შეხედულება და უარყვეს იგი, ვითარცა არადამაჯერებლად დასაბუთებული. არ გაიზიარა ის, კერძოდ, მ. ნეჩკინამ. რომელმაც პროკლამაციის ყოვლილმხრივი ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ მისი ავტორი ჩერნიშევსკია (იხ. „Исторические записки“, т. 10, 1941).

ვააქიანურებენ ამ საქმეს... ამრიგად: ორი წელი უცადეთ, სანამ მიწებს გამოიჩნავენ. სინამდვილეში კი მიწის გამოიჩნა ხუთი ან ათი წელი გასტანს და მერე კიდევ 7 წელი კაბალაში იცხოვრეთ. ეს კი გამოვა 17 ან 20 წელი. მაშასადამე, იცხოვრეთ ძველებურად მემამულის კაბალაში... დარჩი გლეხო მონობაში, წასვლა-წამოსვლის უფლებას მოკლებული... თქვენ მემამულეების ყმები ხართ. მემამულენი კი მეფის მსახურნი არიან. ის მათი მემამულეა. მაშ რა ისინი. რა მეფე — სულერთია. თქვენ კი იცით, რომ ძალდი ძაღლის ხორცს არ სჭამს. მეფე ბატონის მხარეზეა. მანიფესტი და ბრძანება რომ გამოაქვეყნა თავისუფლების შესახებ, ეს მხოლოდ თქვენი გულის მოსაგებად გააკეთა“.

სრულიად უვარგისად აცხადებდა ჩერნიშევსკი მისი თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ წყობილებას, სადაც, დასავლეთისგან განსხვავებით. ყველაფრის გადამწყვეტი მეფე იყო. დესპოტური სისტემა. მისი აზრით. უნდა შეცვლილიყო ისეთით. რომლის დროსაც ხალხი იქნებოდა ქვეყნის მეთაური და გამგებელი, უზენაესი მმართველი. „როდესაც სახალხო მამასახლისს გარკვეული ვადით ირჩევენ და არ ხდება ამ თანამდებობის მემკვიდრეობით დაკავება, როდესაც მას მეფედ კი არ აღიღებენ, არამედ მამასახლისად, მათებურად. უცხოურად. პრეზიდენტად. მაშინ ხალხი გაცილებით უკეთ და უფრო მდიდრულად ცხოვრობს“. ეს უკვე რესპუბლიკური წყობილებაა და ჩერნიშევსკი სწორედ მას უჭერდა მხარს, მაგრამ იგი, უკიდურეს შემთხვევაში, არც ისეთი მმართველობის წინააღმდეგი იყო. როგორც მაშინ ინგლისში არსებობდა. იქ ქვეყნის სათავეში მეფე იდგა, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი ის ნამდვილ უფლებებს მოკლებული იყო და მმართველობის ყველა ძაფი ხალხის ხელში იყო თავმოყრილი. იქ მეფე, მისი სიტყვით, ყველაფერში ხალხს უსმენს და მისი დასტურის გარეშე არაფერს აკეთებს. მმართველობის ეს სისტემა უფლებას ანიჭებს ხალხს მკაცრად გააკონტროლოს მეფის საქმიანობა და უარყოფითად შეფასების შემთხვევაში გადააყენოს კიდევ იგი და სხვა აირჩიოს მის თანამდებობაზე. „თავისუფლება, — წერს ჩერნიშევსკი, — ინგლისელებს აქვთ. მათი თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სამხედრო ვალდებულნი არ არიან... ვისაც ჭარში წასვლა არ სურს, მას ძალას არ ატანენ. იქ ჭარისკაცს ჭამაგირი ეძლევა სამსახურისთვის... აი კიდევ რაში გამოიხატება ინგლისელებისა და ფრანგების თავისუფლება. იმათთან არ არის სულადი გადასახადი... არ არის პასპორტები, თითოეულს შეუძლია წავიდეს და იცხოვროს იქ. სადაც სურს, ამისათვის არავის საგანგებო ნებართვა არ სჭირია. იქ სასამართლო სამართლიანია, მოსამართ-

ლის მიერ ფულის აღება — არმომხდარი ამბავია. ფრანგებსა და ინგლისელებს ბატონები არ ჰყავთ. მათი ბატონი თემია, ყველაფრის მომგვარებელი ხალხია. რასაც ხალხი ბრძანებს, ის უნდა გაკეთდეს. იქ მეფე კი არაა ხალხის ბატონი. არამედ, პირიქით, ხალხია მეფის ბატონი... თუ მეფე კარგია. უსმენს ხალხს, მაშინ ხალხი მას ჯამაგირს აძლევს, მაგრამ თუ მან ხალხს ოდნავი წინააღმდეგობა გაუწია, მაშინ ასე ეტყვიან მას: შენ, მეფე, ამიერიდან ნუ იქნები ჩვენი მეფე, შენ ჩვენ არ გვინდობარ, შენ ჩვენ გცვლით, სადაც გინდა წადი, მაგრამ ჩვენ კი გაგვეცალე: თუ არ გაგვეცლები. დავუქერთ და ურჩობისთვის გაგასამართლებთ... მის მაგივრად. თუ სურვილი ექნებათ, სხვას აირჩევენ, თუ არ ექნებათ — არ აირჩევენ“.

პროკლამაციაში „საბატონო გლეხებს“ დიდი ყურადღება ეთმობა მიზნის მისაღწევ საშუალებათა დადგენა-განმარტებას. ავტორი არწმუნებს მშრომელ ხალხს, რომ არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ ძალდატანებით, რევოლუციური გადატრიალების გზით. ჩერნიშევსკი მოუწოდებს მემამულეთა გლეხებს გაერთიანდნენ სხვა კატეგორიის გლეხებთან და ერთიანი ძალით შეუტონ ექსპლოატატორებს. თავისუფლების მოპოვება, წერს იგი, „შეიძლება და ეს არც ისე ძნელია. საჭიროა მხოლოდ ერთსულოვნება გლეხებს შორის, საჭიროა გამკრიახობა და ძალის მარაგი. აი თქვენ, საბატონო გლეხები, რუსი გლეხების ნახევარს წარმოადგენთ. მეორე ნახევარს სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხები შეადგენენ. არც იმათ აქვთ თავისუფლება. შეუთანხმდით და განუმარტეთ, ზემოთქმულის მიხედვით: თუ როგორი თავისუფლება სჭირიათ მათ“. ჩერნიშევსკი გეგმავდა რუსეთის გლეხთა საერთო აჯანყებას, რომელიც რევოლუციური ცენტრის მითითებით უნდა დაწყებულიყო ერთბაშად იმპერიის ყველა კუთხეში. იგი პრინციპული წინააღმდეგი იყო დაქუცმაცებული და ლოკალური გამოსვლებისა. „აბა რა აზრი აქვს იმას, — ნათქვამია ჯარისკაცებისადმი მიმართულ პროკლამაციაში, — რომ ერთ სოფელში ხალხი აღსდგეს, მაშინ როდესაც სხვა სოფელი მზად არაა? ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეც დაღუპო და თავიც. საქმე მაშინ უნდა დაიწყო, როდესაც ყველა და ყველაფერი მზადაა ბრძოლისათვის. მანამდე კი ხელებს თავისუფლებას ნუ მისცემ“.

1861 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გამოვიდა პროკლამაცია „ველიკორუსის“ სამი ნომერი¹. მისი გამოკვეთილი იყო

¹ უფრო ზუსტად „ველიკორუსის“ ნომრები შემდეგი თანმიმდევრობით გამოვიდა: პირველი — 30 ივნისს. მეორე — 7 სექტემბერს და მესამე — 20 ოქტომბერს.

რევოლუციურ ცენტრთან დაკავშირებული ერთ-ერთი საიდუმლო ორგანიზაცია. რომელსაც მეთაურობდნენ ნიკოლოზ და ვლადიმერობრუჩევები. ლუგინინი და სხვ. სწორედ ესენი იყვნენ დასახელებული პროკლამაციის შემქმნელნი. კარგა ხანს მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ. თუ რა დამოკიდებულებაში იყო ჩერნიშევსკი „ველიკორუსთან“. პირველი ვარაუდი მის მონაწილეობაზე პროკლამაციის შექმნაში თვითონ მთავრობას ეკუთვნის. იგი ფიქრობდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ამყამად ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტი არ შეიძლებოდა შექმნილიყო ჩერნიშევსკის გარეშე. ასევე ფიქრობდნენ გასული საუკუნის 60-იანი წლების ისეთი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ს. სტახევიჩი და პანტელეევი. სტახევიჩის დასკვნა, კერძოდ, ემყარება მის უშუალო საუბრებს ჩერნიშევსკისთან გადასახლების წლებში. საწინააღმდეგო თვალსაზრისს გამოთქვამს პ. ბალოდი. ასევე ცნობილი სამოციანელი. არაა ერთსულოვნობა მეცნიერ-ისტორიკოსთა წრეშიც. ნაწილი უსაფუძვლოდ თვლის ვარაუდს ჩერნიშევსკის უშუალო მონაწილეობის შესახებ „ველიკორუსის“ შექმნაში და ამის უმთავრეს არგუმენტად პროკლამაციის ციოთქოსდა ლიბერალურ ხასიათს ასახელებს. მეორე ნაწილი კი უარყოფს „ველიკორუსის“ ასეთ შეფასებას, მიიჩნევს მას რევოლუციურ დოკუმენტად და სავსებით ბუნებრივად თვლის ჩერნიშევსკის მონაწილეობას მის დაწერაში.

ჩერ-ჩერობით ძნელია ამ საკითხის უყოყმანოდ გადაჭრა, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, სახელდობრ, ის, რომ პროკლამაციის ავტორები მჭიდრო კონტაქტში იყვნენ ჩერნიშევსკისთან და სარგებლობდნენ მისი რჩევა-დარიგებით.

„ველიკორუსი“ დიდ ყურადღებას უთმობს აგრარულ-გლეხურ საკითხს. ხაზს უსვამს რა რეფორმის უსამართლო ზასიათს, ლაპარაკობს გლეხობაში ორი პარტიის არსებობაზე, რომლიდანაც ერთი (უმრავლესობა) მხარს უჭერდა საბატონო ყმების მიწით განთავისუფლებას და მემამულეთა მიწების მთლიანად მათთვის გადაცემას გამოსყიდვის გარეშე. „საბატონო გლეხები, — ნათქვამია იქ, — თავიანთი შეხედულებით ორ პარტიად იყოფიან. პირველ მათგანს მიაჩნია, რომ მიწა მთლიანად გლეხთა საკუთრებაში უნდა გადავიდეს. აქ იგულისხმება მემამულეთა მიწებიც. გლეხებმა მიწაში არავითარი სასყიდელი არ უნდა გაიღონ. მემამულეები, რომლებიც, ამრიგად, ყველაფერს დაკარგავენ, იძულებული გახდებიან დატოვონ სოფლები და ქალაქში გადასახლდნენ. ისინი ანაზღაურებას სახელმწიფოსაგან მიიღებენ (გლეხების სიტყვით, მეფე თავის კმაყოფაზე აიყვანს მემამულეებს). პარტია, რომელიც საკითხის ასეთ გადაწყვეტას გარ-

დუვალად თელის, ძალიან მრავალრიცხოვანია გლეხთა შორის და ის უსათუოდ თავისას გაიტანს, თუკი აწინდელი ვითარება კიდევ გაგრძელდება“.

პროკლამაციაში ლაპარაკია მეორე პარტიაზეც, რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა და უკეთესი ვარიანტის განუხორციელებლობის შემთხვევაში გლეხისათვის მიწის იმ ფართობის უსასყიდლოდ გადაცემით კმაყოფილდებოდა, რაც მას რეფორმამდე ჰქონდა. „მეორე, ასე ვთქვათ, უფრო ზომიერი პარტია, — ვკითხულობთ განსახილველ დოკუმენტში, — ფიქრობს, რომ გლეხებმა მთლიანად მხოლოდ ის მიწები უნდა მიიღონ. რომლითაც ისინი ბატონყმობის დროს სარგებლობდნენ... ის მიწა კი, რომელიც მემამულის სარგებლობაშია, გლეხების აზრით. მას უნდა დარჩეს. გამოსყიდვაზე ეს პარტიაც ზუსტად ისევე ფიქრობს, როგორც პირველი, ე. ი. საერთოდ უარყოფს მას (გამოსყიდვას — ი. ა.)... უნდა გვახსოვდეს, რომ გლეხები ერთსულოვნად უარს ამბობენ მასზე. იმის მოთხოვნა, რომ მათ მიწა გამოისყიდონ, უსაფუძვლოა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება“.

„ველიკორუსი“, როგორც მოტანილი ადგილებიდან ჩანს, პრინციპში მხარს უჭერდა მემამულეთა მიწების მთლიანად გლეხებისათვის გადაცემას და ისე განთავისუფლებას. მას რომ სწორედ ეს მიაჩნდა საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად და არა სხვა, პროკლამაციის იმ ადგილიდანაც ჩანს, სადაც გამოთქმულია რწმენა, რომ აღნიშნული თვალსაზრისის მქონე პარტია „უსათუოდ თავისას გაიტანს“. მაგრამ თუკი ასეთი რამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. „ველიკორუსი“ პირველ ეტაპზე იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ გლეხებს რეფორმამდელ პერიოდში მათ სარგებლობაში მყოფი მიწები მიეღოთ. საყურადღებოა „ველიკორუსის“ დამოკიდებულება გამოსყიდვისადმი. იგი არა მარტო წინააღმდეგია მისი, არამედ მასზე ფიქრიც კი დანაშაულად მიაჩნია.

პროკლამაციაში ნაჩვენებია იმჟამინდელი რუსეთის პოლიტიკური წყობილების ანტიხალხური, დესპოტური ხასიათი, რაც შეუძლებელს ხდიდა ადამიანის ელემენტარული უფლებების დაცვას. რუსეთი გამოცხადებულია ქვეყანად, სადაც ერთმმართველი მეფის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა მინიჭებული. „ჩვენთან, რუსეთში, არ არის რწმენა, რომ სიმართლე გაიმარჯვებს... არ არის უზრუნველყოფილი არც პიროვნების და არც ქონების ხელშეუხებლობა. თითოეულს. ფულისა და თანამდებობის მქონეს, შეუძლია კანონის დაუსჯელად დარღვევა. თ ვ ი თ კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ შ ე ც ვ ლ ა ს ს ა ქ ი რ ო ე ბ ე ნ... სასამართლოს აწინდელი მდგომარეობა გამო-

რიცხავს საქმის სწორად წარმართვას. პოლიციის ზომაზე მეტ-
უფლებები ძალას უკარგავს სასამართლო ორგანოებს და ზღუდავს
მათ მოქმედებას. ფიზიკური სასჯელი ამდაბლებს ხალხის სულს“.

„ველიკორუსი“. როგორც მოტანილი ადგილიდან ჩანს, ლაპარაკობდა სახელმწიფოს ძირითადი კანონების შეცვლის აუცილებლობაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი გადაჭრით მოითხოვდა არსებული უსამართლო წყობილების სამართლიანით შეცვლას. ის მხარს უჭერდა კონსტიტუციური მმართველობის შემოღებას, რაც, მისი აზრით, შეუძლებელი იყო ზემოდახსენებული რეფორმით მიღწეულიყო. „ველიკორუსი“ დარწმუნებული იყო, რომ რომანოვების დინასტიის წარმომადგენლები არაფერს დათმობდნენ თავიანთი ხელისუფლებიდან და კატეგორიული წინააღმდეგი იქნებოდნენ თვით უმნიშვნელო რეფორმებისაც კი. „ბევრი კონსტიტუციონალისტი ფიქრობს,—ნათქვამია იქ,—რომ აწინდელი იმპერატორი (ე. ი. ალექსანდრე II — ი. ა.) თვითონ თანაუგრძნობს კონსტიტუციას და შეუძლია მტკიცედ დაიცვას მისი პრინციპები... მეორენი ფიქრობენ, რომ ანეგლოტი მეფის კონსტიტუციურ მიდრეკილებათა შესახებ უსაფუძვლოა. მათი აზრით, ასეთ რამეს გამორიცხავს მეფის მიერ მიღებული აღზრდა, რომელიც უნერგავდა მას თვითმპყრობელობისადმი პატივისცემას, შეუზღუდველი ხელისუფლებისადმი სიყვარულს... მაგალითად იმისა, რომ მეფეს არ სწამს კონსტიტუცია, ისინი ასახელებენ ლიტერატურის მდგომარეობას..., მტრულ დამოკიდებულებას უნივერსიტეტისადმი, საკვირაო სკოლების შევიწროებას, გლეხთა საკითხის ბიუროკრატიულ მიმდინარეობას, სისხლისღვრას. რომელიც მოაწყვეს ყაზანსა და სხვა გუბერნიებში და ა. შ. იმპერატორის ამ და სხვა მსგავსი მოქმედებიდან ჩანს, რომ ის პოლიტიკურ თავისუფლებას საზიანოდ თვლის და რომ იგი ნებით არასოდეს უარს არ იტყვის თავის შეუზღუდველ მმართველობაზე... ასე ფიქრობს ყველა, ვინც კი სათანადო სიდინჯით განიხილავს ახლანდელი იმპერატორის მოქმედებას, მის დამოკიდებულებას კონსტიტუციისადმი“.

მიუხედავად „ველიკორუსის“ ზოგიერთი სუსტი მხარისა (იგი, როგორც ცნობილია, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ძალის გაერთიანების მიზნით შესაძლებლად ცნობდა მთავრობისთვის ადრესის მირთმევას ხალხის წარმომადგენელთა შეკრების მოთხოვნით), მან მაინც დიდი როლი ითამაშა მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა განვითარების ისტორიაში.

„ველიკორუსის“ გამოსვლას დიდი თანაგრძნობით შეხვდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა. ასე შეხვდა მას, კერძოდ, ცნობილი სამოციანელი ნ. სერნო-სოლოვიოვიჩი, იგი დაუყოვნებლივ გა-

მოებმაურა ამეამად ჩვენთვის საინტერესო გამოცემას და „კოლოკოლის“ 1861 წლის 15 სექტემბრის ნომერში დაბეჭდა სპეციალური წერილი სათაურით „პასუხი ველიკორუსს“. ხაზს უსვამს რა აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობას, სერნო-სოლოვიოვიჩი წერს: «Каким бы чувством ни внушена мысль Великорусса, мы приветствуем её горячим сочувствием. Дело ли это юношеского пыла, возмущающего чистые, не испорченные еще житейскою ложью натуры..., или же сознательно непримиримой ненависти к позорному порядку, растлевающему Россию, ненависти..., решившейся на смертельную борьбу,— во всяком случае оно должно радовать каждого, сохранившего хотя бы одну живую струну, не порванную подавленным существованием. Вольное печатное слово, сказанное в Петербурге, в главном центре тайных и явных полиций..., открытый вызов самодержавию в самом пекле его; это лучший признак, что рабство начинает нас тяготить, что самодержавие со всеми окружающими и охраняющими его учреждениями — бессильно... Это первый шаг к обузданию самовластия, первый шаг к нашей воле».

ავტორი თავს ესხმის თვითმპყრობელობას, ალექსანდრე მეორის მთავრობას. იგი მას ახასიათებს როგორც დესპოტურ და ჩლუნგ მმართველობას. მთავრობის სიჩლუნგით ხსნის ნ. სერნო-სოლოვიოვიჩი 19 თებერვლის დებულების მიღებას, დებულებისა. რომელმაც „დააკანონა ახალი ბატონყმური ურთიერთობა“. ამით მან თავის საწინააღმდეგოდ აამხედრა ვებერთელა ძალა, რომელიც სხვა. უფრო გონიერული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შეეძლო მას მხარში ამოსდგომოდა. გლეხების ნამდვილი განთავისუფლება. მისი აზრით, ასეულ წლობით გაახანგრძლივებდა იმ წყობილების არსებობას, ამეამად უძლიერესი დარტყმების ქვეშ რომაა მოქცეული.

სერნო-სოლოვიოვიჩი სამართლიანად უსვამს ხაზს უკმაყოფილების გაღრმავებას, კლასობრივი ანტაგონიზმის გაძლიერებას რეფორმის მომდევნო ხანის რუსეთში, რაც, მისი აზრით. ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა იმისათვის, რომ ახალი ძალით დაწყებულყო ხალხის ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის. „დადგა შეუწყვეტელა. დაუნდობელი ბრძოლის დრო“, — წერდა იგი განსახილველ დოკუმენტში. „ხალხო! აღსდგე პატიოსნად. გაბედულად და ერთსულოვნად სიმართლისა და თავისუფლებისათვის“, — იმეორებდა იგი თავის ერთ, უფრო გვიან დაწერილ მოწოდებაში¹.

ბრძოლის წარმატებისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა დაქსაქსული ძალების გაერთიანება და საზოგადოების მოწინავე ნაწილის ხალხთან

¹ მხედველობაშია მისი მოწოდება „სიმართლისა და თავისუფლებისათვის“, რომელიც 1865 წლის ბოლოსა და 1866 წლის დასაწყისში დაიწერა.

მკიდროდ დაკავშირება. გლეხი, მისი სიტყვით, მზად იყო მთავრობას შერკინებოდა. მაგრამ მას აკლდა ინიციატივა, სწორედ ის, რაც ახალგაზრდა თაობას ჰქარბად გააჩნდა. ამ კონტაქტის დასამყარებლად, სერნო-სოლოვიოვიჩის გეგმით, უნდა შექმნილიყო ფარული კავშირები. „ისინი (კავშირები — ი. ა.), — წერს იგი, — თავს უყრიან მებრძოლებს, აერთიანებენ ძალებს, ამზადებენ მოძრაობას; მათ გარეშე მასები ან სულაც არ აღდგებიან, ან თუ აღდგებიან — ვერ გაუძლებენ ორგანიზებულ მოწინააღმდეგესთან შერკინებას, როგორც მოუშადებელნი. აბა დაასახელეთ თუნდაც ერთი სახალხო მოძრაობა, რომელიც წარმატებით დამთავრდა ამ კავშირების მოქმედება-ხელმძღვანელობის გარეშე“.

კავშირების შექმნის მოწინააღმდეგენი, განსახილველი დოკუმენტის ავტორის სიტყვით, ჩვეულებრივ ასახელებდნენ დეკაბრისტების აჯანყებას. მის ტრალიკულ დასასრულს. მაგრამ დეკაბრისტების დამარცხება, მისი აზრით, ადასტურებდა, რომ აუცილებელი იყო ხალხთან მკიდრო კავშირი. პირველი რუსი რევოლუციონერების წარუმატებლობა, სერნო-სოლოვიოვიჩის აზრით, ადასტურებდა არა ფარულ საზოგადოებათა შექმნის არასასურველობას. არამედ იმას, რომ „ხალხის დახმარების გარეშე“, მარტო შეთქმულთა მცირერიცხოვანი ძალით, შეუძლებელია მიზნის მიღწევა.

როგორ ესახებოდა სერნო-სოლოვიოვიჩს მომავალი, სახალხო აჯანყების შედეგად დამყარებული წყობილება? იგი მას რესპუბლიკის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. რაც შეეხება კონსტიტუციას, არ აკმაყოფილებდა მას, თუმცა გაცილებით უკეთეს სისტემად თვლიდა, ვიდრე თვითმპყრობელობას. „კონსტიტუცია, — წერდა იგი, — არაა ჩვენი მიზანი და უკანასკნელი სიტყვა. ჩვენი მიზანია — გლეხების სრული განთავისუფლება, ხალხის უფლების აღიარება მიწაზე, იმის მიღწევა, რომ ხალხმა თვითონ მოაწყოს და მართოს თავისი ცხოვრება“.

1861 წლის შემოდგომაზე (სექტემბერი) გამოვიდა ნ. შელგუნოვისა და მ. მიხაილოვის პროკლამაცია „ახალგაზრდა თაობას“. ისიც, სხვა დასახელებული დოკუმენტის მსგავსად, იწყება რეფორმის ბატონყმური ხასიათის მხილებით, მისი უარყოფითი შედეგების ჩვენებით. „მეფემ, — ვკითხულობთ იქ, — არ გაამართლა ხალხის მოლოდინი—მისცა მას თავისუფლება, მაგრამ არა ისეთი. რომელზედაც ის ოცნებობდა და რომელიც მას სჭირია. მან მოპარა ხალხს სიხარული, მანიფესტი გამოაცხადა არა 19 თებერვალს, არამედ დიდმარხვის დღეებში. „დებულების“ შემდგენელი და განმხილ-

ველი კომისიის შექმნით მეფემ დაადასტურა თავისი სიძულვილი ხალხისადმი და რუსეთის საზოგადოების უგანათლებულესი, უპატროსნესი და უნიჭიერესი ნაწილისადმი — სახალხო პარტიისადმი. მთელი საქმის წარმოება ფრიად საიდუმლოდ მიმდინარეობდა, საკითხს წყვეტდნენ მეფე და მემამულეები, ხალხის არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა საქმეში ჩარეული, ეურნალისტიკა ხმის ამოღებას ვერ ბედავდა; მეფემ მიუგდო ხალხს თავისუფლება, როგორც... გაბრაზებულ ძალს მიუგდებენ ხოლმე გამხმარ ძვალს. რათა დროებით დაამშვიდონ იგი და იხსნან საფრთხისაგან საკუთარი წიკეები“.

პროკლამაციის ავტორებს იერიში მიჰქვთ მთავრობაზე. მათი აზრით ხელისუფლება, რომელსაც ხალხი სძულდა და მისი წუხილი არ ესმოდა, მხარდაქერას არ იმსახურებდა და დამხობის ღირსი იყო. «Все это (ე. ი. ასეთი დამოკიდებულება ხალხისადმი — ი. ა.) не может и не должно быть прощено правительству, — ნათქვამია განსახილველ დოკუმენტში. Не народ существует для правительства, а правительство для народа. Следовательно, очевидно, что правительство, которое не понимает народа, не знает его нужд и потребностей, которое, считая себя помещиком, действует исключительно в своекорыстных целях, которое, наконец, презирает народ, им управляемый — недостойно этого народа. Романовы, вероятно, забыли, что они свалились не с неба, а выбраны народом... Вот, почему, если они не оправдывают надежд народа — долой их. Нам не нужна власть, оскорбляющая нас..., мешающая умственному, гражданскому и экономическому развитию страны... Нам нужен не царь, не император, ...мы хотим иметь главой простого смертного, человека земли, понимающего жизнь и народ, его избравший. Нам нужен не император, помазанный маслом в Успенском соборе, а выбранный старшина, получающий за свою службу жалованье».

შელგუნოვი და მიხაილოვი. როგორც მოტანილი ადგილიდან ჩანს, და ქვემოთაც ვნახავთ, ოცნებობდნენ არსებული წყობილების ხალხის მმართველობით შეცვლაზე. რაც. მათი აზრით. ღიდ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული. ისინი ლაპარაკობდნენ ძველის რევოლუციის გზით შეცვლაზე, ამ გზის გარდუევალობაზე. „ჩვენ თამამად ვუსწორებთ თვალს რევოლუციას, თამამად მივდივართ მისკენ; ჩვენ მივესალმებით კიდევ მას“, — წერდნენ დასახელებული ავტორები. ცოტა ქვემოთ იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენი მიზნის მისაღწევად, რაც ხალხისათვის მიწის გადაცემაში გამოიხატება. ასი ათასი მემამულისათვის ყელის გამოჭრა რომ დაგვკირდეს, ჩვენ ამა-

ზედაც წავალთ და ეს არც თუ ისე დიდი უბედურებაა“. და კიდევ ..ჩვენ ვერნდა მოისპოს განთავისუფლებულ გლეხთა გარდამავალი მდგომარეობა [მხედველობაშია დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი — ი. ა.]... თუკი ამ ოპერაციის ჩატარებას მთავრობა არ აიღებს თავის თავზე, მაშინ მას ქვეყნის ყველა წოდებამ უნდა მოჰკიდოს ხელი. ეს არის მშვიდობის გზა, და ბუნებრივია. ჩვენი სურვილია საქმე ძალდატანებით გადატრიალებამდე არ მივიდეს. მაგრამ თუკი ამის გარეშე არ შეიძლება, ჩვენ არამცთუ უარს არ ვამბობთ მასზე. არამედ, პირიქით, დიდი სიხარულით ვუხმობთ რევოლუციას დასახმარებლად. თუკი ნაპოლეონ პირველს უბრალო პატივმოყვარეობით შეეძლო 8 მილიონი ადამიანის ამოწყვეტა, რა დიდი საქმეა რაღაც ერთი ასეული ადამიანის მოსპობა, როდესაც ეს მსხვერპლი ხალხს ბედნიერებას მოუტანს“.

პროკლამაციის ავტორებს, ეტყობა, რევოლუციური გადატრიალება წარმოდგენილი ჰქონდათ არა როგორც შეთქმულთა ვიწრო წრის გამოსვლა, არამედ როგორც მასობრივი მოძრაობა ხალხისა (პირველ რიგში გლეხობის) და ჯარის მონაწილეობით. მათი მომზადება და საბრძოლოდ დარაზმვა ახალგაზრდა თაობას ეკისრებოდა. „გახსოვდეთ, — წერდნენ ახალგაზრდების მისამართით შელგუნოვი და მიხაილოვი, — რომ ჩვენ უპირატესად მოგმართავთ თქვენ, მხოლოდ თქვენში ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან თავიანთი პირადი ინტერესები მსხვერპლად შესწირონ ქვეყნის კეთილდღეობის საქმეს. ჩვენ მოგმართავთ თქვენ იმიტომ, რომ გთვლით ადამიანებად, რომლებსაც ყველაზე მეტად შესწევთ უნარი იხსნან რუსეთი; თქვენ ხართ მისი ნამდვილი ძალა, თქვენ ხართ ხალხის მეთაურები. თქვენ უნდა გააგებინოთ ხალხსა და ჯარს საიმპერატორო ხელისუფლების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებათა არსი; თქვენ უნდა განუმარტოთ ხალხს, რომ... ღმერთი კეთილ საქმეებში შეიგრძნობა და რომ იქ, სადაც სიკეთე არაა, მოქმედებს ბოროტი ძალა — ბნელი სული. სწორედ ეს ბნელი სულია იმპერატორის ხელისუფლება იმ სახით, რა სახითაც ის დღემდე არსებობს. თქვენ უნდა დაარწმუნოთ ხალხი, რომ მას ჰყავს კეთილისმსურველები, რომელთაც უნდათ მისი დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოყვანა და მიწით უზრუნველყოფა, საგადასახადო ტვირთის შემცირება“.

პროკლამაციის ავტორები, როგორც ზევითაც ვთქვით, ოცნებობდნენ ისეთი წყობილების დამყარებაზე, რომლის სათავეში თვითონ ხალხი იქნებოდა და რომელიც გულისხმობდა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობას, მიწის მთელი ფონდის სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლას, კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. ღია და

ზეპირი სასამართლოს შემოღებას. ფიზიკური სასჯელის აკრძალვას და ა. შ.¹.

შელგუნოვის (საკუთრივ მისი) მეორე პროკლამაცია — „ს ა ლ ა მ ი რ უ ს ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ს მ ი ს ი კ ე თ ი ლ ი ს მ ს უ რ ვ ე ლ ე ბ ი ს გ ა ნ“ — იმავე წელს დაიწერა და გავრცელდა. მისი მიზანი იყო სამხედრო ძალა. რომელიც მთავრობის იმედს წარმოადგენდა, მთავრობასვე დაპირისპირებოდა. ავტორი ცდილობდა დაერწმუნებინა ჯარისკაცები იმაში, რომ მეფე მათ. ძალიან ხშირად. იყენებდა როგორც ჯალათებს თავისუფლებისათვის მებრძოლი საკუთარი და მოძმე ქრისტიანული ხალხების წინააღმდეგ. განსაკუთრებით სავალალოდ მიაჩნდა მას მათი დამოკიდებულება რუსეთის ჩაგრული მასების (პირველ რიგში გლეხობის) ბრძოლისადმი სოციალურ და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ. სამარცხვინო იყო, მისი აზრით, ის, რომ ჯარისკაცები ეხმარებოდნენ მემამულეებს უკიდურესად შევიწროვებული სოფლის მშრომელი მოსახლეობის აჯანყების ჩაქრობაში. „რისთვის კლავთ და ძარცვავთ თქვენ თქვენს ძმებს — გლეხებს? იქნებ დაგავიწყდათ, რომ თქვენ ისეთივე მართლმადიდებელი ქრისტიანები ხართ. როგორც ისინი, ისეთივე გლეხები იყავით. როგორც ისინი?... ხომ არ გავიწყდებათ. რომ თქვენ. სამსახურის დამთავრების შემდეგ. თქვენ-თქვენ სახლებს დაუბრუნდებით და ბევრი თქვენგანი ისევ გლეხი გახდება? არაფერი ეს თქვენ არ გესმით. რომ გესმოდეთ, ასეთი ჰქონდა არ იქნებოდა გლეხების ხვედრი ...თქვენ რომ ეს გესმოდეთ. არ გამოხვიდოდით ხალხის წინააღმდეგ და მემამულეებს ეცოდინებოდათ. რომ მათ არ ჰყავთ მომხრე... და ხელს აიღებდნენ გლეხების შევიწროებაზე... ამეამად თქვენ არც სახელი

¹ «Мы хотим.— ნათქვამია პროკლამაციაში,— чтобы все граждане России пользовались одинаковыми правами. чтобы привилегированных сословий не существовало... чтобы назначение в государственные должности шло из выборного начала... Мы хотим равенства всех перед законом, равенства всех в государственных тягостях, в податях и повинностях... Мы хотим открытого и словесного суда, уничтожения императорской полиции, уничтожения телесного наказания. Мы хотим, чтобы земля принадлежала не лицу, а стране; чтобы у каждой общины был свой надел, чтобы личных землевладельцев не существовало, чтобы землю нельзя было продавать, как продают картофель и капусту; чтобы каждый гражданин, кто бы он ни был, мог сделаться членом земледельческой общины. Мы хотим сохранения общинного владения землей... Мы хотим, чтобы срок службы солдату не была целая вечность... Мы хотим, чтобы солдат шел в службу с охотой; чтобы срок службы был 3—5 лет... Мы хотим полного уничтожения следов крепостного права, уничтожения развитого им неравенства в земледелии; мы хотим полного обновления страны».

გაქვთ და არც დიდება. რადგანაც ცუდ საქმეს აკეთებთ, ხოცავთ და აპარკვავთ მართლმორწმუნე ძმებს”.

შელგუნოვი მოუწოდებდა ჯარისკაცებს ამხედრებულიყვნენ მეფის წინააღმდეგ და არ შეეკავებინათ თავი ამ მისიის შესრულებისაგან მიცემული ფიცის გამო. ბოროტი მეფე, მისი აზრით, არ იყო მხარდაჭერისა და დადებული ფიცის პირნათლად შესრულების ღირსი. „ჩვენ ყველანი. — ვკითხულობთ პროკლამაციაში. — ჯარი, ხალხი და მოხელეები ფიცს აკლებთ. ფიცს დებს თვითონ მეფეც. როდესაც ის ტახტზე ადის. მეფე ფიცს აძლევს ღმერთს, რომ იგი ხალხის საბედნიეროდ წარმართავს მმართველობას და იმეფებს ყველას საკეთილდღეოდ. ჩვენ კი მას ვაძლევთ ფიცს, რომ შევასრულებთ მის ნება-სურვილს. მეფის ნება-სურვილი კი უნდა იყოს კეთილი და ჩვენც ამ კეთილი საქმეების ერთგულება შევფიცეთ. და ეს გასაგებიცაა. აბა სად გაგონილა. რომ ღმერთს ცუდ საქმეებზე ეფიცებოდნენ. მეფე. რომელიც ხალხს ცუდად ექცევა, არღვევს ღვთისთვის მიცემულ ფიცს და არ ასრულებს მის ნება-სურვილს. როდესაც ის გზავნით თქვენ მართლმორწმუნეთა დასარბევად, იგი მიცემული ფიცის საწინააღმდეგოდ იქცევა. არღვევს მას. თქვენ კი, გამსკვალუღნი იმ აზრით. რომ ახლობლების წინააღმდეგ გამოსვლა ცოდვაა, თავს შეიკავებთ ამ გამოსვლისგან, დარჩებით მიცემული ფიცის ერთგულნი, რადგანაც თქვენ მხოლოდ კეთილ საქმეებზე შეგფიცეთ მეფეს... თქვენ ფიცი დასდეთ დაიცვათ ქვეყანა მტრებისგან, მაგრამ ხალხი ხომ არ შეიძლება თავისი სამშობლოს მტერი იყოს? არა, ქვეყნის მტერია ის, ვინც ცუდ საქმეებს უკეთებს ხალხს... ის აქ, ჩვენს სახლში ცხოვრობს და ბინადრობს“.

პროკლამაციის ავტორი მოუწოდებდა ჯარს დასმარებოდა ხალხს მიწისა და თავისუფლების მოპოვებაში. იგი ამახვილებს მის ყურადღებას რეფორმის უკუღმართ მხარეებზე. იმაზე, რომ გლეხი აიძულეს გამოესყიდა მიწა, რომლის კანონიერი მფლობელი მხოლოდ ის იყო და არავინ სხვა. მიწას გლეხები, შელგუნოვის სიტყვით, მემამულეების გაჩენამდე ფლობდნენ და ამიტომ სრული უსამართლობა იყო გამოსყიდვის წესის შემოღება.

ერთი სიტყვით, ეს პროკლამაცია მიზნად ისახავდა ხალხისა და ჯარის მომზადებას აჯანყებისათვის, რევოლუციური გადატრიალებისათვის, რომლის წარმატებით დამთავრების შედეგად უნდა დამყარებულიყო სამართლიანი დემოკრატიული წყობილება.

რევოლუციური ხასიათის პროკლამაციების გავრცელება არც მომდევნო 1862—1863 წლებში შეწყვეტილა. 1862 წლის მაისში გამოვიდა, კერძოდ, პროკლამაცია „ახალგაზრდა რუსეთი“, რომ-

ლის ავტორი იყო პ. ზ ა ი ჩ ნ ე ვ ს კ ი (1842—1896), მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი. იგი, როგორც არალეგალური ლიტერატურის გამავრცელებელი, დაპატიმრებულ იქნა. განსახილველი დოკუმენტი მან სწორედ ციხეში დაწერა.

„ახალგაზრდა რუსეთში“ მოცემულია იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სწორი და საფუძვლიანი დახასიათება. ხაზგასმულია ხალხის მძიმე მდგომარეობა და მთავრობის პოლიტიკის კლასობრივი (მემამულური) ხასიათი. „რუსეთი, — ნათქვამია იქ, — შედის თავისი არსებობის რევოლუციურ ხანაში. თვალი გადაავლეთ წოდებათა ცხოვრებას და თქვენ ნახავთ, რომ საზოგადოება ამჟამად იყოფა ორ ერთიმეორის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესების მქონე ნაწილად. ქვემოდან ისმის ხალხის ყრუ უკმაყოფილება, ხალხის, ტანჯულის და შეურაცხყოფილის ყველას მიერ, ვისაც კი ოდნავ მაინც ძალა აქვს ხელში, ხალხის, რომელსაც ძარცვავენ მოხელეები და მემამულეები... ხალხის, რომელსაც ტყავს აძრობს მეფე პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ორჯერ და მეტად გადიდებათ... მის (ე. ი. ხალხის — ი. ა.) ზევით დგას ბედნიერ და კმაყოფილ ადამიანთა ერთი მუჭა. ესენი არიან მემამულეები, რომელთა წინაპრები... დაჯილდოვებულ იქნენ დასახლებული ადგილებით თავიანთი ხოლოპური სამსახურისთვის, ესენი არიან დედოფლების მიერ უხვად დაჯილდოებული საყვარლების მემკვიდრენი; ესენი არიან ვაჭრები. ხალხის ძარცვითა და მოტყუებით გამდიდრებულნი; ესენი არიან მოხელეები, რომლებმაც ქონება ქურდობით მოიპოვეს. ყველა ამათ ზევით დგას მეფე. მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ“.

ზაიჩნევსკის აზრით, ამ ვითარების უცვლელად დატოვება შეუძლებელი იყო, იგი ძირფესვიანად უნდა გარდაქმნილიყო. ეს მისია კი რევოლუციას უნდა ეკისრა, რადგანაც გაბატონებული კლასი, პროკლამაციის ავტორის სამართლიანი დასკვნით, ნებით არაფერს დასომობდა. მხოლოდ სისხლიან რევოლუციაში ხედავდა იგი გამოსავალს, მასზე ამყარებდა იმედებს და მიაჩნდა, რომ მას და მხოლოდ მას შეეძლო იმდროინდელი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების რადიკალური შეცვლა¹. რევოლუციასთან დაკავშირებული

¹ „გამოსავალი ამ... საშინელი, ადამიანის დამლუპველი მდგომარეობიდან. — ვკითხულობთ პროკლამაციაში, — ერთია — რევოლუცია, რევოლუცია სისხლიანი და უღმობელი. რევოლუცია, რომელმაც რადიკალურად უნდა შესცვალოს ყველაფერი და მოსპოს ახლანდელი წყობილების მომზრენი. ჩვენ არ გვეშინია მისი, თუკცა ვიცით, რომ სისხლის მდინარე დადგება და ბევრი უდანაშაულოც დაიღუპება.“

გარდუვალი მსხვერპლი ზაიხნევსკის არათუ არ აწინებდა, არამედ, პირიქით. აცხადებდა. რომ ის და მისი თანამოაზრენი უფრო თანმიმდევრულნი იქნებოდნენ. ვიდრე 1848 წლის რევოლუციონერები და „თვით 1792 წლის დიდი ტერორისტები“. უფრო მეტიც. იგი არაორაზროვნად წერდა. რომ რუსეთის ახალგაზრდობა საჭიროების შემთხვევაში მზად იყო დაეღვარა „სამჭერ მეტი სისხლი. ვიდრე დაღვარეს იაკობინელებმა“ XVIII საუკუნის 90-იან წლებში.

ვის უნდა დაეღეწა ძველი წყობილება, რა ძალებზე იღებდა ზაიხნევსკი ორიენტაციას? ეს ძალები იყო: ხალხი, ჯარი და ახალგაზრდა თაობა. „ჩვენ. — ვკითხულობთ პროკლამაციაში, — გვაქვს ხალხის იმედი. ის ჩვენთან იქნება... დაბეჩავებული და გაძარცვული გლეხი დადგება ჩვენთან ერთად თავისი უფლებების დასაცავად. იგი გადაწყვეტს საკითხს, თუმცა ინიციატივა მას კი არ ეკუთვნის. არამედ ჯარსა და ახალგაზრდა თაობას. ჩვენ გვაქვს ჯარისა და ოფიცრების იმედი. რომლებიც აღშფოთებული არიან სასახლის დესპოტიზმით და იმ საზიზღარი როლით, რომელსაც თამაშობდნენ ისინი და თამაშობენ დღესაც. ვითარცა... პოლონელებისა და გლეხების მკვლელები. მეფის განკარგულებათა უსიტყვო შემსრულებლები... მაგრამ მთავარი ჩვენი იმედი მაინც ახალგაზრდობაა“.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ზაიხნევსკის აზრით, უნდა შექმნილიყო დროებითი დიქტატურა. რომლის უშუალო მეთვალყურეობით ხალხი ირჩევდა მუდმივმოქმედ ორგანოს — ნაციონალურ კრებას. ის, პროკლამაციის თანახმად, წარმოადგენდა რუსეთის „სოციალური და დემოკრატიული რესპუბლიკის“ უმაღლეს ორგანოს. ზაიხნევსკის მიერ პროექტირებული ეს დემოკრატიული რესპუბლიკა გულისხმობდა მიწის თემის საკუთრებად გამოცხადებას. საზოგადოებრივი ფაბრიკა-ქარხნების შექმნას, გადასახადების სამართლიან განაწილებას. არჩევით სასამართლოს, ყველას თანასწორობას კანონის წინაშე, ქალების უფლებრივ გათანაბრებას მამაკაცებთან. ბავშვების აღზრდას სახელმწიფოს ხარჯზე და ა. შ.¹ საინტერესოდ წყვე-

ყოველივე ეს ჩვენ ვიცით. მაგრამ რევოლუციის დაწყებას მაინც მივესალმებოთ. მზად ვართ თავი შეეწიროთ ამ საქმეს, ოღონდ მოვიდეს ის. რასაც ამდენი ხანია ველოთ“.

¹ „ჩვენ მოვიხხოვთ. — ნათქვამია განსახილველ დოკუმენტში. — თანამედროვე დესპოტური მმართველობის ოლქების დემოკრატიულ-ფედერაციული კავშირით შეცვლას. მთელი ხელისუფლების ნაციონალური და საოლქო კრებების ხელში გადასვლას. მიწა, გამოყოფილი თემის თითოეული წევრისათვის, ეძლევა დას არა სამუდამო სარგებლობაში, არამედ რამდენიმე წლით, რომელთა გასვლის შემდეგ თემი აწუროს მიწის ხელახალ დაყოფა-განაწილებას. თემის წევრის დანარჩენი ქონება რჩება მას ხელუხლებლად მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.“

ტდა ზაიჩნევსკი ეროვნულ საკითხს. იგი მხარს უჭერდა პოლონეთისა და ლატვიის დამოუკიდებლობას და იმას, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ნაციონალურ ოლქებს თვითონ გადაეწყვიტათ (ყენჭის ყრით) მათი მომავალ ფედერაციულ რესპუბლიკაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი.

„ახალგაზრდა რუსეთმა“ დიდი ზეგავლენა მოახდინა თავისი დროის მოწინავე საზოგადოებაზე. მას ხიბლავდა არა იმდენად პროკლამაციის პროგრამული ნაწილი, მისი თეორიული მხარე, რამდენადაც საოცრად ძლიერი რევოლუციური პათოსი, უკიდურესი რადიკალიზმი. „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, — წერს მკვლევარი ბ. კოზმინი, — რომ „ახალგაზრდა რუსეთისადმი“ თანაგრძნობა ყველა შემთხვევაში სოციალისტური გარდაქმნების მის მიერ წამოყენებულ პროგრამას განეკუთვნებოდა. იმდროინდელ რევოლუციურ ახალგაზრდობაზე. რომელიც სუსტად ერკვეოდა სოციალისტურ თეორიებში და საერთოდ ცუდად იცნობდა მათ. შთაბეჭდილებას ახდენდა არა იმდენად „ახალგაზრდა რუსეთის“ პროგრამა, რამდენადაც ის გაბედულება. რომლითაც მისი ავტორები გამოდიოდნენ. მოწოდება დაუყოვნებლივ რევოლუციური მოქმედებისკენ, რწმენა საკუთარი ძალებისადმი, გაბედული აზრები, მზადყოფნა მიემართათ უკიდურესი საშუალებისათვის — აი, რა იტაცებდა ყველაზე მეტად ახალგაზრდა რევოლუციონერებს“.

1861 წლის ბოლოსა და 1862 წლის პირველ ნახევარში შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაცია „მიწა და თავისუფლება“, რომელიც დეკაბრისტების შემდეგ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო. მის შექმნა-ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გერცენის, ოგარიოვისა და ჩერნიშევსკის ახლო მეგობრები და თანამოაზრენი — ნიკოლოზ ობრუჩევი. ძმები ნიკოლოზ და ალექსანდრე სერნო-სოლოვიოვიჩები. ალექსანდრე სლუპცოვი და სხვ. ორგანიზაციის მიზანი იყო რუსეთის იმპერიის ცენტრებსა და პერიფერი-

სოლო სიკვდილას შემდეგ გადადის თემის განქარგულებაში. ჩვენ მოვიტხოვთ, რომ სასამართლო ხალხის მიერ იქნეს არჩეული... ჩვენ მოვიტხოვთ გადასახადების სამართლიან განაწილებას, გვინდა, რომ გადასახადის სიმძიმე დააწვეს საზოგადოების არა ღარიბ ნაწილს. არამედ მდიდრებს... ჩვენ მოვიტხოვთ საზოგადოებრივი იჯბრიკების მოწყობას, რომელთა მართვა დაეკისრება ხალხის მიერ არჩეულ პირებს. ვალდებულებს გარკვეული დროის გავლის შემდეგ ანგარიში ჩააბარონ ამომრჩეველებს... ჩვენ მოვიტხოვთ ბავშვების საზოგადოებრივ აღზრდას. სწავლის პერიოდში მათ საზოგადოების ხარჯზე შენახვას... ჩვენ მოვიტხოვთ ქალების სრულ განთავისუფლებას, მათთვის ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მინიჭებას... გაუმარჯოს რუსეთის სოციალურ და დემოკრატიულ რესპუბლიკას“.

ებში არსებული რევოლუციური წრეების გაერთიანება და მათი ძალების არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვა. საზოგადოებას ჰქონდა თავის სამოქმედო პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო გერცენის. ოგარიოვისა და ჩერნიშევსკის შეხედულებანი. დიდი ზეგავლენა იქონია მის პლათფორმაზე, კერძოდ, ოგარიოვის სტატია-პროკლამაციამ „რა უნდა ხალხს?“ და ზაინევსკის „ახალგაზრდა რუსეთმა“, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა უკვე საუბარი.

საიდუმლო საზოგადოებამ გამოუშვა თავის ორგანო „თავის უფლების“ ორი ნომერი, პირველი — 1863 წლის თებერვალში, ხოლო მეორე — იმავე წლის ივლისში. იქ დაბეჭდილი სტატიები მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე.

„მიწა და თავისუფლების“ წევრებს ხალხის ყველა უბედურების მიზეზად თვითმპყრობელური წყობილება მიაჩნდათ. ის იყო, მათი აზრით, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების შემფერხებელი, პროგრესული ძალების დამთრგუნველი. „ყველა უბედურების ერთადერთი წყარო, — ნათქვამია დასახელებული ორგანოს პირველ ნომერში, — თვითმპყრობელური დესპოტიზმია. მისი ზეგავლენით შეიქმნა თანამედროვე მდგომარეობა, რომელიც გვაწეება ჩვენ და აჩერებს ყოველგვარ განვითარებას. რუსეთის ცხოვრების ნებისმიერი დარგის თვით ზედაპირული განხილვაც კი ადასტურებს ამ ცხადზე უცხადეს ჭეშმარიტებას და გვარწმუნებს იმაში, რომ ყველა ისინი პარალიზებულია და ჩამკვდარი უაზრო თვითმპყრობელობით, რომელიც წარმოადგენს იერარქიის უწყვეტ ჯაჭვს. დაწყებული იმპერატორიდან და დამთავრებული უკანასკნელი მოხელით. სხვადასხვა რეფორმის გატარების მახინჯი ცდები კიდევ უფრო ცხადყოფენ თვითმპყრობელობის უსაფუძვლობას“.

თვითმპყრობელობის ამ დახასიათებიდან ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკვნა მისი შეცვლის აუცილებლობის შესახებ. რაც საზოგადოების წევრთა აზრით, მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლის შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო. დესპოტური მმართველობით გაწამებულ ხალხს გაუჩნდა „ახალი, თავისუფალი ცხოვრების“ შექმნის მოთხოვნილება და ის ამისათვის მზადაა ყოველგვარ მსხვერპლზე წავიდეს. მსხვერპლის გაღება კი, „მიწა და თავისუფლების“ მოღვაწეთა შეხედულებით, არასასურველი, მაგრამ გარდუვალი მოვლენა იყო, რადგანაც თვითმპყრობელობა, მათი ორგანოს სიტყვით, ნებაყოფლობით ხელს არ აიღებდა ბატონობაზე და არ გაანთავისუფლებდა ხალხს მონური მდგომარეობიდან. ამიტომ დესპოტიზმის ჯაჭ-

ვები უნდა დაილევოსო, — ამბობდნენ ისინი. „სისხლი უკვე დაღვრილია... უკან დახევა შეუძლებელია. ადამიანებისათვის, მთელი ენერჯით რომ ემსახურებიან ხალხის განთავისუფლების საქმეს, არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი — ესაა შეუნელებელი ბრძოლა რუსი ხალხის მტერთან, მეფის მთავრობასთან, რომელიც ყოველთვის გვატყუებს, ფეხქვეშ თელავს ჩვენს უფლებებს, ღვრის ჩვენს სისხლს, სპობს ჩვენს ძმებსა და შვილებს, გვართმევს სიმშვიდეს, ითვისებს ჩვენს შრომას და ანადგურებს ქვეყნის დოვლათს“ („თავისუფლება“, № 1). ორგანიზაციის წევრები ნათლად ხედავდნენ „რევოლუციის გარდუვალობას“, რევოლუციისა. რომლის სული და გული. მათი აზრით, „გაძარცვული და უფლება-აყრილი ხალხი“ იქნებოდა. და რაკი ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში. როგორც უკვე ვიქვით, დიდი სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი. „მიწა და თავისუფლების“ ორგანიზაცია ცდილობდა თავის მხარეზე გადმოებირებინა „განათლებული კლასების“ წარმომადგენლები და ამით რამდენადმე მაინც შეემცირებინა გარდუვალი მსხვერპლის მასშტაბი.

წარმატებით დამთავრებული რევოლუციის შემდეგ უნდა მოწვეულიყო „სახალხო კრება“, რომელიც შეიმუშავებდა თავისუფალი რუსეთის „ახალი საზოგადოებრივი წყობილების“ საფუძვლებს. მას ხალხისთვის უნდა მიეცა ის. რისთვისაც იგი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა — მიწა და თავისუფლება. ცნობილი სამოციანელის ლ. პანტელეევის მოწმობით, საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთ წევრს ა. სლეპკოვს მასთან საუბარში განუცხადებია: „რა უნდა ეწეროს მის (ორგანიზაციის—ი. ა.) დროშაზე? „მიწა“, ე. ი. ხალხისთვის დაბრუნება იმისა. რაც მას ნამდვილად ეკუთვნის, და „თავისუფლება“, ე. ი. საერობო კრების მოწვევა, რომელიც მთელ ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას გარდაქმნის ახალ სახალხო-დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძვლებზე“.

• • •
ზემოთ მოტანილი მასალა მკაფიოდ მეტყველებს დემოკრატიული აზრის აზვირთებაზე რეფორმის მომდევნო 1861—1863 წლებში. ამ აღმავლობას ჰკვებავდა კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე განსახილველი ხანის რუსეთში. რეფორმის შემამულურმა ხასიათმა განაპირობა კლასობრივი ანტაგონიზმის ჩვეულებრივზე მეტად გაძლიერება. მართალია, მან თავის ზენიტს 1861 წელს მიაღწია. მაგრამ არც 1862—1863 წლებს მოუტანია სიმშვიდე. ან როგორ შეიძლებოდა დამშვიდებული ყოფილიყო ხელისუფლება. როდესაც მას დასახელებული ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში 786 გლეხთა მღელვარების ჩაქრობა მოუხდა. როგორც ცნობილია, რიგი მიზეზების (მათ შორის

რუსეთის ბურჟუაზიის უხერხემლობის) გამო ასეთი დაძაბული ვითარება რევოლუციაში არ გადაზრდილა. 1864 წლიდან საგრძნობლად მინელდა გლეხთა მღელვარების ტალღა (1864 წელს — 75 გამოსვლა, 1865 წელს — 93 და 1866 წელს — 70), დამთავრდა რევოლუციური სიტუაციის ხანა. შესუსტდა მოწინავე დემოკრატიული ბანაკის საქმიანობაც, რაც გარდა ზემოაღნიშნული გარემოებისა. შეპირობებული იყო აგრეთვე მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლების იზოლირებით, როგორც იყო ჩერნიშევსკი. მიხაილოვი, შელგუნოვი, ობრუჩევი და სხვ.

ლიტერატურა და წყაროები

1. ა. ს უ რ გ ე ლ ა ძ ე, რუსეთი XIX საუკუნის 60—80-იან წლებში, თბ., 1964 წ., გვ. 102—120.
2. История СССР, т. II, 1949 г (под редакцией М. В. Нечкиной), стр. 416—459.
3. Б. П. Козьмин, Из истории революционной мысли в России, Москва, 1961 г., стр. 222—290.
4. Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60—70-е годы XIX века, Москва, 1958 г., стр. 170—235.
5. Н. Г. Чернышевский, Избранные экономические произведения, т. II, 1948 г. (текст прокламации «Барским крестьянам от их доброжелателей поклон»).
6. Хрестоматия по истории СССР, т. III, Москва, 1949 г. (составитель С. С. Дмитриев), стр. 86—99.
7. Н. А. Серно-Соловьевич, Публицистика, письма, Москва, 1963 г., стр. 232—238.
8. Н. В. Шелгунов, Воспоминания, Москва, 1923 г., стр. 287—307.
9. Л. Ф. Пантелеев, Воспоминания, 1958 г., стр. 288—348.
10. Н. П. Огарев, Избранные социально-экономические и философские произведения, т. I, Москва, 1952 г., стр. 527—536.

შინაარსი

თ ა ვ ი I

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ძიწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი რუსეთში	3
1. განმანათლებლობა (ა. პოლენოვი, ნ. ნოვიკოვი)	3
2. რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი (ა. რადიშჩევი)	15

თ ა ვ ი II

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რეაქციულ-კონსერვატიული თავადაზნაურობის იდეოლოგთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	
---	--

თ ა ვ ი III

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ლიბერალური თავადაზნაურობის იდეოლოგთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	38
1. სპერანსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	38
2. მორდინოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	54

თ ა ვ ი IV

დეკაბრისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	58
1. დეკაბრისტულ შეხედულებათა ფორმირების იდეური წანამძღვრები. წინააღიდეგობის რეაქციული ორგანიზაციები	58
2. პირველი დეკაბრისტული საზოგადოებები („ხსნის კავშირი“, „კეთილდღეობის კავშირი“)	69
3. დეკაბრისტთა „სამხრეთის საზოგადოება“	80
4. დეკაბრისტთა „ჩრდილოეთის საზოგადოება“	86
5. ურთიერთობა სამხრეთელ და ჩრდილოეთელ დეკაბრისტებს შორის	89
6. შეერთებული სლავეების საზოგადოება	92
7. დეკაბრისტებისა და დეკაბრისტული იდეების ადგილი ისტორიაში	93

თ ა ვ ი V

მიხეილ ბარათაშვილი და დეკაბრისტები. მ. ბარათაშვილის შეხედულებათა დეკაბრისტული ხასიათი	96
---	----

თ ა ვ ი VI

იდეური კილილი XIX საუკუნის 20—40-იან წლებში. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის წარმოშობა	109.
1. ვითარება დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ. მთავრობის ღონისძიებები „წესრიგის“ დასამყარებლად	109
2. კლასობრივი ბრძოლა და იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა 20—40-იან წლებში	113
3. ჩაადაევი და მისი „ფილოსოფიური წერილები“	118
4. ბელინსკი. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის წარმოშობა რუსეთში	125
5. სლავოფილები და მედასაელები	131

თ ა ვ ი VII

პეტრაშეველების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	139
1. ბუტაშევიჩ-პეტრაშეესკი	141
2. პეტრაშეველთა ხაზის რადიკალური მიმართულების დანარჩენი წარმომადგენლები (ნ. სპეშნიოვი, ა. ხანიკოვი, ნ. მომბელი, პ. ფილიპოვი, ნ. გრიგორიევი, დ. ახშარუმოვი).	145
3. ლიბერალები პეტრაშეველთა წრეში (ნ. დანილესკი და სხვ.)	160
4. პეტრაშეველთა საერთო შეფასება	163

თ ა ვ ი VIII

გერცენი და გლებთა საკითხი	164
---------------------------	-----

თ ა ვ ი IX

XIX საუკუნის 60-იანი წლების პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი	170.
--	------

რედაქტორი პ. დ ე ლ ე ყ ვ ა
გამომცემლობის რედაქტორი ი. მ კ ე დ ლ ი ძ ე
ტექნიკური ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ნ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი

ხელმოწერილია დასაბუქდად 11/11-71
ქალაქის ფორმატი 60×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 12.5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.89
შეკვეთა 1092 უე 07124 ტირაჟი 1 000

ფასი 1 ზან. 30 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1